საქართველოს მეცნიერებისა და განათლების
სამინისტრო
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები

I

გამომცემლობა "შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი"
2007

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕШЕНИЯ И НАУКИ ГРУЗИИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

Этнологические проблемы Юго-Западной Грузии

I

Издателство «Государственный университет
Шота Руставели»
2007

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

The ethnological problems of south-west georgia

I

Publishing House
«Shota Rustaveli state Universiti»
2007

წინამდებარე კრებული - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები" - თემატური გაგრძელებაა წინა წლებში გამოცემული ეთნოგრაფიული კრებულებისა („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა"), რომლის ბოლო ნომერი 1990 წელს დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში".

კრებულში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის დარგების გენეზისის საკითხები. ისტორიულ ჭრილში დახასიათებულია მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა ხულოს რაიონისა და ლიგანის ხეობის მაგალითზე. განხილულია თურქეთში მცხოვრები ქართული დიასპორის, აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობათა (მეჩეთები) შემკულობის, აჭარის მოსახლეობის სულიერი კულტურის (აგრარული კალენდარი, წეს-ჩვეულებები) საკითხები, საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ებრაელთა ეთნორელიგიური თავისებურებანი.

კრებულში დაბეჭდილია ბეშუმის 2007 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიის ანგარიში და მახაჩყალაში 2007 წელს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შედეგები, რომლებშიც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში მომუშავე ეთნოგრაფებიც მონაწილეობდნენ.

კრებული განკუთვნილია ეთნოგრაფების, ისტორიკოსების, მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომი შესრულებულია ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილებაში.

ეძღვნება ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს

რედაქტორი:	**ნოდარ კახიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პასუხისმგებელი მდივანი:	**მანუჩარ ლორია** – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
რეცენზენტები:	**ბიჭიკო დიასამიძე** – ასოცირებული პროფესორი **ირაკლი ბარამიძე** – ასოცირებული პროფესორი

ISSN 1987-5274

გამომცემლობა

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" – 2007

რედაქტორისაგან

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილებამ (2006 წლამდე მას ეწოდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება) დაარსებიდან (1958 წელი) 1990 წლამდე სხვადასხვა სახელწოდებით 23 ეთნოგრაფიული კრებული გამოსცა (მათ შორის ერთი რუსულ ენაზე). ესენია: „აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები" (1966, 1967), „აჭარის სოფელი" (1969), „აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები" (1971), „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა" (I-XVII) (1973-2006), «Очерки этнографии Аджарии» (1982). ყველა მათგანი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში". დასახელებული ეთნოგრაფიული კრებულების გამოცემა (განყოფილების წევრებმა სხვა დიდძალი მონოგრაფიები და პუბლიკაციებიც გამოაქვეყნეს) მნიშვნელოვანი მოვლენაა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში.

კრებულების სხვადასხვა სახელწოდებებით გამოცემა ნაკარნახევი იყო იმ სამეცნიერო მიმართულებებითა და პრობლემებით, რომლებიც მაშინ საერთოდ ინსტიტუტისა და, კერძოდ, მისი ეთნოგრაფიის განყოფილების წინაშე იდგა. განყოფილების არსებობის პირველ ათწლეულში (1958-1968) დამუშავდა ორი პრობლემური თემა: „დასახლების ფორმები აჭარაში" და „აჭარის სოფელი ძველად და ახლა". შემდგომ წლებში (1969-1989) ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების თემა გაფართოვდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით და მან მოიცვა აჭარის მეზობელი რეგიონებიც. თუმცა, შესადარებელი პარალელური მასალები ამ რეგიონებში წინა წლებშიც იკრიბებოდა და შესაბამისი პუბლიკაციებიც ქვეყნდებოდა. 1991-2007 წლებში მუშავდებოდა თემა: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული და დემოგრაფიული პრობლემები". თემაზე მუშაობა დღესაც გრძელდება.

პრობლემა გულისხმობს არა მარტო აჭარის, არამედ მისი მომიჯნავე რეგიონების, მათ შორის თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ძირძველი ქართული კუთხეების (ჭოროხის ხეობა, ლაზეთი), ასევე, თურქეთის სხვადასხვა ვილაიეთში განსახლებული მკვიდრი და მუჰაჯირი ქართველი მო-

სახლეობის ისტორიულ-ეთნოლოგიურ შესწავლას.

1990 წლის შემდეგ დღემდე განყოფილებაში ცალკე კრებულის მომზადება და გამოცემა შეფერხდა. მიზეზი შესაბამისი გამოცემის დაუფინანსებლობაც იყო, რაც ქვეყანაში შექმნილი საერთო საზოგადოებრივი და ფინანსური სიტუაციითაც აიხსნებოდა.

მსგავსი დაბრკოლება დღეისათვის მოიხსნა. ინსტიტუტის დირექციის, სამეცნიერო საბჭოს მოთხოვნით და აჭარის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და დახმარებით გამოიყო შესაბამისი დაფინანსება და აღსდგა ინსტიტუტის შრომებისა და განყოფილებათა დარგობრივი კრებულების გამოცემა.

განყოფილების სხდომამ იმსჯელა განახლებული კრებულის გამოცემაზე და გადაწყვიტა მისი სახელწოდების შეცვლა. გადწყდა, რომ იგი ყოველწლიურად გამოიცეს შემდეგი სახელწოდებით: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები".

კრებულის ახალი სახელწოდება სრულად შეესაბამება ამჟამად მოქმედი ეთნოლოგიური სამეცნიერო პრობლემის მიზნებსა და ამოცანებს და ახლებურ შინაარსს აძლევს მას. თანაც, დღევანდელ ეტაპზე, ახალი დეფინიციების დამკვიდრების პირობებში, რამდენადმე მოძველდა გამოთქმები „ყოფა და კულტურა", ისევე როგორც გაიმიჯნა ცნებები „ეთნოგრაფია" და „ეთნოლოგია". ახლა ეთნოგრაფიის განყოფილების ნაცვლად გვაქვს ეთნოლოგიის განყოფილება. აქედან გამომდინარე, გამართლებული ჩანს „ყოფისა და კულტურის" შესატყვისად „ეთნოლოგიის პრობლემები" ვიხმაროთ და ეთნოგრაფიული კრებულის სახელწოდების- „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა" მაგივრად დავამკვიდროთ ახალი სახელწოდება - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები".

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილება (დაარსების 50 წლისთავის გამო)*

განყოფილება ინსტიტუტის დაარსების წლიდან (1958) ფუნქციონირებს. 2006 წლამდე იგი იწოდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებად.

განყოფილების დაარსებიდანვე მის ძირითად ამოცანად დაისახა აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების შესწავლა. ამ საქმეში განყოფილებას წინამორბედებიც ჰყავდა, პრიველ რიგში, XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ქართველი მოგზაური მკვლევარების – დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას და სხვათა სახით. მაგრამ ის მუშაობა, რაც განყოფილებამ გასწია 50 წლის მანძილზე აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ შესწავლაში, განუზომლად დიდია, მასშტაბურია და შთამბეჭდავი.

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პირველ ათწლეულში (1958–1968) შეისწავლებოდა აჭარის ტრადიციული და თანამედროვე ყოფისა და კულტურის საკითხები. შესაბამისად დამუშავდა ორი პრობლემური თემა: „დასახლების ფორმები აჭარაში" და „აჭარის სოფელი ძველად და ახლა". შემდგომ ათწლეულში (1969-1989) ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება გაფართოვდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით და შესაბამისად შეისწავლებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფისა და კულტურის უმთავრესი საკითხები. შემდგომ წლებში (2007 წლის ჩათვლით) განყოფილებამ მუშაობა გააგრძელა პრობლემაზე

---

* იბეჭდება შემოკლებით. ვრცელი ვარიანტი ქვეყნდება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების VI ტომში, რომელიც ეძღვნება ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს.

„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული და დემოგრაფიული პრობლემები". აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის სხვადასხვა ასპექტით შესწავლას კვლავაც წამყვანი ადგილი ეჭირა.

ჩამოთვლილი პრობლემების დამუშავება მიზნად ისახავდა პირველ რიგში აჭარისა და მისი მომიჯნავე რეგიონების სოფლის მოსახლეობის ტრადიციული და თანამედროვე ყოფისა და კულტურის ძირითადი საკითხების კვლევას. შედეგებიც სახეზეა. შესწავლილია აჭარის სოფლის მოსახლეობის გვარობრივი შემადგენლობა, დასახლების უძველესი და მომდევნო ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (ალ. რობაქიძე, ვ. შამილაძე, ჯ.მიქელაძე). სუბალპური და ალპური დასახლების ზონაში დადგინდა საცხოვრებელ ნაგებობათა ორი ტიპი: ძირთული ანუ ერთსართულიანი, და ორსართულიანი ანუ ზედშედგმული ჯარგვალური სახლები, რომლებიც ადრე დამახასიათებელი იყო სოფლური დასახლებებისთვისაც. ჯარგვალური სახლებიდან განვითარდა აჭარული ერთ და ორ-სამსართულიანი ფიცრული სახლები. საცხოვრებელი სახლის განსხვავებულ ტიპს ქმნის ლაზური სახლი.

ეთნოგრაფიულადაა შესწავლილი აჭარის მთური ტიპის მიწათმოქმედება (ნ. ჩიჯავაძე), აჭარის ალპური მესაქონლეობა, საქართველოს მესაქონლეობა კულტურულ-ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში (ვ.შამილაძე), ხელოსნობის ტრადიციები აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით (ნ.კახიძე). ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს აჭარული ოჯახისა და საოჯახო ყოფის, ნათესაური, საზოგადოებრივი და საქორწინო ურთიერთობების (ვ. მგელაძე, მ. ბექაია, ნ. მგელაძე), აჭარელი ქალის სტატუსის (ნ. ჩელებაძე) შესწავლა. დადგინდა, რომ ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ აჭარაში და აქ არსებულმა მუსლიმანურმა წესებმა გარკვეული დაღი დაასვა საოჯახო ყოფით ურთიერთობას, განსაკუთრებით კი აჭარელი ქალის საზოგადოებრივ და უფლებრივ მდგომარეობას. მაგრამ აჭარულმა ოჯახმა, აჭარის მოსახლეობამ ამ მძიმე განსაცდელის პერიოდში,

როდესაც მას ეროვნული გადაგვარების საფრთხეც ემუქრებოდა, შეინარჩუნა ყოფისა და კულტურის თვითმყოფადი ელემენტები – ქართული ენა, ქართული ზნე-ჩვეულებები. ამ საქმეში დიდი როლი სწორედ აჭარელმა ქალმა ითამაშა.

მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგებია მოპოვებული მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა ისეთი საკითხების კვლევაში, როგორიცაა ხალხური ორნამენტი (ჯ. ვარშალომიძე), კერა და ქვის ბუხარი გურიასა და აჭარაში (თ. ტუნაძე), ტანსაცმელი და ხალხური კულინარია (ი.სამსონია), ხალხური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები (ვ.შამილაძე, ნ.კახიძე, ნ. ჩელებაძე, თ.ლომთათიძე).

XX საუკუნის 80-90-იან წლებში განყოფილების სამეცნიერო თემატიკაში ერთ–ერთ მთავარ საკითხად იდგა აჭარაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა (ბერძნები, აფხაზები, აისორები, სომხები, რუსები) ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში შესწავლა (ლ. დემუროვა, თ. აჩუგბა, ი. ბორიკი, მ. თავაძე). ამჟამად შეისწავლება აჭარის ებრაელთა დიასპორა, მათი ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტები (მ. ლორია). ქართველ ისტორიკოსთა ბორჯომის შეხვედრების პროგრამის ფარგლებში დამუშავდა წლიური თემები, რომლებშიც შესწავლილია ქართულ-აფხაზური პარალელები მესაქონლეობაში, ხელოსნობასა და ხალხურ ორნამენტში (ვ. შამილაძე, ნ. კახიძე, ჯ. ვარშალომიძე).

უკანასკნელ წლებში კვლევის სფეროში მოექცა ქალაქ ბათუმისა და მისი შემოგარენის ქართველი მოსახლების ყოფისა და კულტურის საკითხები (ი.სამსონია), საფორტიფიკაციო და საეკლესიო ნაგებობანი (ჯ, მიქელაძე), ტრადიციული საზოგადოების სტრუქტურის საკითხები გურიის, სვანეთის, რაჭის მაგალითზე (ნ. მგელაძე), მეგრულ-ლაზური ტრადიციული საზოგადოების სტრუქტურა (პ. რურუა). 2000–2001 წლებში პირველად განხორციელდა თურქეთის საზღვრებში მოქცეული ლიგანის ხეობის ქართველი მოსახლების ეთნოგრაფიული შესწავლა, რასაც მიეძღვნა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლიგანის ხეობა. ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა" (რ. მალაყმაძე).

განყოფილების ცალკეულმა მეცნიერმა თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოს შექმნაში (ვ.შამილაძე), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მეორე ტომისათვის ეთნოგრაფიული სტატიების მომზადებაში (ნ. კახიძე, ვ. შამილაძე, ნ. მგელაძე, ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე).

განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა მცირერიცხოვნების მიუხედავად, აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიურ შესწავლაში სხვა წარმატებებიც ბევრია.

განყოფილებაში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგებს საფუძვლად უდევს მრავალწლიანი საექსპედიციო და სამივლინებო მუშაობა აჭარაში, მის მომიჯნავე (სამცხე-ჯავახეთი, გურია), აგრეთვე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში მოეწყო 50-მდე ეთნოგრაფიული ექსპედიცია. აქედან მარტო აჭარაში 35-ზე მეტი. ექსპედიციებში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრებში მომუშავე ეთნოგრაფები. საექსპედიციო ჩანაწერები დღიურების სახით ინახება განყოფილების ფონდებში. აქვე დაცულია დიდძალი ფოტო და სხვა სახის საილუსტრაციო მასალა, რომლებიც შესრულებულია განვლილი 50 წლის მანძილზე.

საექსპედიციო და საარქივო მასალების, წერილობითი წყაროების საფუძველზე განყოფილებაში დაიწერა 300-მდე წლიური ნაშრომი, გამოქვეყნდა 13 მონოგრაფია (მათ შორის სამი რუსულ ენაზე), 23 ეთნოგრაფიული კრებული (მათ შორის ერთი რუსულ ენაზე). კრებულები გამოცემულია შემდეგი სახელწოდებებით: „აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები" (1966–1967); „აჭარის სოფელი" (1969); „აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები" (1971); „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა" (I-XVII) (1973-1990); „Очерки этнографии Аджарии" (1982); „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები" (2007). კრებულების სერიას „სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა" ყოფილი საკავშირო გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის კომიტეტის 1978 წლის 4 მაისის ბრძანებით მინიჭა

საერთაშორისო სტანდარტის ნომერი ISSN №0135–0676. კრებულები იგზავნებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ინგლისში. კრებულები შეტანილი იქნა ოქსფორდის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ გამოცემაში.

ჩამოთვლილ ეთნოგრაფიულ კრებულებში, ინსტიტუტის შრომების ხუთტომეულში, სხვა გამოცემებში განყოფილების მეცნიერმა თანამშრომლებმა განვლილ პერიოდში სულ დაბეჭდეს 300-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. ადგილობრივ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნეს 150–მდე წერილი მეცნიერების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

განყოფილების წევრები სისტემატურ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა და ანთროპოლოგთა ადგილობრივ (ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), საქართველოს რესპუბლიკურ (თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ცხინვალი, ახალციხე, ზუგდიდი) თუ საერთაშორისო სამეცნიერო სესიებში, კონფერენციებში, სადაც წაიკითხეს ასზე მეტი მოხსენება ეთნოლოგიური კვლევა-ძიების საკითხებზე.

საქართველოს ეთნოგრაფთა რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ბათუმში ორჯერ მოეწყო. იგი ორგანიზებული იყო ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ. პირველი მიეძღვნა საქართველოში 1980 წელს ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული კვლევა–ძიების შედეგებს, მეორე – 1933 წლის აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის 70 წლისთავს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გ.ჩიტაია. ექსპედიციამ სათავე დაუდო აჭარის მომავალ საველე ეთნოგრაფიულ შესწავლას, რომელსაც იუბილარი განყოფილება 1958 წლიდან დღემდე წარმატებით აგრძელებს. სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა – ვ.შამილაძემ და ნ.კახიძემ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია განყოფილების წევრთა მონაწილეობა 2001–2007 წლების საერთაშორისო სამეცნიერო კონ-

ფერენციებში, რომლებიც ჩატარდა ნალჩიკში (2001), თბილისში (2002, 2007), ერევანში (2003), ბათუმში (2006, 2007), მახაჩყალაში (2007), სადაც მოხსენებები წაიკითხეს ვ.შამილაძემ, ნ.კახიძემ, ნ. ჩელებაძემ, თ. ლომთათიძემ, პ. რურუამ. ვ.შამილაძე ადრეც მონაწილეობდა ყოფილ საკავშირო (სოხუმი, ბაქო, ყაზანი, უფა, კიშინიოვი, ჩერნოვიცი) და საერთაშორისო (ჩიკაგო, ვაშინგტონი, ლონდონი, თეირანი, ვლადიკავკაზი და სხვა) კონფერენციებზე, სემინარებსა და ბრიფინგებში. იყო მონაწილე და მომხსენებელი ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა კონგრესებზე (მოსკოვი – 1964, დელი – 1976). მას მჭიდრო კონტაქტები აქვს დამყარებული კავკასიის რესპუბლიკების, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამეცნიერო ცენტრებთან, რომლის მიზანია ერთობლივი სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარება, პუბლიკაციების მომზადება და დაბეჭდვა.

50 წლის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ეთნოგრაფთა სამეცნიერო კადრების მომზადებაში. განყოფილების გახსნის დროს ვიდრე 1965 წლამდე აქ ხარისხის მქონე არცერთი ეთნოგრაფი არ იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიზნობრივი თუ დაუსწრებელი ასპირანტურის გზით 2007 წლამდე ეთნოგრაფიის ხაზით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თორმეტმა თანამშრომელმა (ვ.შამილაძე, მ. ბექაია, ნ. ჩიჯავაძე, ნ. კახიძე, ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე, ი. სამსონია, თ. აჩუგბა, ლ. კალანდარიშვილი, თ. ტუნაძე, რ. მალაყმაძე, პ. რურუა), ხოლო სადოქტორო – ოთხმა (ვ.შამილაძე, ნ. მგელაძემ, ნ. კახიძე, თ. ფუტკარაძე).

2007 წლისათვის განყოფილებაში მუშაობდა ცხრა მეცნიერ–თანამშრომელი, მათ შორის სამი მეცნიერებათა დოქტორია (ვ. შამილაძე, ნ. კახიძე, თ. ფუტკარაძე), ექვსი მეცნიერებათა კანდიდატი (ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე, ნ. ჩელებაძე, თ. ლომთათიძე, მ. ლორია, პ. რურუა). სხვადასხვა დროს ეთნოგრაფიის განყოფილებაში მუშაობდნენ: ალ. რობაქიძე (1958–1975), ნ. ჩიჯავაძე (1959–1980), მ. ბექაია (1960–1967), ვ. მგელაძე (1960–1966), ნ. მგელაძე (1980–2006), ც. ჯოხია (1980–1995), ნ. ბაჯელიძე

(1989–1995), მ. თავაძე (1974–1995), ლ. დემუროვა (1976–1995), დ. კახიძე (1995–1996), ლ. კახიძე (1997–1999), თ. ტუნაძე (2005–2006), რ. მალაყმაძე (2004–2006) (იგი 2006 წლიდან ინსტიტუტის დირექტორია და აქტიურად მონაწილეობს განყოფილების მუშაობაში, სამეცნიერო სესიებში).

ჩამოთვლილმა მეცნიერებათა კანდიდატებმა და დოქტორებმა სამეცნიერო კვალიფიკაცია აიმაღლეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი). აღსანიშნავია ის დიდი წვლილი, რაც ამ საქმეში შეიტანეს აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, პროფესორებმა ვერა ბარდაველიძემ, ალექსი რობაქიძემ, მიხეილ გეგეშიძემ და სხვებმა. ისინი ხელმძღვანელობდნენ ინსტიტუტიდან წარგზავნილ ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა მუშაობას. მათი უშუალო ხელმძღვანელობით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ისინი ყოველთვის თვალყურს ადევნებდნენ ეთნოგრაფიის განყოფილების სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, მხარდაჭერას და დახმარებას არ აკლებდნენ მას. პროფესორი ალ.რობაქიძე დაარსებიდან 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა განყოფილების სამეცნიერო პრობლემას, ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. მისი რედაქტორობით მომზადდა და დაიბეჭდა განყოფილების ეთნოგრაფიული კრებულების და მონოგრაფიების დიდი ნაწილი.

დასახელებული მეცნიერული პრობლემების მიხედვით კვლავაც გრძელდება მუშაობა. განყოფილებას ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო ელოდება წინ აჭარის ტრადიციული თუ თანამედროვე ყოფისა და კულტურის საკითხების ისტორიულ–ეთნოლოგიურ ჭრილში შესწავლის თვალსაზრისით. პირველ რიგში, დღის წესრიგში დგას ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცული საველე–ეთნოგრაფიული დღიურების მეცნიერული დამუშავება და გამოსაცემად მომზადება. ყველასათვის ცნობილია თუ რაოდენ დიდი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა საქართველოს ყველა კუთხეში 1935 წელს შეკრებილი ხელოსნობისა და შინამრეწველობის მასალების ხუთტომეულის (9 წიგნად) გამოცემით. ეს მასალები შეკრებილ იქნა აკადემიკოს ივ.ჯავახიშვილის ინი-

ციატივითა და ხელმძღვანელობით. ამ გამოცემებში აჭარაში შეკრებილი მასალებიც აისახა. განყოფილების მიერ 50 წლის მანძილზე შეკრებილი საველე ეთნოგრაფიული მასალების წიგნებად გამოცემა ასევე დიდი მნიშვნელობის მოვლენა იქნება. საქმე ეხება საუკუნოვანი ეთნოგრაფიული კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას, ხალხის წიაღში შეკრებილი მასალების მზის სინათლეზე გამოტანას, რასაც მისი შემქმნელი და შემნახველი საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდება.

მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც განყოფილების და საერთოდ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის წინაშე დგას, მდგომარეობს თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული მკვიდრი და მუჰაჯირი ქართველი მოსახლეობის ისტორიულ–ეთნოლოგიურ შესწავლაში. ამ მხრივ ინსტიტუტის მიერ გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა და ამგვარი მუშაობა შემდგომ წლებშიც გაგრძელდება.

განყოფილების სხვა სამომავლო ამოცანებიდან უმთავრესია აჭარაში მიმდინარე თანამედროვე ეთნორელიგიური და ეთნოკონფესიური პროცესების შესწავლა. კვლავაც უნდა გაგრძელდეს მუშაობა აჭარაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესასწავლად, მეცნიერული კონტაქტების შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით.

დასახელებული ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელია განყოფილებისა და საერთოდ ინსტიტუტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განყოფილების აღჭურვა თანამედროვე ფოტო და ვიდეოაპარატურით და შესაბამისი კადრებით. გადასინჯვას საჭიროებს საერთოდ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში დღეს არსებული სახელფასო ფონდი და მეცნიერ–თანამშრომელთა ანაზღაურების პრაქტიკა. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსს გავლილი სრული, ასოცირებული და ასისტენტი პროფესურის ფულად ანაზღაურებაში. უნდა დაისვას საკითხი შესაბამისად გაიზარდოს სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში მომუშავე პროფესორების, წამყვანი, მთავარი და მეც-

ნიერ–თანამშრომელის ხელფასის ოდენობაც. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერთა და საერთოდ სამეცნიერო მუშაობის ნაყოფიერების ზრდას. სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში მომუშავე პროფესორთა მიმართაც უნდა გავრცელდეს ემირეტუსის მინიჭების წესი. სხვანაირად აზრს დაკარგავდა რეფორმების წარმატებით განხორციელება სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში.

უნდა დაისვას საკითხი ჩვენი ინსტიტუტისა და საერთოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან გამოყოფილი სხვა სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაბრუნების შესახებ.

ნოდარ კახიძე
განყოფილების უფროსი, ისტ. მეცნ დოქტორი,
პროფესორი

ნოდარ კახიძე

ხელოსნობის დარგების გენეზისის საკითხისათვის
(სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით)

ხელოსნობის ჩასახვა-განვითარების, მისი სოციალურ-ეკონომუკური და კულტურულ-ისტორიული პრობლემების კვლევა ეკონომიკური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) მეცნიერების დაინტერესება ტრადიციული ხელოსნობის შესწავლისადმი მით უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მისი ბევრი ტრადიციული დარგი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა და ისტორიის კუთვნილებად იქცევა.

ხელოსნობის გენეზისისა და განვითარების საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგალითზე დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. რეგიონი კი ამას მთელი რიგი ნიშნების მიხედვით დიდი ხანია იმსახურებდა. მხედველობაში გვაქვს ხელოსნური წამოების ის უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უკლებლივ ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეს (აჭარა, ჭოროხის მხარე, ლაზეთი) გააჩნდა. ისტორიულად საქართველოს თითოეულმა კუთხემ თავისი წვლილი შეიტანა ხელოსნობის ცალკეული დარგების წარმოშობა-განვითარებაში. მაგრამ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ამ მხრივ მაინც რამდენადმე გამორჩეულია. სწორედ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კერძოდ, ჭოროხის აუზი, იყო სახელგანთქმული კოლხური კულტურის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი კერა, სადაც ჩაისახა და იმდროისათვის განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ჯერ სპილენძ-ბრინჯაოს სამთამადნო-მეტალურგიულმა წარმოებამ, შემდეგ რკინის მეტალურგიამ და მის საფუძველზე აღმოცენებულმა სამჭედლო ხელოსნობამ. ამან სათავე დაუდო დიდ ტექნიკურ პროგრესს საზოგადოებრივი ცხოვ-

რების განვითარებაში ფართო მასშტაბით. ამ საქმეში მოსინიკებისა და ხალიბების როლი ერთხმადაა აღიარებული არა მარტო ქართველ (ჯავახიშვილი ივ. 1960, 20-25; მიქელაძე თ. 1974; ხახუტაიშვილი დ. 1964; ლორთქიფანიძე ო. 1988; 81), არამედ, რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, უცხოელ წამყვან მეცნიერთა (ჯავახიშვილი ივ. 1960, 20-30; კვირკველია გ. 1976) მიერ, რომლებიც ამ უძველესი მეტალურგიის პრობლემებს იკვლევდნენ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალდარგოვანი ხელოსნობის ჩასახვა-განვითარების საკითხების შესწავლის აქტუალობაც სწორედ იმაშიც მდგომარეობს, რომ თავის დროზე აქ შეიქმნა ხალხური მეტალურგიის, ხელოსნობისა და ხელოვნების ის შედევრები, რომლებიც თავისი დახვეწილი და მაღალმხატვრულ-ესთეტიკური დონით, კონსტრუქციული თავისებურებებითა და ფუნქციონალური თვალსაზრისით დიდ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას იძენს ქართულ-კავკასიური და უფრო ფართო მასშტაბით.

ხელოსნობის წარმოშობა, რომელიც შრომისა თუ საბრძოლო იარაღების დამზადებით იწყება, შორეულ პერიოდს განეკუთვნება და „დასრულებული ადამიანის“ შრომას უკავშირდება. პირველი ხელოსნური იარაღი კი ნადირობისა და მეთევზეობის იარაღი უნდა ყოფილიყო, როგორც ადამიანის გააზრებული შრომის შედეგი. ეს იარაღი კი მზადდებოდა ხის, ძვლის, კაჟისა და ხისაგან. ამათგან პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული კვალი დატოვა ქვის იარაღებმა. იგი პირველყოფილი კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ქვა, პირველ რიგში კაჟი და ობსიდიანი, იყო ის ნედლეული, რომლიდანაც პირველი, შედარებით გამძლე და აქტიურად მოქმედი იარაღი დამზადდა. კაჟი იყო პირველი მასალა, რომელიც ადამიანმა გამოიყენა საჩეხი, სახვრეტი თუ საჭრელი შრომის იარაღისა და საჭურველის სახით (კოსვენი მ. 1971, 96). ამ პროცესს კი საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. თუმცა, ნეოლითიდან მოყოლებული ქვის, ხის თუ სხვა მასალისაგან იარაღის დამზადებისა და სრულყოფის პროცესი დღესაც გრძელდება. ასევე უნდა ითქვას სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის იარაღების დამზადებასა და სრულყოფაზე, რომელიც მეტალურგიული ხელოსნობისა და რკინის მჭედ-

ლობის უდიდესი მიღწევაა. იარაღების დამზადებამ წინ წასწია პირველყოფილი ტექნიკა და ნაყოფიერი გახადა ადამიანის ცხოვრება.

ხელოსნური იარაღებისა და საერთოდ, ხელოსნობის ამა თუ იმ დარგის წარმოშობასა და განვითარებას თავისი მატერიალური საფუძველი გააჩნია, რამდენადაც იგი შიშველ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ამისთვის გარკვეული პირობები და ემპირიული ცოდნა-გამოცდილება იყო საჭირო. ი.ლიპსი წერდა: „შეუძლებელი იყო ჯუნგლებში გამოეგონებიათ თხილამურები და მარხილი, ხოლო სადნობი ღუმელი არქტიკაში, სადაც არ არის რკინა. რაც არ უნდა დიდი გენიოსი ყოფილიყო ბუშმენი, მას არ შეეძლო გამოეგონებია საკვები პროდუქტის საწყობის აშენება, ან საქსოვი დაზგა... ისე როგორც ჰამაკის იდეა არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ესკიმოსებში“. მკვლევარი სწორად შენიშნავდა, რომ კულტურის ამა თუ იმ ელემენტის გამოგონება საჭიროებდა გარკვეულ წანამძღვრებს. კერძოდ, ხალხის, ადამიანის გონება ამ გამოგონების აღქმისათვის ფსიქოლოგიურად უნდა იყოს მომზადებული, ხოლო გონება მოითხოვს შემოქმედებით აზროვნებას (Липс Ю. 1959, 120). მართლაც, ამგვარი ფაქტორების გარეშე ვერ შეძლებდა პირველყოფილი ადამიანი ხისაგან ან ქვისაგან დაემზადებინა პირველი იარაღი, მოგვიანებით კი მიეკვლია მეტალები და გადასულიყო მეტალურგიულ საქმიანობაზე. რა თქმა უნდა, ეს იყო უდიდესი ცვლილებების პერიოდი პირველყოფილი ტექნიკის განვითარებაში, რამდენადაც თვით ტექნიკის ისტორიაც აქედან იღებს სათავეს.

ტექნიკის სფეროში მიღწევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნეოლითის ხანაში, თუმცა საწყისებს იგი ზედა პალეოლითიდან იღებს. პალეოლითელი ადამიანი ათეულობით ქვის სხვადასხვა სახეობის იარაღს იცნობდა.

ნეოლითურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა უდიდეს გადატრიალებას ქვის ხანის ადამიანის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა ეს მიღწეული იქნა „ქვის ინდუსტრიის“ განვითარების შედეგად, და მაშასადამე, ქვის იარაღების, პირვანდელი „ქვითხუროობის“ განვითარების წყალობით. ნეოლითური კულტურის განვითარებისათვის კი უფრო ხელსაყრელი პირობები, როგორც არქეოლოგიური

მონაცემები მოწმობენ, დასავლეთ საქართველოში არსებობდა. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი კვლევის თვალსაზრისით, რამდენადაც კვლევის ნაწილი ამ პერიოდთანაა დაკავშირებული, ე.ი. ნეოლითური ხანის ქვის დამუშავების ტექნიკასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, ქვითხუროობის საწყის ეტაპს ქმნის. ამ ეტაპს პირობითად „ნეოლითურ ქვითხუროობას“ ვუწოდებთ. ამ პერიოდის ქვის ხელოსნურ ნაკეთობას თუ გადავხედავთ, იგი მართლაც გაკვირვებას იწვევს თავისი ნაირსახეობითა და დამუშავების ტექნოლოგიით, ფუნქციონალური დანიშნულებით. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელ ადამიანს დიფერენცირებული ცოდნა-ჩვევები გააჩნდა მარტივი ტიპის ხელოსნურ საქმიანობაში. ამ პერიოდში ჩვენ არსებითად საქმე უნდა გვქონდეს შინახელოსნობასთან, ხელოსნობის პირველ საფეხურებთან. ხელოსნობა მხოლოდ და მხოლოდ პირველყოფილი გვარის, თუ თემის სამეურნეო და საოჯახო ცხოვრების სამსახურში იდგა. ნეოლითური კულტურა, რომლის პრიორიტეტს ნეოლითური შრომის თუ საბრძოლო იარაღები წარმოადგენდა, იყო ის საფუძველი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადრეული სპილენძ-ბრინჯაოს კულტურის ფორმირებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპილენძ-ბრინჯაოს კულტურა ნეოლითურ კულტურაზე აღმოცენდა. ამ უკანასკნელმა კი შეამზადა ნიადაგი ადრეული რკინის მეტალურგიაზე გადასვლისათვის.

ამის დასტურია აჭარის (ხუცუბანი, ქობულეთი, მახვილაური), გურიის (ანასეული I-II, გურიანთა, ნაგომარი), სამეგრელოს (ოდიში, პალური, ურთა), აფხაზეთის (კისტრიკი, ჩხორთული), იმერეთის (თეთრამიწა, საგვარჯილე, მელოური) და სხვ. ნეოლითურ ნამოსახლარებზე ნაპოვნი ქვის იარაღები, რომლებიც კონსტრუქციული აღნაგობითა და ფუნქციონალური დანიშნულებით გარკვეულ გენეტიკურ კავშირს ავლენს მოგვიანო სპილენძ-ბრინჯაოს იარაღებთან. ამ იარაღებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ცულები, თოხები, ჩაქუჩები, ისრისპირები და სხვ. ბაზალტის ქვისაგან დამზადებული ცულები, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე გამოვლინდა, ნეოლითური ქვითხურობის ნამდვილ შედეგრად შეიძლება მივიჩნიოთ. კაჟი, ობსიდიანი, მოგვიანებით ბაზალტი თუ ქვის

სხვა ჯიშები უნივერსალურ ნედლეულს იძლეოდა იმდროინდელი იარაღების დამზადებაში და, აქედან გამომდინარე, ნეოლითურ ქვითხუროობაში.

ქვითხუროობის გენეზისის შესწავლაში, ქვითხუროობის სრულყოფაში, ჩვენი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ქვის იარაღების, პირველ რიგში, ცულების მეორადი დამუშავება ანუ რეტუშირება-გაპრიალება და ქვის გახვრეტის ხერხებისა და საშუალებების მიგნება, რაც ნეოლითური ხანის კუთვნილებას შეადგენს. მარტო მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარზე მოპოვებულ ნივთებს შორის ქვის გახვრეტის 7 შემთხვევა დადასტურდა, ქობულეთის ნეოლითურ ნამოსახლარზე კი 14 სვეტისებრი სახვრეტია მიგნებული (გოგიტიძე ს. 1977, 62), რაც ქვის გახვრეტის ფართო პრაქტიკაზე მიუთითებს.

ქვის გახვრეტის შემთხვევები დასავლეთ საქართველოს სხვა ნეოლითური ძეგლებითაც დასტურდება (ანასეული, ოდიში, კისტრიკი) (ნებიერიძე ლ. 1972, 37). ამ წესს იცნობდა აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის შემოქმედი მოსახლეობა (კიღურაძე თ. 1976). ასე რომ, ქვის გახვრეტის პრაქტიკა საყოველთაო მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ნეოლითელი ადამიანის ცხოვრებაში, მის ხელოსნურ საქმიანობაში.

განხილული მონაცემების მიხედვით, დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე უნდა ვეძიოთ ნეოლითური ქვითხუროობის წარმოშობის ერთ-ერთი ლოკალური კერა, რომელიც ძირითადად ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე აღმოცენდა და განვითარდა.

ქვითხუროობასთან ერთად ხელოსნობის უძველეს სახეობას განეკუთვნება ხის დამუშავება, ხისაგან პირველი შრომისა თუ საბრძოლო დანიშნულების იარაღის დამზადება, საოჯახო და საერთოდ სამეურნეო საქმიანობაში გამოსაყენებელი ნაკეთობის დამზადება. ქვის იარაღთან და ნაკეთობასთან ერთად ხის ნაკეთობაც არსებით როლს თამაშობდა პირველყოფილი ადამიანის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არქეოლოგიური მონაცემების მოშველიებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხის ნაკეთობა რამდენადმე წინ უსწრებდა კერამიკულ ხელოსნურ ნაკეთობას. ამის ნიმუშად შეიძლება დავიმოწმოთ ანატოლიის (ჩათალ-ჰუიუკი)

არქეოლოგიური ნივთიერი მონაცემები - ხის ჭურჭელი წნული კალათების, სასმისების, ლანგრების, ჯამების და სხვათა სახით. ეს ნაკეთობანი დიდი ოსტატობით ყოფილა დამზადებული. სხვათა შორის, ჩათალ-ჰეიუკის ფენებში იშვიათი ყოფილა ხის ნაკეთობასთან შედარებით თიხის ჭურჭელი, რომელსაც აშკარად ემჩნევა ხის წნული ჭურჭლის გავლენა (ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ალ. 1971, 31). ამგვარი მონაცემები სხვაგანაც მოგვეპოვება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ წნულ ჭურჭელს შიგნიდან თუ გარედან თიხით შელესავდნენ, ცეცხლზე გამოწვავდნენ და სახეზე რჩებოდათ თიხის ნაკეთობა. სწორედ ამგვარი მონაცემები აძლევს მკვლევარებს საშუალებას თქვან: მეთუნეობა თავის საწყისებს წნული ჭურჭლის მიბაძვით იღებს. ასეთივე პროცესებს უნდა ჰქონოდა ადგილი საკვლევი რეგიონის შორეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც.

ხით ხუროობის დაწინაურებაში ნეოლითურ ხანაში არსებითი როლი უნდა ეთამაშა საერთოდ ქვის და კერძოდ, ბაზალტის ქვისაგან დამზადებულ იარაღებს. ასეთებს განეკუთვნება გაპრიალებული ცულები, აგრეთვე დანები, საფხეკები, საჭრისები, სატეხ-სათლელები და სხვა, რომელთა ნაწილი კაჟ-ობსიდიანისგანაც მმზადდებოდა.

სამშენებლო ხელოსნობაში ადრე ნეოლითიდან ვარაუდობენ მერქნის გამოყენებას საცხოვრებელ თუ სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაში. ამის ნიმუშს ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე მოპოვებული ნივთიერი მონაცემები გვაძლევს (გოგიტიძე ს. 1980, 7). ამასთან, საცხოვრებელი ნაგებობები, როგორც ჩანს, კონსტრუქციულად ოთხკუთხა დაგეგმარებისა ყოფილა.

კოლხური სამშენებლო ხელოვნებისა და ხელოსნობის გენეზისის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ისპანსა და ნამჭედურში მოძიებული არქეოლოგიური ნივთიერი მონაცემები, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ისპანის ნამოსახლარის საცხოვრებელი სახლის შესწავლით ირკვევა, რომ ასეთი სახლები ამ პერიოდში შენდებოდა მრგვალი ძელებისაგან ჭდობის წესით, რასაც ანალოგები დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში ეძებნება (ხახუტაიშვილი დ. 1980, 17-19; 1995, 39).

არქეოლოგიური მონაცემები გვეხმარება ჯარგვალურ საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობაში სავარაუდო ქრონოლოგიური საზღვრებიც დავადგინოთ. დასახელებული ნამოსახლარის ნაშთების მიხედვით ასეთი სახლები ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში გვხდება (ხახუტაიშვილი დ. 1995, 39), რაც წინა პერიოდის სამშენებლო ხელოსნობისა და ხუროთმოძღვრების ტრადიციების გაგრძელება უნდა იყოს. ამგვარი ჯარგვალური ნაგებობანი ეთნოგრაფიულად ფიქსირებულია აჭარის ალპური საძოვრების ზონაში როგორც ერთსართულიანი ანუ ძირთული ჯარგვალის, ასევე ორსართულიანი ანუ ზედშედგმული ჯარგვალის სახელწოდებით. ასეთი ჯარგვალური ნაგებობანი დასავლეთ საქართველოს კუთხეებშიც (გურია, სამეგრელო) იყო ცნობილი (რობაქიძე ალ. 1960, 22-23). ეთნოგრაფიული მონაცემები იმაზეც მოგვითხრობენ, რომ ადრე მსგავსი ჯარგვალური სახლები აჭარის ბარის ზონაშიც არსებობდა.

რაც შეეხება მშენებლობაში ხის ძელების ჭდობის წესით დაშენების პრქტიკას, ამის შესახებ ცნობები დაცულია რომაელი არქიტექტორის ვიტრუვიუსის ათტომიან წიგნში „ტრაქტატი არქიტექტურის შესახებ“, რომლის ერთ-ერთ ტომში მოკლედ აღწერილია კოლხური საცხოვრებელი სახლი (Сумбадзе Л. 1960). ჭდობის წესი მშენებლობაში დღესაც გამოიყენება ფიცრული სახლებისა და სასიმინდეების (ნალია), საბძლების მშენებლობაში. როგორც აღინიშნა, ამგვარი ჭდობის წესითაა ნაშენი აჭარის ალპურ ზონაში აქა-იქ დღემდე შემორჩენილი 100-ზე მეტი წლის წინანდელი ჯარგვალური ნაგებობანი ერთ ჭერქვეშ განლაგებული საცხოვრებელი სახლისა (მეორე სართული) და საქონლის სადგომის (პირველი სართული) სახით.

ხითხუროობის გენეზისის საკითხების კვლევაში ერთ-ერთ წინა ადგილზე გადმოინაცვლებს წნული და ხარატული ნაკეთობის დამზადების ტრადიციები. სპეციალური ლიტერატურის მონაცემებით ცხადი ხდება, რომ ძველი კოლხეთი და მის რიცხვში საკვლევი რეგიონი საერთოდ მდიდარი იყო სამშენებლო ხე-ტყით (მუხა, წაბლი, კოპიტი, იფანი, ბზა, წიფელი, ცაცხვი, თელა, მურყანი, თხილი, შქერი, ნაძვი, ფიჭვი და სხვ.), რასაც შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც

უწყობდა ხელს (ხახუტაიშვილი დ. 1995, 17; Хахутаишвили Д. 1987, 182-194). ანტიკური ხანის ავტორთა ცნობით კოლხური სამშენებლო ხე-ტყე გატანის საგანიც იყო.

ჩამოთვლილი ხის ჯიშების ერთი ნაწილი მოიხმარებოდა წნული და ხარატული ნაკეთობის დასამზადებლად. წნული ნაკეთობის ისტორია, ანუ მოწვნის ტექნიკა, ნეოლითიდან იღებს სათავეს (Лукас А. 1958, 223). წნულ ნაკეთობას დღესაც არ დაუკარგავს სასიცოცხლო მნიშვნელობა. ისტორიულად წნული ნაკეთობით დასავლეთ საქართველო გამოირჩეოდა. ასე წერდა საქართველოს შინამრეწველობის მკვლევარი ვ. კაკაბაძე (კაკაბაძე ვ. 1926). თუ ქობულეთ-ფიჭვნარის ადრერკინის ხანის ნამოსახლარზე და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის დასახლებებზე ნაპოვნ მოწნული ჭურჭლის ნაშთებსაც გავითვალისწინებთ, კოლხურ სამყაროს წნული ჭურჭლის დამზადებას ძირძველი ტრადიციები გააჩნია (ხახუტაიშვილი ნ. 1986, 86). ეთნოგრაფიული მონაცემებითაც წნული ჭურჭლის მასობრივი გავრცელებითა და გამოყენებით სამეურნეო ცხოვრებაში (მიწათმოქმედება-მემინდვრეობა, მეხილეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონები (აჭარა, ჭოროხის მხარე, ლაზეთი) განსაკუთრებულად გამოირჩეოდა (კახიძე ნ. 1990; Марр Н. 1910, 7).

ყველა ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი რეგიონი მოწვნითი ტექნიკის ერთ-ერთ უძველეს კერად მივიჩნიოთ და ეს პერიოდი ქრონოლოგიურად ნეოლითის ხანას დავუკავშიროთ. ამ ხანის ნამოსახლარები კი საერთოდ საქართველოში და კერძოდ, აჭარაში დასტურდება როგორც ბარის, ასევე მთის ტერიტორიაზე.

არქეოლოგიური მონაცემები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საკვლევი რეგიონის ტერიტორიაზე, მთლიანად თუ არა, მის ნაწილზე (აჭარა) მაინც, სადურგლო საქმისა და კერძოდ,, ხარატული ნაკეთობის დამზადების ისტორიას, რასაც, უეჭველია, სათავე დაუდო რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ და უფრო მჭრელი რკინის იარაღების დამზადებამ. სახელდობრ, ადრერკინის ხანაში სადურგლო საქმეში გამოიყენებოდა სათლელი და საჩეხი ცულები, სატეხები და საფხეკები. ამ პერიოდში უნდა გაჩენილიყო ხის სახვეწი იარა-

ღები და ხის დასამუშავებელი დაზგა. ეს აზრი დამყარებულია იმაზე, რომ დღევანდელი აჭარის ზღვისპირა ტერიტორიის მახლობლად მრავლადაა ნაპოვნი სახვეწი იარაღების ჩამოსასხმელი ყალიბები და სხვ. (ხახუტაიშვილი დ. 1986, 112).

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მიკვლეული ძველკოლხური ცენტრის ხუთი ძირითადი საწარმოო კერიდან ორი (ჭოროხ-აჭარისწყლისა და ჩოლოქ-ოჩხამურის) მოდის დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე, ერთიც – ზღვისპირა ხალიბია-ხალდიაში (ხახუტაიშვილი დ. 1995, 70-71). ბუნებრივია, ეს საწარმოო-ტექნიკური პროგრესი თავისებურ გავლენას იქონიებდა ხითხურობაზე საერთოდ და კერძოდ, ხარატული ნაკეთობის დამზადებაზე, სამხვეწლო ხელოსნობის წარმოშობასა და განვითარებაზე. განმეორებით ვიტყვით, რომ სამხვეწლო დაზგის არსებობა ადრერკინის ხანაში რეალურ სინამდვილეს შეეფერება. ეთნოგრაფიულად ჩვენ დადასტურებული გვაქვს შემდეგი ფაქტი: ხის მრავალფეროვანი ხარატული ნაკეთობა, როგორიცაა მასიური ხისაგან ხარატული წესით დამზადებული მრგვალი სასადილო მაგიდები, სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის ჯამები, გობები, თეფშები, ხერტალი, აკვნის ნაწილები, შენობის რიკულები, წისქვილის ბორბალი და ა.შ. საქართველოს სხვა რომელიმე რეგიონისათვის ისე ფართოდ დამახასიათებელი არ ჩანს, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს დარწმუნებით ვთქვათ, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (აჭარა, ჭოროხის მხარე, ლაზეთი) უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე სამხვეწლო საქმის ძველთაგან დაწინაურებულ ერთ-ერთ პირვანდელ კერად (კახიძე ნ. 1985, 60).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული ნივთიერი მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნეოლითურ ხანაში ეყრება საფუძველი მეთუნეობისა და ფეიქრობის წარმოშობას.

აჭარის ტერიტორიაზე მეთუნეობის არსებობის უძველესი კვალი კარგად ვლინდება მახვილაურისა და ქობულეთის ნეოლითური ხანის ძეგლებიდან (ხახუტაიშვილი დ. 1995, 25; გო-

გიტიძე ს. 1977, 87-88), სადაც თიხის ჭურჭელი ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. ამასთან, მახვილაურისა და ქობულეთის ნამოსახლარებზე ნაპოვნი კერამიკული ფრაგმენტები ანგობირებულია და განკერძოებულ ჯგუფს ქმნის, რომლის მსგავსი კოლხეთისათვის და საერთოდ საქართველოსათვის, როგორც თვლიან, უცნობია (გოგიტიძე ს. 1988, 8). ადრებრინჯაოს ხანაში აჭარის ზღვისპირა ზოლში (ისპანის ნამოსახლარი და შესაძლოა მთისძირა და მთის ზოლიც) თიხის ჭურჭლის დამზადება მასობრივ ხასიათს ატარებდა. თუმცა, ამ პერიოდის მეთუნეობაში აქ სამეთუნეო მორგვი (მეთუნის ჩარხი) უცნობია და ნაკეთობაც ხელითაა ნაძერწი მსხვილი სტრუქტურის თიხისაგან სილის ნაწილაკების შერევით (Лордкипанидзе О. 1979, 74).

გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში მეთუნეობა ხელოსნობის ყველაზე განვითარებულ დარგად გამოიყურება (ხახუტაისვილი დ. 1995, 38-39), რასაც ერთგვარი ბიძგი მისცა სამეთუნეო ჩარხის გამოყენებამ. მეთუნეობის ამგვარი განვითარების დონე კარგად ვლინდება ნამჭედურის ნამოსახლარის ნივთიერ მასალაში, რომლის ადრეული ასაკი ძვ.წ. XV საუკუნეზე მოდის. კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეთუნეებს წამყვანი როლი უნდა ეთამაშათ (ხახუტაიშვილი ნ. 1986, 55). მომდევნო პერიოდებში მეთუნეობის განვითარებაზე გავლენა იქონია როგორც რკინის მეტალურგიული ხელოსნობის, ისე მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებამ. მეურნეობის ეს ორივე დარგი კერამიკული ნაკეთობის გარეშე წარმოუდგენელიც კი იყო. მეთუნეობის ნეოლითური თუ ბრინჯაო-რკინის და ანტიკური ხანის ტრადიციები რომ არა, ხელოსნობის ეს დარგი ვერ მიაღწევდა განვითარების იმ დონეს, რომელიც მან შუა საუკუნეებში შეიძინა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თითქმის არცერთი კუთხე თუ სოფელი, ნასოფლარი თუ ნასახლარი არ მოიპოვება, სადაც ამ პერიოდის კერამიკული ნაკეთობა არ აღმოჩენილიყო მთლიანი თუ ფრაგმენტული სახით. ამის ტიპიურ მაგალითსაც აჭარა და ჭოროხის მხარე იძლევა. მხედველობაში გვაქვს მიწაში უხვად დამარხული სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის ქვევრები, თიხის სხვა ნაკეთობანი, რომლებიც სამეთუნეო ხელოსნობის იშვიათ ნი-

მუშს განეკუთვნება.

დღევანდელი აჭარის მთის და ბარის ზონაში კერამიკული წარმოების რამდენიმე ლოკალური კერა შეიძლება გამოიყოს, რომელთა შორის შუახევის რაიონის ცენტრის მიმდებარე სოფლები (კოლოშნარი, გორხანაული, ორთამეელე) გამოირჩეოდა. XX საუკუნის 30-იან წლებში აქ 10-ზე მეტი დასახელების კერამიკული ნაკეთობა მზადდებოდა (კახიძე ნ. 1990, 76; „მასალები“. 1979, 252-253). კერამიკული თიხის მარაგის არსებობა, თიხის გამოცნობისა და მისგან ნაკეთობათა დამზადების მდიდარი ხალხური ცოდნა-ჩვევები, ჭურჭლის მრავალფეროვნება და მათი ადგილობრივი სახელწოდებანი, სამეთუნეო ჩარხის არსებობა და ადრეულ პერიოდში ხელით ძერწვა იმის დასტურია, რომ შუახევში კერამიკულ წარმოებას ძალზე ძველი ტრადიციები გააჩნია (კახიძე ნ. 1990, 7, 6).

მეორე, შედარებით მსხვილ ლოკალურ კერად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წერილობითი მონაცემების მიხედვით სოფელი ბორჩხა (თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ჭოროხის მხარე) უნდა მივიჩნიოთ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით, აქ დამზადებული კერამიკული ნაკეთობა (ჭურჭელი, სამშენებლო მასალა – აგური, კრამიტი, წყალგაყვანილობის მილები და სხვ.) ექსპორტის საგანასაც შეადგენდა. ბორჩხის მოსახლეობის უმრავლესობა მხოლოდ კერამიკული ნაკეთობით ირჩენდა თავს (ჯაიანი ივ. 1985, 51). XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემებით დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე კერამიკული წარმოების ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა კერებიც გამოიყოფა (მაჭახლისა და მერისის ხეობები).

მოტანილ მონაცემებს თუ არქეოლოგიურ ნივთიერ მონაცემებსაც დავუმატებთ, რომლებიც აჭარის ნეოლითური, ბრინჯაო-რკინის ხანის, ანტიკური და შუა საუკუნეების ნასოფლარ-ნასახლარებზეა მოპოვებული, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ის რეგიონია, სადაც მეთუნეობისა და ხელოსნობის სხვა დარგები ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა.

იგივე არქეოლოგიური მონაცემებით, დღევანდელი აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანი გვიანნეოლითური ხანი-

დან იცნობდა რთვა-ქსოვის საქმეს. ამის მანიშნებელია კვირისთავების არსებობაც (გოგიტიძე ს. 1979, 35-36). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კი საფეიქრო საქმე უფრო დაწინაურებული ჩანს, კერძოდ, სახეზეა მრავალფეროვანი სართავ-საქსოვი აღჭურვილობა. მზადდებოდა მატყლის ქსოვილიც, ჩნდება მრავალრიცხოვანი კვირისთავები, „ქსოვილიანი კერამიკა“ (Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985; რამიშვილი ა. 1975, 143-144; ხახუტაიშვილი დ. 1995, 80). წინაანტიკურ და ანტიკურ ხანაშინ ფიჭვნარის არქეოლოგიური მონაცემებით, მრავლად გვხვდება საწაფები. იყენებდნენ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დაზგებს (კახიძე ა. 1971, 51-53).

ანტიკური ხანის წერილობითი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ნამდვილად უნდა ჩაითვალოს სელის მოვლა-მოყვანისა და სელის ქსოვილების წარმოების ერთ-ერთ ძირითად თუ არა, მნიშვნელოვან კერად საქართველოსა და კავკასიაში. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ჰეროდოტეს შემდეგი ცნობა: მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ ერთნაირად სელს“ (ჰეროდოტე. 1975, 156). ამავე დროს, ანტიკოსი მწერლები ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ კოლხურ სელს. ივარაუდება, რომ კოლხებს ადრეც მოჰყავდათ სელი, რომელიც ღირსებით ეგვიპტურს არ ჩამოუვარდებოდა (ჯავახიშვილი ივ. 1960, 30). კოლხებს სელი ისე დიდი რაოდენობითაც მოჰყავდათ, რომ იგი გასაყიდად გაჰქონდათ.

სელის ქსოვილის ნაწარმი ანტიკური და მომდევნო ხანის კოლხეთის მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად ჩასაცმელს წარმოადგენდა. ქსენოფონტეს ცნობით კი ხალიბები სელის ჩაჩქანით იმოსებოდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებითაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა, ჭოროხის მხარე, ლაზეთი) მოსახლეობა ახლო წარსულამდე ძირითადად სელის, კანაფისა და მატყლის ქსოვილისაგან დამზადებულ ჩასაცმელს ხმარობდა. ასე, რომ ანტიკური ხანის ტრადიცია საუკუნეების მანძილზე აგრძელებდა არსებობას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო იყო ის რეგიონი, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართული სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის წარმოებას. სწორედ ჭოროხის აუზმა, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წამყვანმა რე-

გიონმა, დიდი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ქართული კულტურის ისტორიაში. გ.მელიქიშვილის განსაზღვრით, „ჭოროხის აუზში არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური კულტურის სამშობლო, მისი უმთავრესი სამრეწველო რაიონი. ძველი კოლხეთის სამეფო, უეჭველია, ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო“ (მელიქიშვილი გ. 1970, 289).

ჭოროხის აუზის ასეთი დიდი მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ისტორიაში, მთლიანად თუ არა, მეტწილად მაინც, იმან განაპირობა, რომ აქ ჩაისახა და განვითარდა სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია, რომლის შემოქმედნი იყვნენ ძველი კოლხური ტომები – მოსინიკები, ხალიბები.

ზუსტად დადგენილი არ არის თუ როდის ჩაეყარა საფუძველი სპილენძის სამთამადნო-მეტალურგიულ წარმოებას ჭოროხის აუზში, მაგრამ მოპოვებული ნივთიერი მონაცემების მიხედვით ვარაუდობენ, რომ ჭოროხის აუზის მეტალურგიული კერა მომძლავრებას იწყებს ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანიდან და შემდგომ, კოლხური კულტურის პერიოდში, ერთ-ერთ დაწინაურებულ და წამყვან მეტალურგიულ ცენტრად იქცა (ჯაფარიძე ო. 1970, 236). ა.იესენს ეკუთვნის აზრის იმი შესახებ, რომ სწორედ ჭოროხის აუზი წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად სამთამადნო-მეტალურგიულ ცენტრს დასავლეთ საქართველოში (Иессен А. 1935, 128).

სპილენძის სამთამადნო-მეტალურგია ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ჩაისახა და განვითარდა. ჭოროხის აუზში წარმოების ძველი კვალი კარგად შემოგვინახა „მდნობელთა განძებმა“, რომლებიც აღმოჩენილია როგორც უშუალოდ ჭოროხის ხეობაში (ართვინი, ძანსული და სხვ.), ისე დღევანდელი აჭარის მთისა და ბარის ტერიტორიაზე (ციხისძირი, ჩაქვი, სალიბაური, ზენითი, მახინჯაური, ერგე, ჯოჭო, დიდაჭარა და ა.შ.) (Иессен А. 1935, 156; ქორიძე დ. 1956, I; ინაიშვილი ა. 1976). ეს განძები წარმოდგენილია უპირატესად თოხების, ცულების, წალდების, სეგმენტისებური იარაღებისა და ზოდებისაგან.

სამთო საქმის ინჟინერმა ლ.ბაცევიჩმა XIX საუკუნის 80-იან წლებში გეოლოგიური და სამთოსაქმის შესწავლის მიზ-

ნით, რაც სპეციალურად ჰქონდა დავალებული, ჭოროხის ხეობაში იმოგზაურა. მურღულის მიდამოებში მას ბევრ ადგილას უნახავს ჩამოქცეული ძველი მიწისქვეშა გამონამუშვერები და წიდების გროვა. მან ეს იმის მაჩვენებლად მიიჩნია, რომ აქ ოდესღაც ჰყვაოდა „სამთო-საქარხნო საქმე“ (Бацевич Л. 1887, 63). ამ აზრს იზიარებდა ცნობილი რუსი მკვლევარი ა. იესენი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საერთოდ კავკასიასა და კერძოდ, ჭოროხის აუზში სპილენძის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების ისტორია. მან მიუთითა სპილენძის მადნის ძველ გამონამუშევრებზე შავი ზღვის სანაპირო ზოლში ტრაპიზონისა და კერასუნტის დასავლეთით (Иессен А. 1938, 46), სადაც არსებობდა სპილენძის მდიდარი საბადოები. ადრეანტიკურ ხანაში აქ ცხოვრობდნენ ქართველური მოდგმის ტომები – მოსინიკები (Меликишвили Г. 1959, 78-80), როგორც სპილენძის მეტალურგიის პიონერები. არისტოტელეს (ძვ.წ. IV ს) ცნობით მოსინიკები საუკეთესო ხარისხის სპილენძის მიღების საიდუმლო ხერხებს ფლობდნენ და ამ საიდუმლოებას სხვას არავის უმჟღავნებდნენ (ყაუხჩიშვილი თ. 1969, 24). მოსინიკებს თავიანთი ნაკეთობა საბერძნეთშიც გაჰქონდათ (ჯავახიშვილი ივ. 1960, 24).

სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიულმა ტრადიციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ადრერკინის და საერთოდ, რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ეს რეგიონი საყოველთაოდ არის აღიარებული რკინის მეტალურგიის, რკინის მეტალურგიული ხელოსნობის ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთ პირვანდელ კერად. სწორედ, ამ რეგიონის ტერიტორიაზეა არქეოლოგიურად აღმოჩენილი რკინის ცულები, წალდები, თოხები, ცივი საბრძოლო იარაღები და სხვა, რომელთა მსგავსი ფორმები დღევანდელი ეთნოგრაფიული ყოფისთვისაც არის დამახასიათებელი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების მაჩვენებელია რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების არსებობა. დღეისათვის ცნობილი რკინის მეტალურგიის ხუთი ძირითადი სამთო-მეტალურგიული საწარმოო კერიდან (ხალიბია, ჭოროხ-ჭარნალი, ჩოლოქ-ოჩხამური, სუფსა-გუბაზაული, ხობი-ოჩხომური) სამი

მოქცეულია უშუალოდ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიაზე. ესენია: ჭოროხ-ჭარნალის, სუფსა-გუბაზეულის და ჩოლოქ-ოჩხამურის საწარმოო კერები (Хахутаишвили Д. 1987, 41; ხახუტაიშვილი დ. 1995, 70-71), რომლებიც ყველაზე დიდი რაოდენობით რკინისსადნობ სახელოსნოებს მიითვლის. მათი რიცხვი 200-მდე აღწევს (ხახუტაიშვილი დ. 1978, 17-33; 1982, 10-16; Хахутаишвили Д. 1973, 170-178; Гзелишвили И. 1964, 16).

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გამოვლენილ საწარმოო კერებს შორის ყველაზე ძველი სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საწარმოო კერებია. ამათ შორის შედარებით უძველესია სუფსა-გუბაზეულის (ასკანა, მზიანი) საწარმოო კერები, რომელთა ასაკი ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებით თარიღდება, დანარჩენების ასაკი - ძვ.წ. XI-VI საუკუნეებით (Хахутаишвили Д. 140). ე.ი. თითქმის 5 საუკუნის მანძილზე აღნიშნულ საწარმო კერებში უწყვეტად გრძელდებოდა რკინის მეტალურგიული საქმიანობა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეგიონის იმდროინდელი საზოგადოების სამეურნეო, სოციალურ და ტექნიკურ ცხოვრებაში.

რკინის მეტალურგიული წარმოება ძვ.წ. XV საუკუნიდან, ვიდრე ანტიკური ხანამდე მაინც, დაფუძნებული იყო მაგნეტიტური სილის ნედლეულზე, რითაც მდიდარი იყო როგორც შავიზღვისპირა ზოლი დღევანდელი გონიოდან გაგრამდე, ასევე ჭოროხის, ჩოლოქის და მათი შენაკადების მიდამოები. მაგნეტიტური სილით განსაკუთრებით სუფსა-ნატანებ-ჩოლოქს შორის მოქცეული ტერიტორია გამოირჩეოდა (ხახუტაიშვილი დ. 1964, 52; გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ. 1964).

რკინის მეტალურგიული წარმოების ჩასახვა-განვითარების საქმეში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცეცხლგამძლე თიხებისა და სანახშირე ხე-ტყის არსებობას, რითაც ასევე მდიდარი იყო ჩამოთვლილი საწარმოო კერების ტერიტორია. დადგენილია, რომ რკინის სადნობი სახელოსნოები ძირითადად იქ არსებობდა, სადაც ცეცხლგამძლე თიხები მოიპოვებოდა. მას იყენებდნენ რკინისსადნობ ქურებში საქშენი მილებისა და ყალიბების დასამზადებლად (Хахутаишвили Д. 1979, 85). ასეთი თიხის მარაგი დღესაც უხვად მოიპოვება ქობულეთის რაიონის ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც რკინის -

სადნობი სახელოსნოები არსებობდა (ჯიხანჯური, ცეცხლა-ური და სხვ.).

მეტალურგიული ხელოსნობის ანუ რკინის სადნობის ქურა-სახელოსნოების ბაზაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო სამ-ჭედლო ხელოსნობა, რაც თავდაპირველად ისევ „რკინისმდნო-ბელთა“ პრივილეგია უნდა ყოფილიყო და შემდეგ გადაქცეულიყო ცალკე დარგად. ამას კი შედეგად უნდა მოჰ-ყოლოდა ლოკალური სამჭედლო სახელოსნოების გაჩენა (კა-ხიძე ნ. 2004, 16-17).

მჭედლობის ცალკე დარგად ჩამოყალიბება უნდა განვი-ხილოთ, როგორც მეორე საფეხური რკინის მეტალურგიაში, რომელმაც, როგორც ახალმა ტექნიკურმა სიახლემ, წინ წას-წია მთისა და ბარის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება. აქ-დან მოყოლებული რკინის მჭედლობას, რომელიც გულისხ-მობს ორგანიზებულ სამჭედლო ნაგებობას (ერთი ან ორი ოს-ტატითა და შეგირდით), გრდემლს, ქურა-საბერველსა და შე-საბამის სამჭედლო იარაღებს, საწარმოო ცოდნა-გამოცდილე-ბებს) დღესაც არ დაუკარგავს, მეტწილად სოფლად, თავისი დიდი მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიტიძე ს. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შავიზ-ღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბილისი, 1977.
2. გოგიტიძე ს. ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1980 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ, XII. თბილისი, 1983.
3. გოგიტიძე ს. მახვილაურის ნამოსახლარზე 1982-1983 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შე-დეგები. - სდსძ, XVIII, თბილისი, 1988.
4. ინაიშვილი ა. დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი. - სდსძ, VI, თბილისი, 1976.
5. კაკაბაძე ვ. შინამრეწველობა საქართველოში. – შინამრეწ-ველობა, თბილისი, 1926.
6. კახიძე ა. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბილისი, 1971.

7. კახიძე ნ. ქართული სუფრის ისტორიიდან. - სდსყკ, XI, თბილისი, 1985.
8. კახიძე ნ. ხელოსნობა აჭარაში. - სდსყკ, XVII, თბილისი, 1990.
9. კახიძე ნ. ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა). - ბათუმი, 2004.
10. კვირკველია გ. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ. თბილისი, 1976.
11. კიღურაძე თ. აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბილისი, 1976.
12. კოსვენი მ. პირველეყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევი. თბილისი, 1971.
13. ლორთქიფანიძე ო. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი, 1986.
14. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ივ.ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. 5 ტომად. ტომი II, ნაწ. I, თბილისი, 1979.
15. მელიქიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი გაერთიანებები. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, თბილისი, 1970.
16. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი, 1974.
17. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბილისი, 1972.
18. რამიშვილი ა. გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ფიჭვნარში. - მაცნე (ისტორიის სერია), 1975.
19. რობაქიძე ალ. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. - ბსკიშ, I, ბათუმი, 1960.
20. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი, 1956.
21. ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II, თბილისი, 1969.
22. ხახუტაიშვილი დ. კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან. - სდსძ, I, თბილისი, 1964.
23. ხახუტაიშვილი დ. მასალები ძველი კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის (ოჩხამურის ხეობა). - სდსძ,

VII, თბილისი, 1978.
24. ხახუტაიშვილი დ. მშენებლობის ხელოვნების უძველესი ნიმუში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი-დან. - სდსძ, თბილისი, 1980.
25. ხახუტაიშვილი დ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არ-ქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის ძირითა-დი შედეგები. - სდსძ, XI, თბილისი, 1982.
26. ხახუტაიშვილი დ. ქობულეთის ქვეყანა. I, ბათუმი, 1995.
27. ხახუტაიშვილი ნ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერერკინის ხანაში. თბილისი, 1986.
28. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. I, თბილისი, 1960.
29. ჯაიანი ივ. ბორჩხა. – გაზ. „ივერია“, 1885, №51.
30. ჯაფარიძე ო. შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში. – სა-ქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, თბილისი, 1970.
31. ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ალ., უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისი, 1971.
32. ჰეროდოტე. ისტორია, I, 1975.
33. Бацевич Л.Ф. Геологическое описание Батумского и Артвинского округов. - Материалы для геологии Кавказа. Серия 2-я, Тифлис, 1987.
34. Иессен А.А. Квопросу о древнейшей металлургии мед и на Кав-казе. - ИГАИМК, вып. 120, М.-Л., 1938.
35. Липс Ю. Происхождение вещей. М., 1954.
36. Лорткипанидзе О. Древняя Колхида. Тбилиси, 1979.
37. Лукас А. Материалы и ремесленные производство Древнего египта. М., 1958.
38. Марр Н.Я. Дневник поездки Шавшетию и Кларджетию. СПБ., 1910.
39. Меликишвили Г.К. Кистории древней Грузии. Тбилиси, 1959.
40. Микеладзе Т., Хахутаишвили Д. Древнеколхидское поселение Намчедури. Тбилиси, 1985.
41. Сумбадзе Л.З. Колхидское жилище по Витрувию. Тбилиси, 1960.
42. Труды Кавказского сельского хозяйство. 1886, №5-6. ИКОИРГО, VI, №2, 1880, с. 141-142.
43. Хахутаишвили Д. Древнеколхидской металлургии железа. -

Кавказско-ближневосточный сборник. IV, Тбилиси, 1973.
44. Хахутаишвили Д. Новооткрытие памятника древнеколхидской металлургии железа. – КСИА, 151, М., 1977.
45. Хахутаишвили Д. Сыревая база и техника производство железа в древней Колхиде. - История горной науки и техники. I, Тбилиси, 1979.
46. Хахутаишвили Д. Производство железа в древней Колхиде. Тбилиси, 1987.

Нодар Кахидзе

К вопросу о генезисе отраслей ремесла (По материалам Юго-Западной Грузии)

Резюме

Происхождение ремесла относится к древнему периоду и связывается с трудом человека разумного. Происхождение ремесла имеет объективные и субъективные факторы и оно не рождается на пустом месте. По археологическим данным установлено, что на территории Юго-Западной Грузии появление глиняной посуды, обработка изделий из камня, кожи, каменные мотыги, топоры, ручные мельницы, терки, орудия из кремня, обсидиана, кости и рогов, изготовление плетеной посуды и других изделий) относятся к неолитическому периоду. Этот процесс был общим характерным явлением для всех народов, в том числе и для грузинского. Уже в эпоху неолита здесь владели техникой сверливания камня.

С раннего неолита предполагают использование строительных материалов для строительства жилых и хозяйственных построек. В качестве примера называют разные материалы, добытые на Кобулетском городище каменного века. Такой же интерес представляют Испан-Намчедурские жилые дома раннебронзового периода, которые строились из круглых бревен по типу срубчатых домов. Их аналоги встречаются и в Западном и Центральном Закавказье. Подобные срубчатые постройки и сегодня встречаются в горной зоне Аджарии и в Чорохском ущелье.

Обилие строительного леса создавало условие для зарождения в Юго-Западной Грузии плотнично-токарного дела, достигшего высокого уровня за счет изготовления и использования необходимых для этого

ремесла усовершенствованных железных орудий. По нашим предположениям, которые основаны на соответствующих сравнительных данных, производство токарных изделий, изготовленные из цельного дерева (обеденные столы, кубки, миски и т.д.), должно иметь в Юго-Западной Грузии (Аджария, Чорохский край, Лазети) историю приблизительно 1500-2000 летней давности.

Юго-Западная Грузия и её исторический Чорохский бассейн - это регион, где возникли медно-бронзовая металлургия, а затем, на её традициях - металлургия железа, у истоков которых стояли прославленные грузинские племена моссиников и халибов.

С середины II т.до н.э. в Чорохском бассейне уже существовал мощный очаг бронзовой металлургии, который впоследствии, в период бронзовой культуры, стал передовым металлургическим центром. Именно этот фактор способствовал превращению Чорохского бассейна в колыбель колхской культуры.

На базе металлургического ремесла, или же железоплавильных мастерских, древнейшая из которых датируется XV-XIII веками до н.э., сформировалось и развилось кузнечное ремесло в Юго-Западной Грузии.

Nodar Kakhidze

Some Questions of Handicraft Branches Genesis (According to the materials of South-West Georgia)

Summary

The craft origin dates from the ancient period and is connected to the creative labour abilities of Homo Sapiens. Craft origin carries subjective and objective preconditions and it has not been born in an empty space. According to the archeologic data, it is stated that appearing of earthenware crockery, processing of stone articles, producing leather things, stone hoe, axes, handmills, graters, flint, obsidian, bone and horn tools, woven dishes and other things refer to the neolithic age. This process was common for all peoples, including Georgians. The technique of stone drilling was already used here in the neoliyhic age.

The use of dwelling and farming materials is supposed to exist since the early neolithic age. The different materials about the stone age, mined in Kobuleti, are the samples that are taken into consideration. Hispan-

Namchedur dwellings of early bronze age built with round logs in the way of felling houses are also in the sphere of interest. The analogical buildings can be found in West and central Transcaucasia. The similar felling dwellings are found in the mountaineous region of Adjara and Chorokhi Gorge.

The abundance of building wood provoked the development of high levelled timbering and turning craft due to making and using the necessary perfect iron tools. According to our supposition, based on the appropriate comparative data, production of turning things (dining tables, cups, bowls, etc.) with whole wood, must have the history of 1500-2000 years in South-West Georgia (Adjara, Chorokhi Gorge, Lazeti).

South-West Georgia and its historical Chorokhi basin is the region where the copper and bronze metallurgy originated, and later, their iron metallurgy parentals were the Orthodox Christian Georgian tribes of Mossinics and Halibs.

Since the middles of the second millenium B.C. there was a powerful breeding ground of bronze metallurgy, that became the leading center of metallurgy in the bronze culture period. Just this fact stipulated the Chorokhi Gorge to be the cradle of Kolkh culture.

Metallurgical crafts, or iron processing shops, the oldest of which dates in the XV-XIII centuries B.C. was formed and blacksmith's work was developed in Georgia.

ნაილა ჩელებაძე

მევენახეობა-მეღვინეობა ხულოს რაიონში

საქართველო წარმოადგენს კულტურული მევენახეობის ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს კერას. ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა პირველმა დაასაბუთა ეს დებულება(ჯავახიშვილი ივ., 1986,303). ამასთან, გვიჩვენა რა ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, დაასკვნა, რომ ძველი საქართველოს მიწა-წყლის „...მთად და ბარად გაყოფა სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამოკიდებული" (ჯავახიშვილი ივ.,1986,303). საგულისხმოა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის წარმოება დღესაც ტრადიციული ზონალობის საფუძველზეა აგებული. მასში გამოიყოფა მევენახეობა-მეღვინეობის მიკრორაიონები: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და აჭარა, რომლებიც თავის მხრივ არაერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელი მიკროერთეულებისაგან შედგება. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს აჭარის მაღალმთიანი ხულოს რაიონი, სადაც მევენახეობის განვითარებას არაერთი ხელშემწყობი ფაქტორი განაპირობებდა. კერძოდ: მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების ინტენსიური ხასიათი, მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებთან (ქედა, შუახევი, სამცხე) და ცენტრალურ სავაჭრო ადგილებთან სიახლოვე, აჭარისწყლის ხეობაში ძველი სავაჭრო გზების არსებობა, მოგვიანებით კი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო საწარმოების დაარსება და სხვ.

აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის სიძველეს ადასტურებს როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა სახის მდიდარი მასალები (აბუსერისძე ტბელი, 1988; ვახუშტი ბატონიშვილი, 1941; ბაქრაძე დ., 1987; სახოკია თ., 1985; ჩიტაია გ., 1964; კახიძე ნ., 1971; რამიშვილი მ. 1948; ჭიჭინაძე ზ., 1913; მამულაძე შ., 1993; ნუცუბიძე მ., 1976; Материалы...,Т.I, 1885;. Материалы...,Т. 2, ч. I, II, 1886; Материалы...,Т. 2, Вып. 3, 1886; К материалам..., 1912; Сборник ...,.Отд. VII,вып.IV,1896). საგულისხმოა, რომ 1873 წელს აჭა-

რაში მოგზაურობის დროს, დ. ბაქრაძეს ყურადღება გაუმახვილებია ზემო აჭარის სავაჭრო გზებისადმი და შეუნიშნავს, რომ ზემო აჭარლებს სომლიაზე გამავალი უმოკლესი ბილიკით გურულებისათვის მისაყიდად მიჰქონდათ ყველი, ერბო, ყურძენი და სხვ.(ბაქრაძე დ.,1987, 54, 89). მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგადად, ძირეულად შეიცვალა წარმოებული პროდუქციის გასაღების გზები (უწყებები, 1922, №297-298), რითაც ხულოს მაზრას ხილის სარეალიზაციოდ მოაკლდა რამდენიმე ბაზარი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც არდაგანი იყო (გაზ .„ფუხარა", 1928, №68,3). ამ გარემოებამ თავისთავად მოახდინა წარმოების, კერძოდ, მეხილეობის შემცირება.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" საგანგებოდ შეეხო აჭარის მევენახეობის განვითარების პრობლემას. როგორც ცნობილია, ვახუშტისეული კლასიფიკაციით საქართველოს ცალკეული კუთხის ეკონომიკური მდგომარეობა განისაზღვრება მევენახეობის განვითარებულობის დონით და ავტორი ამ შემთხვევაში იხმობს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა **ვენახიანი** და **უვენახო.** მაგალითად, აჭარისა და მისი მომიჯნავე რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას დასძენს: „და არს აჭარის ხეობა **ვენახოვანი**, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯბანბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი.....". ავტორი მსგავს დახასიათებას იძლევა ფორჩხის, შავშეთის, ლიგანის, ტაოს, ოლთისისა და სხვა ხეობების, როგორც **ვენახიანი** მხარეების შესახებაც(ვახუშტი ბატონიშვილი, 1941,134). XIX საუკუნის მიწურულს თ.სახოკიამ აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებში მევენახეობის მაღალგანვითარებულობა შემდეგნაირად დაამოწმა: „აჭარის შესახებ სამართლიანად ითქმის-მთლიანი ბაღიაო" (სახოკია თ., 1985, 221).

აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სამეურნეო ტოპონიმიკას, რომელშიც ნათლადაა ასახული წარსულში მხარის მრავალპროფილიანი სამეურნეო ყოფის (მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა და ა.შ.) მნიშვნელოვანი მომენტები. ამის გამო აჭარის სოფლებში საკმაოდ გავრცელებულ ტოპონიმებს წარ-

მოადგენს **ნავენახევი** (სიხარულიძე ი, 1958.) და **ნავენახარი** (ჩელებაძე ნ., დღიური №1, 2006). გვაქვს აგრეთვე სახელწოდებები: **ჯღინკვენახი, ვენახი, ვენახები, ვაზნარიგვერდი, ნავაზნევი, ბახჩა, მარანი, გვერდვენახი, ჭვენტვენახი, ღვინის წყარო.** ნავენახარ ადგილებს შემორჩათ აგრეთვე უძველესი სახელწოდებები: **ზერაბულა, ნარვანი, ფართლული, ანთახაურა, ჭანჭახი, ოშოშმანა, სასახლე, გვერდული, ზანტაური** (სიხარულიძე ი.,1958,113; ჯოხია ც.,1986,45; ქამადაძე მ.,1999; ჩელებაძე ნ., 2006). ყურადღებას იპყრობს ტბეთის სულთა მატიანეში (1977,19) მოყვანილი მამაკაცის სახელის **ვაზინა**-ს (გათენეასძეს) წარმომავლობაც. საგულისხმოა, რომ დასახელებული ტოპონიმიები ხულოს რაიონის ბევრ სოფელში იქნა დამოწმებული, რაც საკვლევ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ გავრცელების მაჩვენებელია. ამ მონაცემებს კიდევ უფრო ავსებს ჩვენს მიერ შეკრებილი საველე ეთნოგრაფიული მასალებიც. მაგალითად, სოფელ დანისპარაულში (აქედან იწყება სუბალპური და ალპური ტერიტორია), გელაძეების სამოსახლოში არის ნაეკლესიარი ადგილი **ენგელაური,** სადაც მიწაში ჩამარხული დერგები ანუ ქვევრები დღემდეა შემონახული. ამასვე მიგვანიშნებს გოდერძის უღელტეხილ (ნაქალაქევი) დამოწმებული ტოპონიმი - **ჭურიპირი** (სიხარულიძე ი., 1958,127) და იქ აღმოჩენილი გარეული ვაზის უძველესი ნაშთები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამეურნეო ტოპონიმიკური ტრადიციები ხულოს რაიონის თანამედროვე ყოფამაც შეინარჩუნა და სადღეისოდ მევენახეობაში დაწინაურებული ჩაო საზოგადოდ **მევენახე** სოფლის სახელით არის ცნობილი.

ამგვარად, ხულოს რაიონში მევენახეობის ტრადიციულობაზე საკმაო მასალას იძლევა ტოპონიმიკაც და შესაბამისი ტერმინოლოგიაც. კერძოდ, ტოპონიმიების შემონახულობა აქ ტერმინ ვაზის განვითარების ყველა ეტაპის ამსახველია: ვენახი, ვაზი, საყურძნე, ნასახლევი და ა. შ. ზოგადად, ვაზს აღნიშნავდნენ ტერმინით **ყურძენი.** ი. აბულაძის მიხედვით (აბულაძე ი., 1973) ვაზის პარალელური ტერმინების–**საყურძენი, სანერგე, ნასახლევი** და სხვ. არსებობა ზემოთქმულის დადასტურებას წარმოადგენს. ამ მიმართებით

საინტერესოდ ჩანს აგრეთვე სოფელ აგარაში არსებული ნამონასტრევის სახელი-წალკოტი(სიხარულიძე ი.,1958,120).

ძველ საქართველოში ვენახის გაშენების გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენდა: **მაღლარი, ოლიხნარი, დაბლარი და ტალავერი.** უპირატესად გავრცელებული ყოფილა **მაღლარი, დობილო და ბაბილო** ვენახი. აღნიშნული ფორმებიდან აჭარაში გავრცელებული იყო **მაღლარი, დაბლარი და ოლიხნარი.** ამათგან უფრო მაღლარი ვენახი ჭარბობდა, ხოლო ამ ხეობის ქვემო ზოლში ყველა ფორმა თითქმის თანაბარად იყო გავრცელებული, რაც ხულოს რაიონის განსაკუთრებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარეობდა (ჯოხია ც., 1986,44–45,113).

საკვლევ რეგიონში ზოგადად ვაზს აღნიშნავდნენ ტერმინით **ყურძენი,** რომელიც ძველ ქართულ ენაში ფართოდ გავრცელებული **საყურძენის** მსგავსია და ფუნქციონირებდა ისეთი ტერმინების პარალელურად, როგორებიცაა**: სანერგე, ნასახლევი** და სხვ. (აბულაძე ი., 1973).

აჭარაში დაბლარი ვენახის აღსანიშნავად გავრცელებული იყო ტერმინები: **ვენახი, დაბალი ყურძენი ან ყურძნის ბაღი** (შდრ.:სიხარულიძე ი., 1958,120; ჯოხია ც.,1986,46) და **ვენახის ყურძენი** (სახოკია თ., 1985, 222). ამავე მნიშვნელობისაა აგრეთვე სოფელ დიოკნისში დაფიქსირებული **ძირთა ვენახი (**ნ. ჩელებაძე, 2006, დღიური№1), რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში არ არის დამოწმებული. რაც შეეხება მაღლარ ვენახს, ამ ფორმის აღმნიშვნელი ტერმინებია: **მაღალი ყურძენი** ან **ყურძენი** (შდრ.: ჯოხია ც., 1986,47). აჭარაში გავრცელებული ოლიხნარი ვენახის აღსანიშნავად განსაკუთრებული ტერმინი ჯერჯერობით არ მოწმდება.

მაღლარისა და ოლიხნარის გაშენება აჭარაში სავენახე ადგილების უკმარისობით აიხსნება. მაღლარის გასაშვებად საუკეთესოდ ითვლებოდა ლეკის ხე, აგრეთვე თხმელა, მუხა, ნაძვი, თელა, ნიგოზი, ურთხმელი და ბალი. ამ მიზნით გამოუსადეგარი ყოფილა წაბლის ხე. თ.სახოკიას შენიშვნით, ხულოში უპირატესად უზარმაზარ ხეებზე გაშვებული მაღლარი ვაზი ყოფილა გავრცელებული. რაც შეეხება ოლიხნარი ვაზის გაშენებას, მისთვის სპეციალური საყრდენი გამოიყენებოდა, რომელსაც **ღჯა** ეწოდება. იგი, ც. ჯოხიას დაკვირვებით,

გრჯღა-ს ფონეტიკურ სახეცვლილებას უნდა წარმოადგენდეს, რისთვისაც იმოწმებს სულხან-საბასეულ განმარტებას, რომ „**გრჯღა** დიდ ხეთა რა სხვილნი რტონი განეყოფიან" (ორბელიანი სულხან-საბა, ნაწ.I, 1991). გავრცელებული იყო აგრეთვე ვაზის გაშვება მავთულზე და სხვადასხვა ნაგებობებზე.

რაც შეეხება ვენახის ჯიშებს, ისინი დიფერენცირებულია როგორც ვენახის ფორმებიდან გამომდინარე სახელწოდებებიდან (**მაღლარი, დაბლარი, ოლიხნარი**), ისე მათი ფერის (შავი, თეთრი, წითელი), გამოყენების (საღვინე, სუფრის და ა.შ.), მოსავლიანობის (გამოსავლიანი), სეზონურობის – შემოსვლის, დამწიფების დროის(საადრეო, საგვიანო) და სხვ. ნიშნების მიხედვით. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაზის ჯიშების სახელწოდებათა დადგენა შესაძლებელია ვენახის ტოპონიმებიდანაც.

ჩამოთვლილი მაჩვენებლების მიხედვით აჭარა ვენახის ჯიშების შესწავლის ერთგვარ წყაროსაც წარმოადგენს, რაც არაერთი მოგზაურისა თუ მკვლევარის მიერ იქნა შენიშნული. XIX საუკუნის დასასრულს თ. სახოკიას ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში დამოწმებული აქვს ჩვიდმეტი ჯიშის ყურძენი (სახოკია თ., 1985, 224), კერძოდ: ადესა, მწვანე, ბუდეშური, ბროლა, ბუტკურა, ცხენისძუძუ, ბურძგალა, ჩხავერი, ვანური თეთრი ყურძენი, ჭოდი, კლარჯული, ხარითვალა, მატენაური, ხოფათური, მეკრენჩხი, ჯანიში (პატივცემული მკვლევარი ალბათ ჯინეშს გულისხმობდა), შხუმი (შხუ-მსხვილი, მეგრ.). ვაზის ჯიშების დახასიათებისას თ.სახოკია გამოარჩევს **დიდკუფხლიან** და **სხვილკუფხლიან** ანუ მსხვილმარ ცვლიან ყურძენს, რომლის ლაზურ ანალოგს **კუმხალი** ეწოდება. მისივე ცნობით, 1894 წელს 120 ფუთი ყურძენი მოუკრეფიათ, რომლის ერთი ფუთი 2 აბაზს ფასობდა. საინტერესოა, აგრეთვე, თ. სახოკიას მიერ ქედაში ჩაწერილი „ყურძნის ლექსიც", რითაც მკვლევარმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აჭარაში ამ დარგის პოპულარობას (სახოკია თ., 1985, .225).

აჭარაში მევენახეობის პრობლემებით არაერთგზის დაინტერესებულა ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც გადარჩენილი ყურძნის ჯიშების შესახებ არსებული ცნობები 1933 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრის სტ. მენთეშაშვილის ცნობების

მიხედვით შეუვსია. ამდენად, მეცნიერის ღვაწლი ამ მხრივაც სანიმუშოა, რომლის წყალობითაც აღინუსხა შავი და წითელი ყურძნის ჯიშების თოთხმეტი, ხოლო თეთრის – თორმეტი ჯიში (ჯავახიშვილი ივ., V, 1986).

მევენახეობა-მეღვინეობის ეთნოგრაფიული შესწავლის დროს ეთნოგრაფ ც. ჯოხიას მიერ ხულოს რაიონში დამოწმებული 22 ჯიშიდან ზოგიერთი მაჭახლის ხეობაში გავრცელებული ჯიშების ანალოგიური ყოფილა: **ცხენიძუძუ ანუ ხათუნპარმაღი, ჩხაველი, ლივანური, კლარჯული, შავშური და ხარითვალა** (კახიძე ნ., 1971,7). საგულისხმოა, რომ ხულოს რაიონში გავრცელებული ყოფილა დაბლარი ვენახის ისეთი უძველესი ჯიში, როგორიცაა უსარ-უსაყრდენოდ, დაბალ ბუჩქად წარმოდგენილი ვაზი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში **სუმბურის ანუ გართხმული** ვაზის სახელით არის ცნობილი.

XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში მევენახეობის განვითარების მიზნით ვენახის ახალი ჯიშების შემოტანა საგრძნობლად გაიზარდა, რომელთა წარმომავლობა ხშირ შემთხვევაში მათი სახელდების საფუძველზეც ირკვევა: ჯავახეთური, ბათუმური, ჩინური, ფენჯამური და სხვ. ამასთან, საგრძნობი გახდა ძველი ჯიშების (**ჩხავერი, კოლოშა, ლივანურა**, **მატენაური** და სხვ.) შემცირებისა და გადაშენების საფრთხე (გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი", 1936, №63).

სადღეისოდ ხულოს რაიონში ძირითადად მაღლარი ვაზის ჯიშებია გავრცელებული: ცოლიკაური, ცხენის ძუძუ, ქარვისფერი, გრძელმარცვლიანი, იზაბელა, შავი საწურავი, შავი ქორქაულა, ალადასტური, ხარითვალაᲘ, ჭიჭიბერა, საკნატურაᲘ, ხოფათურაᲘ, შავშურაᲘ, ლივანურაᲘ თეთრი ყურძენი, ჯინეში, ჯევახათურაᲘ (ხარობს 100 წლამდე, „უკვდავი" ყურძენია და ლერწიც უზომოდ ეზრდება), ტყის ყურძენი, ტკლაჩუნა (ველური ვაზი), რქაწითელი, ალიკოტე, თითა ყურძენი, ქიშმიში ყურძენი, ჩხაველა//ჩხავერაᲘ ანუ ჭოდი, რომლებიც თ.სახოკიამ დამოუკიდებელ ჯიშებად წარმოგვიდგინა, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი კი მათ ერთმანეთთან აიგივებს. რაც შეეხება ადესას (თეთრი და შავი) და იზაბელას, მოსახლეობა მათ პირიქით–ერთმანეთისაგან განასხვავებს. ადგილობრივი მოსახლეობა ვაზის უძველეს ჯიშებად მიიჩნევს: ჩხავერას, ცოლიკაურს, რქაწითელს, იზაბელას და წვრილმარცვლიან ალიკოტეს, რო-

მელიც უფრო გამოსავლიანია ანუ საღვინეა, ასევე თეთრყურძენს, ჩიტითვალას და სხვ.

საქართველოში ველური ანუ გარეული ვაზი მაღალი ზონის არახელსაყრელ პირობებში ფართოდ გავრცელებული მცენარე ყოფილა (ჯავახიშვილი ივ., 1986; ჭყონია ლ., 1985.; ფრუიძე ლ., ტ.42, №1,1966; რამიშვილი რ., №2, 1970, 60; რამიშვილი რ., XXV,1978,; გაბუნია ლ., VI, 2004; პავლიაშვილი დ., III, 2001).

ქართველურ ენებში მათ აღსანიშნავად არაერთი სახელწოდებაა შემონახული (ასათიანი ლ., 1978.). ხულოს რაიონში ვაზის **ველური ჯიშების ზოგადი** სახელწოდებებია **ტყის ყურძენი** ან **გარეული ყურძენი**. ველური ვაზი ტყეში მრავლად ყოფილა, რომელსაც საჭმელად იყენებდნენ. მათი ერთი ნაწილი ნაძვზე იზრდება და შემოდის სექტემბრის თვეში. ველური ვაზის ჯიშს მიეკუთვნება ტკლაჩუნა ყურძენი და ძაღლყურძენა, რომელიც საჭმელად არ გამოიყენება. დ. ბაქრაძის მიხედვით ველური ვაზი კრიკინა აჭარაში **მორცხულას** სახელწოდებით ყოფილა ცნობილი(ბაქრაძე დ., 157).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საკვლევი რეგიონის ტყის ზოლში გვხვდება ტყის ჩხავერი (შავი) და ადესა(შავი), რაც შესაძლოა ოსმალობის პერიოდში ვაზის გადამალვის ფაქტთანაც კი იყოს დაკავშირებული. ჩამოთვლილი ვაზის ჯიშები მჟავე გემოსია ანუ **მაიხოშია**. ველური ვაზი შემოდის გვიან შემოდგომაზე და მოსახლეობა საზამთროდ ცდილობს მათი მთლიანი ძირით ანუ ლერწით შენახვას.

ძველ ქართულში ვაზის ნაყოფისა და ხილის დაკრეფის დრო ორი ტერმინით აღინიშნებოდა: **მოსთულაი და მოწილვაი**. ქართულ სამწერლობო ენაში ეს უკანასკნელი უფრო ძველი ტერმინი ყოფილა, თუმცა, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, V-VII სს. უპირატესობა უკვე **მოსთულაი-**ს ენიჭებოდა. **სთუელი** საბას მიხედვით არის შემოდგომა, **ყურძნის მოკრეფა**, ი. აბულაძე კი მას განმარტავს როგორც **რთველს, კრეფ**ას. ხულოს რაიონის მოსახლეობაში დღემდე შემორჩა ტერმინი **სთველი**, ხოლო სიტყვა **მოწილვა** სხვა მნიშვნელობით შემოინახა.

მოსახლეობაში კარგადაა შემორჩენილი ყურძნის შერჩევითი კრეფის, დაწურვის, შენახვა-რეალიზაციისა და ტრანს-

პორტირების მეთოდები. რთველის დაწყება როგორც კლიმატურ პირობებზე, ისე ყურძნის ჯიშებზე და სხვ. ფაქტორებზე არის დამოკიდებული.

ძველად საქართველოში ყურძნის კრეფა ოქტომბერში იცოდნენ და ამ თვეს „სთუელის" თვეს და „ღვინოების თვესაც" უწოდებდნენ(ჯავახიშვილი ივ., 1986,479-482). ტერმინები **რთველი** და **ღვინობისთვე** შემოინახა აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ, სადაც ოქტომბრის თვის უძველესი სახელწოდება–**ღვინობისთვე** ხულოს მკვიდრთა მეხსიერებაში დღემდე კარგადაა დაცული. ამის დასტურია 1933 წელს ხულოს რაიონში ვ. ბარდაველიძის მიერ ჩაწერილი მეტად ფასეული ეთნოგრაფიული მასალაც (ბარდაველიძე ვ. 1933,49). საგუ ლისხმოა, რომ მაჭახლის ხეობაში ყურძნის აღების პერიოდს **ყურძნობა** ჰქვია და წელიწადის გარკვეულ დროს აღნიშნავს (კახიძე ნ.,1971,11). ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით ყურძნის მკრეფელის უძველესი სახელწოდება შემონახულია შემდეგ ტერმინებში: **მსთულებელი** და **მესთულე.**

საერთოდ, ყურძნის აღებას თან ახლდა შესაბამისი შრომის სიმღერები (ჭყონია ლ., რთველი.., 2003,V), რომლებიც, ხულოს რაიონში ჯერჯერობით ვერ დავაფიქსირეთ, მაშინ როდესაც ეთნოგრაფ ჯ. ნოდაიდელის მიერ ჩაწერილი შრომის სიმღერა– **„ჩაღმა ჩაყრილო ვენახო"** მეტად პოპულარული იყო ქობულეთის რაიონში და იგი სწორედ რთველთან დაკავშირებით სრულდებოდა (ნოდაიდელი ჯ., I, 1971,68).

ყურძენს უმთავრესად მამაკაცები კრეფდნენ. საკრეფად გიდელს, ხოლო ყურძნის გადასატანად გოდრებს, განსაკუთრებით კი **საკრებელა-**ს იყენებდნენ. დიდი რაოდენობით ყურძენი ურმებით გადაჰქონდათ. არქეოლოგიური მასალებით ზემო აჭარაში დგინდება მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელიც: ქვევრები, კოკები, ჩაფები, დოქები, ხელადები, ქოთნები, სასმისები, ჯამები, ფიალები, ღვინის ამოსაღები კოპე და სხვ. (ჭიჭინაძე ზ., 1913, 179; მამულაძე შ., 1993, 157-158). რაც შეეხება საწყაოს, მას ჭურჭლის მიხედვით ანგარიშობდნენ: საკრებელა, ქვევრები, გოდრები, გიდელი და კალათი. საწყაო ერთეულებს შეადგენდა: ოყა (1200 გრ.), კოდი (9ოყა), პინა (2კოდი), ფუთი (16კგ). თიხიდან კეთ-

დებოდა სპეციალური საწყავი–ბათმანი (მასალები.., ტ.II, ნაწ.,I, 1979, 253) და სხვადასხვაგვარი სასმისები.

ყურძნის დაწურვა ხდებოდა ფეხით ხის დიდ საწნახელში, ანუ **ნავში** და ხშირად ღვინოს შიგვე დაადუღებდნენ. თუმცა საამისოდ სპეციალური სადუღი ქვევრები გააჩნდათ, საიდანაც შემდეგ ყურძნის წვენს მომცრო ქვევრებში გადაანაწილებდნენ. ყურძნის ნაწილს ქალები გამოარჩევდნენ, დანარჩენს კი კაცები ხის ეროებით საწნახელში // **სარნაში** ჭყეპდნენ.

აჭარაში ვენახის დარგვასა და მოვლა-პატრონობას კაცები ემსახურებოდნენ. რაც შეეხება ვენახის გაშენებას, იგი ძირითადად ხალხური სელექციის მარტივი მეთოდით – **მირგვით** ხდებოდა. ამ გზით მოხდა ტყიური ვაზის მოშინაურებაც. მაღლარისა და ოლიხნარის გასაშენებლად ძირითადად მიმართავდნენ **გადაწინდვას, დაწიგნას** ანუ **ჩაწიგნას**. „გადაწვენის შემდეგ ვაზი **დაწიდნული** ანუ **ნაწიკარია.” (**ფრუიძე ლ., 1974,65). ანალოგიური ტერმინებია დამოწმებული ქობულეთურ სალექსიკონო მასალებშიც (სურმავა, II,1979,60).

მოვლა-პატრონობის მხრივ მაღლარი ვენახი განსაკუთრებულ ყურადღებას არ საჭიროებდა. სიმაღლის გამო მისი გასხვლა მოუხერხებელი იყო და, ამიტომ, წალდით მხოლოდ ხმელ ტოტებს აცლიდნენ. ვაზის სნეულებათა და ვაზის მავნებელთა ფართოდ გავრცელებამ დასავლეთ საქართველოში მევენახეობის კრიზისი გამოიწვია. ასე იყო აჭარაშიც. თ. სახოკია წერდა: „ვაზის უმეტესობას ნაცარი და ობი აქვს მოდებული, მისი წამლობა კი აზრად არავის მოსდისო” (სახოკია თ., 1985,.222). ვენახის მოვლა-პატრონობის ტრადიციების მოშლა შესამჩნევი გახდა XX ს. 20-იან წლებში, რაზეც იმდროინდელი პრესაც იუწყებოდა(გაზ.„ფუხარა”,№68,1928). ვენახის დასაწამლად ზოგიერთი მეურნე დღემდე იყენებს შაბიამანისა და გოგირდის ხსნარებს.

შუა საუკუნეების აჭარაში ძირითადად ორი ტიპის მარანი დასტურდება: დახურული და ღია. სხალთის მარანი ღია ტიპისაა, ხოლო დახურულ ტიპს მიეკუთვნება ხიხანის ციხე-ქალაქში მიკვლეული მარანი. სხალთის მარანი აჭარაში მოგზაურობის დროს აღწერილი აქვს დ. ბაქრაძეს. ამასთან, მეცნიერს სახელდახელოდ შედგენილ საკუთარ ლექსიკონში დამოწმებული აქვს მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებუ-

ლი რამდენიმე ზემოაჭარული ტერმინიც: ვენახი, ყურძენი, მარანი, საწნახელი, ჭური, კოპე, ხჯა‖ხაშარი და სხვ. (ბაქრაძე დ.,1986,55,151,154,155,157). ძველი მარნები აღმოჩენილია საქართველოს ყველა კუთხეში. ამ მხრივ აჭარაც მდიდარია (მასალები..,ტII,ნაწ.,I,252). ხულოს რაიონში დღემდეა შემორჩენილი ვეებერთელა ქვევრები ანუ ჭურები, როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს. ღვინის წარმოების შეფერხების პერიოდში ჭურებს გამხმარი ხილის – **ფურუჯის** შესანახად ფართო გამოყენება ჰქონდა. მაჰმადიანობის გავრცელების მიუხედავად აჭარაში დავიწყებას მიეცა მარანი და ჭურისთავი, მაგრამ ტოპონიმიკამ მისი ნაკვალევი მაინც შემოინახა. დიდაჭარაში ასეთი ადგილებია: **სამარნე** და **ელიაწმინდა**. აქვე, **ხუციაშვილებთან – ნა**ეკლესიარ ადგილზე, ნაპოვნია ქვევრი ჯვრის გამოსახულებით. სოფ. ალმეში იმ ადგილს, სადაც ჭურებია აღმოჩენილი, **მარანი** ეწოდება(ჯოხია ც., 1986; ბაქრაძე დ., 1987, 55, 151, 154, 155, 157). საგულისხმოა ისიც, რომ ზემო აჭარაში სარძიეს ზოგჯერ მარანს უწოდებენ. ცნობილია, რომ სამეურნეო დანიშნულების გარდა **მარანი** წმინდა ადგილის როლსაც ასრულებდა, სადაც სხვადასხვა რიტუალის შესრულება ხდებოდა (ბარდაველიძე ვ., 1941; ილურიძე მ., II,2000,147).

ყოფაში დამოწმდა ყურძნის დაწურვის რამდენიმე წესი. ამათგან ყველაზე მარტივი და უძველესი ჩანს ყურძნის გობზე დაწურვა ანუ **დაჭყეპა.** ყურძენი თუ ბევრი ჰქონდათ **სარნაში** (იგივე საწნახელში**)** იწურებოდა. როგორც აღინიშნა, ამ მხრივ საყურადღებოა სხალთის ქვითკირით ნაშენი საწნახლები, **საღვინე სახლი** ანუ მარანი, როგორც ცალკე ნაგებობა და მარანი ხიხანის ციხე-ქალაქში (მამულაძე შ., 2001,.154) კლდეში ნაკვეთი **საწნახლებია** მიკვლეული ნ.კახიძის მიერ მაჭახლის ხეობაში. უფრო ადრე თ. სახოკია გვამცნობდა, რომ ყურძნის გასაწურად აჭარაში იყენებდნენ **საწნახელს** ანუ **ჯარას.**

საღვინე ანუ **გამოსავლიან** ჯიშებს წარმოადგენდა: ალიკოტე, ცოლიკაური, ჩხავერი და რქაწითელი. ლ. ფრუიძის აღწერით (ფრუიძე ლ., 1974,214-215) ტკბილის დადუღების ერთ-ერთი წესი-ქვევრში უჭაჭოდ ანუ **შუმად** ჩასხმა ცნობილი იყო აჭარაში, რომლის შედეგად მიღებულ ღვინოს რაჭისა და სამეგრელოს მსგავსად **ფეთქი ღვინო** ეწოდებოდა.

მაჰმადიანობის პერიოდში ყურძნის დაწურვა ხდებოდა მხოლოდ **ხარდალის**-აუდუღარი წვენისა და **ბეთმეზის** ანუ დადუღებული წვენის მისაღებად. ყურძნის წვენისაგან ამზადებდნენ ფაფას (ფელამუშს) და ქუმას (ჩურჩხელას). საბექმეზე წვენის მისაღებად სპეციალურ დერგებს იყენებდნენ ან წვენს ჭურებში ინახავდნენ. ამის შემდეგ დაადუღებდნენ **ბექმეზს // ბეთმეზს,** რომელსაც იყენებდნენ არა მხოლოდ სასმელად, არამედ თეთრ კვახთან ერთად ხარშავდნენ და ამ გზით გემრიელ **ლეჩერს** ამზადებდნენ.

თ.სახოკია შენიშნავდა, რომ **„**ღვინო აკრძალულია მაჰმადის რჯულით, მაგრამ წვენს სვამენო". მისი დახასიათებით, ტკბილის მისაღებად მოზელილი ხარდალით ანუ მდოგვით **გამოფაფავენ** ქვევრს, შიგ ტკბილს ჩაასხამენ და თავს მოუკრავენ. ამის შემდეგ ტკბილი არ დუღდებოდა. ყურძნის წვენისაგან დამზადებულ ფაფაში სიმინდის ტაროს ამოავლებდნენ, რომლის გახმობის შემდეგაც მიიღებოდა **ფესტილი**. ამზადებდნენ აგრეთვე ყორაოს – **წოწორაქს** // წუწურაქს და ძმარს.

ყურძნის მრავალმხრივი მოხმარება ამდიდრებდა გლეხკაცის კვების რაციონს. ყურძენს (ჩხავერი, ტაკიძურა, კალარჯული, ბათუმურა და სხვ.) **პოწკებად** ანუ **კონწილად აასხამდნენ** და მას ჩირად ინახავდნენ. დასტურდება აგრეთვე ანალოგიური ტერმინებიც: აკიდო(ბევრი მტევანით) და ჩხა (ორმტევნიანი)· სპეციალური **საქიშმიშე** ყურძნისაგან ამზადებდნენ **ქიშმიშს**. ზემო აჭარაში ყურძენი გაზაფხულამდე ინარჩუნებდა თვისებებს. უმწიფარი ყურძნისგან იღებდნენ **ჟურს** ანუ **კუხს,** რომელიც მწვანე ლობიოს დამჟავებისას გამოიყენებოდა. ვაზის ფოთოლს ტოლმის დამზადების დროსაც იყენებდნენ. ამგვარი ტოლმით გამასპინძლებიან აჭარაში მოგზაურობის დროს ა. ფრენკელს (Френкель А,1879,83).

აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ საკმაოდ კარგად შემოინახა სამიწათმოქმედო კალენდარი. საქართველოში ქრისტიანობის შემოღებისთანავე წმინდა ნინოს მიერ ვაზის ტოტისაგან შეკრული ჯვარი რიტუალურ სიმბოლოდ იქნა აღიარებული. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ძალზედ ხშირადაა გამოსახული ვაზის ლერწი ან ყურძნის მტევანი, რომლის საყურად-

ღებო ნიმუშები საკმაოდ კარგად არის დაცული ხულოს რაიონში (ვარშალომიძე ჯ., 1978).

როზეტი ვაზის მტევნების გამოსახულებით (ი. ადამიას წიგნიდან)

ხალხური რწმენით, ცალკეულ ხეს გარკვეული სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა და ცოდვად ითვლებოდა ზოგიერთი მათგანის, მათ რიცხვში–ვენახის მოჭრა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კინტრიშის ხეობაში მზის ან მთვარის დაბნელებისადმი მიძღვნილი წეს-ჩვეულებები, კერძოდ, ვაზის ლერწებისაგან ცეცხლის ანთების ტრადიცია (ჩელებაძე ნ., 2005). ჯ. ნოდაიდელის ცნობით, აჭარაში ოსმალოთა გაბატონების შედეგად ვაზი საწესჩვეულებო რიტუალებიდან ამოვარდა მაშინ, როდესაც მეზობელი გურიის ეთნოგრაფიულმა ყოფამ კარგად შემოინახა საახალწლო ფერხვა „აგუნა", ე.წ. „ვაზის ფერხვა." სამეთვალყურეოდ ვენახში საფრთხობელას დადგმის გავრცელებული წესი ცნობილი იყო ხულოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც.

ხულოს რაიონში ვენახთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიურია, თუმცა მოსახლეობამ ვერ შემოგვინახა მათი რელიგიური ახსნა. მაგალითად: ყურძნის კრეფის დაწყებამდე პირველ რიგში ყურძენს ჩხას ან აკიდოს აჭრიდნენ, რომელიც ამა თუ იმ წმინდანისთვის იყო განკუთვნილი; ასევე, შეწირვა ღვთაების სახელზე; ვაზის ცრემლები და სხვ. (ბარდაველიძე ვ., 1941; ჭყონია ლ., 2003,.339).

ამრიგად, ხულოს რაიონი მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა, რომელიც სოფლის მეურნეობის წარმოების ზონალურ პრინციპებზე იყო მოწყობილი. აჭარის სხვა მთიანი რაიონების მსგავსად, აქ უპირატესად მაღლარი ვენახი იყო განვითარებული წითელი და შავი ყურძნის ჯიშებით. გამოიყოფოდა მევენახეობა-მეღვინეობის მიკროერთეულები: ჩაო, დიოკნისი და სხვ. აჭარაში მაჰმადიანობის გავრცელებამ და ვაზის დაავადებებმა რამდენადმე შეაფერხა ამ დარგის განვითარება, თუმცა, ცალკეული მაჩვენებლის მიხედვით იგი დღემდე წარმოადგენს ვენახის ჯიშების შესწავლის ერთგვარ წყაროს. როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა სახის მასალები, ტოპონიმიკური მონაცემები და შესაბამისი ტერმინოლოგია, ასახავს არა მარტო ტერმინ ვაზის განვითარების ყველა ეტაპს (ვენახი, ვაზი, საყურძნე, ნასახლევი და სხვ.) და საკვლევ რეგიონში მევენახეობის ფართოდ გავრცელებას, არამედ ავლენს დაბლარი ვენახის ისეთ ძველ სახელწოდებას, როგორიცაა **ძირა** ვენახი.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა ხულოს რაიონის ადგილი რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით: მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ინტენსიურობა, მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებთან (ქედა, შუახევი, სამცხე) და ცენტრალურ სავაჭრო ადგილებთან სიახლოვე, აქაური ძველი სავაჭრო გზების არსებობა, მოგვიანებით კი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო საწარმოების დაარსება და სხვა. ამასთან, შესწავლილ იქნა მარანი და მარნის ტიპები, სამომხმარებლო და საწყაო ჭურჭლის ნაირგვარობა, გამოვლენილ იქნა ყურძნის პროდუქტების მიღებისა და მათი მოხმარების ტრადიციულობა (საოჯახო, საეკლესიო, სასაქონლო) და, ასევე, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული რიტუალური სიმბოლოები და წეს-ჩვეულებები, რაც რეგიონში ამ დარგის ძველი ტრადიციების გამოხატულებაცაა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. აბუსერისძე ტბელი, „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი", ქართული მწერლობა, ტ.3,თბ., 1988.
3. ასათიანი ლ., ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978.
4. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ.), თბ., 1941.
5. ბარდაველიძე ვ., 1933 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები.
6. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
7. გაბუნია ლ., ველური ვაზი საქართველოში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VI, თბ., 2004.
8. ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე, ბათ.., 1978.
9. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თსუ, თბ., 1941.
10. ილურიძე მ., ზედაშე-„ბუდობის" ერთობის სიმბოლო სოფელ მარტყოფში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 2000.
11. კახიძე ნ., მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში, აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1971.
12. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993.
13. მასალები შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტII, ნაწ., I, თბ., 1979.
14. მენთეშაშვილი სტ., აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმკის მოამბე, II, ტფ., 1937.
15. ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათ.,1971.
16. ნოღაიდელი ნ., აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, III, თბ., 1981.
17. ნუცუბიძე მ., მევენახეობა აჭარაში, ბათ., 1976.
18. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ნაწილი I, თბ., 1991.

19. პავლიაშვილი დ., მევენახეობა - მეღვინეობა ატენის ხეობა-ში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, III, თბ., 2001.
20. რამიშვილი მ., გურიის, სამეგრელოს, აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.
21. რამიშვილი რ., რაჭა-ლეჩხუმში ველურად მოზარდი ვაზის შესწავლისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 60, №2, თბ., 1970.
22. რამიშვილი რ., ველურად მოზარდი ვაზის შესწავლის შე-დეგები საქართველოში, მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის შრ. ტ. XXV, თბ., 1978.
23. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათ., 1985.
24. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპო-ნიმიკა, წიგნი I, ბათ., 1958.
25. სურმავა, ნ., აჭარული სალექსიკონო მასალა (ქობულეთუ-რი), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბ., 1979.
26. ტბეთის სულთა მატიანე ტაბულა, (გამოსცა თ. ენუქიძემ), თბ., 1977.
27. საქართველოს ამბები, გაზეთი უწყებები, 1922, №297-298.
28. ფრუიძე ლ., ველური ვაზი რაჭაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ.42, №1, 1966.
29. ფრუიძე ლ., მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), წიგნი I, რაჭა, თბ., 1974.
30. ქამადაძე მ., აჭარის ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ სა-ქართველოს რეგიონის მონაცემებთან მიმართებით, ავტო-რეფერატი ფილოლ. მეცნ. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად ბათ., 1999.
31. ჩელებაძე ნ., 2006 წლის ხულოში მივლინების დღიური.
32. ჩელებაძე ნ., ქალი და ოჯახი, თბ., 2005.
33. ჩიტაია გ., საქართველოს ვაზის კულტურის ისტორიიდან, კრებული: ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და კულ-ტურა, თბ., 1964.
34. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი ტ.V, თბ., 1986.
35. ჯოხია ც., მასალები მევენახეობა-მეღვინეობის ეთნოგრა-ფიული შესწავლისათვის ხულოს რაიონში, სდსყკ, XII, თბ., 1986.

36. ჭიჭინაძე ზ. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.
37. ჭყონია ლ., გარეული ვაზი საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შტუდიები, თბ., 1985.
38. ჭყონია ლ., რთველი კახეთში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, V, თბ.,2003.
39. Материалы для изучения эк. быта госуд. крестьян. Закавказского края, Т.,I, Тифлис, 1885.
40. Материалы для изучения эк. быта госуд. крестьян. Закавказского края, Т. 2, ч. I, II, Тифлис, 1886.
41. Материалы для изучения эк. быта госуд. крестьян. Закавказского края, Т. 2, Вып. 3, Тифлис, 1886.
42. К материалам по истории и древностям Грузии и России. Тифлис, 1912.
43. Сборник сведении по виноградарству и виноделию на Кавказ.Отд VII,вып.IV, Тифлис,1896.
44. Френкель А. Очерки Чурук-Су и Батума. Тифлис, 1879.

Наила Челебадзе

Виноградарство-виноделие в Хулойском районе

Резюме

Виноградарство является одной из традиционных сфер хозяйственного быта Хулойского района, что подтверждается как письменными источниками, так и широким ареалом его распространения, выявленными топонимами и специальными терминами, сохранностью хранилищ вина и его атрибутов, особенно древнейшими огромными кувшинами, а также разновидностью виноградник, виноградной лозы, среди них сорта диких виноградов а также возможности устроения виноградника и формы культивирования его обработки, получение продуктов из винограда и их употребление, а также обряды связанные с культурой винограда, В работе выявилось отдельное своеобразное развитие виноградарство в регионе, что обусловлено следуюшими факторами: интенсивность развития разных отраслей хозяйство, близость с регионами виноградарство—виноделия(Кеда, Шуахе ви, Самцхе) и торговыми центрами,

существование древних торговых путей на р. Аджарисцкали, и позднее создание отдельных сельско-хозяйственных предприятии и т.д. выяснилось что в Хулойском районе виноградарство устроено на основе традиции зонального принципа, сельско- хозяйственного производство Грузии и в ней выделяются микроединици виноградарства: Тао, Диокниси и др.

Naila Chelebadze

Viticulture and wine-making in Khulo Region

Summary

Viticulture and wine-making represents one of the traditional spheres of economical life in Khulo Region. It is proved by the written sources, as well as by the preservation of toponymy and special terms, wine store and its furniture, especially the oldest large crockeries; also by the variety of vine, including wild species of vines, the forms of vine-growing and its cultivation, the ways of producing grape products and the habits concerning viticulture. The work represents the separate facts of viticulture development in the region, that is stipulated by the following factors: the intense development of other economical branches; the closeness with other regions (Keda, Shuakhevi, Samtskhe) where wine-making is developed and with the central trading spots, the existance of trade roads on the river Adjaristskali; the establishment of agricultural and industrial manufactures. It is stated that the viticultural field in Khulo Region depends on the zoning principles of Georgian agriculture and the wine-making micro-units such as Chao, Dioknisi and others are distinguished among them.

ჯემალ მიქელაძე

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარის ალპურ ზონაში
(გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მასალების მიხედვით)[1]

ზემო აჭარის საზაფხულო საძოვრებზე (ალპური და სუბალპური ზონა), კერძოდ გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მიდამოებში ადრინდელი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები წარმოდგენილი იყო ძირთული, ანუ ერთსართულიანი და ზედშედგმული (ორსართულიანი) ჯარგვალის სახით (რობაქიძე ალ. 1960, 2).

გოდერძისა და ბეშუმის საზაფხულო საძოვრებზე ძირითადად ზემო აჭარელთა დასახლებებია განლაგებული. მესაქონლეობა აქ მიწათმოქმედებასთან სიმბიოზიური ფორმით ვითარდებოდა და ძირითადად ალპურ ხასიათს ატარებდა. (რობაქიძე ალ. 1960, 3; შამილაძე ვ. 1969,47).



[1] ილუსტრაციები შესრულებულია ჯ. მიქელაძის მიერ

გაზაფხულზე საქონელი გარკვეული ვადით ახლომახლო საძოვრებზე, ანუ ყიშლებში, ფერდაში გადაჰყავდათ, ბოლოს კი ალპური ზონის საზაფხულო საძოვრებზე მიერეკებოდნენ. მთის სეზონის დამთავრებისთანავე, ე.ი. ზამთრის პირამდე, საქონელი ისევ ფერდაში ჩამოჰყავდათ. ასე მიმდინარეობდა საქონლის მოვლა-პატრონობის წლიური ციკლი ზემო აჭარაში. ყოველივე ეს კი გულისხმობს ვერტიკალური ზონალობის მიხედვით საქონლის მოძრაობას და რაც მთავარია სოფლისა და მისი პარალელური ბაზების სამეურნეო ტერიტორიული ურთიერთობის სპეციფიკურ ფორმებს. ეს საერთო დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოსა და კავკასიის მთიანეთისათვის, მთლიანად ალპური მეურნეობისათვის. ზემო აჭარაში მესაქონლეობის ამ ფორმას უფრო გამოკვეთილი სახე ჰქონდა (გამყრელიძე ბ. 1973, 51).



ძირთული ჯარგვალი.
ღრმა ჭალის იაილა

მესაქონლეობის განვითარების ამგვარი რთული სტრუქტურა როგორც ფერდაში, ასევე ალპურ ზონაში საჭიროებდა შესაბამისი სამთო სეზონური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების გამართვას, რომლებიც საბოლოოდ სეზონურ დასახლებულ უბნებად ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად.

ალპურ და სუბალპურ საზაფხულო საძოვრებზე გოდერძის უღელტეხილისა და კურორტ ბეშუმის ტერიტორიაზე ჩვენს მიერ დაფიქსირებულ იქნა რამდენიმე სეზონური დასახლება, რომლებიც ცნობილია იაილების სახელწოდებით. ასეთებია: აივაზაჭოლო, ბერიჭოლო, ღრმაჭალა, დიდი იაილა, ტიალიფერდი, ლეკიძირი, დიდაჭარის იაილა (გოდერძის

უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორია), ჩაკიდული, ღვალიან-წყარო, კატრიძირი, გაფვინილწყალი, ვერხვნალი, უჩხოიაილა, ბეშუმიაილა, ნაჩადრევი-ხარიათადი და ბულულასერიძირი (გოდერძის უღელტეხილიდან ბეშუმის მიმართულებით), ყორანა იაილა, ლოდიძირი, საკამბეჩო, ნაიალევი (გოდერძიდან ადიგენის მიმართულებით ცენტრალური გზის გასწვრივ). ბეშუმიდან ხიხაძირის მთიანეთის მიმართულებითაა თეთრობის დიდი იაილა, სადაც ყველაზე მეტი საცხოვრებელი სახლია წარმოდგენილი.

ორსართულიანი ძელური სახლი

ადგილობრივი მოსახლეობა „იაილა"-ს უწოდებს ალპურ და სუბალპურ ზონაში სეზონურ დასახლებულ უბანს ან უბანთა ერთობლიობას. იაილები ის სახლებია, სადაც ადამიანთა სამყოფი და საქონლის სადგომი ერთ ჭერქვეშაა მოქცეული.

გადმოცემით გოდერძისა და ბეშუმის ტერიტორიაზე მემთევრეთა სეზონური დასახლებები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩნდება. თუმცა ამ რეგიონში ცხოვრების ინტენსიური ნაკვალევი ნეოლითური ხანიდან დასტურდება. ამაზე მიუთითებს დღემდე მოღწეული უნიკალური ძეგლები უძველესი ნამოსახლარების სახით: ლოდიძირი, ყვერული, პანტნარი, ვაშლობი, ნაქალაქარი და სხვ. აღნიშნული ნასახლარები ერთმანეთისაგან 3-4, ზოგან 4-5 კმ-ით არის დაშორებული და საკმაოდ დიდ მანძილზეა გადაჭიმული. „ამ ნამოსახლარ-ნაგებობათა მკვიდრნი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ის მესაქონლე მოსახლეობა უნდა

ზედშედგმული ჯარგვალი. რიყეთის იაილა

ყოფილიყო, რომელიც მოცემულ ეპოქაში ინტენსიურად წლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყენებდა ალპურ და სუბალპურ საძოვრებს" (ინაიშვილი ა. 1974,168, მიქელაძე ჯ. 2004,152-162, სურმანიძე რ. 2007, 20).

დღეისათვის გოდერძისა და ბეშუმის ტერიტორიაზე არსებულ სეზონურ დასახლებაში შემდეგი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებია წარმოდგენილი: ძირთული ჯარგვალი, ზედშედგმული ჯარგვალი, გათლილი ძელური და ორსართულიანი ფიცრული სახლი.

კატრიძირის იაილა

ინფორმატორთა გადმოცემით ძირთული ჯარგვალი, იგივე „ძირთაი სახლი", როგორც ტრადიციული საცხოვრებელი, ადრე სოფლებშიც მრავლად ყოფილა. დღეისათვის ძირთული ჯარგვალი როგორც საცხოვრებელი სახლი აჭარის სოფლის სინამდვილეში არ დასტურდება. თუმცა ალპურ და სუბალპურ ზონაშიც ერთეულებად შემორჩა. ერთ-ერთი ასეთი ტიპიური ძირთული ჯარგვალი ჩვენს მიერ ფიქსირებულ იქნა ღრმაჭალის საძოვრების ზონაში. იგი რიზალი პაპიძის საკუთრებაა. სახლი გეგმაზე გრძელი ოთხკუთხა ფორმისაა. შედგება სამი განყოფილებისაგან: მემთევრეთა სამყოფი, სარძიე ოთახი, საქონლის სადგომი (ახორი). თითოეულ ოთახს ცალკე კარები გააჩნია და ტიხრებითაა დაყოფილი. სახლის მთლიანი სიგრძე 7 მ. და 70 სმ-ია. სიგანე 5 მ. სიმაღლე ინტერიერში 2 მ. საქონლის სადგომს შედარებით დიდი ფართი უჭირავს (5,20 X 4,5 სმ.), ვიდრე მემთევრთა საცხოვრებელს. (3,20 X 5,20 სმ.), დანარჩენი ფართი



დანისპარაულისა და რიყეთის იაილები

მოდის სარძიე ოთახზე (1 მ. X 3, 20 სმ). ნაგებობა ორ ქანობიანია და ყავრითაა გადახურული.

ძირთული ჯარგვალის განვითარებული სახეა ზედშედგმული ჯარგვალი, ანუ ორ სართულიანი ძელური სახლი. მისი პირველი სართული საქონლის სადგომს წარმოადგენს. მეორე სართული მემთევრეთა საცხოვრებელია და შედგება ორი, ან სამი ოთახისაგან, წინა მხრით შესასვლელით, რომელსაც ჰავლი ეწოდება. იგი კარით საჯალაბო ოთახთან არის დაკავშირებული. მას ყველაზე დიდი ფართობი უჭირავს. ოთახის ორივე მხარეს კედლის გასწვრივ დაბალი და ფართე ტახტია გამართული, რომელთა შორისაა მიწატკეპნილი საცეცხლური. საჯალაბო ოთახი კარით დაკავშირებულია სარძიე ოთახთან, აქ ხდება რძის პროდუქტების დამზადება და შენახვა. სარძიე ოთახი დამახასიათებელია როგორც მთის საზაფხულო სეზონური, ასევე სოფლის საცხოვრებელი სახლებისათვის. ეს ფაქტი მესაქონლეობის დიდ მნიშვნელობასა და რძის პროდუქტების დამზადების მაღალ კულტურაზე მიუთითებს.



ლეკიძირის იაილა

აჭარული სახლის სარძიეს, ისე როგორც ხევსურული კალოიანი სახლის სენეს, აკად. გ. ჩიტაია მიიჩნევს აჭარლებისა და ხევსურების დიდი დაწინაურების მაჩვენებლად კარაქის დამზადების ხელოვნებაში. (ჩიტაია გ. 1947, 157-158). აჭარული სახლის სარძიეები სხვა ავტორებსაც აქვს აღწერილი. (სახოკია თ. 1950,20-121; ჩიქოვანი თ. 1960, 101; შამილაძე ვ. 1969, კახიძე ნ. 1973, 37-38).



საკამბეჩოს იაილა

ზედშედგმულმა ჯარგ-

ვალმა საფეხურებრივი განვითარება განიცადა. თუ თავდაპირველი ზედშედგმული ჯარგვალი მრგვალი ძელებისგან შენდებოდა, შემდგომში იგი გათლილი ძელური ნაგებობით შეიცვალა, რომლის განვითარებული სახეა გათლილი და დახერხილი ფიცრული სახლი.

აჭარის საზაფხულო საცხოვრებლის ზონაში ჯარგვლური სახლები 1950-იან წლებში მრავლად იყო წარმოდგენილი. დღეს კი იშვიათობას წარმოადგენს.

1960-1980-იანი წლებიდან მკვეთრი ცვლილებები შეინიშნება სამშენებლო მასალის გამოყენებასა და მშენებლობის კონსტრუქციაში. ხის სამშენებლო მასალას თანდათანობით ცვლის ბეტონის მასალა და შესაბამისად იცვლება მშენებლობის კონსტრუქციაც.

ახალი საცხოვრებელი სახლი. ბეშუმი

ცვლილებები განიცადა სახლის გადახურვამ. დღეისათვის გვხვდება ორქანობიანი, სამქანობიანი და ოთხქანობიანი სახლები შიფერისა და თუნუქის სახურავებით. ორ ათეულ წელზე მეტია შენდება შუშაბანდიანი სახლები, რაც ძირითადად გურიის, სამეგრელოს და იმერეთის საცხოვრებელი სახლებისთვისაა დამახასიათებელი.

ალპური ზონის საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობაში სხვა სიახლეც დაინერგა. მას გამოეყო საქონლის სადგომი, რომელიც ცალკე ნაგებობად ჩამოყალიბდა. საცხოვრებელი სახლიდან საქონლის სადგომის გამოცალკევების პროცესი ძირითადად 1970 წლიდან იწყება და დღეს იგი მასობრივი ხასიათისაა.

ბეშუმის ზონაში მემთევრეთა სეზონური დასახლების გარდა ჩვეულებრივ დამსვენებელთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებიც შენდება, რომელთა რიცხვი წლითი წლო-

ბით იზრდება. ასეთი სახლების ნაწილი თანამედროვე ავეჯითაც ივსება.

შენდება და მშვენიერდება ბეშუმის შიგნით საკურორტო კოტეჯები, სადაც ყოველწლიურად მრავალი დამსვენებელი ისვენებს.

ბეშუმი განვითარებულ საკურორტო ზონად იქცევა. მისდამი დიდია ექსკურსანტ და ტურისტ-დამსვენებელთა ინტერესები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ბ., სამეურნეო ბაზების საკითხისათვის აჭარაში,. თბ. 1973.
2. ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები. თბ. 1974.
3. კახიძე ნ., მესაქონლეომა მაჭახლის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, თბ., 1973.
4. მიქელაძე ჯ., დოლმენური კულტურის ძეგლები სამხრეთ საქართველოში. ბათუმი 2004.
5. რობაქიძე ალ., დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1960.
6. სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1950.
7. სურმანიძე რ., ბეშუმი 2007.
8. შამილაძე ვ., ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969.
9. ჩიტაია გ., ხევსურული სახლის „სენე", „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1, 1947.
10. ჩიქოვანი თ., ზემო აჭარული სახლი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 1. ბათუმი, 1960.

Джемал Микеладзе

Жилые и хозяйственные строения поселков альпийской зоны Хулойского района

Резюме

В труде изучены и представлены существующие сезонные традиционные поселения, жилые и хозяйственные строения, которые в основном, бревенчатые.Они представляют собой одноэтажные бревенчатые, надстроенные двухэтажные бревенчатые и двухэтажные досчатые строения.

Строительство указанных сооружений на сезонных пастбищах начинается с начала I половины XIX века и продолжается в XX веке. В результате этого на пастбищах альпийской и субальпийской зон Хулойского района возникло до 50 поселковых участков, которые местное население называет яйлами. Яйлами называются как сезонные поселковые участки, так и отдельные строения, где проживает одна семья под одной крышей со скотом.

На указанные строения в свое время внимание обратили известные этнографы: Г. Читая (академик), Ал. Робакидзе (академик член-корреспондент), В. Шамиладзе (член-корреспондент академии), доктора исторических наук: С. Чиковани, Б. Гамкрелидзе, Н. Кахидзе, Р. Сурманидзе, Д. Микеладзе, известный путешественник и исследователь Т. Сахокия.

На территории Годердского перевала и в Бешуми до настоящего времени сохранились жилища ново-неолитической и феодальной эпох, где представлены долменные строения, отдельные предметы, культурные памятники.

Территория Годердского перевала и курорт Бешуми привлекают особое внимание и в сфере развития туризма. Здес представлен интересный ландшафт, лечебные воды и другие оздоровительные объекты.

Djemal Mikeladze

Living and household constructions of Seasonable dwelling in Khulo region

Summary

The seasonable household constructions and traditional dwellings around Alps and sub Alps zones of Adjara, particularly in Goderzi crossing and Beshumi resort place are studied into the work presented above. These are one or two-storey log houses, which are made of planks. Two-storey building develops systematically. Some ethnographs: G. Chitaia (academic), A. Robaquidze (correspondent member of academy), V. Shamiladze (correspondent member of academy); doctors of science: T. Choquovani, B. Gamkrelidze, N. Kakhidze, J. Mikeladze, traveler and research worker: T. Sakhokia and others were paying their attentions on these constructions in the villages and in summer camping grounds e.d. Yaylas. Two first styles of log house appeared in Alps at the beginning of XIX c. Therefore, nowadays we have approximately 50 seasonable dwellings. The local people mention them Yaylas, where one family lives with the pets under the same roof of the house.

The ancient dwellings in Goderzi and Beshumi resort places dated since late Stone Age to the period of feudalism.

Beshumi, as an important resort place is rich for its magnificent landscape, mineral waters, spa and other attractive circumstances, which helps tourism to be more developed and progressive sphere respectively.

რეინ მალაყმაძე

მევენახეობა და მეხილეობა ლიგანის ხეობაში

მევენახეობა-მეხილეობის მხრივაც ლიგანის ხეობა უძველესი დროიდან ერთ-ერთი დაწინაურებული რეგიონი იყო საქართველოში. ვახუშტის (XVIII ს.) დახასიათებითაც, ლიგანი „ვენახით შემკობილ“ მხარეს წარმოადგენდა (ვახუშტი. 1941, 135).

ლიგანის ხეობაში, ისევე როგორც მეზობელ აჭარასა და შავშეთ-კლარჯეთში, მაღლარი ვენახი იყო გაბატონებული. დ. ბაქრაძის ცნობით, აქ ყველა ჯიშის ყურძენი მოდიოდა. იგი მაღალ ხეებზე იყო გაშვებული (ბაქრაძე დ. 1987, 41). მაღლარი მევენახეობის არსებობა ლიგანის ხეობაში აქაური მკაცრი კლიმატური პირობებითა და ნაყოფიერი მიწების სიმცირით იყო გამოწვეული. ვაზი მიშვებული იყო მუხის, თხმელის, ლეკის ხეებზე.

წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ ართვინის მიდამოებში მიწის სიმცირისა და რელიეფის მთაგორიანობის გამო ფერდობებზე ხელოვნური ტერასებიც ეწყობოდა, სადაც ვაზის საუცხოო ბაღები იყო გაშენებული (Тимофеев С.Н. 1896, 182). ისინი ირწყვებოდა (Норкин Х.Н. 1912, 261).

ლიგანის ხეობაში მევენახეობის განვითარებაზე წერილობით წყაროებთან ერთად მიუთითებს დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები: ქვის საწნახლები, მიწაში უხვად ჩაფლული სხვადასხვა ზომისა და მოცულობის ჭურები, აგრეთვე მაღლარი ვაზის ძველი ჯიშები, მოსახლეობაში დაცული გადმოცემები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ კირნათში, შუშანეთის დასახლებულ უბანში, ყოფილი ეკლესიის ტერიტორიაზე არსებული ქვითკირის საწნახელი. მისი ფსკერი კირითაა ამოლესილი. წინა მხარეს მარჯვენა კუთხეში საწნახელს დატანებული აქვს წვენის გასასვლელი პატარა ვიწრო ხვრელი. წვენი გროვდებოდა ოვალური ფორმის კირით ამოლესილ ქვის ჭურჭელში. საწნახელის სიგრძე ორ მეტრზე მეტია, სიგა-

ნე ერთი მეტრი. საწნახელის ჭერი თაღისებურია. სიმაღლე თაღის უმაღლეს წერტილამდე ორი მეტრია.

ლიგანის ხეობის თითქმის ყველა სოფელშია მიწაში ჩაფლული სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის ჭურები, რომლებიც გადმოცემით ადგილზეც მზადდებოდა, მაგრამ ძირითადად ისინი ბორჩხიდან მოჰქონდათ. ბევრ მათგანში შემორჩენილი ღვინო და ჭაჭაც უნახავთ. გადმოცემით, ნაკირნათევის უბანში ოსმან დიდმანიძეს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე უპოვია წითელი ღვინით სავსე ხუთას ლიტრიანი ჭური (ბორჩხა კერამიკული წარმოების დაწინაურებული კერა იყო მთელ ჭოროხის ხეობაში).

ჭურები. სოფ. კირნათი.
როინ მალაყმაძის ფოტო. 1999

ჩვენი აზრით, ხეობაში, აჭარის მსგავსად, მხოლოდ დიატიპის მარნები უნდა ყოფილიყო გავრცელებლი. ეს საერთო მოვლენა ჩანს დასავლეთ საქართველოსთვის (გეგეშიძე მ. 1956, 131).

ეთნოგრაფიული მონაცემებით, წარსულში ლიგანის ხეობაში გაბატონებული ყოფილა ვაზის შემდეგი ჯიშები: ჩხავერი, კოლოშა, მეკრენჩხი, ლივანური, შავშური, მელისკუდა, ორჯოხული, სინგოთური, ისტამბულაი (ჩაუში), ხარითვალა, ჭიჭიმერი, ჩიტაყურძენა, ჯინეში, ბუტკო, ათმემე ანუ ცხენის-ძუძუ, თეთრაი, საფერავი, დედაბერაი, უსახელო (მალაყმაძე რ. 2000, 21) და სხვა. ამათგან ზოგიერთი დღესაც შემორჩენილია. უკანასკნელ პერიოდში სოფლებში: კირნათში, ქვემო მარადიდში, მირვეთში გავრცელდა შემოტანილი ვაზის ჯიში - იზაბელა ანუ ადესა, კაჭიჭი, ჭეიშვილი, ალიკოტე და სხვა. ისინი გამოირჩევიან კარგი მოსავლიანობითა და გამძლეობით, რის გამოც შედარებით უპირატესობა მოიპოვეს. ამ ჯიშების გავრცელებამ ხელი შეუწყო ვაზის ადგილობრივი ჯიშების გადაშენებას (რამიშვილი მ. 1948, 1).

ვაზის ჯიშთა ასეთი სიმრავლე, ყოველ სოფელში მიწაში უხვად ჩამარხული სხვადასხვა ტევადობის ჭურები, საწნახელები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ წარსულში (ოსმალთა ბატონობამდე) მევენახეობა და მეღვინეობა ლიგანის ხეობის მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას შეადგენდა.

ლიგანის ხეობასა და საერთოდ ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეულ საქართველოს ნაწილში მევენახეობის განვითარებას უდიდესი დაბრკოლება შეექმნა, რაც მეტწილად გამოწვეული იყო ღვინის დაყენებისა და მოხმარების ჯერ თანდათანობით შეზღუდვით, შემდეგ კი აკრძალვით. პირველ რიგში საღვინე ჯიშები გადაშენდა. ვენახად გაშენებული ადგილები გავერანდა, ნავენახარად იქცა და გეოგრაფიულ სახელწოდებებად დამკვიდრდა. ამ დაბრკოლების მიუხედავად მევენახეობა - მეღვინეობა სრულიად როდი მოისპო. ჯ. პალგრევის „ანგარიშები“, რომლებიც მე-19 ს. 70-იან წლებს განეკუთვნება, გვაუწყებენ, რომ ლიგანის ხეობაში ოსმალთა ბატონობის დროსაც მზადდებოდა ღვინო და არაყი, მაგრამ აქაური ღვინო მდარე და ძნელად შესანახი ყოფილა (პალგრევი, 1972). გ. ყაზბეგს აქ მოგზაურობისას (1874) საუცხოო ვაზის ბაღები უნახავს სოფლებში ცრიას/წრიას და ორჯოხს (ყაზბეგი გ. 1995, 107). ამავე ცნობებს ადასტურებს ზ. ჭიჭინაძეც. მე-19ს. 90-იან წლებში იგი წერდა: „ლივანის ყურძენი აქ ძლიერ განთქმულია, მაგრამ დღეს აქეთ მარტო ართვინის ახლომახლო მრავლობს და მოდის ისე, როგორც ძველად ყოფილა. ღვინოსაც აყენებენ“ (ჭიჭინაძე ზ. 1913, 149). ცოტათი ადრე, მე-19 ს. 70-იანი წლების მონაცემებითაც, აქაური ქრისტიანები

საწნახელი. სოფ. კირნათი.
როინ მალაყმაძის ფოტო. 2001

ღვინოს ქართული წესით წურავდნენ და ინახავდნენ ქვევრებში (ბაქრაძე დ. 1987, 41).

ლიგანის ხეობაშიც მევენახეობისათვის დიდი ზარალი მიუყენებია ვაზის სხვადასხვა სოკოვანი დაავადებების გავრცელებას. ამის შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული გაზეთ „ივერიაში“. ართვინის სკოლის მასწავლებელი წერდა: „ჩვენს ვენახებს კიდევ ერთი უბედურება ეწვია: ახალი უბედურება პატარა ჭიებია, უამისოდაც დაზარალებული არიან ჩვენი ვენახები ნაცარას, მილდიუსის და სხვა სენებისაგან.“ („ივერია“. 1889, №616). დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის რაიმე ხერხები მოსახლეობისათვის ცნობილი არ იყო. ამის შედეგად მრავალი ადგილობრივი ჯიშის ვაზი გადაშენებულა.

ყურძნის მცირე ნაწილი ადგილზე იყიდებოდა, ნაწილი ფოთში, ახალციხესა და არდაგანში გაჰქონდათ გასაყიდად. აგრეთვე ცვლიდნენ ხორბალზე, ქვამარილზე (ბაქრაძე დ. 1987, 41). აქაურ ყურძენს დიდი მოთხოვნილება ჰქონდა არტანუჯის სომხურ მოსახლეობაშიც, რომლისგანაც ღვინო მზადდებოდა („დროება“. 1879, №248). სავაჭრო დანიშნულება ჰქონდა ჩურჩხელას, რომელიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა. თბილისში აქაურ ჩურჩხელას ახალციხურს ეძახდნენ. როგორც ჩანს, იგი თბილისში ახალციხის გზით შეჰქონდათ, რის გამოც მან ეს სახელი შეიძინა („დროება“. 1879, №257).

ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით ლიგანის ხეობა მეხილეობის მხრივაც ძველთაგანვე დიდად განთქმული მხარე იყო. ვახუშტის არც აქაური მეხილეობა გამორჩენია ყურადღებიდან. მისი ცნობით, ლიგანის ხეობაში მოჰყავდათ ნარინჯი, ლიმონი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული, ლეღვი და სხვა (ვახუშტი. 1941, 135). ხეობაში ხეხილის ნაყოფიერებას განცვიფრებაში მოუყვანია გ. ყაზბეგი, რომელმაც აქ 1874 წელს იმოგზაურა. იგი წერდა: „მცენარეული ცოტაა, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ქვებს შორის ხელისგულისოდენა მიწაა, ნახავთ ყურძენს, ბროწეულს, ნუშს, ხურმას, ზეთისხილს, ლეღვს და სხვა ჯიშის ხეებს. ნაყოფიერება განსაცვიფრებელია, ჩვენ აქ პირველად დავრწმუნდით, რომ ლივანის გახმაურებული დიდება დამსახურებულია“ (ყაზბეგი გ. 1995, 100). ამასვე აღნიშნავდა რუსი მოგზაური და სამხედრო მოხელე პ.

იურჩენკო. მისი ცნობით, ადგილობრივი მოსახლეობა მისდევდა მებაღეობას, ყველა ოჯახს ჰქონდა კარგად მოვლილი ბაღები, სადაც ხარობდა თეთრი და შავი თუთა, ქლიავი, ხურმა, მსხალი, ვაშლი და სხვა (Юрченко П. 1881, 222).

მეხილეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქ. ართვინის მიმდებარე სოფლები: ნაჭვია, ირსა, წრია, თოლგომი, ლომაშენი, სადაც საუკეთესო ხარისხის ზეთისხილი, ლეღვი, ბროწეული, მსხალი, კომში, მოდიოდა (ჟან მურიე, 1962: 45-261; Вейденбаум Е. Г. 1901, 129, 133, 137). ხილით მდიდარი იყო ბორჩხის რაიონის სოფლები («Кавказ». 1884, №228). მურღულის ხეობის სოფლებშიც ხილი, განსაკუთრებით მსხალი და ვაშლი ერთობ უხვად ყოფილა. ნ. ლევაშოვი წერდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მთავარი საქმიანობა მებაღეობაა. სახელდობრ, ვაშლის მოყვანა. მთელი მურღულის ხეობის სოფლები ვაშლის ბაღებშია ჩაფლული. ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადასასვლელი გზის ორივე მხარეს ვაშლის ბაღებია გაშენებული. აქ ყოველ წელს ვაშლის კარგ მოსავალს იღებენ. იგი კარგი ხარისხისაა, საკმარისად გემრიელია და დიდხანს ინახება (Левашов Н.Н. 1880, 218).

ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ლიგანის ხეობაში ხეხილის შემდეგი ჯიშები დადასტურდა: ვაშლისა - ვანულაი, ჭახევაშლი, ბათუმურაი, მაჭახლურაი, დემირელაი, ვირიტყავაი, შექერაი ვაშლი, პანტა ვაშლი, შაფრანაი, თეთრი შაფრანაი, ფოლიო ვაშლი, წითელი ვაშლი, დილიმა ვაშლი, ლაბადა ვაშლი, ლაბაშტა, ბეჟანაი, გოლდემი ვაშლი, ტუჩა ვაშლი, ბოტიაი ვაშლი, ხოტორა, კვიჭილაი, შერმა, სამაისო, ხაჭუნა, ბუჯურელაი და სხვა. მსხლისა: სხალსასელაი/სასელაი, შაქარაი-მსხალშაქარაი, ყალმუსხაფი/ყარმმუსხაფი, სანთელაი მსხალი, ქირეზ არმუთი (ივნისის მსხალი), ხეჭეჭურა, მარკოვი, თაფლაი/თაფლა მსხალი/მსხალ თაფლაი, კაციოთავაი, პლაკე მსხალი, ხართლო, ისტამბულაი, ეკლესური, მაკაინაი მსხალი, გონივრულაი, მსხალწვენაი, ქვასხალაი, ჭანურაი, ბულდუჯაი მსხალი და სხვა; ტყემლისა: წითელი, თეთრი, შავი, ჯანივრულაი ტყემალი; ქლიავის: კატიწვერაჲ, წაკურაკი, ტყუბაჲ, თეთრი, შავი, ჭიანჭური, დედოფალაჲ, ოტურაჲ, დამასხი, ალიბუხარი; ლეღვის: თეთრი ლეღვი, ტაბანაჲ, შავი ლეღვი, ფათლიჯანა, ზამ-

ბარაჲ, ლოფინჯირი, წიწკაჲ ლეღვი, ისტამბულაჲ, ბაბრა ლეღვი, დევიტაბანი, თეთრი ზეთაი, სპილოსტერფა; თხილის: თხელყაბულიანი/თხელხეჭეპოიანი, გირესუნაჲ თხილი, ყარაყარიშუღი, ბერძნული თხილი, წვიტაჲ თხილი, პანტა, გრძელაჲ.

ჯიშების სახელწოდებები მიღებულია ნაყოფის შედგენილობის, ფორმის, ფერის და სხვა ნიშნების მიხედვით. ასევე ყურადღებას იქცევს ხილის ის სახეობები, რომლებიც იმ ადგილების სახელს ატარებს, საიდანაც ისინი ლიგანის ხეობაში გავრცელდა (ისტამბულაი, ბათუმური, მურღულაი, ბუჯურელა, მაჭახლულაი) და სხვა.

ლიგანის ხეობის მეხილეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ზეთისხილს. გავრცელებული იყო მისი შემდეგი ჯიშები: ბუტკო, ოტურა, გურვალა, სათიზეითუნი. ამათგან უპირატესობა პირველს ენიჭებოდა, რომელიც მდიდარი იყო ზეთის შემცველობით (Норкин Х.Н. 1912, 260).

XIX საუკუნის მონაცემებით ლიგანის ხეობაში ყოველწლიურად 30 ტონა ზეთისხილი იკრიფებოდა. ნაყოფს ალბობდნენ, ამარილებდნენ და ტიკებში ინახავდნენ (Вейденбаум Е.Г. 1901, 137).

ლიგანის ხეობის ზეთისხილი უმთავრესად საექსპორტო საგანი იყო. იგი თბილისსა და ახალციხეში გაჰქონდათ გასაყიდად (ბაქრაძე დ., 1888: 25). ფრანგები კი მისგან კარგი ხარისხის ზეთს ამზადებდნენ და გასაყიდად აგზავნიდნენ („მეურნე“, 1888, 4).

ადგილობრივი მოსახლეობა ხილს სხვადასხვა მიზნით იყენებდა. ყურძნის მოსავლის ნაწილი ტრადიციულად გამოიყენებოდა ისეთი პროდუქტების დასამზადებლად, როგორიცაა ბექმეზი, ჩურჩხელა, ფაფა (ფელამუში). არსებობდა სპეციალური ჯიშის ყურძენი, რომელსაც ჩირად ინახავდნენ. მას ლიგანის ხეობაში აკიდოს ეძახიან. ტყემლისაგან ამზადებდნენ ყორავოს (კოწახური), წოწოქას. ხოლო ტყემლით, ქლიავით, ვაშლით, მსხლით, შინდით ფესტილს ანუ ტყლაპს. მათ დიდი გამოყენება ჰქონდათ სამკურნალო თვალსაზრისითაც. ტყემალის ტყლაპს მაღალი ტემპერატურის და ყელის ტკივილის დროს იყენებდნენ. სახსრების, ნეკნების ტკივილისას საუკეთესო იყო ფესტილის ანუ ტყლაპის საფენები და ა.შ..

ხილისაგან, უმთავრესად ჟოლის, მსხლის, ვაშლის, ქლიავის, ხურმის მწიფე ნაყოფისაგან ამზადებდნენ ბექმეზს, რომელსაც ინახავდნენ დერგებში, ხის კასრებში, ტიკჭორებში. ბექმეზისაგან ლეჩერსა და შარბათსაც აკეთებდნენ. ბექმეზს კაკალთან და მჭადთან ერთად მიირთმევდნენ.

შინაური ხილის გვერდით დიდი გამოყენება ჰქონდა ტყიური ხილის ნაყოფს: მოცვს, მაყვალს, წყავს, წაბლს. მოცვის ფოთლისგან ჩაის ამზადებდნენ, ხოლო ნაყოფისაგან ღვინოს. საუკეთესოდ ითვლებოდა მაყვლისაგან დამზადებული ღვინოც. ჩაი ცაცხვის ყვავილისგანაც მზადდებოდა, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდა.

ამრიგად, ლიგანის ხეობაში მევენახეობა და მეხილეობა აქაური სოფლის მეურნეობის ფართოდ გავრცელებულ დარგს წარმოადგენდა. ხეობის ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო აქ ძირითადად ხარობდა მაღლარი ვაზის ჯიშები. ოსმალთა ხანგრძლივმა ბატონობამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მევენახეობას. თუმცა იგი მთლიანად არ ჩამკვდარა. მეხილლეობით გამოირჩეოდა მურღულისა და დევსქელის ხეობის სოფლები. ხეხილის ნაყოფს სამეურნეო ყოფაში მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი. №588.
2. ართვინის მებაღეობის შესახებ, - „მეურნე“, 1888.
3. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
4. გეგეშიძე მ. მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIX, თბ., 1956.
5. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
6. თოფურია ნ. ქართული მარანი – მსე VII, 1955.
7. მალაყმაძე რ. ლიგანის ხეობაში მივლინების დღიურები. რვეული V, 2000.
8. ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962.

9. რამიშვილი მ. გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები. თბ., 1948.
10. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995.
11. ჭიჭინაძე ზ. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფ., 1913.
12. პალგრევი ვ. ჯ. აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, 1972 (ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში).
13. გაზ. „ივერია“, № 616, №168, 1889.
14. გაზ., „დროება“, №248, №257, 1879.
15. გაზ., „დროება“, 1879.
16. Вейденбаум Е. Г.. Кавказские этюды. Тифл., 1901.
17. Норкин Х.Н. Артвин и его окрестности.-РС. 1912.
18. Тимофеев С.Н. Очерк виноградарства в Батумском и Артвинском округах.-ССВВНК.Тифл.,1896.
19. Левашов Н.Н. Заметка о пограничной линии и зоне на расстоянии от берега Чёрного моря до г.Артвина.-ИКОИРГО.Т.VI. №2,1880.
20. Юрченко П. Заметки о поездке по ушельям рек Чорох-су до Артвина и Мургули-су до Нижней Куры в Батумской области.-газ.«Кавказ»,1881, №216.
21. От Батума до Артвина _ газ. «Кавказ». 1884, №228.

Роин Малакмадзе

Виноградарство и фруктоводство в Лиганском ущелье

Резюме

Виноградарство и фруктоводство является широко распространенной отраслью сельского хозяйства Лиганского ущелья. Естественные климатические условия ущелья опосредовали то, что здесь, в основном, были распространены сорта винограда, пущенные на деревья. Долговременное господство Османской империи нанесло значительный урон виноградарству, хотя полностью оно не было

изжито. Фруктоводством выделялись села Мургульского и Девскельского ущелий. Фрукты имели многостороннее использование в хозяйственном быту.

Roin Malakmadze

Viticulture and Fruit gardening in Ligani Gorge

Summary

Viticulture and fruit gardening are wide spread branch of agriculture in Ligani gorge. On account of the natural-climatic conditions of this gorge, here, basically were spread the species of grapes let into the trees. The long period of Osman Empire domination did great harm to viticulture though it was not get of existing. The gorge of Murguli and Devskeli were distinguished by fruit gardening. The fruit were multilaterally used in the household.

თამაზ ფუტკარაძე

ქართული დიასპორა თურქეთში

ქართველები ერთ-ერთი მსხვილი ეთნიკური ჯგუფია პოლიეთნიკურ თურქეთში, რომელთა ნაწილი ცხოვრობს თურქეთის პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეულ საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე, – ტაო-კლარჯეთში, ნაწილი კი გაბნეულია ქვეყნის შიგა პროვინციების ქალაქებსა და სოფლებში. ისინი დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოებრივ იერარქიაში. ბურსაში, სტამბოლში, ანკარაში, იზმირში ფუნქციონირებს ქართული სათვისტომოები. მათი ძალისხმევით გამოდის ჟურნალი „ჩვენებურები". მიუხედავად ამისა, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა დიდ ნაწილს ბუნდოვანი ან არასწორი წარმოდგენა აქვს საკუთარ ისტორიაზე, საკუთარ სამშობლოზე. ძალიან ცოტაა მათ შორის ქართული წერა-კითხვის მცოდნე, ბევრმა არ იცის მშობლიური ენა, თუმცა შავშეთის, კლარჯეთის, ტაოს ბევრ სოფელში (ზიოსი, ზაქიეთი, ბაზგირეთი, ხევწრული, უბე, დაბა, ხევეკი...) საოჯახო ენა წმინდა ქართულია. ქართულად საუბრობენ კომპაქტურად მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველთა ოჯახებშიც. ისტორიული საქართველოს სოფლებში ბოლო დრომდე შენარჩუნებულია ქართული ტიპონიმები.

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შესახებ ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა სარფის კარის გახსნის შემდეგ. ბევრ ოჯახებს შორის აღსდგა ნათესაური კავშირი, გაადვილდა მიმოსვლა, დაიბეჭდა ცალკეული ნაშრომებიც. მაგრამ ერთმანეთის შესახებ ცოდნის დეფიციტი არაა აღმოფხვრილი, ჯერ კიდევ ყველას არ ესმის იქ დარჩენილი ქართველობის და მათდამი ჩვენი დამოკიდებულების მნიშვნელობა, მათი ღირსებისა და ეროვნულ სიამაყის დანახვა, უერთმანეთოდ დარჩენილი იქეთ-აქეთა ქართველების სულიერი განცდები.

ბოლო პერიოდში თურქეთში შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება არათურქული წარმოშობის მოსახლეობის მიმართ. ქართველ მკვლევარებსაც მიეცათ იქაური ქართვე-

ლების მონახულებისა და მათი ტრადიციულ-ყოფითი კულ-ტურის შესწავლის შესაძლებლობა.

ჩვენი დაკვირვებით, თურქეთის ქართულ მოსახლეობაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი კატეგორიები: ა) ქართულენოვა-ნი და ქართული ცნობიერების; ბ) თურქულენოვანი და ქართული ცნობიერების; გ) გაორებული ცნობიერების („თურქი ვარ, ჰამა გურჯი ვარ"); დ) ასიმილირებული ქართვე-ლები. ნიშანდობლივია, რომ ქართული ენა, ტრადიციულ ყო-ფითი კულტურა ყველაზე მეტად შემორჩენილია იმ ოჯახებში, სადაც ქორწინება ეფუძნება „სისხლის სიწმინდის" დაცვის პრინციპს.

ისლამის მიღების შემდეგ თურქეთში მცხოვრები ქარ-თველების ცხოვრების წესმა გარკვეული ცვლილებები განი-ცადა, მაგრამ ეთნიკურად მათი დიდი ნაწილი მაინც ქართვე-ლებად დარჩა. ძირითადად ქართულია მათი ტრადიციულ-ყო-ფითი კულტურა. იმერხევის ქართული სოფლების მოსახლეო-ბის სამეურნეო საქმიანობამ, მატერიალურმა კულტურამ, ოჯახმა, ქორწინებამ, სულიერი კულტურის ცალკეულმა ელე-მენტებმა შეიძინეს ეთნიკური ფუნქცია, რაც რეალურად არის ისლამის წინააღმდეგ ბრძოლის გზა და ემსახურება ქართული ეთნიკური თვითმყოფადობის, ქართველობის დაცვის ინტე-რესებს.

ქართველები ტრადიციულად ყველაფერს თვითონ აკე-თებენ: ურემს, მარხილს ანუ ხარი არაბას, სახლს, ნალიას, წისქვილს, ხდიან ყავარს, რომელსაც იყენებენ საცხოვრებე-ლი და სამეურნეო ნაგებობების გადასახურავად (1960-1970-იან წლებამდე ყავარი ამ დანიშნულებით გამოიყენებოდა აგრეთვე აჭარის მთიან სოფლებში), თხილის წნელისაგან ქსოვენ კა-ლათებს, გოდორს. აჭარის მოსახლეობის მსგავსად ამზადებენ კეცებს და აცხობენ მჭადს,. მზადდება აჭარასა და საქარ-თველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული კერძები (ერიშტა, სინორი, ბორანი, ფხალი, ლობიო, შორვა, ბეთმეზი...), ერთ-მანეთის დასახმარებლად იყენებენ შრომის ორგანიზაციის ისეთ ფორმებს, როგორიცაა ნადი ანუ მეჯი (ისევე როგორც საქართველოში). ერთ-ერთი რესპონდენტის მონათხრობით პარხალსა და მის ახლომდებარე სოფლებში დიდხანს იყო

შემონახული ძველი ქართული „აგუნას” და „ბახუსის” მსგავსი რიტუალი, რომლის მიხედვით მოსავალის აღების დროს, რთველის დღესასწაულზე ტანგახდილ ჭაბუკებს ტანზე ყურძნის მტევნები ჰქონდათ ჩამოკიდებული და ფერხულს უვლიდნენ, რასაც ხოჯა-მოლები სასტიკად ეწინააღმდეგობდნენ. აღნიშნული რიტუალი საქართველოში დღემდე არსებული „აგუნას” კულტის ვარიაციული სახესხვაობა უნდა იყოს. საყურადღებოა აგრეთვე ე. თაყაიშვილის ცნობა, რომლის მიხედვით გამაჰმადიანებული ქართველები ყურბან-ბაირამის დღესასწაულზე ღებავდნენ კვერცხებს და მიჰქონდათ ეკლესიის ნანგრევებთან (თაყაიშვილი ე. 1991, 217). აქაური ქართველობა (ისევე როგორც აჭარის მოსახლეობა) სამეურნეო-ყოფითი კულტურის მაღალი დონით გამოირჩევა და საქართველოს სხვა მთიანი რეგიონების მოსახლეობასთან შედარებით აშკარა უპირატესობით სარგებლობს. ეს თავის დროზე შენიშნა კიდეც დიმიტრი ბაქრაძემ. იგი წერდა: „თუ ახლანდელ აჭარლებს შევადარებით ჩვენს მთიელ თვისტომებს რუსეთის საქართველოში, სახელდობრ სვანებს, ხევსურებს, ფშავებს, თუშებსა და მთიულებს, შეუძლებელია კულტურის მხრივ უპირატესობა არ მივანიჭოთ პირველთ მეორეთა წინაშე”(დ. ბაქრაძე, 1987, 7).

იქაურმა ქართველებმა დღემდე მოიტანეს ქართული ლექსები, სიმღერები თქმულებები, ცეკვები. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ სიმღერები: „ჯინველო”, „მაყრული”, „თეთრო მამალო”, მგზავრული, ჯაყდანანაი, თარიანინაი, ცეკვები: ბაზგირულაი, ხორუმი, ხელგაშლილაი, შემორბენილაი, დუზხორუმი, გაზრომილაი და ა.შ. ცეკვა „ხორუმი” სრულდება მოცეკვავეთა გრძნობების ემოციური გამოხატვის ფონზე. ამავე დროს შეუძლებელია არ შევნიშნოთ ქართველთა ისტორიული ბედით განპირობებული ტკივილი და სევდა, რაც აშკარად გამოიხატება თითოეული მოცეკვავის გამომეტყველებაში. ცეკვა სრულდება შესაბამისი ჟესტიკულაციით და აზარტული შეძახილებით: „მისცხე-მისცხე”, „მოდი გადატყდი”, „იანზე-განზე” და ა.შ.

დედასამშობლოს მონატრებით გამოწვეული სევდა და ტკივილი ჩანს ჩვენს მიერ იქ ჩაწერილ არაერთ თქმულებაში.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით ჭოროხი იმიტომაა ჩქარი მდინარე, რომ გურჯისტანში ჩაიტანოს ჩვენი სულები და ფიქრებიო. გურჯისტანს ისინი „დიდმემლექეთს" ეძახიან. მეორე თქმულების თანახმად იქაური ქალები ქმრების ჩუმად ტირიან, ცრემლებს ე.წ. გუგუმებში (თუნგი) აგროვებენ და ზაფხულში, ჩურუგას (ივლისი) თვეში გვალვების დროს უწ-ყვეტად ადიან კოლადან, არტანიდან, შავშეთიდან, კლარჯე-თიდან, სპერიდან, ერუშუთიდან, სხვა ქართული პრივინციები-დან მტკვრის სათავესთან, მიაქვთ დაგროვილი ცრემლი და უმატებენ თითქმის დამშრალ მტკვარს, რომელსაც დედასამ-შობლოში ჩამოაქვს იქაურთა დარდი და ტკივილი.

თურქეთის ქართველებმა თარგმნეს და გამოსცეს ქარ-თველი კლასიკოსების: ე. ნინოშვილის, ა. ყაზბეგის, ს, ქვა-რიანის („დიდი მოურავი"), ი. ფადავას („ჩაუმქრალი კერა"), ნ. დუმბაძის („მე ვხედავ მზეს"), შ. რუსთაველის („ვეფხისტყაო-სანი") ასევე ი.ჭავჭავაძის, მ. ჯავახიშვილის, ფ. ხალვაშის და სხვათა წიგნები. ახმედ მელაშვილმა 1960 წელს დაიწყო ქარ-თული კულტურის სახლის მშენებლობა, 1969 წელს გამოსცა წიგნი საქართველოზე „გურჯისტანის" სახელწოდებით რის-თვისაც იგი დაისაჯა.

ქართველები ცხოვრობენ არამარტო თურქეთის პოლიტი-კურ საზღვრებში მოქცეულ საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე, არამედ ქვეყნის სიღრმეში. ისინი ძირითად მუჰაჯირი ქარ-თველების შთამომავლნი არიან. მათ წინაპრებს სახნავ-სათესი მიწების შეუზღუდავი არჩევანის უფლება ჰქონდათ, გარდა თავიანთ ისტორიული ტაო-კლარჯეთისა, რათა სამ-შობლოსთან ურთიერთობის შანსები შეემცირებინათ. ამიტომ მუჰაჯირები მშობლიურ ადგილებს მიმსგავსებულ ტერიტორი-ებს არჩევდნენ და კომპაქტურად, ერთანეთთან ახლოს სახლ-დებოდნენ. ამ მაცდური დიპლომატიის წყალობით, აღმოჩნდნენ ისინი ქვეყნის შიდა რაიონებში. ჩაქვიდან წასულმა ქავჟარაძეებმა, ქიბაროღლებმა, ასევე დღვანიდან, ოლა-დაურიდან, შუბნიდან, დარჩიძეებიდან, ხიხაძირიდან, შუახევ-ჭვანიდან, მაჭახლიდან წასულებმა მათი მთა-გორების მსგავსი ტერიტორიები აირჩიეს და ასე დაარსეს სოფლები: სულხიე, თეფექჩი, ყონაღი, ყარაჯაყაია, ბახჩაყაია, ბაზარალანი,

ჰილმიე, ბაჰარიე, ხაირიე, დერეჩათი, ყარაყადი, გულბახჩა, ფეიზიე, ჩიფთლიგი, ფუნდუღლი, ვენე, ქესტანე, ბათახლი... ამ სოფლებსაც ან ადამიანთა, ან მუჰაჯირთა პროფესიის აღმნიშვნელი სახელები ჰქვია. მაგ., თუფექჩიკონაღი – მეთოფეების ადგილია, ფევზიე – ადამიანის სახელი, ხოლო სოფლის ადგილებს მათი პირველსაცხოვრისისათვის დამახასიათებელ ტოპონიმებს არქმევენ. მაგ. თუფექჩიკონაღში: ორდუბიები, წისქვილები, ორწყალი, ჩარხიღელე, სუბასნები, მაღალყანიები, კატრიანსერი, სოჭიანვაკე, კლდისძირები, წაბლნარი და ა.შ. მათ არა მარტო ადგილთა სახელები, არამედ მცენარეთა სხვადასხვა ჯიშიც გადაუტანიათ ახალ საცხოვრისში. მაგ. უხარებიათ სხალთაფლა, ხეჭეჭური, ბოქშვა, შაქარვაშლა, ბოტიავაშლა, კახამბალი და ა. შ. (ე. დავითაძე, 2003, 174,175; სვანიძე მ. 1996, 5-16). მთხრობელი სუმმან გიუმიში წუხს, რომ ქართველებმა უნაყოფო ადგილები აირჩიეს საცხოვრებლად: „გურჯებმა არჩიეს კარგი ტყე, კაი წყალი, კაი ბუნება, ჰამა სუსტი (უნაყოფო) ადგილები; ხას (კარგ) ადგილებში კი ლაზები, ჰემშილები დასახლდნენო". მთხრობლითვის მიუღებელია, როცა ზოგიერთი თურქი გურჯებს „ჯიმრის ხიზნებს" ეძახის.

ქართველთა რაოდენობის შესახებ თურქეთში დღეს არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული სტატისტიკა. 1950 წლის აღწერით თურქეთში ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველთა რაოდენობა 72604-ს კაცს უდრიდა, 1955 წელს-51982, 1965 წ.-34330. 1965 წლის აღწერით ართვინში 17698 ქართველი ცხოვრობდა, ორდუში – 4815, საქარიაში – 2755, სამსუნში – 2350, გირესუნში – 2029, ბოლუში – 1543, ამასიაში – 1378, ბალიქესირში – 1281, სინოპში – 1144, სტამბოლში – 846, თოქათში – 412 და ა.შ. (რ. ბაქრაძე, 2003, 73)

ქართულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა თურქული აღწერის მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ქართულენოვანი მოსახლეობა თურქული აღწერების მიხედვით: (გაჩეჩილაძე რ. 1972, 536)

აღწერის წლები		1935	1950	1960	1965
ქართული	დედა ენა	57325	72604	32944	34330
	მეორე ენა	16255	-	49175	48976
ლაზური	დედა ენა	63253	70423	21703	26007
	მეორე ენა	5061	-	38267	59101
ს უ ლ		141894	143027	147841	168414

მიუღებულია ცალკეულ ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვიდაც თურქეთში 4-5 მილიონი ქართველი ცხოვრობს. გენეტიკურად შესაძლოა ბევრია ქართველი, მაგრამ ცნობიერებით ქართველი შედარებით ცოტაა. შესაძლებელია ქართველთა რაოდენობა 1,5-2 მილიონს აღწევდეს. დანარჩენებმა განიცადეს ეთნიკური ასიმილაცია. დღეს თურქეთში ღრმადაა წასული ეროვნული უმცირესობების ასიმილაციის პროცესი. ქვეყნის ხელისუფლება წლების განმავლობაში მიზნმიმართულად ატარებდა ქართველთა ასიმილაციის პოლიტიკას.

რესპონდენტ ისა ალთუნის (შავშეთი, სოფ. შერთული) თქმით თურქების მიზანი იყო ქართველების გათურქება. "ენა აკრძალეს, წიგნი გურჯების აკრძალეს და აქამდე მოვედით. ჩვენიანი იტყვის : „თურქი ვარ, ჰამა გურჯიც ვარო", ოსმალოს ბადიში ვარო. საიდან ხარ მისი ბადიში მეთქი ვერ მებნევა. აქ არიან ხიმშიაშვილები, ათაბეგები. არ იციან გურჯული. გუნდუზას (შავშეთში მცხოვრები, გვარად ათაბაგი) ვებნევი: შენ ათაბაგი ხარ, ქართველი, არ იჯერებს. ადრე რომ თავრობის აკრძალულობა არ ყოფილიყო, არ გადატრიალდებოდნენ" (გადატრიალებას ჩვენებურები ქართველობის დაკარგვას ეძახიან). ერთი რესპოდენტი არ მალავდა აღშფოთებას იმის გამო, რომ შვილებს დასაქმების თვალსაზრისით შეუქმნეს პრობლემები მათზე შერქმეული „ქართული სახელების" გამო. რესპოდენტებს არც ის დაუმალავთ ჩვენთვის, რომ ადრე ქართველ ბავშვებს სკოლებში მკაცრად აკონტროლებდნენ და ვისაც წამოცდებოდა ქართული სიტყვა, სასტიკად სჯიდნენო. მისივე თქმით სასტიკად იკრძალებოდა

ქართველთა ერთად შეყრის ყოველგვარი გამოვლინება. „ფესტივალ ადრე ჩუმად ვაკეთებდით, თავრობა გვიშლიდა გურჯის სამა (ცეკვა) იყო, ჰამა ართვინის სამას ვამბობდით – ქართველს ვერ იტყოდი. ფესტივალ ჩუმად ვაკეთებდით, რომ გურჯებ ერთმანეთი გეგვეცნო. პირველად ფესტივალი 1980 წ. გაკეთდა ახმედ მელაშვილის უფროსობით. მან ჩუმათ ჩამოიტანა ქართული ანბანი, ტყეში, უჩუმალად შეკრიბა ჩვენი ხალხი და უთხრა: ამა და ამ დღეს შევყაროთნა სამასიმღერაზეო". როგორც ცნობილია, ახმედ მელაშვილი თურქეთის სპეცსამსახურებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

ქალაქებში ქართველთა გააქტიურებულმა მიგრაციამ ხელი შეუწყო ქართველთა ასიმილაციის პროცესს. რესპონდენტი წუხს, რომ ქართული ანბანის შესწავლის მსურველთა რაოდენობა დღითი დღე მცირდება.

აღნიშნული პოლიტიკის მიუხედავად ქართველთა ნაწილმა დღემდე მოიტანა მშობლიური ენა, ყოფისა და კულტურის ძველქართული თავისებურებები. უსტამისელი (შავშეთის სოფელი) ჯელალ დემირი ქართველებთან შეხვედრით აღფრთოვანებული სიამაყით ამბობს: „თქვენთან ერთად ჯეჰენებშიც (ჯოჯოხეთი) წამოვალ. აგზე რომ გაჭრა (და მიუთითა მკლავზე), ჩემი სისხლი ქართულად დაწერავსო".

ეთნიკური თვითშეგნების ასეთი მაღალი დონე, ეთნოკულტურული თავისებურებების შემონახულობა ხორციელდება კულტურის ეთნოდამცავი მექანიზმების საშუალებით. ერთ-ერეთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უნივერსალური ეთნოდამცავი მექანიზმის მატარებელია ოჯახი, რომელიც თაობათა აღწარმოებასთან ერთად განაპირობებს კულტურის უწყვეტობას და თაობიდან თაობაზე გადაცემას. ოჯახის ეს ფუნქცია კარგად აქვთ გაცნობიერებული თურქეთში მცხოვრებ ქართველებს. ამიტომაცაა, რომ ოჯახის შექმნისას უპირატესობას ანიჭებენ სისხლის სიწმინდის დაცვას, დასაქორწინებელთა ეროვნულ კუთვნილებას. „დაქორწინებიხან გურჯინა ითხუო და ოჯახი გურჯი დარჩებაო" – მოგვითხრობს რესპოდენტი.

თურქ მოსახლეობასთან თანაცხოვრება მომავალში ვერ დაიცავს ჩვენებურებს უცხო ყოფითი ელემენტების შემოჭრისაგან, მაგრამ არც საკუთარი ტრადიციები იქნება მივიწყე-

ბული. ამის თქმის საშუალებას იძლევა ჩვენებურთა ყოფაში დღემდე შემონახული არქაული ელემენტები, წარმართული, ქრისტიანული და ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი თავისებურებების სინთეზი, ძველისა და ახლის სიმბიოზი. თუმცა ჩვენებურებს ხშირად უჭირთ თურქული და ქართული ყოფითი ტრადიციების გარჩევა ერთმანეთისაგან. ამის გამო, გაუთვითცნობიერებულ ადამიანს შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს და დასვას კითხვა: ქართველობა იქ ცნობიერებაა, თუ ტრადიცია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დაკვირვებული თვალი მაშინვე შენიშნავს საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე თუ ქვეყნის სიღრმეში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მიერ ძირძველი ტრადიციების შემონახულობას, დედასამშობლოსთან განშორებით განპირობებულ სევდასა და ტკივილს, რაც ნათლად ჩანს მუჰაჯირი ქართველების ერთ-ერთ ლექსში:

„გაღმაში დარჩა ჩვენი სახლები,
მოკდენ ძველები, დარჩნენ ახლები,
ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი,
თეთრო მამალო, რატომ არ ყივი?"

მსგავსი დამოკიდებულება უფრო ემოციურად გამოხატა გოგინაურელ (შუახევის რაიონი) გოგიტოძეთა შთამომავალმა დურსუნ ოზდილმა: „საქართველო ჩვენი დედამიწა არი. აჭარაში გამრავლებულან ჩვენი ხალხი. ექვსი ძმიდან ერთი მაქ დარჩენილა, ხუთი თურქიეში წასულა. წასულა ჩვენთანაი რამდენი? ბევრი ძალიან, თლათ თურქიეში მოდენილან, ამსილან, გურჯი სოფლები გუუხსნიან, დედის ენა ყველთვინ ულაპარიკნიან .... ღმერთმა ჩვენ ჰუქუმათებსა იმფერი ჭკუა მისცეს, რომ გააყოლავონ წასლა-მოსლა, ხისიმი ხისიმის ნატრული არ დატიონ" (შ. ფუტკარაძე, 1993, 19).

თურქეთში ქართულ დასპორასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა მოითხოვს შემდგომ კვლევასა და სამეცნიერო ექსპედიციებს. ჩვენს მიერ დაწყებული კვლევა მხოლოდ დასაწყისია შემდგომი რთული და საინტერესო მუშაობისა. ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ისლამურ გარემოში ცხოვრების მიუხედავად თურქეთის ქართველობამ ბოლომდე დაიცვა ქართული ყოფისა და კულტურის ზოგადქართული თავისებურებანი, ძირძველ ტრადიციებს დააკისრა

ეთნიკური ფუნქცია და დაუპირისპირდა ისლამის მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ ოსმალური ცხოვრების წესს, ეს იყო და არის ქართველობის შენარჩუნების უმთავრესი წინაპირობა.

ჩვენებურების ახლოს გაცნობა, ტრადიციულ-ყოფითი კულტურის თავისებურებების გაანალიზება, მათი სულიერი ტკივილების გათავისება ნათლად გვარწმუნებს: ისტორიული ბედკუდმართობის მიუხედავად, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ჯერჯერობით ქართველობა და საქართველო ნაწილობრივ გადარჩენილია და ჩვენ კიდევ უფრო ახლოს მივალთ ერთმანეთთან, კიდევ უფრო განვამტკიცებთ სულიერ ერთობას, გავხდებით მათი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, არა თუ ქართული ცნობიერების თანამემამულეებს, არამედ ცნობიერება დამახინჯებულ ქართველებსაც მოვუბრუნებთ გულს. ეს ჩვენი და ჩვენს შემდგომი თაობების უმთავრესი ამოცანაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
2. ბაქრაძე რ.,საქართველოს მიღმა, ბათუმი., 2003.
3. გაჩეჩილაძე რ., ქართული მოსახლეობა თანამედროვე თურქეთში,
4. "მიმომხილველი", ტ.,6. 9. 1969-1972. თბ. , 1972.
5. დავითაძე ე., სოფლის აღმაშენებელი, წ., 4-5. ბათუმი, 2003.
6. თაყაიშვილი ე. სამუსლიმანო საქართველო, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება".ტ. I. თბ., 1991.
7. სვანიძე მ. ქართველები თურქეთში, თბ., 1996.
8. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

Футкарадзе Т.

Грузинская диаспора в Турции

Резюме

Грузины предстовляют одну из крупнейших этнических групп в полиэтнической Турции. Их определеная часть Грузинов проживает на собственной этнической территории, но в политических границах Турции, в частности – Тао-Кларджетии, а другая часть-во внутренних провинциях страны. В труде изложены основние вопросы быта и культуры, национального самосознания и этнические процессы грузин проживающых в Турции.

Phutkaradze T.

Georgian diaspora in Turkey

Summary

Georgians are one of the biggest ethnical groups in the polyethnical Turkey. One part of them live in their oun ethnical territory-Tao Klarjethi, that is located in the political boundaries of Turkey the other part of them is scattered in the inner provinces of the country. The given work represents the main questions of it depicts the questions of the national consciousness and the ethnical processes.

ჯემალ ვარშალომიძე

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრულ-დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე (ჯამეები)[2]

უკანასკნელი ორი ათეული წლის ისტორიულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა სახელმწიფოს დამოკიდებულება რელიგიური აღმსარებლობის საქმეში, კერძოდ სინდისის თავისუფლების საკითხში. მორწმუნეებს მიეცათ ლეგალურად ღვთისმსახურების საშუალება. ეს პროცესი აჭარაში შეუფერხებლად მიმდინარეობს. ასევე აშენდა მრავალი ეკლესია (ბევრიც მშენებლობის პროცესშია); მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეზიარა ქრისტიანულ ღვთისმსახურებას და ეკლესიური გახდა: ინათლებიან ბავშვები, ჯვარს იწერენ ახალგაზრდები, სანთელს უნთებენ და ქრისტიანულ წესს ასრულებენ მიცვალებულთათვის. მართლმადიდებლობისაკენ ლტოლვით გამოირჩევიან მოსწავლე-ახალგაზრდები, სტუდენტები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებმაც შეძლეს თვითგამორკვევა, არჩევანის გაკეთება და მართლმადიდებლური კულტურის სულიერ სამყაროში ადგილის დამკვიდრება.

მეორე მხრივ, ბევრ სოფელში განახლდა ადრე მოქმედი ჯამე-მეჩეთები, და შენდება ახალიც. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგად აცნობიერებს თავის ქართველობას, მართებულად მიიჩნევს მამა-პაპათაგან მიღებული ქრისტიანული ფასეულობების გვერდით სულიერ ერთგულებას გამოხატავს მუსლიმანური სარწმუნოებისადმი. აღიარებენ ალაჰის მიერ მუჰამედ წინასწარმეტყველის მოვლენის აუცილებლობას, ამტკიცებენ სხვა რელიგიებთან ისლამის უპირატესობას; მორწმუნეები აქცენტს აკეთებენ ცოდვა-მადლიანობაზე, ქცევის ზნეობრივ ფასეულობებზე.

[2] ნაშრომის ილუსტრაციები შესრულებულია ჯ. ვარშალომიძის მიერ

ამასთანავე ყურადღებას ამახვილებენ მუსლიმანური სალოცავების–ჯამეების გამორჩეულობაზე, მის ზეციურ ძალასა და მადლზე.

ისლამისა და ჯამეების დამკვიდრება აჭარაში

აჭარაში ხის საკულტო ნაგებობათაგან მხოლოდ მუსლიმანური ჯამეებია (მეჩეთები) შემორჩენილი, რომლებიც სოფლის ან თემის საუკეთესო და ცენტრალურ ადგილებშია აგებული, მეტწილად იმ ადგილებში სადაც ადრე ქრისტიანული ეკლესიები იდგა. შემდგომში ამ ადგილებს ნაეკლესიარი, ნაქილისვარი, ნასაყდრალი ან ნაქართლი ეწოდა (სიხარულიძე ი., 1959, 45-47, 50-58,64,65,77,145,153).

აჭარაში ჯამეების მშენებლობა ისლამის გავრცელებასთან არის დაკავშირებული. ამ პროცესის ნათელსაყოფად რამდენიმე ისტორიულ ფაქტს მოვიშველიებთ. ჟან შარდენი 1672 წელს, როცა აჭარისწყლის ხეობის გავლით თბილისში მიემგზავრებოდა, შენიშნავდა, რომ გონიოდან ერთი დღის სავალზე მდებარე სოფელში ცხოვრობდნენ ქრისტიანები და მუსლიმანები, ხოლო „მთების მცხოვრებნი უმეტესად მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან“ (შარდენი ჟ., 1935, 50,51). ამ პერიოდში მიმდინარეობდა ისლამის ძალმომრეობითი გავრცელების პროცესი ქვემო აჭარაში. მეორე ცნობის მიხედვით ერთი საუკუნის შემდეგ, 1772 წელს, გურიის ეპისკოპოსი გერმანელ მეცნიერ-მოგზაურთან გიულდენშტედტთან საუბრისას ასახელებს მნიშვნელოვან ქრისტიანულ კერებს: შემოქმედს, ჯუმათსა და ხინოს. ირკვევა, რომ ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ, ხინოში მოქმედი საეპისკოპოსო ტაძარი ქრისტიანობის უკანასკნელი კერა იყო მთელ აჭარაში. ქრისტიანული ეკლესიების უმრავლესობა ამ დროს დანგრეული, ხოლო მოსახლეობა თურქთაგან ძალმომრეობის გამო უმეტეს წილად გამაჰმადიანებული იყო (გელაშვილი გ., 1962:129). ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ცნობით 1780 წელს ხინო უკვე მიტოვებულია ხინოწმინდელი ეპისკოპოსის მიერ, ე.ი. თურქეთის ძალადობით მუსლიმანობა აქაც ოფიციალურად იქნა აღიარებული (Бакрадзе Дм., 1878, 92). ამ

მოვლენების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებას ნათელს ჰფენს შემდეგი ცნობები:

1842 წელს სამხედრო დავალებით ბათუმში ჩამოვიდა რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ი.პროსკურიაკოვი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გვამცნობს ადგილობრივი გამაჰმადიანებული მოსახლეობის ეკლესიისადმი მოკრძალების შესახებ, იგი წერს: „ქრისტიანობა აქ თურქეთის ძალმომრეობით მოისპო სხვათა შორის, ეკლესია, რომელიც მოხატულია ძველებური ფერწერით, და კარგად არის შენახული. ხოლო ქართულად მოლაპარაკე ქალაქის მცხოვრებლები, თუმცა მაჰმადიანები არიან, მაგრამ მაინც უფრთხილდებიან და კითხულობენ საღვთო წიგნებს, ზოგიერთ სახლში ხატებიც კი აქვთ, როგორც სახსოვარი იმისა, რომ წინაპრები ქრისტიანები იყვნენ (Проскуриаков Я., 1906,353). შემდეგ მიუთითებს, რომ უფრო მოგვიანებით მოსახლეობაში მაჰმადიანურმა ფანატიზმმა დაისადგურა. მიუხედავად ამისა აჭარლები თავს მაინც ქართველებად თვლიან, ისინი პატივისცემით ეპყრობიან ეკლესიებს, ასრულებენ ზოგიერთ ქრისტიანულ რიტუალებს და წესჩვეულებებს (Ковалевский П., 1914,259).

ეკლესიისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ საინტერესოა სოფ. ჩაქვისთავში ჩაწერილი გადმოცემა: ერთ კაცს ხუთი ვაჟი შეეძინა, მაგრამ ხუთივე მოუკვდა. მას დაესიზმრა, რომ ბავშვის წონის ოდენობით სანთელი უნდა მიეტანა ეკლესიასთან. მართლაც იგი ასე მოქცეულა და მეექვსე ვაჟი გადარჩენია სიკვდილს. ეკლესიასთან ან ნაეკლესიარზე უშვილო ქალებს ან ავადმყოფებს შესაწირავი მიჰქონდათ და შესთხოვდნენ სურვილის აღსრულებას. ქობულეთის რაიონიდან მოსახლეობა გურიის მეზობელი სოფლების ეკლესიებში ქრისტიანულ დღესასწაულებზე მიდიოდა, ფულსა და შინაურ ფრინველებს სწირავდა, რასაც ზოგჯერ კარნახობდნენ ხოჯა-მოლები, როცა ავადმყოფებს ვერ ჰკურნავდნენ. ჭვანის ხეობაში კარგად ახსოვთ გადმოცემა, სოფ. ახალდაბაში რომ გაიხსნა პირველი ჯამე, მაშინ მეზობელ სოფელ ჭვანაში ეკლესია მოქმედებდა. ახსოვთ ისიც, რომ უკანასკნელმა მღვდელმა დიმიტრი ქათამაძემ იქაური ხატები გურიაში, შემოქმედის ტაძარში წაიღო, რის გამოც მას ახალციხის ფაშასთანაც კი უჩივლეს, მაგრამ დროთა განმავლობაში

იკლო ამის გამკითხველთა რიცხვმა და მის დაბრუნებაზე შემდგომში აღარ უზრუნიათ.

ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ისლამის გავრცელების შემდგომაც ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი, ეკლესიები ფართოდ გამოიყენებოდა მუსლიმანთა სალოცავად. სოფელ ახოელი (ქედის რ.) ხანდაზმული მამაკაცების გადმოცემით, მუსლიმანობის მიღების შემდეგაც დიდხანს ლოცულობდნენ ახოელები ეკლესიაში, რომელიც თავისუფალი იყო ქრისტიანული ჯვრებისაგან. ზოგჯერ ხდებოდა ჯვრების შენიღბვა, რიგ შემთხვევაში კი მისი გამრუდება (პერპენდიკულარული გადაკვეთის ნაცვლად ჯვრის მკლავები დიაგონალურად იყო გადაჯვარედინებული). ამ მხრივ საინტერესოა სოფელ ორცველი ქ.ა. აბულაძის (80 წლის) ნაამბობი: „სოფელში ქილისე (ეკლესია-ჯ.ვ.) იდგა. აქაური მღვდელი ბათუმში იყო წასული. როცა ბრუნდებოდა, სოფელ ძენწმანის ხიდზე მისულმა გამოიხედა სოფლისაკენ და დაინახა, რომ ქილისე დანგრეული იყო. მაშინ მან ერთი მაგრად ჩამოიტირა და უკან მიბრუნდა. დანგრეული ქილისე ჩამოიტანეს და ჯამედ ააგეს იქ, სადაც ახლა კაკაბაძეების უბანია. აშენებისას ძველი ხაჩები (ჯვრები) შეაბრუნ-შემოაბრუნეს, გაამრუდეს. დანარჩენი მთელი მასალა, მათ შორის ნამჭრელებიც, ჯამეს აშენებაზე მოუხმარიათ“ (ვარშალომიძე ჯ., 1998, 118).

ამრიგად, ჯამეები მხატვრულ-კონსტრუქციული თავისებურებებით დიდადაა დავალებული მისი წინამორბედი ქრისტიანული ეკლესიებისა და საცხოვრებელი სახლების არქიტექტურისაგან. ჯამე გარეგნული ფორმა-მოყვანილობით აჭარულ საცხოვრებელ სახლს წააგავს,[3] მათ შორის განსხვავე-

[3] ეს გარემოება აჭარაში ჯერ კიდევ ვ.ლისოვსკიმ შენიშნა. იგი ჯამეს შესახებ წერს: „…она снаружи ничем, кроме несколько большей величины, не разнится от обыкновенного жилища и, подобно последному, строится или из одного дерева, или из дерева на каменном футдаменте» (Лисовский В., 1887,82).

არა მარტო აჭარული ჯამეების ადგილიბრივ სახლებთან გარეგნულობით, ფორმა-მოყვანილობითა და შემკულობით ანალოგიებს აღნიშნავდნენ, არამედ მათში ეკლესიების ორნამენტების არსებობასაც ადასტურებდნენ. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია XIX საუკუნის 80-იან წლებში სპეციალობით არქიტექტორის, აკადემიკოს ა.მ. პავლინოვის ცნობები. მან მოინახულა აჭარისა და მისი მიმდებარე კუთ-

ბას ქმნის ინტერიერი, რომელიც გულისხმობს მრევლის მაქ-სიმალურ ტევადობასა და ისლამისათვის დამახასიათებელი რელიგიურ-საკულტო ობიექტების არსებობას. იგი ასევე არ გამოირჩევა სახლებისაგან გადახურვის მიხედვითაც და არც ექსტერიერის გაფორმებით იწვევს განსაკუთრებულ ყურადღე-ბას თუ მხედველობაში არ მივიღებთ მინარეთს, რომელთა არც ერთი ნიმუში არ გადარჩენილა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაჩაღებული ანტირელიგიური კომპანიის შედეგად. ამ ბოლო წლებში ბათუმში, ხელვაჩაურსა და ზემო აჭარის რამდენიმე სოფელში ახლებურად არატრადიციული სამ-შენებლო მასალით აღადგინეს მინარეთი და ჯამეში კულტ-მსახურება განაახლეს.

ჯამეს აშენება თავდაპირველად სოციალურად მაღალი წრის წარმომადგენლებს სჭირდებოდათ ოსმალეთის სულთა-ნისათვის ერთგულების დასამტკიცებლად, შესაბამისად პრივი-ლეგიების შესანარჩუნებლად, ხოლო 1840-იან წლებში, ე.ი. თანზიმათის გატარების შედეგად თურქეთის არმიაში ადგი-ლობრივი მოსახლეობიდან ახალგაზრდების გაწვევის შემოღე-ბის კვალობაზე. ჯარში დაწინაურების სტიმული მიეცათ იმათ ვინც ეზიარა ისლამს და თურქულიც ისწავლა. რის გამოც აქა-იქ სოფლებში გამოჩნდნენ თურქული ენის მცოდნენი და ისლამის წესების აღმსრულებელნიც და ამიტომაც ჯამეების მშენებლობის აუცილებლობაც შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების ანუ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ჯამეების მშენებლობის გააქტიურების ახალი ეტაპი დაიწყო, რასაც რუსეთის ხელისუფლება ფარული პოლიტიკით ხელს უწ-ყობდა, ისევე როგორც მუჰაჯირობას. XIX საუკუნის დასას-რულს, ისლამის მომძლავრებასთან ერთად ახალ-ახალი ჯა-მეებით მოიფინა მთელი აჭარა და მისი რაოდენობა 200-მდე აღწევდა (ახვლედიანი ხ. 1944,12).

ჯამეების ხუროთმოძღვრულ-დეკორატიული თავისებურებები

ხეების ჯამეები და დაადასტურა მათ შემკულობაში ქართული ეკლესი-ების ორნამენტი (Павлинов А.М., 1893,76).

ჯამეების სიდიდე დამოკიდებული იყო სოფლის მოსახლეობის რაოდენობაზე, მათ ეკონომიკურ შესაძლებლობაზე. პატარა სოფლებში (ქოსოფელი, ბზუბზუ, ზედა მახუნცეთი, გეგელიძეები) საკულტო ნაგებობანიც პატარა იყო. ზოგიერთ სოფელ'ში ორი და ზოგჯერ სამი ჯამეც კი აუგიათ უბნების მიხედვით. ასე, მაგალითად, ორცვაში სამი ჯამე ყოფილა, ორი ჯამე ამჟამადაა შემორჩენილი სოფ. კვაშტაში. ზოგიერთ სოფელ'ში ერთი ჯამე ჰქონდათ, მაგრამ შედარებით დიდი. ასევე, ჯამეები ერთმანეთისაგან განსხვავდება შემკულობის, ორნამენტაციის ინტენსივობით. ეკონომიკურად ძლიერი სოფლები დიდ ჯამეებს აგებდნენ და მდიდრულადაც ამკობდნენ ჩუქურთმებით. იშვიათად, მაგრამ მაინც ყოფილა უჩუქურთმო ჯამე (სოფელი ზედა მახუნცეთი), თითქმის ყველა შემთხვევაში ჯამეების მშენებლობისას დაცული იყო მთელი რიგი სავალდებულო წესები. კერძოდ, ჯამეს გარშემოწერილობა ოთხკუთხა, ხშირად კვადრატული უნდა ყოფილიყო. ფასადი უმთავრესად აივნიან, შესასვლელიან მხარესაა და მეტწილად რიკულებიანი ან გამჭოლად ამოკვეთილი სახეებიანი მოაჯირითაა დამშვენებული. გამონაკლისია სოფ. ცხმორისის ჯამეს აივანი, რომელიც ამოშენებულია ფიცრით და მასში ფანჯრებია ჩასმული, რაც უზრუნველყოფს აივნისათვის საკმარის სინათლეს (ვარშალომიძე ჯ., 1978, 29,30).

აივნის ორიენტაცია მტკიცედაა განსაზღვრული და იგი ძირითადად ჩრდილოეთითაა მოქცეული. ჯამეს ინტერიერში შესვლისას მორწმუნე სამხრეთისაკენ, პირდაპირ მუსლიმანური წმინდა ადგილისაკენ (მექა) მიმართული აღმოჩნდებოდა. ასეთი ორიენტაცია განსაკუთრებით ლოცვისას უნდა დაეცვათ. ყველა რიტუალური და სამლოცველო ადგილები მხოლოდ სამხრეთის კედელთანაა თავმოყრილი. საგანგებო ყურადღება ეთმობოდა ყველა მათგანის ორნამენტით შემკობას. ჭერიც განსაკუთრებული მონდომებით უნდა შემკულიყო.

ჯამეს აივნის ჩუქურთმიანი სვეტებითა და კარებით იწყება მნახველზე უშუალოდ ემოციური იმპულსირება. უფრო ძლიერი ემოციური გავლენის სფეროდ რჩება ინტერიერი, სადაც გაფორმების მთელი შესაძლებლობანია გამოყენებული და ხეზე კვეთილობის საუკეთესო ნიმუშებია კონცენტრი-

რებული, რამაც მნახველზე, მორწმუნეზე ესთეტიკური გავლენა უნდა მოახდინოს, განაცვიფროს და შექმნას ამაღლებული სამყარო თვით მიწიერ ცხოვრებაში. მორწმუნემ აქ უნდა განიცადოს ამქვეყნიურ სამოთხეში ყოფნა. ამაზე მეტყველებს ეგზოტიკური მცენარეების სიუხვე ინტერიერის ორნამენტაციაში, ასტრალური სახეებით გატაცება და წყლის სიმბოლოების სიმრავლე.[4] ყოველივე ამას მნახველი აღიქვამს, ისე რომ მას არ სჭირდება განმარტება თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანი. იქმნება ასოციაციების ფართო ასპარეზი, რასაც უთუოდ ხელს უწყობს შეზღუდული განათება. მომცრო ზომის სარკმელის მეშვეობით ჯამეს ინტერიერში სინათლის ისეთი ოდენობა გამოიყენება, რაც იდუმალი განწყობისაკენ უბიძგებს მორწმუნეს. აღნიშნულ ფაქტორებს ემატება არაბულ ენეზე რელიგიური ქადაგებანი, რომელთა უმთავრეს ნაწილს მოლახოჯების განმარტების გარეშე მსმენელი ვერ გებულობს. საგულისხმო და ანგარიშგასაწევია ლოცვების მელოდიურრითმული წარმოთქმა, მით უმეტეს, რომ იგი ხშირად დახვეწილი ხმით სრულდება.

ყოველივე ეს ერთად აღებული საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს მორწმუნეზე, რომელიც უსუსური და უძლური ხდება გარემოსა თუ ცხოვრებისეული სიძნელეების მიმართ. ამას ემატებოდა ბედის წინასწარმეტყველების შეგონებანი და პიროვნებას მორჩილების განცდა იპყრობს.

ჯამეების აგება სოფლის ან თემის მოსახლეობის საგანგებო მზრუნველობის ობიექტს წარმოადგენდა. იგი საუკეთესო მასალისაგან (წაბლი, თელა, ცაცხვი, ნაძვი) შენდებოდა შრომითი და ფულადი კოოპერაციით. ზოგიერთი ჯამეს მშენებლობა რამდენიმე წელსაც კი გრძელდებოდა.

აჭარის სოფლებში არსებულ მუსლიმანურ საკულტო ნაგებობათა და მათი ორნამენტების დეტალური განხილვა ერთ სტატიაში შეუძლებელია. ამიტომ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ გარკვეულ თავისებურებებზე და შევეცდებით ზოგადი სურათის წარმოდგენას, რადგანაც თითოეული ჯამე

---

[4] ყურანში დიდი ყურადღება ეთმობა ეგზოტიკურ მცენარეთა წალკოტებს, ციურ მნათობებსა და მოჩუხჩუხე ნაკადულებს (კურანი, 1906:თავი VI, მუხლი 96,97,99,142; თავი X, მუხლი 5; თავი 5; თავი XVI, მუხლი 10-12, 69 და სხვა).

მდიდარი და მრავალფეროვანი ორნამენტებით ხუროთმოძღვრულად მეტად საინტერესო ძეგლია. ამ საკულტო ნაგებობებს შემკულობის მიხედვით მსგავსი და განსხვავებული სახეები გააჩნია, რომელთაგან ერთი ნაწილი დეკორატიული ფუნქციისა, ხოლო მეორე – რწმენა-წარმოდგენების ნიშნებს ინარჩუნებს, ცალკეული კი საწესჩვეულებო ხასიათისაა.

ხის საკულტო ნაგებობათა ექსტერიერისათვის დამახასიათებელი ჩანს სახურავის კარნიზის არშიების, სართულთაშორის მდებარე თავხის, კედლის და ფიცრების შემკვრელი „ბოყვის“ შემკულობა. აივნის მოაჯირი ხშირად დამშვენებულია წრიულ-პლასტიკური რიკულებით ან ბრტყლად პროფილირებული აჟურული სახეებით. იშვიათია, რომ აივნის სვეტები ამ სვეტის თავები შემკულობის გარეშე იყოს დატოვებული. მაგრამ ყველაზე დიდი ყურადღება მაინც კარების დეკორატიულ გაფორმებას ეთმობოდა.

საკულტო ნაგებობების როგორც ცალ, ასევე წყვილ ფრთიანი კარები შემკულობის ფორმისა და შინაარსის მიხედვით ნაირგვარია. იგი ძირითადად მცენარეული („სიცოცხლის ხე“, ფოთოლი, ყვავილი, ყლორტი, კვირტი, ვაზის მტევანი, ბროწეულის ნაყოფი და სხვა), გეომეტრიული (სამკუთხედი, ზიგზაგი, წნული, წრე, ნახევარწრე, S-სებური სახე, ჯვარი და სხვ.), ასტრალური (გასხივოსნებული მზე, ბორჩხიალა, მზის ბორბლისებური დისკო, ვარსკვლავი და სხვ.) მოტივისაა.

აჭარაში ხის ჯამეების ორნამენტირებული ჭერი გუმბათოვანი, გვირგვინისებური და ბრტყელზედაპირიანი ფორმითაა წარმოდგენილი.

ზოგიერთი გუმბათი ნახევარსფეროსებურად წკნელით მოწნული, თიხით შებათქაშებული, თეთრ ფონზე ზეთის

1

2

3

4

წნულები ჯამეებზე: 1– 4 ზედა ჩხუტუნეთი; 2 მერისი; 3 ხიხაძირი.

საღებავის სხვადასხვა ფერებითაა მოხატული. იგი შემკულია მცენარეული (ყვავილი, ფოთოლი, ვაზის მტევანი), ასტრალური (მზე, მთვარე, ვარსკვლავი) და გეომეტრიული (წრეების, სწორი და ტალღისებური ხაზების, რკალებისა და სხვა გეომეტრიული ნაკვთების კომბინირებული) მოტივებით.

გვირგვინისებური ჭერის შემკულობაში გვხვდება მცენარის სტილიზებური ფოთლები, ასტრალურ მნათობთა სიმბოლოები, წყვილ S-სებური ელემენტისაგან შემდგარი გულისებური კონფიგურაციის მქონე ფიგურები, რკალები, ტალღისებური სწორი და ზიგზაგური ხაზები, ვარდულები და სხვა.

ბრტყელზედაპირიანი ჭერი შედარებით სადა შემკულობით ხასიათდება. იგი მოკლებულია კომპოზიციურ და კონსტრუქციულ სირთულეებს. მასზე ვხვდებით გეომეტრიულ და მცენარეულ სახეებს.

საკულტო ნაგებობების სვეტის თავებისათვის ნიშანდობლივია გეომეტრიული (წრე, სამკუთხედი, S-სებური სახე, ტალღისებურად მიმოხვეული, ირიბი და სწორი პარალელური ხაზები, რკალი, ზიგზაგი, ჯვარი), ასტრალური (მზე, ვარსკვლავები), მცენარეული (ყვავილი, ღერო, ფოთოლი) და იშვიათად სხვა მოტივებიც. ამათგან დიდი სიუხვით გამოირჩევა ასტრალური და გეომეტრიული სახეები.

ჯამეების კედლის შემკულობა ძირითადად ინტერიერში გვხვდება, იგი იმეორებს შენობის სხვა ობიექტებზე არსებულ მცენარეულ, ასტრალურ თუ გეომეტრიულ სახეებს. გარდა დასახელებული შემკულობის ელემენტებისა კედლებზე ადგილი ეთმობა არაბულ ენაზე შესრულებულ წარწერებს, რომლებიც ყურანიდან არის აღებული, მათ შორის კი სიმრავლით ხასიათდება მუსლიმანი მორწმუნისათვის უმთავრესი ფორმულა „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მისი მოციქული მუხამედი“. როგორც აღნიშნული დოგმა, ასევე სხვა ეპიგრაფიკული ნიმუშები დიდი მონდომებითა და ხელოვნებით არის შესრულებული, ზოგიერთი კი იმდენად არის ორნამენტირებული, რომ არაბულის გაწაფულ მცოდნესაც უძნელდება მისი ამოკითხვა.

მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებს გააჩნია სპეციფიკური რიტუალური დანიშნულების ადგილები; შენობის გა-

რეთ–მინარა//მინარეთი,[5] ინტერიერში–მიჰრაბი// მიხრაბი,[6] ხუთ-ბე-მიმბარი,[7] ქურსი,[8] რომელთა მდებარეობა, ორიენტაცია ჯამეში მტკიცედაა განსაზრვრული.

ჯამეს რიტუალური ობიექტები საყურადღებო შემკულობით გამოირჩევა, მაგრამ თითოეული მათგანისათვის განსაკუთრებული, დამახასიათებელი სახეების არსებობა არ შეინიშნება. ასე, მაგალითად, მიმბარის კარიბჭის თავის გამჭოლად გამოკვეთილი ორნამენტები სხვადასხვა ჯამეზე მცენარეული, გეომეტრიული, ასტრალური და საგნობრივი სახეებით იცვლება, რომლებიც საკულტო ნაგებობათა შემკულობაში ნებისმიერ ადგილზე შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

ჯამეების ორნამენტაციის ძირითადი მოტივები

ხის საკულტო ნაგებობების – ჯამეების, მათი მშენებელი ლაზი და აჭარელი ოსტატების, ზოგადად კი ქართული ეთნიკური წრის მოსახლეობის მხატვრულ-შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის წარმოჩენისათვის აუცილებელია მის დეკორატიული საქმიანობის სამყაროში უფრო ღრმად ჩაწვდომა; აგრეთვე ცალკეულ სიუჟეტებსა და სახეებში რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების ელემენტების გამოვლენა.

აჭარაში მუსლიმანური საკულტო ნაგებობის შემკულობაში ქართული ხალხური ხუროთმოძღვრული ტრადიციების შემონახულობა მრავალი კონკრეტული მონაცემით დასტურდება (სუმბაძე ლ., 1982). ზოგადად აღსანიშნავია ის, რომ

---

[5] **მინარეთი**–ჯამეს გვერდით აგებული მაღალი კოშკია, საიდანაც მუეძინი მორწმუნეებს სალოცავად ხმამაღლა მოუხმობს. ამჟამად იგი გაძლიერებულია რადიორეპროდუქტორის მეშვეობით.

[6] mihrap -(არაბ.)-მიჰრაბი, სალოცავი ნიში ჯამეში, რომლისკენაც ლოცვის დროს სახითაა მიმართული მლოცავი (Магазаник Д., 1945).

[7] mimber (არაბ.)-კათედრა, კიბისებური მრავალსაფეხურიანი, კარიბჭიანი, მოაჯირიანი ნაგებობა. ხოჯა ჯუმა (პარასკევი) დღეს, ყურბანბაირამის (მსხვერპლშეწირვის) და რამაზანის (მარხვის) დღესასწაულებისას ამ კათედრაზე ყურანის ცალკეულ თავებს კითხულობს (Магазаник Д., 1945).

[8] kürsü (არაბ.)–ტრიბუნა, მცირე კათედრა, შემაღლებული ადგილი ხოჯის ქადაგებისათვის (Магазаник Д., 1945).

ჯამეებში მცენარეული ორნამენტები დიდი სიჭარბით გამოირჩევა, ვიდრე სხვა მოტივის სახეები.[9]

აჭარის ჯამეებზე გამოსახული მცენარეული სახეები შესრულების ტექნიკის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. პირველს ეკუთვნის ხის ზედაპირზე ამოკვეთილი მცენარეული სახეები, მეორეს-ხის ზედაპირზე ფერწერულად ზეთის საღებავებით შესრულებული სახეები. ხეზე ამოკვეთილი მცენარეული ორნამენტი უფრო ძველია, ხოლო ფერწერული ნახატები გვიანდელი (XIX საუკუნის დასასრულიდან შემოდის). ინტერიერის ფერწერული მოხატვა, უმთავრესად, დამახასიათებელია აჭარის ზოგიერი ჯამეს შემკულობისათვის.

სიმინდის გამოსახულება. სოფ. ღორჯომი.

ჯამეების ინტერიერის შეღებილობა-მოხატულობის სპექტრი წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, თეთრი და შავი ფერისაგან შედგება (იშვიათად გვხვდება ნარინჯის, ჩალის, იისა და ცისფერი). ფერების განლაგება-შეხამება პირობითია, რადგანაც არ ემყარება გარკვეულ კანონზომიერებას. მიუხედავად ამისა, თუნდაც მკვეთრი ფერები საერთო გამაში საინტერესოდ აღიქმება. ხის ზედაპირდამუშავებული რელიეფის გადაღებვით განპირობებულია შუქ-ჩრდილის ნაირსახეობა, ფერთა თამაში, მუქი და ღია ტონების მონაცვლეობა.

ხეზე ამოკვეთილ თუ ფერწერულად შესრულებულ მცენარეულ ორნამენტში საყურადღებო ადგილი უჭირავს ადამიანისათვის ისეთ ძვირფას სამეურნეო კულტურებს, როგორიცაა: სიმინდი, ვაზი, ბროწეული, ვაშლი და სხვა.

სიმინდის გამოსახულებები გვხვდება სოფ. ღორჯომის, ნიგაზეულის (ხულოს რ-ნი), დღვანის, გოგაძეების (შუახევის

[9] თურქეთის მუსლიმანური ძეგლებისათვისაც დამახასიათებელია მცენარეული სახეების სიუხვე (Бородина Н.Ф., 1969,448, 450, 468, 469).

რ-ნი), ჭახათის (ქობულეთის რ-ნი) და სხვა მუსლიმანურ საკულტო ნაგებობათა ფასადებზე, უმთავრესად შენობის აივნის გარე კედელზე. იგი ზეთის საღებავითაა შესრულებული ყოველგვარი წინასწარი დამუშავების (დაგრუნტვის) გარეშე. ნატურალური ზომის სიმინდის ნახატზე მკაფიოდ მოჩანს მცენარის ფესვები, მთავარი ღერო, გადახრილი ფოთლები, ორი ან სამი ტარო „ფოჩვებით“.. მცენარე უმთავრესად მწვანე ფერითაა შესრულებული.

ბროწეულის გამოსახულება. სოფ. მეძიბნა

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აღნიშნული საკულტო ნაგებობანი ლაზი ოსტატების მიერ არის აგებული და ნახატებიც მათივე შესრულებულია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საკულტო ნაგებობებზე სიმინდის მცენარის გამოსახულება აჭარაში მოგზაურ ლაზ ხუროთა ემბლემას წარმოადგენდა. ცნობილია, რომ აჭარაში, საერთოდ, საქართველოში სიმინდის გავრცელების საქმეში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ლაზ ხუროებს, რომლებიც მათ მიერ აგებულ საკულტო ნაგებობაზე ემბლემად სიმინდთან ერთად, ზოგჯერ გემსაც გამოსახავდნენ, როგორც მათი შრომა-საქმიანობის დამახასიათებელ სიმბოლოს (ვარშალომიძე ჯ., 2005,87-89), მითუმეტეს, რომ მათი საქმიანობის არეალი მეტად ვრცელი იყო (Марр Н.Я., 1910,617,618; ბაწაში წ., 1988,47).

ბროწეულის გამოსახულება. სოფ. ჯაბნიძეები

საკულტო ნაგებობებზე, განსაკუთრებით დღვანისა და ჯაბნიძეების (შუახევის რ-ნი) ჯამეებზე მკვეთრად გამოვლინდა **ბროწეულის** ფოთლის, ყვავილის თუ ნაყოფის გამოსახვის რამდენიმე ნიმუში. ბროწეულის ორნამენტის ხალხური გააზრება მივიწყებულია. აღსანიშნავია, რომ ხალხური

მედიცინა „წიგნი სააქიმო“, „უსწორო კარაბადინი“, „იადაგარ დაუდი“ კარგად იცნობს ბროწეულის სამკურნალო თვისებებს.

დიდი სიმრავლით გვხვდება მუსლიმანურ საკულტო ნაგებობათა ინტერიერში ხეზე ამოკვეთილი ან ზეთის საღებავით მოხატული **ვაზის ორნამენტი**. იგი წარმოდგენილია, უმთავრესად, მტევნის სახით, რომელსაც ზოგჯერ ახლავს მიმოხვეული ღერო და ფოთლები. ყურძნის მტევნები სხვადასხვა ფორმისა და სიდიდისაა, რაც შესაძლოა ვაზის სხვადასხვა ჯიშს გამოხატავდეს, ვაზის მტევნებით შემკულია თხილვანის, ღორჯომის, აგარის (ხულოს რ-ნი), ჯაბნიძეების, მახალაკიძეების, ვარჯანაულის, დღვანის (შუახევის რ-ნი), გულების, ზუნდაგის, ხოხნის (ქედის რ-ნი), ჩიქუნეთის[10] (ხელვაჩაურის რ-ნი) ჯამეები. ყურძნის გამოსახულების განსაკუთრებული სიუხვე სოფელ დღვანის ჯამეს ინტერიერში აღინიშნება, აქ ვაზის მტევანი არა მარტო რელიეფურადაა ამოკვეთილი, არამედ კედლებზე ზეთის საღებავითაც არის მოხატული. რელიეფურად გამოკვეთილი ყურძნის მოზრდილი მტევნები (6 ცალი) გამოსახულია მინბარზე, ხოლო უფრო მეტი რაოდენობით ფერწერულადაა შესრულებული შენობის შიდა კედლებზე, ეს უკანასკნელი საკმაოდ ორიგინალური ჩანს.



ვაზის გამოსახულება. სოფ. აგარა

დღვანის ჯამეს ინტერიერის კედლებზე ვაზის მტევნები ზეთის საღებავით მოხატულია ყვავილოვან მცენარეთა კომპლექსში რამდენიმე ვარიანტად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი მათგანი, რომლებიც კომპოზიციურად ურთიერთ მსგავსია. ნახატი სიმეტრიულია. სიმეტრიის ღერძად გამოყენებულია ვერტიკალური ღერო, რომლის ქვედა ბოლო ჩაშვებუ-

[10] ჩიქუნეთის ჯამე გადატანილია ქ.თბილისში, ღია ცის ქვეშ მუზეუმში, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში. ამ ძეგლს საყურადღებო მეცნიერული გამოკვლევები მიეძღვნა (Таварткиладзе И., 1972,158; სუმბაძე ლ., 1982).

ლია სტილიზებულ ჭურჭელში, ხოლო ზედა ნაწილზე წარმოდგენილია გაშლილი ყვავილების თაიგული, ყვავილებთან ერთად ვაზის მტევნებიცაა. სტილიზებულ ჭურჭელში ჩარგული მცენარის გამოსახვა ძველთაგანვე სცოდნიათ საქართველოში.

დღვანის ჯამეს ინტერიერში, პირველი სართულის აღმოსავლეთ კედელზე, ფერწერულად გამოსახულია ყვავილების თაიგულები, ვაზის წყვილ-წყვილი მტევნები და ვაშლები (?), ნახატის ქვემოთ არაბულ ენაზე შესრულებულ წარწერაში ამოიკითხება ქართველი მხატვრის აღმოსავლური სახელი. წარწერის თარგმანი შემდეგი შინაარსისაა: „დავამთავრე და ვთქვი მადლობა, თუ შეცდომით შევასრულე, მაპატიეთ. ხელობის შემსრულებელი იბრაიმ-ეფენდი შავშეთელი. 1908 წ.“

ეს ჯამე აშენებული ყოფილა ლაზი ხელოსნის ომერ უსტის მიერ, რაზედაც მიუთითებს როგორც ადგილობრივ ხანდაზმულ პირთა გადმოცემა, ასევე ჯამეს შესასვლელი კარის თავზე ამოკვეთილი წარწერა, ნახატი კი ჯამეს აშენების 3 წლის შემდეგაა შესრულებული. ნახატის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი შემსრულებელი საკმაოდ გაწაფული ყოფილა კედლის ფერწერაში. აქ მნიშვნელოვანია თვით ის ფაქტიც, რომ საკულტო ნაგებობაზე ვაზის მტევნები მოხატულია მუსლიმანური რელიგიის მსახურის ხელით. ისიცაა საგულისხმო, რომ მომხატველი წარმოშობით ქართველი (შავშეთელი) იყო.

სოფელ გულების შესასვლელი კარი წყვილფრთიანია (სიმაღლე 172 სმ, მთლიანი სიგანე 90 სმ). ორივე კარზე ორნამენტია ამოკვეთილი. კარის ქვედა ნაწილზე ვაზი მილტუჩა და სახელურიან სურაშია ჩაშვებული, სურას თავ-ბოლოზე კონცენტრირებული წრეები აქვს შემოვლებული. სურის ყელიდან ამოსული სწორი ღერო სიმეტრიულად ხუთჯერ განშტოებული და დახრილია რკალური ღეროებით. თითოეულ ღეროზე თითო მტევანია ჩამოკიდებული. მტევნები ერთნაირი ზომისაა და 7-7 ცალი მარცვალი აქვს. მტევნებს ორივე გვერდით ხორბლის მარცვლისებური მოყვანილობის ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განლაგებული სახეები ახლავს. სურების გასწვრივ ორივე მხარეს ამოკვეთილია მტევნების სამი რიგი. შუა მტევანი 6 მარცვლიანია, ხოლო

ზედა და ქვედა–3-3 მარცვლიანი. ყურძნის მარცვლები თანაბარი სიდიდისა და ფორმისაა.

კარის ზედა მოჩუქურთმებულ ნაწილზე გამოსახული ვაზი დეკორატიული სურის გარეშეა, კონცენტრირებული ნახევარწრეებიდან იწყება და ზევით ვერტიკალურადაა აღმართული სწორი ხე (?), რომლის გარდი-გარდმო ვაზის მიმოხვეული ღერო ზევით მიემართება და მტევნებითაა დახუნძლული. მტევნები მარცვალთა რაოდენობით სხვადასხვაა, არის 1,3,6 და 7 მარცვლიანი.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ვაზი პირველად გვხვდება კარის გარე ზედაპირზე. ამავე მოყვანილობის მტევნები ინტერიერშიცაა მინბარის კედელზე გამოსახული. საერთოდ, ჯამეს ექსტერიერისათვის ვაზის გამოსახვა იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

ჯამეებზე ვაზის გამოსახვა იმდენად ნიშანდობლივია, რომ იგი უთუოდ გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება. ეჭვს არ იწვევს, რომ იგი ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა დეკორატიული ტრადიციების გაგრძელებაა და ვაზის კულტს ემსახურება.

აჭარამ საქართველოს სხვა გამაჰმადიანებული პროვინციების მსგავსად არა მარტო მევენახეობა, არამედ მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებით წეს-ჩვეულებებიც შემოინახა: დიდ ცოდვადაა მიჩნეული და სასტიკად იკრძალებოდა ვაზის მოჭრა, ასევე ცოდვად ითვლება ვენახის გამხმარი ღეროს შეშად დაწვა, პატარა ლერწის გატეხვასაც კი ერიდებიან. თუ ეს მოხდებოდა ვაზის წვენის დინებას ვაზის „ტირილს“ უწოდებენ და ა.შ.

ქობულეთის რაიონში შეკრებილი მასალების მიხედვით ვაზს გარკვეულ მაგიურ ძალასაც ანიჭებდნენ. ხალხში შემონახულია რწმენა, რომლის მიხედვით, მზის დაბნელების დროს სინათლეს იძლევა მხოლოდ ვენახის ტოტი. სხვა ხეს ამ დროს, ე.ი. როცა მზე დაბნელებულია არ წაეკიდება, არ დაიწვის. ძველად რიტუალური მიზნით ყველა ოჯახი სპეციალურად ინახავდა ვაზის ხმელ ტოტებს, რომ მზის დაბნელების შემთხვევაში სინათლის მისაღებად დაეწვათ.

ამრიგად, აჭარაში მუსლიმანურ საკულტო ნაგებობათა შემკულობაში ვაზის გამოსახულების სიმრავლე უნდა მივიჩ-

ნიოთ როგორც ვაზის კულტთან დაკავშირებული ქართული ტრადიციების სახვითი გამოვლენა.

ვაზის კულტმა ფართოდ ჰპოვა ასახვა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე, კერძოდ, ქრისტიანულ ხუროთმოძღვრულ ნაგებობებზე. იგი გამოკვეთილია ბოლნისის (V საუკ.), აკვანების (VI საუკ.), მარტვილის (VII საუკ.), ბანას (IX-X საუკ.), ბაგრატის, სვეტიცხოვლის (XI საუკ.) და სხვა მრავალ, შემდეგდროინდელ ტაძარზე (ჯავახიშვილი ივ., 1935, 520-522; შმერლინგი რ., კრავჩენკო ა., 1954, 26, 28, 34). ამ ტრადიციის გავლენა იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ იგი აჭარაში მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე აგრძელებს თავის არსებობას. ვენახი იმ კულტურათა რიგს მიეკუთვნება, რომელიც, მიუხედავად კუთხის ისტორიული ავბედითობისა, მოსახლეობამ უწყვეტლივ და აქტიურად შეინარჩუნა.

აჭარის ჯამეებში ხეზე ამოკვეთილ მცენარეულ მოტივს მიეკუთვნება **მცენარეთა დეკორატიული სახეები**. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს, სოფელ ქიძინიძეების (შუახევის რ-ნი) ჯამეს კარზე და მინბარის კედლის შემკულობაში მცენარის სტილიზებული ყვავილები და ფოთლები გამოსახულია ვარდულებთან ერთად. ამავე ჯამეში ასეთივე სახითაა მოჩუქურთმებული მიმბარის კედელი იმ განსხვავებით, რომ კედელი უფრო დიდია და წრეში ჩასმული გამოსახულებები არა მარტო ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურადაც არის განლაგებული. ასეთივე სახის ორნამენტებია ამოკვეთილი სოფელ მაწყვალთის ჯამეს მიმბარის კედელსა და შესასვლელ კარზე, აგრეთვე, სოფელ მახალაკიძეების ჯამეს კარზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოსახულებები ერთმანეთს ტრაფარეტულად როდი იმეორებენ, მათი ორნამენტის ელემენტები მსგავსია, მაგრამ კომპოზიციური ნიუანსებით მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სოფელ მახალაკიძეების ჯამეს კარის შემკულობის მაორგანიზებელია ორი დიდი წრეხაზი. ზემო წრე თოკისებურ გრეხილს წააგავს, ხოლო ქვემო წრე–ბრტყლად პროფილირებულ ლენტს. კარის ქვემო წრეში ოდნავ შეჭრილია წყლის ჭურჭლის სქემატური გამოსახულება, რომლის ორივე მხარეს ამოკვეთილია თითო მოზრდილი და რამდენიმე მომცრო ვარდული სტილიზებულ ყვავილებთან ერთად.

მცენარეული მოტივის ორნამენტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დეკორატიულ სახეებს მიმოხვეული ღეროთი და სტილიზებული ფოთლებით. ფოთლების მიხედვით მცენარის სახეობის დადგენა ძნელდება, რადგანაც იგი დროთა განმავლობაში მხატვრული გადამუშავების შედეგად ფოთლის „პორტრეტულ“ იერს დიდად გასცილდა და განზოგადოებული ფორმა მიიღო. მცენარის ასეთი განზოგადება ბერძნული პალმეტისთვისაც არის დამახასიათებელი და დღემდე გაურკვეველია, რომელ მცენარეს ასახავს იგი. მიმოხვეულ ღეროსა და ფოთლებთან ერთად ხშირია კვირტების გამოსახვა. ფოთლის ნახატის დამუშავების სხვადასხვა ხერხია გამოყენებული. ფოთლის ზედაპირი ზოგჯერ დაფარულია რამდენიმე ზოლით. ზოლები ფოთლის მსგავსია, რიგ შემთხვევაში შუაზე მოღუნული და დანაწევრებულია რამდენიმე ნაწილად. მიმოხვეული ღეროს ნაცვლად გვხვდება S-სებური კაუჭებიანი სტილიზებული ფოთლებიც.

სტილიზებული მცენარე. სოფ. მეძიბნა

მიმოხვეულ ღეროზე კვირტებთან ერთად ვარდულებიც შეინიშნება, არის თაიგულებად შეკრული მცენარის სახეშეცვლილი ნიმუშებიც. მცენარის ყლორტების სიუხვით გამოირჩევა წყვილ S-სებური გამოსახულებები.

დეკორატიულ მცენარეთა გარკვეულ გამოსახულებებს ეგზოტიკური ნიშნების პარალელურად გააჩნია ნატურალური კომპონენტებისადმი მიდრეკილება, რაც ძირის, ღეროს, ყლორტის, კვირტების, ყვავილებისა და ნაყოფის გამოხატვის საშუალებით გადმოიცემა.

მცენარეულ სახეებთან ერთად მზის, მიწისა და წყლის სიმბოლური ნიშნებიც უხვად ვლინდება. **წყალი** გადმოცემუ-

ლია, როგორც გეომეტრიული (ზიგზაგი, ტალღისებური, კლაკნილი) სახეებით, ასევე საგნობრივი ორნამენტით (დოქი, წყლის სურა). წყლის, მიწისა და მზის სიმბოლოებთან კავშირში მცენარე ნაყოფიერების კულტს განასახიერებს.

ჯამეებზე აჭარაში, ისე როგორც ეკლესიებზე დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, მეტად პოპულარული ჩანს მცენარის ერთ-ერთი სახე – **შროშანი**, რომელიც ჯერ კიდევ ადრე ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლებზე გვხვდება (ამირანაშვილი ჯ., 1974,38,39). მეორე მხრივ ისიც არის საყურადღებო, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, ლამაზ გორაზე აღმოჩენილი ქვის ჯვრებზე გამოსახული შროშანი აღორძინებისა და სიცოცხლის სიმბოლოდაა მიჩნეული (ამირანაშვილი ჯ., 1974,39).



გემის გამოსახულება. სოფ. ღორჯომი

აჭარის საკულტო ნაგებობებზე გვხვდება საგნობრივი ანუ საგნის გამოსახულების მქონე სახეები, ორნამენტები, რომლებიც ზეთის საღებავითაა მოხატული.

საგნობრივი ორნამენტები, მიუხედავად მისი ფრაგმენტულობისა, გარკვეულად ასახავს ცხოვრების ცალკეულ მხარეებს. ორნამენტის აღნიშნულ მოტივში ყურადღებას იპყრობს **გემისა** და **გემის ღუზის**, **წყლის ჭურჭლის**, **სასწორისა** და **ჯვრის** გამოსახულებები. საზღვაო გემის გამოსახულება გვხვდება ღორჯომის, დღვანისა და გოგაძეების საკულტო ნაგებობათა ფასადებზე და იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუთითებს ლაზთა ოსტატობას ზღვაოსნობასა და ხელოსნობაში. ლაზები ძველთაგანვე „არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთთა, დიდთა და მცირეთა“(ბაგრატიონი ვ., 1941,142).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სამდინარო ნავების მშენებლობა აჭარაში, განსაკუთრებით სოფ. ქვედა მარადიდში ფრიად მაღალ დონეზე იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრის 80-იანი წლების მონაცემების მიხედვით ამ სოფელში 14 ნავსაშენი ყოფილა.[11]

სტილიზებული თუ ნატურალური სახით გამოხატული ჭურჭელი: დოქი, სურა და ქოთანი წყლის სიმბოლოს მაჩვენებელია. იგი მცენარეულ ორნამენტში იჩენს თავს როგორც ხემცენარის მასაზრდოებელი წყარო. ასეთი დანიშნულების მქონეა მახალაკიძეების, დღვანის, მაწყვალთის (შუახევის რ-ნი), ნიგაზეულის (ხულოს რ-ნი), ჩიქუნეთის (ხელვაჩაურის რ-ნი) და სხვა ჯამეების ინტერიერში გამოსახული წყლის ჭურჭელი. მცენარეულობის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული[12]

---

[11] სამდინარო ნავების სოფ. ქვედა მარადიდში მშენებლობის შესახებ იხილეთ: ჭიჭინაძე ზ., 1906,13; Воронов Н., 1912, 99; Пиралов А.С. 1913,106; ჩიქოვანი თ., ნიკოლაიშვილი ჭ., 1958, 74; ბერაძე თ., 1981,129; დავითაძე ალ., 1983, 42-68; კუტალეიშვილი ზ., 1987, 77; უზუნაძე რ., 1987; კახიძე ნ., 2004, 63-65.

ერთ-ერთი რუსი ოფიცრის შენიშვნით მარადიდი ნამდვილ ნავსაშენ ვერფს წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ მდინარე ჭოროხზე 200-მდე ნავი დაცურავდა. იგი ამ კუთხის მთავარი სამდინარეო არტერია იყო. ჭოროხის გარდა ნავებით მდინარე აჭარისწყლით შუახევამდეც კი აღწევდნენ (Масальский В.И., 1886, 367). სამდინარო ნაოსნობა აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობების მკვიდრთა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საუკეთესო საშუალება იყო (Заметки о Батуме., 1874-1875, 106; Дакишевич Н.М., 1890, 21).

საკულტო ნაგებობებზე გემის გამოსახვა შესაძლებელია სხვა გარემოებითაც ყოფილიყო გამოწვეული. აჭარის თითქმის ყველა ხეობაშია გავრცელებული ლეგენდა წარღვნის შესახებ. არსებობს თქმულება-გადმოცემები, რომელთა მიხედვით, გვანცას, სურვანის, კარჩხალის და სხვა მთის მიუვალ კლდე-ქარაფებზე თითქოს დღესაც გამობმულია ჯაჭვი, რომლითაც წარღვნისას ნოეს კიდობანი იყო მიბმული. გ. ყაზბეგს აჭარაში მოგზაურობისას გამყოლები არწმუნებდნენ, რომ ერთ-ერთ კლდეში გაბურღულია ნახვრეტი, რომელზედაც წინათ გემებს აბამდნენო (ყაზბეგი გ., 1960, 88). აღსანიშნავია, რომ ხომალდის გამოსახულებები გვხვდება ანდრონიკაშვილების, გურიელების, დადიანების, თარხან-მოურავებისა და ხერხეულიძეების საგვარეული ემბლემებზე.

[12] ქართველთა სამეურნეო ყოფაში წყლის სარწყავად გამოყენებას ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნია როგორც მთიან, ისე ბარის ზოლში.

ანალოგიური სახის ჭურჭლის გამოსახულებები ცნობილია დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც (Гараканидзе М., 1959,ტაბულა 204,205).

რამდენიმე საკულტო ნაგებობის ინტერიერში სამხრეთ კედელზე ზეთის საღებავით არის დახატული **სასწორი**. მისი ასეთი ორიენტაცია განპირობებულია იმით, რომ მუსლიმანი მლოცველნი ყოველთვის სამხრეთისკენ არიან მიპყრობილნი. რელიგიის მქადაგებელნი მორწმუნეებს ხშირად შეახსენებდნენ ღვთის სასწორს, რომელზეც საიქიოში აიწონებოდა მათი ცოდვა-მადლი და ამის მიხედვით ჯოჯოხეთში ან სამოთხეში ჰპოვებდნენ სამარადისო სასუფეველს. ყურანის შეგონებათა ოდნავი გადახვევა ცოდვად ითვლებოდა. სასწორი ფორმით ზუსტად იმეორებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებულ ნიმუშებს. მას გააჩნია მთავარი ღერძი ბოლოებზე გრეხილ თოკზე ჩამოკიდებული თეფშებით. სასწორი გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო და ცალკეულ პირთა საგვარეულო გერბებზე და ბეჭდებზე.

როგორც ითქვა, ჯამეების ორნამენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიების შემკულობიდანაა გადმოღებული ან მისი მიბაძვითაა გამოკვეთილი. მნიშვნელოვანი მსგავსება შეინიშნება სახლის, ავეჯისა და ჯამეების ორნამენტების კვეთის ტექნიკაში, სახეებისა და კომპოზიციების ფორმასა და შინაარსში. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საცხოვრებლის კარზე, სვეტზე ან ჭერზე გამოსახული **ჯვარი**, თუნდაც სტილიზებული, ანალოგიურად, კუთვნილ ადგილს ჰპოულობს ჯამეების კვეთილობაში. ანგარიშგასაწევია, რომ იგი ხშირად შენიღბული სახითაა (ვარშალომიძე ჯ., 1998,118-119). აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუსლიმან ფანატიკოს მორწმუნეებს ჯვრის ხსენებაც კი ურწმუნოობის ე.ი. ქრისტიანობის გამოვლინებად მიაჩნდათ, ამიტომაა, რომ სიტყვა ჯვარი ტაბუირებულია და მის ნაცვლად „ხაჩი“ იხმარებოდა მეტყველებაში.



ჯვრები სახეშეცვლილი ვარიანტებით – ჯამეზე: 1 – ხინოდან; 2 – მეძიბნიდან; 4 – ჩაქვისთავიდან; 7 – ვერნებიდან, ფუშრუკაულიდან; 10-11 – ახოდან; 12-13 – ღორჯომიდან; საცხოვრებელ სახლზე: 5 – ქოსოფლიდან; 6 – სტეფანაშვილებიდან; 8 – დიდაჭარიდან; ავეჯზე: 3 – ხიჭაურიდან;

ხეზე ამოკვეთილ ორნამენტში ჯვრის გამოსახულებები გამოვლენილია სოფელ დიდაჭარაში ა.დემეტრაძის სახლის ჭერზე (ადამია ი., 1956, 46); სოფელ სტეფანაშვილებშ ი–შ.ართმელაძის სახლის კარზე; ღორჯომში–ჯამეს კარზე; ვერ-ნებში–ჯამეს მცირე კათედრაზე; ფუშრუკაულში–ჯამეს მოა-ჯირზე (ხულოს რ-ნი), ახალდაბაში–ჯამეს ქირიშზე; ჭვა-ნაში–ჯამეს მცირე კათედრაზე (შუახევის რ-ნი); ქოსოფელ-ში–ა.ცინცაძის სახლის სვეტზე; ახოში–ჯამეს მოაჯირზე; მე-ძიბნაში–ჯამეს სვეტზე (ქედის რ-ნი); ჭახათის ჯამეს ჭერზე; ხინოს ჯამეს სვეტზე და მიმბარის კედელზე (ქობულეთის რ-ნი). ზოგიერთი ჯვარი ირიბ მკვლავებიანია.

აშკარად გამოკვეთილი ჯვრები მზის სიმბოლოებთან (წრე, ბორჩხიალა) მტკიცე კავშირს ავლენს. როგორც ჩანს, ასეთი გამოსახულებები წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს, ისევე როგორც სოფელ ცივაძეებში საცხოვრებელი

სახლის კარის თავზე მწარე ბლის ორი ჯოხისაგან დამზადებული ჯვარი, ან პირუტყვის რქებზე შებმული ხის პატარა ჩხირებისაგან გაკეთებული ჯვრები, რომლებიც რწმენით ბოროტი ძალისა და ავი თვალისაგან იცავდა მას. ჯვრის აპოთროპეული დანიშნულება მრავალი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში არის დაცული.[13]

სტილიზაცია და შენიღბვა განიცადა იმ ჯვრებმა, რომლებიც ქრისტიანული რელიგიის ემბლება იყო. ასეთ ჯვრებს ერთვის მცენარეული კომპონენტები, ან გააჩნია რამდენიმე ნაწილად დაყოფილი მკლავთა ბოლოები. როგორც ჩანს, ამ რიგის ჯვრებისადმი ისლამის რელიგია შემწყნარებლობას იჩენდა.

ამრიგად, აჭარის ჯამეებზე მცენარეული სახეების სიუხვე და მრავალფეროვნება ადამიანის ბუნებასთან აქტიური ურთიერთობით არის განპირობებული. ხალხურ ორნამენტში ვლინდება ისეთი მნიშვნელოვანი სამეურნეო კულტურების სახეები, როგორიცაა სიმინდი, ვაზი, ბროწეული, ვაშლი და სხვ. ასევე საკულტო ნაგებობათა შემკულობაში ფიგურირებს დეკორატიული ფუნქციის მქონე (ყვავილი, ფოთოლი, შტო, კვირტი), ისე რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული მცენარეები ურთხმელის ხე, იგივე „სიცოცხლის ხე“ (ვარშალომიძე ჯ., 2007:14-18), შროშანი და სხვა.

კულტურული-ისტორიული მნიშვნელობა აქვს ვაზის გამოსახულებათა სიმრავლეს მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე აჭარაში. ვაზის გამოსახვის ტრადიცია უცხოა არაბეთისა და თურქეთის (გარდა ლაზეთის, შავშეთის და სხვა ისტორიული ქართული პროვინციებისა), ტიპიური მუსლიმანური ჯამე-მეჩეთებისა. აჭარაში ვაზი ჯამეზე გამოსახვის ფაქტი მეტყველებს ქართული ქრისტიანული ეკლესიების შემკობის ტრადიციების გაგრძელებას და შემონახულობას ამ კუთხის

---

[13] ჯვარი ერთ-ერთი უძველესი გამოხატულებაა კაცობრიობის ისტორიაში. იგი უნივერსალური მოვლენაა და გავრცელების მიხედვით არ ეტევა რომელიმე ქვეყნის ან კონტინენტის მასშტაბებში. ჯვარი მრავალ სიმბოლოსთან არის დაკავშირებული და მისი ახსნის 385-მდე ვარიანტი იძებნება. იხ.: Jameson R.D., 1949, 263).

მოსახლეობაზე ძალად თავს მოხვეული ისლამის რელიგიის შემოტევებისა და გავლენის პირობებში.[14]

საგნობრივი ორნამენტი (გემი, წყლის ჭურჭელი, სასწორი) ძირითადად საკულტო ნაგებობებზეა გამოსახული, უცხოა საცხოვრებელი ნაგებობებისათვის.

გემი ჯამეს ფასადზე ლაზი ოსტატების მიერაა ზეთის საღებავით დახატული და მათი ნახელავის აღსანიშნავად, გარკვეულად, მეზღვაურობის სიბოლურ ნიშანსაც უნდა წარმოადგენდეს. ამასთანავე წყლის ტრანსპორტის გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობისათვისაც არ იყო უცხო.

წყლის ჭურჭლის გამოსახულება ძირითადად მცენარეულ ორნამენტთანაა დაკავშირებული. იგი სიმბოლურად წყალს აღნიშნავს და ხაზს უსვამს მცენარის ნაყოფიერების უზრუნველსაყოფად მისი გამოყენების აუცილებლობას არა მარტო მორწყვის, არამედ ნიადაგის გაპატივების თვალსაზრისითაც, რაც მთიანი აჭარის მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

სასწორის გამოსახულება სიმბოლურად მუსლიმანური დოგმებისა და კულტის მკაცრ მოთხოვნათა აუცილებელ შესრულებასთანაა დაკავშირებული. ისლამის ფანატიკოსი მსახურები მორწმუნეებს აშინებდნენ ჩადენილი ცოდვა-მადლის ღვთაებრივ სასწორზე აწონვით. ისინი სასწორის გამოსახულებაზე მიუთითებდნენ და ცოდვილთა ჯოჯოხეთში გაუგონარი წამების შესახებ მოუთხრობდნენ.

აჭარაში მოსახლეობის გამუსლიმანების, ჯამეების დამკვიდრების ისტორიული რეალობის, ახსნასთან ერთად, ამ საკულტო ნაგებობათა ხუროთმოძღვრულ-დეკორატიული თუ სახვითი თავისებურებების გარკვევა და მასთან დაკავშირებული

---

[14] პროფ. ალ.რობაქიძე აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობათა შემკულობაში ვაზისა და ჯვრის გამოსახულებების ფაქტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა; „...უფრო ღირსშესანიშნავია აჭარული ორნამენტის მსგავსება ზოგად ქართულთან-ხეზე იქნება იგი, ლოთონზე თუ ქვაზე, გეომეტრიული იქნება იგი, ზოომორფული, მცენარეული თუ ასტრალური. მაგრამ ვაზისა და ჯვრის გამოსახულების მონაწილეობა აჭარულ ორნამენტში თურქეთის ბატონობის პერიოდში, მათი ასახვა არა მარტო საცხოვრებელ, არამედ აგრეთვე მაჰმადიანურ საკულტო ნაგებობებზე-ჯამეებზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია, რომელსაც ცალკე ახსნას მოითხოვს“ (რობაქიძე ალ., 1973, 4-5).

ეთნოგრაფიული მასალების წარმოჩენა ცხადყოფს ქართული კულტურის, კერძოდ, სახვითი ტრადიციების სიძლიერეს, გამძლეობის უნარს, ძალად თავს მოხვეული რელიგიის პირობებში. აღნიშნული საკითხის შესწავლას კულტურულ-ისტორიული ინტერესის გარდა მოსახლეობის რელიგიური მსოფლმხედველობის თვითგამორკვევისა და ორიენტაციის პირობებში გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება.

ლიტერატურა

1. ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება. აჭარა. თბ., 1956.
2. ამირანაშვილი ჯ., ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურა და რელიეფური ძეგლები. თბ., 1974.
3. ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან. ბათუმი, 1944.
4. ბაგრატიონი ვ.–ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941.
5. Бакрадзе Дм., Археологические путешествие по Гурии и Адчаре. СПБ., 1878.
6. ბაწაში წ., ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. თბ., 1988.
7. ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბ., 1981.
8. Бородина И.Ф., Архитектура Турции XII-XIX вв.–Всеобщая история Архитектуры (в 12 томах) 8, М., 1969.
9. Гараканидзе М., Грузинское деревянное зодчество. Тб., 1959.
10. გელაშვილი გ.–გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ.გელაშვილმა. თბ., 1962.
11. დავითაძე ალ., ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან. ბათ., 1983.
12. Дакишевич Н.М., Батум. Тифлис, 1890.
13. ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე. ბათ., 1978.
14. ვარშალომიძე ჯ., ურთხელის კულტის გადმონაშთები აჭარაში. ნიკო ბერძენიშვილის სახ. შრომები, V, ბათ., 2007.

15. ვარშალომიძე ჯ., ჯვრის გამოსახულება აჭარაში.–„ჯვარი ვაზისა“, თბ., 1998, №1.
16. ვარშალომიძე ჯ., მოგზაური ლაზი ხურო-მეჩუქურთმენი.-ნიკო ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV, ბათ., 2005.
17. Воронов Н. Батумская область.-ИКОИРГО, т.XX, Тифлис, 1912.
18. Заметки о Батуме.-ИКОИРГО, т.II, Тифлис, 1874-1875.
19. კახიძე ნ., ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათ., 2004.
20. Ковалевский П., Кавказ. т. I. СПБ, 1914.
21. კურანი. თბ., 1906.
22. კუტალეიშვილი ზ., ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987.
23. Лисовский В., Чорохский край. Тифлис, 1887.
24. Магазаник Д., Турецко-русский словарь. М., 1945.
25. Марр Н.Я., Из поездки в турецкой Лазистан.-Известия Императорской Академии Наук. 1910.
26. Масальский В.Н., Очерк Батумской области.-ИКОИРГО, т.XXII, 1886, вып.IV.
27. Павлинов А.М., Материалы по археологии Кавказа. III. М., 1893.
28. Пиралов А.С., Краткий очерк кустарных промыслов Кавказа. СПБ, 1913.
29. Проскуриаков Я., Заметки о Турции.-ИКОИРГО, т. 25, вып. I, Тифлис, 1906.
30. რობაქიძე ალ., რედაქტორისაგან.-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ., 1973.
31. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959.
32. სუმბაძე ლ., გადავარჩინით ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1982, №11.
33. Таварткиладзе Н., Нейзвестний памятник резьбы по дереву в Аджарии. „მაცნე“, თბ., 1972, №1.
34. უზუნაძე რ., სამდინარო ნაოსნობა და მისი როლი ბათუმის ოლქის სიციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1987.

35. შარდენი – ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში. თბ., 1935.
36. შმერლინგი რ., კრავჩენკო ა., ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. თბ., 1954.
37. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში. კრ.: გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათ., 1960.
38. ჩიტაია გ., სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში.–ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941.
39. ჩიქოვანი თ., ნიკოლაიშვილი ჭ., ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან. აჭარის სახ. მუზეუმის შრომები, III, ბათ., 1958.
40. ჭიჭინაძე ზ., სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკენი. ტფილისი, 1906.
41. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია. II. ტფილისი, 1935.
42. Jameson R.D., Dictionar of folklore Mythology and Legend, V. I, Nev York, 1949.

Варшаломидзе Джемал

Образцы грузинского народного декоративно-зодческого и изобразительного искусства в мусульманских культовых сооружениях (мечети) Аджарии

Р е з ю м е

На основе писменных источников и этнографических материалов изучены особенности исторического процесса исламизации населения Аджарии и открытия мечетей. В работе показан вклад лазов и частично аджарцев в деле строительства мусульманских культовых сооружений. Выявлены их заслуги в деле формирования оригинального декоративного стиля в мечетах Аджарии посредством использования грузинских народных строительно-изобразительных традиций. Изображения винограда, кукурузы, граната, яблока, корабля, креста, весов, кувшинов, небесных светил, «древа жизни» и т.д. в орнаментации мечетей вместе с многообразными геометрическими и растительными декоративно-стилизированными элемента-

ми, в определенной степени, отражают значительные стороны быта и духовной культуры населения.

Djemal Varshalomidze

Models of Georgian National Architectural-Decorative and Graphic art in Moslem praer Houses (Mosques) of Adjara

S u m m a r y

On the basis of written and ethnographic materials was investigated the peculiarities of islamizition of population and the foundation of mosques. It is shown the contribition of Lazs and partly Adjarians in the constraction of moslem praer houses in Adjara. It is demonstrated their achievements, by using georgian national arhitectural-decorative and graphic traditions, in the formation of original decorative style in the building of mosques in Adjara. In the ornamentation of mosques of Adjara the presence of grapes, corns, pomegranates, apples, ships, crosses, scales, jugs, heavenly bodies, the "Tree of life", together with the diversity of geometrical and plant decorative stylized elements definitely expresses the valid aspects of the population way of life and culture.

მანუჩარ ლორია

საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ებრაელთა ეთნორელიგიური მოზაიკა

საქართველოს შავიზღვისპირეთში ცხოვრობენ როგორც **აშქენაზი**, ისე **სეფარდი** ებრაელები. ზოგადად ებრაელთა ამგვარ დაყოფას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. მათ შორის განსხვავება ვლინდება ლოცვის წესებში, სინაგოგის მოწყობაში, ტრადიციული ყოფითი კულტურის სხვა საკითხებში. აშქენაზ ებრაელებს მიეკუთვნებიან ევროპელი ებრაელების დიდი ნაწილი. ისინი ჩამოყალიბდნენ შუა საუკუნეების გერმანიაში და გავრცელდნენ ევროპის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში. სეფარდი ებრაელები კი ჩამოყალიბდნენ: ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, თურქეთში, აზიაში, ბალკანეთში, აფრიკის ნაწილში. მკვლევართა ნაწილი მათთან აერთიანებს იმ ებრაელებსაც რომლებიც არ არიან აშქენაზები და პირდაპირი კავშირი არ აქვთ სეფარდებთან. მაგალითად, კავკასიის ებრაელები. ამ სათვისტომოთა სალაპარაკო ენაა **იდიში** და **ლადინო**, რომლებიც თანდათანობით ხმარებიდან გამოდის. ეს ენები ებრაელთა სხვადასხვა ხალხებთან ასიმილაციის პროდუქტს წარმოადგენს და მსოფლიოს ებრაელთა უმრავლესობამ არ იცის.

აშქენაზი ებრაელები

მთის ებრაელები

ამჟამად, ისრაელში სახელმწიფო ენაა ივრითი – ძველი ებრაული (ციციაშვილი ა., გაბიძაშვილი., 1982, 44; Гителман Ц., 1991, 35).

კავკასიის ებრაელებში იგულისხმებიან **ქართველი** და **მთის ებრაელები**: ქართველი ებრაელები იუდაიზმის მიმდევარნი არიან, მათ გვარები გაფორმებული აქვთ ქართულ ყაიდაზე, მშობლიურ ენად მიიჩნევენ ქართულს და იწოდებიან ქართველ ებრაელებად. მთის ებრაელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს დაღესტანსა და აზერბაიჯანში (Гилалов З., 2001, 225). ძველად ისინი მთებში ცხოვრობდნენ, საიდანაც წარმოსდგება მათი სახელწოდება. XVIII–XIX სს-ში მათ დაიწყეს მთებიდან დაბლობში ჩამოსახლება. მათი სალაპარაკო ენაა თათური. ამ ენაზე აქვთ შექმნილი დამწერლობა და კულტურა. ამიტომაც ისინი ცნობილნი არიან როგორც მთის ებრაელების, ასევე თათების სახელწოდებითაც. თათების ქვეშ ძირითადად გულისხმობენ მოსახლეობას, რომლებიც ლაპარაკობენ იგივე ენაზე, მაგრამ განსხვავდებიან მთის ებრაელებისაგან წარმოშობითა და რელიგიით. მთის ებრაელები აღიარებენ იუდაიზმს, ხოლო საკუთრივ თათები ისლამს (Крихели А, 1945,135; Членов М., 2001,229; Гилалов З., 2001, 225). ი. ანისიმოვი მიიჩნევდა, რომ ებრაელები ჯერ კიდევ სპარსეთში შეერივნენ ირანულ ტომებს – თათებს, ნაწილმა მიიღო უკანასკნელთა გაბატონებული რელიგია, ნაწილმა კი გაავრცელა მოსეს რელიგია. ამიტომაც ამ ებრაელთა ენა განეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს. შემდგომ შუა საუკუნეებში თათები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხაზარებს შეერივნენ და ამ პერიოდის ხაზართა მეფეებს საკუთარ მეფეებად მიიჩნევდნენ. ებრაელების უმრავლესობამ კავკასიაში არაბთა შემოსევების შემდეგ მუსლიმანური რელიგია აღიარა და თათებად იწოდა, ხოლო ვინც მოსეს რელიგია შეინარჩუნა მთის ებრაელის სახელი მიიღო.

ქართველი ებრაელი

ი. დავიდის თვალსაზრისით კავკასიის ებრაელები არ არიან არც სეფარდები და არც აშქენაზები, ისინი წარმოადგენენ განსაკუთრებულ უცხო ეთნოსს, წარმოშობილს იბერიულ-კავკასიური გეოპოლიტიკური და პოლიეთნოლინგვისტური გარემოს საფუძველზე. მისი ვარაუდით სამხრეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ ებრაელები, იბერ-ბასკები, ბერბერები და კელტები. იგი უარყოფს ებრაელთა სემიტურ წარმოშობას და მიაჩნია, რომ ებრაელთა წინაპარი ჰაბირუს ტომების პირვანდელი ფორმირება კავკასიაში მოხდა. მათ განიცადეს სემიტიზაცია, როცა დაიწყეს გადაადგილება ეგვიპტე-პალესტინის მიმართულებით (ძვ. წ. XV ს.), აითვისეს სემიტური ენა, განიცადეს ფიზიკურ-რასობრივი სემიტიზაცია-ქანაანიზაცია. ე. მამისთვალიშვილს მიაჩნია. რომ ი. დავიდის ეს მოსაზრებანი გასათვალისწინებელია, ყოველ შემთხვევაში იგი ქართველების და კავკასიელი ებრაელების ანთროპოლოგიური მონაცემების ზოგიერთი ტოპონიმისა და ლეგენდის სხვაგვარად გაგებისაკენ გვიბიძგებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანელი მეცნიერის ფრიდრიხ კაჰნის მიხედვით ისტორიული ისრაელის მიწაზე კავკასიის ხალხების დიდი მიგრაციები ხდებოდა, რომლებიც შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. დაახლოებით ასეთივე მოსაზრება გერმანიაში უფრო ადრე გამოთქვა ს. ვაინსებერგმა. მისი შეხედულებით კავკასიაში ცხოვრობდა ენითა და წეს-ჩვეულებებით განსხვავებულ ებრაელთა ორი შტო: ქართველი და მთიელი ებრაელები. ს. ვაინსებერგს ჩაუწერია ცნობა ორივე შტოს საერთო წარმომავლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ქართველი ებრაელები მიჩნეულნი არიან სუფთა შტოდ, რომელიც არ შერეულა არც თათებთან და არც ხაზარებთან. კავკასიელი ებრაელები წარმოშობილან პალესტინიდან წასული ათი ტომისაგან (დაწვრ. იხ.: Давид И., I, 1989; მამისთვალიშვილი ე., 1995).

ქართველი ებრაელი

ამგვარად ირკვევა, რომ ამ ერთი ერის ორი შტო საუკუნეების სიღრმიდან მოდის. საქართველოში ქართველმა ებრაელებმა გარკვეულწილად შემოინახეს ის სულიერი და იდეური სიძლიერე, რომელიც ეხმარებოდა მათ ეროვნული მეობის გადარჩენაში. ეს პროცესი ამავე დროს მიმდინარეობდა ქართულ ყოფასთან და კულტურასთან მჭიდრო კავშირში. საყურადღებოა ისიც, რომ ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში 100-მდე ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს, მაგრამ მათ აღსანიშნავად არავინ არ იყენებს ორმაგ ეთნონიმს, მაგალითად: ქართველი ბერძენი, ქართველი რუსი, ქართველი სომეხი, ქართველი აზერბაიჯანელი და ა.შ. ქართველი ებრაელის, როგორც სახელწოდების არსებობა არა მარტო ამ ორი ხალხის ისტორიული თანაარსებობის, არამედ ებრაელთა მიერ ქართული ენის მშობლიურ ენად გათავისებისა და ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მყარად შემოსვლის შედეგია.

კარაიმი ებრაელები

აღნიშნულთან ერთად საკვლევ რეგიონში გვხდებოდნენ ყირიმელი ებრაელები: ისინი იყოფოდნენ **იუდეველებად** და **კარაიმებად**: VIII საუკუნეებში თავი იჩინა რელიგიურმა გადახრამ, რომელიც ცნობილია კარაიმების სახელწოდებით, ისინი თალმუდს არ ცნობდნენ და მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. სახელწოდება კარაიმი მომდინარეობს „**კარაიმ ბენ მიკრადან**" - წმინდა წიგნის შვილები ანუ მასწავლებლები (ბათოშვილი ა., 1991, 188-190).

საქართველოში არამეულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელების ანუ „ლახლუხების" დასახლებას შეეხო ქუთაისელი რაბინი იაკობ დავარაშვილი, რომლის მიხედვითაც დასახელებული ებრაელები სპარსეთის ქვეშევრდომები იყვნენ. სომხეთის გავლით ისინი დასახლდნენ თბილისში და შემდეგ აჭარაში. მათ შორის ბევრი ყოფილა ხახამი და რაბინი. ასეთებად სახელდე-

ბიან გამოჩენილი რაბინი მიხაილ მიზრახი და მისი შვილი იცხაკ მიზრახი, რომელთაც ჰყავდათ ბევრი მოსწავლე ქართველ ებრაელთა შორის: ქუთაისში, ფოთში და სხვა ქალაქებში (Давид И., I, 1989, 68). ლახლუხებს კავკასიაში უწოდებენ ქურთისტანის ებრაელებს, რომლებიც უძველეს პერიოდში ცხოვრობდნენ ირანის, ერაყისა და თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე (Крупник И., 1998, 102).

კავკასიაში მცხოვრებ ებრაელებს ეთნო-ლინგვისტური თვალსაზრისით ყოფენ სხვადასხვა ჯგუფებად. ნ. ბაბალიკაშვილი აღნიშნავდა, რომ როგორც დიასპორის სხვადასხვა საცხოვრისში, ასევე კავკასიაშიც ებრაელთა ნაციონალური ტრადიციების ერთმა ნაწილმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ხანგრძლივი კონტაქტების გამო გარკვეული ცვლილებები განიცადა. იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სალაპარაკო ენაზე და ამის მიხედვით კავკასიელ ებრაელებს სამ უძველეს თემად ყოფს: ქართველი ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ ქართულ ენაზე; მთიელი ებრაელები რომლებიც ლაპარაკობენ თათურ ენაზე და ბოლოს არამეელი ებრაელები რომლებიც ლაპარაკობენ სხვადასხვა არამეულ დიალექტზე. ზემოჩამოთვლილ ებრაელთა სამი უძველესი ჯგუფის გვერდით ბაბილიკაშვილი არ ივიწყებს XIX საუკუნის დასაწყისიდან კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში შემოსულ ევროპელ ებრაელებს (მამისთვალიშვილი ე., 1995:48). ბაბალიკაშვილისეულ ლინგვისტურ დაყოფას კიდევ უფრო აკონკრეტებს ი. დავიდი და გვთავაზობს ებრაელთა ოთხ ენობრივ ჯგუფს: საქართველოს ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ ქართულ ენაზე და მის დიალექტებზე; ჩრდილოეთ კავკასიის ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ თათურ ენაზე; ურმიდან, სალამასიდან, შირვანიდან, სამხრეთ აზერ-

თორა

ბაიჯანიდან და ქურთისტანიდან გამოსული ებრაელები, რომლებიც სალაპარაკოდ იყენებენ არამეულ ენას; რუსეთიდან, პოლონეთიდან და სხვა ადგილებიდან მოსული ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ იდიშზე (Давид И., 1989,95).

პოსტსაბჭოურ სივრცეში მცხოვრები სხვადასხვა ებრაული ჯგუფები: აშქენაზები, სეფარდები, რომელთა სალაპარაკო ენები მსოფლიოში გახდა „იდიში", „ლადინო"... დღესაც ძირითადად რუსულ ენაზე და იმ ხალხების ენებზე მეტყველებენ, რომელთა შორისაც ისინი ცხოვრობენ (Заславски Д., 1932: 16; Население СССР, 1974, 77).

საკვლევ რეგიონში აშქენაზ ებრაელებში სალაპარაკო ენას ძირითადად რუსული, ხოლო ქართველ ებრაელებში ქართული ენა წარმოადგენდა.



ყოველი მორწმუნე ებრაელისათვის, არ აქვს მნიშვნელობა სეფარდი იქნება თუ აშქენაზი, რელიგია ასრულებდა და ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს მათი თვითშეგნების საქმეში. სინაგოგა, მორწმუნე ებრაელებისათვის სოციალური და სულიერი ცხოვრების წესის დაცვის თავისებური გარანტია.

ებრაული კულტურის შემსწავლელი მეცნიერების – იუდაიკის მიხედვით, ებრაული სალოცავების გენეზისი ბაბილონელთა მიერ პირველი ტაძრის დანგრევას უკავშირდება. პირველი ტაძარი ებრაელთა მეფეს სოლომონს აუშენებია სიონის მთაზე. ებრაელი ხალხის ცნობიერებაში სიონის მთა ღმერთის მთას განასახიერებს, ხოლო ტაძარი - ღმერთის სახლს. საქართველოში ებრაული სალოცავების ისტორია მიახლოებით პირველი სალოცავების თანადროულია და 26 საუკუნეს ითვლის. მორწმუნე ებრაელები სალოცავს ყოველთვის მთავარ სახლად თვლიდნენ. ებრაულმა სალოცავმა თავისი სტატუსი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც შეინარჩუნა. სალოცავის საშუალებით ორგანიზაცია უკეთდებოდა სამადლო საქმეებსა და

ქველმოქმედებას. ღარიბები და გაჭირვებულნი ლოცვის დროს პირდაპირ მიმართავდნენ ჯამაათს, უმთავრესად შაბათს და სხვა დღესასწაულებში. ამ დროს მლოცველები აცხადებდნენ შეწირულ თანხას რომელსაც სალოცავის გაბაი დღესასწაულისა და შაბათის გასვლისას აგროვებდა. იყო შემთხვევები როდესაც თორის კითხვას აყოვნებდნენ მანამ სანამ ყველა მდიდარი არ გამოაცხადებდა თავის შენაწირს და ა. შ. საქართველოში არსებული სალოცავები პალესტინის და ასევე დიასპორის სალოცავთა უძველესი ტრადიციების გამგრძელებელია. სალოცავები ძირითადად ორიენტირებულია შემოსასვლელიდან „არონ-ჰაკოდეშის" მიმართულებით იერუშალიმისკენ. სალოცავები ებრაელთა უბნის ცენტრში თავსდებოდა და თავისი სიდიდითა და ბრწყინვალებით გამოირჩეოდა. კომუნისტური იდეოლოგიის ზეგავლენით საქართველოში თითქმის არ შემორჩა უძველესი სალოცავები. დღესდღეობით არსებული შენობების უმრავლესობა XIX საუკუნის დასაწყისში ან მოგვიანებითაა აშენებული. უძველესი სალოცავი, რომელიც დღეს ახალციხეში მოქმედებს, 1741 წლითაა დათარიღებული. XIX საუკუნეში, როგორც ჩანს, სალოცავების უმრავლესობა ხით ან მდინარის რიყის გაუთლელი ქვით იყო აშენებული. ებრაელების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობებისთანავე კეთილმოწყობილი, აგურისა და ქვითკირის შენობები აიგო. ხშირ შემთხვევაში სალოცავი წარმოადგენდა ნაგებობათა კომპლექსს, შემდეგი ნაგებობებით: ერთი ან რამდენიმე სალოცავი დარბაზი, მაცისს საცხობი, ქათმის და პირუტყვის საკლავი, მიკვე, სამეურნეო სათავსები, დარაჯის ოთახი და ეზო. აქვე დავამატებთ იმასაც, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში ფიქსირდება სამი ტიპის ებრაული სალოცავი: ოფიციალურად რეგისტრირებული სალოცავი; არაოფიციალურად არსებული სალოცავი სახლები, რომლებიც მოქმედებდნენ მანამ, სანამ



ხელისუფლება არ დაიწყებდა ანტირელიგიურ კამპანიას; ეგრეთ წოდებული მინიამი (ქვორუმი), რომელიც კერძო სახლში იხსნებოდა. მათი არსებობა ხელისუფლებამ იცოდა (Rothenberg J., 1971, 47-50; Altsbuler M., 1998,39).

სამივე დასახელებული ტიპი დამახასიათებელი იყო საქართველოს შავიზღვისპირეთში დასახლებულ აშქენაზი და ქართველი ებრაელებისათვის, რომელთაც სინაგოგები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ებრაელების მსგავსად, ცალკე ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძე გაზეთ დროებაში წერდა: „ევროპის ურიების თორაში საქართველოს ურიები არ შევლენ და არც მათში ესენი მთელი წელიწადი ულოცველადაც რომ დარჩნენ" (ჭიჭინაძე ზ., 1876). აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კავკასიის ებრაელები რელიგიური თვალსაზრისით და ტრადიციის მიხედვითაც უფრო მეტად ძველი წეს-ჩვეულებების ერთგულნი იყვნენ (ივერია, №143, 1902; ცნობის ფურცელი, №1783, 1902). რუსეთიდან გამოსული ებრაელების შესახებ საინტერესოა ი. დავითის შემდეგი ცნობა: „საჯაროდ ისმის ხმები, რომლებიც იუწყებიან რუსეთში ებრაელთა ასიმილაციას" (Давид И. ., I, 1989, 486-572).

საკვლევ რეგიონში სხვადასხვა ებრაული ჯგუფების არსებობას ადასტურებს ჩვენს მიერ ფიქსირებული ებრაული გვარები. ამ მხრივ განსაკუთრებით შიჭრელით გამოირჩევა აჭარა. ნაშრომშიც წარმოდგენილი იქნება ძირითადად აჭარაში მცხოვრებ ებრაელთა გვარობრივი სტრუქტურა (აჭარის ა.რ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივი; ბათუმის მოქალაქეობრივი მდგომარების რეგისტრაციის განყოფილება: ა,ბ).

ჩვენს მიერ შეკრებილი ცნობებით დასტურდება შემდეგი საგვარეულოები:

ა შ ქ ე ნ ა ზ ი ებ რ ა ე ლ ე ბ ი და მ ა თ ი გ ვ ა რ ე ბ ი

XVIIს-მდე მცირეოდენი გამონაკლისების გარდა ევროპელ ებრაელებს არ ჰქონდათ გვარები. გვარის მაგივრად იხმარებოდა ტერმინები: **ბენ** – ძე, **ბატ** – ასული. მაგალითად მოსე იაკობ ბენ ანუ მოსე იაკობის ძე, სარა სოლომონ ბატ ანუ სარა სოლომონის ასული (Родник, №4, 1989). ცნობილია აშქენაზ ებრაელთა შემდეგი გვარები:

- აბრამოვიჩი, ანგერკმანი, ანისიმი, ანუკაევი, აპტიეკარმანი, არანოვიჩი, არნოლდი, ანჯელო, აშქენაზი, აფუსი, ასეტინსკი.

- ბაქში, ბერკოვიჩი, ბერგანი, ბერესტეცსკი, ბელმესი, ბეკკერი, ბეხერი, ბირმანი, ბრაგენსკი, ბრანიატოვსკი, ბუდნიკი, ბარსკი, ბრუხე, ბორუხოვი, ბიხოვსკი, ბალახოვსკი, ბარდაკოვიჩი, ბოროხოვიჩი, ბროდსკი, ბოქროვსკი, ბერშმანი, ბერმანი, ბერშინი, ბუხბინდერი, ბირხოვიჩი, ბინდერი, ბარსუკოვი, ბეივინი, ბრომბერგი, ბლიუმმი, ბედნიაკი, ბროინშტეინი, ბუდგარი, ბერლინი, ბერეგოვოი, ბარონი, ბრანტი, ბერკოვიჩი, ბორნე.

- გაბაი, გერმანი, გელბეკი, გერშენგორი, გელბლუმი, გოლდინი, გოლოხოვსკი, გომანი, გოხთენი, გრიშკოვიჩი, გურმანი, გურინშტეინი, გუტმანი, გურდვიჩი, გეკენდკო, გრინი, გოლდი, გერშკოვიჩი, გოგიელოვი, გერშკოვი, გურევიჩი, გერმფელდი, გუტკოვსკი, გენდელი, გუსევი, გინდბერგი, გამბურგი, გინდელმანი, გეცუკი, გოროდოცკი, გელერი, გრიდნიცკი, გრჩონკო, გარლამანიკოვი, გრინბურგი, გოფმანი, გოტლერი, გინი, გლუხოვსკი.

- დობრუსინი, დოკტორმანი, დავიდოვიჩი, დოქტორსკი, დანიელი, დრამთალი, დვარეცკი, დიკერმანი.

- ეგელსონი, ენკილევიჩი, ერლიხმანი, ელევიჩი, ენდერი, ეკატერინესლავსკი, ეჯესი, ედიდკინი, ეგუტინი.

- ვაკიე, ვაიმფალდი, ვაინერი, ვინკილშტეინი, ვარიხი, ვოლოხი, ვარშავსკი, ვერხოვსკი, ვოლშტეინი, ვინნისი, ვენცაიმერი, ვატნიკი, ვაიმანი, ვიყელი, ვერცი, ვიხნენკო, ვოლკოვი, ვერასუკი.
- ტეიფი, ტილბერგი, ტონსონი, ტონდი, ტარუხოვი, ტუნდელი, ტემლინსკი, ტელიკოვა, ტლოტნოვი, ტაკმანი, ტევინი, ტეიგერმანი.
- თანდიტა.
- იაკობსონი, იგუდინი, იდელოვიჩი, იურესალიმსკი, ინგერმანი, იანკელი, იანკელევიჩი, იაფე, ირჩევსკი, იუდიკი, ისრაელიანი, იოხოლსონი.
- კონტაროვიჩი, კალაჩევსკი, კაზანსკი, კაცი, კაენი, კაჰლანი, კოგანი, კოსი, კრასენბაუმი, კრაფტი, კრუპნიკი, კრევორუკი, კრეიდენკო, კურცერი, კუშნერი, კარავაევი, კლეჰმალი, კოტლიარი, კლემანი, კონელოვსკი, კაპიროვსკი, კრასნიკი, კრემერი, კუკოლი, კარნოვსკი, კამენცერი, კლიგერი, კორშონი, კოსი, კოლოვოი, კონფინო, კესელმანი, კრეინინი, კაზინეცი, კარლინსკი, კამენცერი, კურიელოვი, კალმანი, კაცენბოგენი, კინხასი.
- ლევინი, ლიბერმანი, ლივშიცი, ლურიე, ლევინსონი, ლეიდისინი, ლიხტერმანი, ლიხტერი, ლეიხინი, ლევინტოვი, ლიტოვსკი, ლევბერგი ლიუბრანსკი, ლისი, ლანცბერგი, ლეჰმანი, ლენსკი, ლევი.
- მაცი, მენიე, მენხინი, მამელიაკი, მარშილოვი, მეშერსკი, მეტერსკი, მინკინი, მიზრახი, მარკუშევიჩი, მანუშევიჩი, მასკალიუკი, მიშკინი, მემონი, მენდელბლაუმი, მარტილოვი, მოსკოვიჩი, მედნიაკოვი, მიხაელოვი, მენშოვი, მეიროვიჩი, მენდელსონი, მიგდალი, მუროხი, მოგილევსკი, მორკოვი, მონდი.
- ნახანოვიჩი, ნედელი, ნორდშტეინი, ნუსელმანი, ნურიელოვი, ნიხიმა.
- ოსეტინსკი, ოსიატინსკი, ობერმჰსტერი, ოსტროვსკი, ოდერი.
- პაპლოვიჩი, პასექი, პაშკევიჩი, პეიზელი, პინუსი, პოდოლსკი, პომერანცი, პოლიაკინი, პლიტნიკი, პასეცკი, პესიკოვი, პალერი, პლეჩნიკოვი, პინხოსი, პავლოვიჩი, პოგრე-

დეცკი, პინსერი, პოგორელსკი, პოლონსკი, პრესმანი, პიასტრო პლუჩნიკი, პურინი.

- ჩივოვი.
- რაბინოვიჩი, როზი, როზენბერგი, როზენბაუმი, რუბინშტეინი, როზენფელდი, როტელმანი, რუდოი, რუბინსკი, რევინსკი, რიალკო, როზინშტეინი, რასკინი, რიტმანი, რეველკო, რიკლის.
- სლაუცკი, სალმონოი, სიმხოვიჩი, სლადკევიჩი, სოლომონოვი, სორინი, სიმოინოვიჩი, სირმანი, სედლერი, სალმანი, სტახანოვიჩი.
- ტარჩანსკი, ტეიფი, ტრეგუბოვი, ტანდეიტი, ტარტაკოვსკი, ტოპოლინსკი, ტროიდი, ტოკარი, ტულჩინსკი, ტერკო, ტაბანი, ტაბანოვი.
- ფარბერი, ფერდმანი, ფიშმანი, ფილიპოვი, ფუქსი, ფინკელი, ფლემი, ფიალკო, ფლემმე, ფრიდმანი, ფაივუროვიჩი, ფიტერმანი, ფრახტერმანი, ფალკნერი.
- ხანინი.
- შაცი, შეტმანი, შვარცი, შვარცმანი, შიპრინი, შიფრისი, შრეიდლერი, შიხი, შონუსი, შტეინბერგი, შტრამალი, შუკისი, შური, შაუხოცი, შდიჩი, შენელევი, შიტნიცკი, შელოვიუკი, შულცი, შუსტერი, შამეენი, შლუგერი, შევჩოვი, შირმანი, შური, შამესი, შიხმანი, შეგელი, შილანსკი, შმუშკოვიჩი, შაინშეირი, შკოლნიკი, შაპირო, შალომი.
- ჩერნოვი, ჩერტკოვი, ჩეგატარი, ჩერნიხოვი, ჩოგლანსკი, ჩულოკი, ჩუბარი.
- ციბერმანი, ცუკერი, ციტრინი, ცეკომოვსკი, ცალკოვსკი, ციმბუროვი, ცაპი.
- ხაზანოვი, ხასიდოვი, ხულდოვსკი, ხალვინი, ხანანოვიჩი.

ქართველი ებრაელები

ქართველ ებრაელებში გვხდება ოთხი სხვადასხვა სუფიქსით („შვილ", „ძე", „ელ", „ოვ") დაბოლოების გვარები:

1. „შვილ" ანი გვარები ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ახალციხეში XVIII საუკუნის მეორე ნახევრში დაფიქსირებულია გვარები: ნანაკაშვილი, ჯანაშვილი.

2. „ძე" სუფიქსით გვარების გავრცელების არეალი ძირითადად მოიცავს დასავლეთ საქართველოს (ბერიძე, ფიჩხაძე).

3. „ელ" სუფიქსით დაბოლოებული გვარები მიგვითითებს წარმომავლობაზე, საცხოვრებელი ადგილის მიკუთვნებაზე. ამ სახის გვარები გავრცელებულია ჩრდილო-დასავლეთ ქართლში (ცხინვალი, კრიხი, ხოტევი...). გვარები: კრიხელი, ხოტოველი... ფიქსირებულია XVIII საუკუნის ბოლოდან.

4. გვხდება აგრეთვე რუსულის გავლენით მიღებული „ოვ" დაბოლოების გვარები. ისინი გავრცელებულია ზემო და ქვემო ქართლში (ცხინვალში, სურამში, გორში და ა.შ.). ამ სახის გვარებია: მენაშეროვი, მიროლოვი, გაგულოვი, დანიელოვი, ათანელოვი, პაპისმედოვი, მამისთვალოვი, ჟივოვი (დაწვრ. იხ.: შამელაშვილი რ., 1982, 1989; მამისთვალიშვილი ე., 1995; გაგულაშვილი ი., 1988; Исход Горских Евреев, 2000).

- ათანელოვი, აჯიაშვილი, აბრამიშვილი, არონაშვილი, ალალაშვილი, ალიშაყაშვილი.
- ბარდანაშვილი, ბენიაშვილი, ბოთერაშვილი, ბოჩაკაშვილი, ბუხარაშვილი, ბალუაშვილი, ბაჩანაშვილი, ბაბალიკაშვილი, ბებერაშვილი, ბინიაურიშვილი, ბაჩიკაშვილი, ბარაშვილი, ბატაშვილი, ბუზიაშვილი.
- გაგოლაშვილი, გაგულაშვილი, გორელაშვილი, გერემაშვილი გუნდიაშვილი, გურიელაშვილი.
- დავითაშვილი, დაშაშვილი, დიგვარელი, დავარაშვილი, დუგირეშვილი, დიგვირელიშვილი.
- ელიაშვილი, ელუაშვილი, ელიშაყაშვილი, ელაშვილი.
- თეთრუაშვილი, თავდიშვილი, თარონიშვილი, თაფლიაშვილი, თეთრაშვილი.
- იაკობაშვილი, იაკობიშვილი, იუდაშვილი.

- კერკეტიშვილი, კაკოშვილი, კაკიაშვილი, კაკუაშვილი, კარელაშვილი, კრიხელი, კოჩიაშვილი, კიკაჩეიშვილი, კიკოზაშვილი.
- მიხელაშვილი, მონაშეროვი, მოსეშვილი, მოშიაშვილი, მაცოიაშვილი, მამისთვალოვი, მოძღვრიშვილი, მამუჩაშვილი, მარდახიაშვილი, მეგრელიშვილი.
- ნამთელაშვილი, ნეგედაშვილი, ნანიაშვილი, ნამთალაშვილი, ნასხლეტაშვილი, ნაგებაშვილი, ნანიკაშვილი.
- პაპიაშვილი, პერაშვილი, პაშაშვილი.
- რიჩინაშვილი. როკეტაშვილი.
- სეფიაშვილი, სარიაშვილი, სალხოშვილი.
- ტურიაშვილი, ტალაშვილი.
- ურიშვილი.
- ფიჩხაძე.
- ქოენიშვილი, ქამთალაშვილი.
- შალუაშვილი, შალოლაშვილი, შალიკაშვილი, შაშუაშვილი, შოთაშვილი, შამუაშვილი, შათარაშვილი, შიმშილაშვილი.
- ჩაჯაშვილი, ჩიკოკაშვილი, ჩერემაშვილი, ჩლაკიშვილი, ჩუტვარაშვილი, ჩიკვაშვილი.
- ციციაშვილი, ცხვირაშვილი.
- წაგებაშვილი.
- ხახანაშვილი, ხუხაშვილი, ხანიკაშვილი, ხასიდაშვილი, ხანდიაშვილი, ხანუკაშვილი, ხელდიაშვილი, ხოტო-ველი.
- ჯანაშვილი, ჯინჯიხაშვილი.

ებრაელთა გვარები მორფოლოგიურ-სემანტიკური შინაარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: გვა-რები, რომლებსაც ფუძედ აქვთ საკუთარი სახელები-იაკობაშვილი, მიხელაშვილი, იაკობსონი; რელიგიურ-რიტუალური შინაარსის სახელის შემცველი-ქოენიშვილი, რაბინოვიჩი, კოგანი; ატრიბუტული სინტაგმები - მამისთვალიშვილი, ლიბერმანი; ხელობის ან საქმიანობის აღმნიშვნელი-დოქტორმანი, აპტიეკარმანი, ფიშმანი, ფერდმანი, ბირმანი; გვარები, რომელთაც საფუძვლად დაედო წინაპრის მეტსახელი-შვარცმანი,

შვარცი; სადაურობის აღმნიშვნელი გვარები-ნორდშტეინი, იერუსალიმსკი, ათანელაშვილი; საკუთარ გვარ-სახელად ქცეული ეთნონიმები-აშქენაზი ურიშვილი, თანამდებობის აღმნიშველი – გერმანი, ხახამიშვილი. ეს გვარები ისე ორგანულად არის შეზრდილი ქართულ, რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ და სხვა სამყაროსთან, რომ მათი გამოცალკევება რაიმე ნიშნით ვერც კი ხერხდება, მათგან ზოგი საზიაროა, ზოგიც მარტო ებრაელთა წრეშია შექმნილი. მხოლოდ კონკრეტული კვლევა-ძიების შედეგად არის შესაძლებელი მსჯელობა და მათი წარმოშობის ახსნა.

ებრაელებმა საქართველოს შავიზღვისპირეთში დასახლების დროს, თან მოიტანეს მათთვის პირველ საცხოვრისში დამახასიათებელი ტრადიციული ყოფა. კულტურის ლოკალურ თავისებურებათა მრავალფეროვნება შეინიშნება როგორც ქართველ ისე აშქენაზ ებრაელებში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველი და აშქენაზი ებრაელები სალოცავად ცალკ-ცალკე, თავიანთ სინაგოგებში დადიოდნენ, მიუხედავად იმისა რომ იუდაიზმი ორივე სათვისტომოსათვის საერთო იყო. ამგვარი განცალკევება მათ შორის არსებული ტრადიციულ-ყოფითი კულტურის სხვაობით უნდა აიხსნას. ქართველი ებრაელობა საკუთრივ ქართველებთან უფრო მეტ სიახლოვეს იჩენდა, ვიდრე მის თანატომელ აშქენაზ ებრაელებთან. ამასთან ერთად, ებრაული თემის კულტურული იერსახის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის იუდაიზმს, თუმცა ქართულ ეთნოსთან საკმაოდ ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში ებრაულმა დიასპორამ არატრადიციული, ქართულისათვის დამახასიათებელი კულტურის არაერთი ელემენტი აითვისა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ქართველ ებრაელებს, რადგან აშქენაზ ებრაელებში უფრო ჭარბობს ევროპული კულტურის გავლენა.

ლიტერატურა

1. აჭარის ა. რ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივი - ქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწე-

რის წიგნი. 1925-1968 წლები; განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი 1925-1968 წლები; Еврейская синагога-с1900г до 1910 года; Еврейская синагога- книга записи умерших 1900-05 гг, Арх №6; Еврейская синагога- книга записи умерших 1906-12 гг Арх №7; Еврейская синагога- книга записи умерших 1913-21 гг, Арх №8; Батумская Еврейская синагога - Метрическая книга для записи родившихся 1901-1911 гг, №; Батумская Еврейская синагога - Метрическая книга для записи разводившихся 1901-1911 гг, №13; Батумская Еврейская синагога - Метрическая книга для записи разводившихся 1911-1921 гг, №14; Батумская Еврейская синагога-Алфавит на родившихся евреев, №18; Батумская Еврейская синагога-Алфавит на умершихся евреев, №19; Батумская Еврейская синагога-Алфавит на бракосочетаевшихся евреев, №20.

2. ბათუმის მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილება. ქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი. 1968-2005 წლები; განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი. 1968-2005 წლები.
3. ბათოშვილი ა., ებრაელთა ხალხის ისტორიიდან, თბილისი, 1991
4. ბოსტანაშვილი შ., ებრაული სალოცავებისა და სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში.- ხელოვნება, №1-2, 1992
5. გაგულაშვილი ი, ქართველ ებრაელთა გვარების ლექსიკონი, თბილისი, 1988
6. ივერია, №, 143, 1902
7. მამისთვალაშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი,1995
8. შამელაშვილი რ., ებრაელთა ქართული გვარსახელები.- წიგნში „არ გავცვლი სალსა კლდეებსა", თბილისი, 1982
9. შამელაშვილი რ., ებრაელი.- ქუთაისი, №202, 1989
10. ჭიჭინაძე ზ., ურიების თორა და მათი დღესასწაული.- დროება, №103, 1876
11. ცნობის ფურცელი, №1783, 1902
12. ციციაშვილი ა., გაბიძაშვილი ო., იუდაიზმი და სიონიზმი, თბილისი, 1982

13. Гилалов З., Горские Евреи: новый этап развития малочисленного народа.- IV Конгресс Этнографов и Антропологов России, Тезисы Докладов, 2001
14. Гителман Ц., Формирование еврейской культуры и самосознания в СССР: Государство в качестве социального инженера.- СЭ, № 1, Москва, 1991
15. Давид И., История евреев на Кавказе, I-II, Тель-Авив, 1989
16. Заславский Д. Евреи В СССР, Москва, 1932
17. Исход Горских Евреев: разрушение гармонии миров, Составитель С. Данилова, Нальчик, 2000
18. Крихели А., Исторический обзор пребывания иногородних (русских европейских) Евреев на Кавказе 1804-1855, част I.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, III, თბილისი, 1945
19. Крупник И., «ЛАХЛУХИ» - Курдистанские Евреи В СССР. - СЭ, № 12, Москва, 1998
20. Население СССР (Справочник). Под. ред. А. Боярского, Москва, 1974
21. Родник, №4, 1989.
22. Членов М.О Современном Расселении Еврейских Этнических Групп Кавказа - IV Конгресс этнографов и Антропологов России, Тезисы Докладов, 2001
23. Altsbuler, 1998 - Altsbuler M. Synagogues and Rabbis in the Soviet Union in the Light of Statistics, 1953-1964. – Jews in eastern Europe, vol. 35, No 1
24. Rothenberg, 1971 - Rothenberg J. the Jewish Religion in the Soviet Union, New York,

Манучар Лория

Этнорелигиозная мозаика Евреев живущих в Причерномории Грузии

Резюме

Грузия с древнего периода, впитывала как этническое, так и конфессиональное разнообразие, в котором еврейская диаспора играет важную роль. В Причерноморье Грузии проживают в основном Грузинские и Ашкеназские евреи.

Среди ашкеназских евреев, основным разговорным языком являлся русский, а среди грузинских евреев – грузинский.

Евреи, во время поселения в Причерноморье Грузии, принесли с собой традиционный быт, характерный для их прежнего места проживания. Разнообразие локальных особенностей культуры, заметно как среди грузинских, так и ашкеназских евреев.

Грузинские и ашкеназские евреи для молитвы ходили порознь, в свой синагоги, несмотря на то, что иудаизм для обеих общая религия. Такое разделение может быть объяснено разницей между ними в традиционно-бытовой культуре. Грузинские евреи имели большее тяготение к грузинам, чем к некогда их сородичам ашкеназским евреям. Надо отметить, что хотя в формировании культурного облика еврейской общины особую роль сыграл иудаизм, в условиях длительного совместного проживания с грузинским этносом, еврейская диаспора здесь освоила многие традиционные элементы, характерные для грузинской культуры. тогда, как среди ашкеназских евреев более заметно влияние европейской культуры.

Manuchar Loria

The ethno religious mosaics of the Jews living on the (georgian) Black Sea Coast.

Summary

There are Ashkenaz and Sephardi Jews in Georgian Black Sea Region. Many centuries ago they brought their customs and traditions here.

The cultural diversity has been displayed among Ashkenaz and Georgian Jews.

The spoken language of Ashkenaz Jews has predominately been Russian and the spoken language of Georgian Jews is Georgian.

In spite of the fact that Judaism is one and the same for them, Georgian and Ashkenaz Jews went to their synagogues separately.

This difference can be explained by their cultural variation.

Georgian Jews were in closer connections with the Georgian people more than with Ashkenaz Jews of the same age.

It also must be noted the fact of the great role of Judaism in the Jewish culture establishment.

But, it must be noted, that as result of long term period of living with Georgian people the Jews got many elements of Georgian culture, which is a characteristic feature of Georgian Jews.

თამილა ლომთათიძე

ხალახური აგრარული კალენდარი და აჭარის მოსახლეობის სულიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი

ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და საქმიანობა კარგად აისახა სამიწათმოქმედო აგრარულ კალენდარში, რომელიც ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე ადამიანების შრომითი საქმიანობის პროცესში. შრომის თავდაპირველი ბუნება, განვითარების ადრეულ საფეხურზე, ადამიანის მიერ მაგიურად იყო გააზრებული და, ამავე დროს, აუცილებელი იყო მიწათმოქმედის თავისებური ადაპტაცია ბუნების განვითარების კოსმიური რიტმისადმი (Токарев С.П. 1973, 6), სამიწათმოქმედო კულტურა ისე ღრმად იყო შეჭრილი ქართველი ხალხის ყოფაში, რომ მისი ცალკეული ელემენტები, პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად, თაყვანისცემის ობიექტად იყო ქცეული (ჩიტაია გ. 1997, 60). ამიტომაც, აგრარულ კალენდარში აისახა, როგორც მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად გამომუშავებული მეურნეობის წარმოების რაციონალური ხერხები და მეთოდები, ასევე, ხალხური რელიგიური აზროვნების სხვადასხვა საფეხურზე ჩამოყალიბებული ირაციონალური წეს-ჩვეულებანი. ამ საკითხების კვლევა საინტერესოა ხალხური რელიგიური, მსოფმხედველობისა და ყოფის შესწავლის თვალსაზრისით.

მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ტრადიციებში წლიური კალენდარული დღესასწაულები ძირითადად 5 ჯგუფად იყოფა: ახალი წლის, საგაზაფხულო, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის ციკლი. წელიწადის ყოველი დროის დღესასწაულებს თავისი ფუნქციონალური დანიშნულება აქვთ. ახალი წლის ციკლის წეს-ჩვეულებათა დანიშნულება იყო მთელი წლის მანძილზე მეურნეობისა და ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფა; საგაზაფხულო ციკლისა – სამიწათმოქმედო სამუშაოებისათვის მზადება და ამ სამუშაოების პირველი ეტაპის (მიწის დამუშავება, ხვნა-თესვა, ნათესების მოვლა-დაცვა და სხვ.) იღბლიანობის უზრუნველყოფა; სა-

ზაფხულო ციკლისა – მოსავლის დაცვა და მისი აღებისათვის მზადება; შემოდგომისა – მოსავლის აღება, ხოლო ზამთრის ციკლი მომავალი სამიწათმოქმედო საქმიანობისათვის მზადებისა და უხვი მოსავლის უზრუნველყოფისათვის იყო განკუთვნილი. აგრარული კალენდრის ეს სქემა თითქმის მთელი საქართველოსთვის ერთნაირია, მაგრამ ცალკეული რეგიონებისათვის იგი ლოკალური თავისებურებებითაც ხასიათდება. სწორედ ამ ლოკალური თავისებურებებისა და ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებების შესწავლას აქვს დიდი მნიშვნელობა როგორც ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხის დასმა-დაზუსტება-გადაჭრაში, ისე ზოგადქართული სურათის წარმოჩენაში (ბრეგაძე ნ. 1986, 166-172).

აჭარაში ქართული ხალხური აგრარული კალენდრის ყველა ეტაპი და დღესასწაული არაა შემორჩენილი, მაგრამ მათი უმრავლესობა ფრაგმენტული სახით მაინც ფიქსირდება. აჭარული წეს-ჩვეულებები აჭარაში ძირითადად იკვეთება სამეურნეო წლის სამი ეტაპის – ახალი წლის, საგაზაფხულო და საშემოდგომო ციკლის აგრარულ-რელიგიურ დღესასწაულებში. თუმცა, აგრარული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების კვალი მკრთალი გადმონაშთების სახით ზამთრისა და ზაფხულის ეტაპებზეც გვხვდება.

აჭარაში აგრარულ-რელიგიური წეს-ჩვეულებები კომპლექსური სახითაა წარმოდგენილი. ერთ აგრარულ რიტუალში რამდენიმე ასპექტი იყრის თავს. აგრარულ რიტუალებს სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულება აქვს. ამათგან უმთავრესია:

1. ნაყოფიერების უზრუნველყოფა;
2. გაღმერთებულ ბუნების ძალთა თაყვანისცემა და მათი კეთილგანწყობის მოპოვება;
3. ბუნების ძალთა აღორძინება.

დღესასწაულები და რიტუალები, ჩვეულებრივ, ერთი კონკრეტულ მიზნის მიღწევას ემსახურებიან. თუმცა აჭარაში დღესასწაულების უმრავლესობა პოლიფუნქციონალურია, რადგან მათში თავმოყრილია მრავალგვარი ფუნქცია, მაგიური ხერხი, სიმბოლო თუ კულტმსახურების ელემენტი. მაგალითად, დადეგობა აჭარაში ყველაზე აშკარად გამოხატული დამ-

ცავი მაგიის ნიშნის მატარებელი რიტუალია. იგი მიმართულია ავსულთა (ეშმაკების, ჯაზების, ბოროტი ძალების) წინააღმდეგ. მაგრამ, ამავე დროს, მასში აშკარადაა გამოკვეთილი „ცეცხლის დღეობების" ტრანსფორმაციის კვალი (ცეცხლის სახენაცვალი ფორმის – სანთლის გამოყენება და მისი მეშვეობით ავსულთაგან მოსავლის, სახლისა და სამეურნეო ნაგებობების, ადამიანების, შინაური ფრინველისა და პირუტყვის დაცვა), რითაც იგი ემსგავსება საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ ჭიაკოკონობას, კუდიანთწუთხას, ჭეჭეთობას და სხვ. საბოლოო ჯამში ამ დღესასწაულს მაინც მზის თაყვანისცემამდე მივყავართ, რადგან ცეცხლიც და მისი სიმბოლოებიც მზის მიწიერ ინსინუაციებად განიხილება და ამავე დროს დადეგი მზებუდობის – მზის წლიური კალენდრის ერთ-ერთ ყველაზე აქტიური პერიოდის დღესასწაულია. თავად ტერმინი დადეგიც მზებუდობას აღნიშნავს. ასე, რომ იგი არის როგორც დამცავი მაგიის, ასევე სოლარული კულტისა და ცეცხლის თაყვანისცემის ელემენტების შემცველი მრავალფუნქციონალური წეს-ჩვეულება. მრავალფუნქციონალურობის გამო აგრარულ წეს-ჩვეულებებში თავს იჩენს კიდევ ერთი საინტერესო კანონზომიერება: სხვადასხვა წეს-ჩვეულებების ცალკეული ელემენტებისა და კომპონენტების თანხვედრამ გამოიწვია სხვადასხვა მსგავსი ფუნქციის მქონე წეს-ჩვეულების ერთ საერთო დღესასწაულში გაერთიანება. ასეთია, მაგალითად, კვირკობა//ჩურუგაი, ბახურა, ელიობა. ისინი, როგორც შესწავლამ გვიჩვენა, თავდაპირველად სხვადასხვა დღესასწაულები უნდა ყოფილიყო და სამეურნეო წლის სხვადასხვა ეტაპზე იმართებოდა, მაგრამ, აჭარაში, ერთნაირი აზრობრივი დატვირთვისა და ერთნაირი ფუნქციონალური დანიშნულების გამო, ერთ საერთო დღესასწაულში გაერთიანდა და მიწის სამუშაოების ტაბუირების სახით ჩამოყალიბდა. ამგვარად, მსგავსმა ელემენტებმა და საერთო მიზანმა – მოსავლის დაცვამ მიწის სამუშაოების ტაბუირების გზით – გააერთიანა რამდენიმე დღესასწაული და მხოლოდ ჩაღრმავებული ანალიზი იძლევა საფუძველს მათში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რიტუალების დანახვისა და მათი გამიჯვნისათვის.

უძველესი მეურნე თავისი საქმიანობით თითქმის მთლიანად ბუნების ძალებზე იყო მიჯაჭვული. ბუნებრივია, რომ მას ეს ძალები თაყვანისცემის საგნად ექცია. ამიტომაც, აგრარულ წეს-ჩვეულებებში უხვად გვხვდება სხვადასხვა კულტები (მიწის, წყლის, სოლარული, მცენარეული, ცეცხლის, კერის, მიცვალებულის და სხვ.) და მათთან დაკავშირებული მაგიურ-რიტუალური ქმედებები და სიმბოლოები.

მემინდვრეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა უმრავლესობა მიწის თაყვანისცემის ნიშნითა და ნაყოფიერების იდეითაა გამსჭვალული. მიწის გასულიერებასა და ღვთაების რანგში აყვანაზე მიუთითებს აჭარაში გავრცელებული მიწასთან დაკავშირებული დაფიცებისა და დაწყევლის ფორმულები, ხატოვანი გამონათქვამები: უტყუარობის დამადასტურებლად მიწაზე დაიფიცებდნენ, რადგან „მიწა ნაფიცარია" და ტყუილის მთქმელი დაისჯება; „მიწა არ მიიღებსო," – იტყოდნენ ბოროტ, სიავის მქნელ კაცზე; „მიწა დაავადმყოფდაო," – ამბობდნენ მაშინ, როცა ბევრი ახალგაზრდა დაიკრძალებოდა. მიცვალებულის დასაფლავებას ქობულეთში „მიწაში შენახვას" ეძახიან. ასევე ამბობენ თესვის პროცესზე – „თესლი მიწას მივაბარეო". მიწას, როგორც ნაყოფიერების მომცემს, აიგივებდნენ ქალთან და მისი ნაყოფიერების მიზნით მიმართავდნენ ფალიურ-ეროტიკული ხასიათის რიტუალებს. დედა-მიწის დასაცავად გარკვეული აკრძალვების სისტემაც მოქმედებდა. ერიდებოდნენ გარკვეულ დღეებში მიწის სამუშაოებს და მიწაზე შეხებასაც კი. ამ მიზნით წლის ზოგიერთი დღე (ე.წ. „ნაკრძალი დღეები": ბახურა, კვირკობა//ჩურუგაი, ელიობა, ქაშატობა) მიწისათვის შეწირულ უქმედ ცხადდებოდა. მიწის კულტის არსებობაზე მიუთითებს მიწისათვის მსხვერპლის გაღების ჩვეულებაც, რაც სხვადასხვა პროდუქტის, მარცვლეულისა თუ რიტუალური ტრაპეზის ნარჩენების მიწისათვის სიმბოლურ „მიბარებაში" გამოიხატებოდა. მიწისათვის მსხვერპლის გაღების გარკვეული წესი, გარდა ზემოთ უკვე აღწერილი რიტუალებისა, თავს იჩენს აჭარაში ახალი სახლის მშენებლობის დროს სახლის მარჯვენა საძირკველში პურის კაკლის, საქონლის ბეწვის, შაქრისა და ხურდა ფულის ჩატანების ჩვეულებაში. სჯეროდათ, რომ საძირკვლის ქვა მხოლოდ ამის შემდეგ „იცნობდა თავის ად-

გილს” და შესაძლებელი იყო სახლის მშენებლობის დაწყება (ნოდაიდელი ნ. 1986, 71). ზოგან, განსაკუთრებით ქვემო აჭარაში, სცოდნიათ ცოცხალი შესაწირავის (შინაური ფრინველი, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონელი) გაღება და ბალავარში მისი სისხლის ჩასხმა (მიქელაძე ჯ. 1982, 42). ამგვარად, აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება როგორც მიწის ღვთაების რანგში აყვანის ზოგადქართული მოდელის ნიშნები, ასევე, მიწის კულტთან დაკავშირებული არქაული რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების კვალი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიწის კულტმა ქართულ ღვთაებათა იერარქიაში თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა, როგორც ერთ-ერთმა უმაღლესმა და მთავარმა ღვთაებამ მიწათმოქმედების ჩასახვიდან ვიდრე ქრისტიანობის გაჩენამდე, ხოლო შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ განიცადა დიდი სახეცვლილება, უკვალოდ არ გამქრალა და შეინარჩუნა თავისი ფუნქციონალური დანიშნულება ქართველი მეურნის რწმენა-წარმოდგენებსა და აგრარულ წეს-ჩვეულებებში.

მოსავლის ბედ-იღბალი დიდად იყო დამოკიდებული წყლის სტიქიაზეც. ამიტომაც აგრარულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში ღვთაებრივი ძალა ჰქონდა მინიჭებული წყალსაც. წყლის მაგიური ძალის რწმენა არაერთ რიტულში იჩენს თავს. ხალხური რწმენით წყლის სტიქიას თავისი განმგებელი ძალა – წყლის სული ჰყავს, რომელიც აჭარაში წყლის დედაბრის//ზღვის დედაბრის//ზღვის ნენეის და წყლის კაცის//ზღვის კაცის სახელით მოიხსენიება. მათ ამინდის მართვის ფუნქცია ეკისრებოდათ. გადმოცემით, „9 მარტს ზღვიდან გამუა წყლის კაცი, თუ გათბა დეილოცება და იმ წელს კაი ამინდი იქნება; თუ შეცივდა, დეიწყევლება და ამინდიც წახდება”. წყლის მითოლოგიური არსება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი. ოქროსფერთმიანი მაცდური ქალის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი წყლის ქალი ქართლში; წაბლისფერთმიანი ქალ-ღვთაება იყო აფხაზური წყლის დედაც (ვირსალაძე ე. 1964, 112-113) იმერეთში წყლის მითოლოგიური სული ლარსას სახელწოდებით იყო ცნობილი, ლაზეთში წყლის მფარველი ძალა ზღვის კაცის – „მზოდაშ კოჩის” სახით გვევლინება, სამეგრელოში კი იგი წარმოდგენილი ყავდათ ‘წყარიშ მაფას” -

წყლის მეფისა და „წყარიშ დიდას" - წყლის დედის სახით. სამეგრელოშივე იყო ფეხმოკიდებული რწმენა მამაკაცი და ქალი მესეფების შესახებ, რომელთაც წყლის სტიქიის მეშვეობით ამინდის მართვისა და ჭირნახულის სიუხვის ორგანიზების ფუნქცია ჰქონდათ მინიჭებული (თანდილავა ზ. 1996, 132,148; ნადარაია მ. 1979, 132-147). მესეფები წყალში ბინადრობენ, წელიწადის გარკვეულ დროს კი (28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი) ისინი ხმელეთზე გამოდიან, რათა თავიანთ სამეუფოში წესრიგი დაამყარონ. ამავე დროს მათ ამინდის მართვის ფუნქციაც აკისრიათ. მკვლევართა ნაწილი მესეფს ნადირთ ღვთაებად მიიჩნევს და ხაზს უსვამს მის სამონადირეო ფუნქციას (ცანავა აპ. 1970; ვირსალაძე ე. 1964), ხოლო, ზ.თანდილავა, ჩვენი აზრით სავსებით მართებულად, მესეფს წყლის მეუფედ მიიჩნევს და თვლის, რომ ნადირთღვთაების ფუნქციის დაკისრება მესეფისათვის შედარებით გვიანდელი მოვლენაა (თანდილავა ზ. 1986, 13). ამ აზრს ამტკიცებს ისიც, რომ ნადირობასთან არაფერი აქვთ საერთო მსგავს მითოლოგიურ არსებებს აჭარასა და ლაზეთში. აქ მათ მხოლოდ მომავალი წლის ამინდისა და, აქედან გამომდინარე, ჭირნახულის ბედის განსაზღვრა ევალებათ.

აჭარაში წყლის მითოლოგიური არსების კვალი ჩანს მეთევზეთა რწმენა-წარმოდგენებშიც. ხალხური რწმენით წყლის კაცი წყალში მცხოვრები ყველა სულიერის განმგებელი და მფარველია. მას შეუძლია ადამიანის ენით ლაპარაკიცა და ადამიანის სახის მიღებაც. იგი მფარველობს მეთევზეებს, მაგრამ გარკვეული ტაბუირების სისტემის (თევზაობის ვადები, დაჭერილი თევზის რაოდენობის შეზღუდვა და სხვ.) დარღვევის შემთხვევაში სჯის მათ. ამაზე მოგვითხრობს აჭარაში დაფიქსირებული არაერთი მითოლოგიური სიუჟეტი. წყლის კულტის არსებობაზე მიუთითებს წვიმის გამოწვევის მიზნით მდინარეების, წყაროს, ტბის პირას ხარის ან ცხვრის მსხვერპლშეწირვის ჩვეულება. წყლის, როგორც გამანაყოფიერებელი, მაცოცხლებელი და გამწმენდი ძალის რწმენა ჩანს წყლის კულტმსახურების ისეთ ელემენტებში, როგორიცაა წინსვლისა და ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით ახალი წლის რიტუალში წყლის უბრად მოტანა, ოთახის კუთხეებში მოსხმა (შამილაძე ვ. 1969, 13), ახალი წლის დილას ზემო აჭა-

რაში საქონლის წყალზე გაყვანის ჩვეულება (თანდილავა ზ. 1980, 54), ლაზარობისას წყლის მისხმა ჩამოსატარებელ თოჯინაზე, კარნავალის მონაწილეთა წყლით გაწუწვა, 7 მაისის წვიმით თავის დასველება თმების სწრაფად გაზრდის მიზნით და სხვ. წყლის ფალოსური ბუნების რწმენა თავს იჩენს არა მხოლოდ რიტუალებში, არამედ წყლის ხართან დაკავშირებულ თქმულებებშიც, რომელთა თანახმადაც წყლის ხარი გვევლინება წყლის გამანაყოფიერებელი ზებუნებრივი ძალის განმასახიერებლად (სახოკია თ. 1950, 212; თანდილავა ზ. 1978, 59; შიოშვილი თ. 1976, 84). აგრარულ წეს-ჩვეულებებში მიწასა და წყალთან დაკავშირებული რიტუალები ხშირად ერთ დღესასწაულში იყრის თავს. ამიტომ რიტუალების დიდი ნაწილი ორივე სტიქიას უკავშირდება (ნაკრძალი დღეები ითვლება როგორც მიწისათვის, ასევე წყლის სტიქიისათვის შეწირულადაც), ამიტომაც ამ დღეებში, გარდა მიწის შეწუხებისა, არ შეიძლება ბანაობა, წყლის გამოყენება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში მიწისა და წყლის კულტები და მათთან დაკავშირებული რიტუალები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

აგრარულ კალენდარულ წეს-ჩვეულებათა შესწავლისას ჩვენ გამუდმებით ვაწყდებით სოლარული კულტის კვალს, კავშირს მზესა და კალენდარულ წეს-ჩვეულებებს შორის. მზე ოდითგან აგრარული კულტის განუყოფელი ნაწილია. ასტრალური რწმენების განვითარებას ხელი შეუწყო მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებამაც. ადამიანს არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ბუნების კვდომა-განახლება ემთხვევა და დამოკიდებულია ცაზე მზის მოძრაობაზე, ბრუნვაზე, მის მდგომარეობაზე. მზეს, როგორც ქართული წარმართული რელიგიის ერთ-ერთ ძირითად საწყისს, მიეწერებოდა ნაყოფიერების გამომწვევი, მაცოცხლებელი და ამაღორძინებელი ფუნქცია. ეს რწმენა შემდეგ ადამიანებს გადაჰქონდათ მის რიტუალურ სიმბოლოებზე (ცეცხლი, კერა, ნაკვერცხალი, ნაპერწკალი, ნაცარი, კვამლი და სხვ.) (ბარდაელიძე ვ. 1941, 37).

სოლარული რწმენანი ქართველი ხალხის ცნობიერებაში უძველესი დროიდან საკმაოდ განვითარებული ჩანს. აჭარაში სოლარული კულტის კვალი კარგადაა შემონახული აჭარული

„დათვა-ბოყვას” სახით, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი უძველესი ტიპის საკეტია და ასახავს ქართველი და ძველი აღმოსავლეთის ხალხების შეხედულებებს მზის ღვთაების შესახებ. აჭარული „დათვა-ბოყვა” დასტურია იმისა, რომ საქართველოს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ძველი აღმოსავლეთის კულტურულ საგანძურში და ამ კულტურასთან მრავალი საერთო ელემენტი აკავშირებს (ჩიტაია გ. 1940, 324-326).

სოლარული კულტი აჭარაში მჭიდროდაა დაკავშირებული ცეცხლისა და კერის კულტებთან. აჭარაშიც ფართოდაა ცნობილი ცეცხლთან, როგორც მზის მიწიერ სიმბოლოსთან, დაკავშირებული აგრარული წეს-ჩვეულებები. ცეცხლს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის რწმენა-წარმოდგენებში გამწმენდი, დამცველი ფუნქცია აკისრია. ქართველთა რწმენა-წარმოდგენებმაც უხვად შემოგვინახა ცეცხლის რელიგიური აღქმის კვალი. იგი განიხილებოდა, როგორც ღვთიური ძალა, რომელიც დაჯილდოებულია ადამიანებზე ზემოქმედების უნარით. ამიტომაც, ცეცხლი და მისი ატრიბუტები გამოიყენებოდა თითქმის ყველა სახის წეს-ჩვეულებებში. აჭარაში დიდი უბედურების მანიშნებლად იყო მიჩნეული კერაში ცეცხლის გაქრობა. განსაკუთრებით უფრთხოდნენ ნაახალწლევს ცეცხლის გაქრობას. ამიტომ დაწოლის წინ ოჯახის უფროსი დიასახლისი ცხემლის შეშისაგან დაყრილ ნაკვერცხლებს „შეახვევდა” – ცეცხლმოკიდებულ მუგუზლებს კერის შუაში შეაქუჩებდა და ნაღვერდალსა და ნაცარს მიაყრიდა. თან შეულოცავდა. ცეცხლი, განიხილებოდა, როგორც მზის ნაწილი და მისი, როგორც მზის მარადიული სიმბოლოს გაქრობა, ოჯახის არსებობის შეწყვეტის მომასწავებლად იყო მიჩნეული. შემდგომ ამ რწმენაზე დაფუძნებული უძველესი ტრადიცია წეს-ჩვეულებად ჩამოყალიბდა. მზის მიწიერ ინსინუაციად განიხილებოდა არა მხოლოდ ცეცხლი, არამედ ნაცარი, ნაკვერცხალი, მუგუზალიც. მათ მიეწერებოდათ არა მხოლოდ გამწმენდი და დამცველი ფუნქცია, არამედ, ასევე, სიმდიდრის, ნაყოფიერებისა და სიუხვის მიმზიდველ თილისმადაც აღიქმებოდნენ. ამიტომაც რიტუალებში ხშირად იჩენს თავს მათზე სხვადასხვაგვარი მაგიური ზემოქმედების ხერხები (საახალწლო რიტუალებში ნაკვერცხალთან და ნაპერწკლებ-

თან დაკავშირებული ქმედებები), რომლებსაც უნდა გამოეწ-ვიათ მზის ცხოველმყოფელი ძალის გაძლიერება, ბუნების ძალთა აღორძინება, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვებოდა უხვი მოსავალი და ნაყოფიერება.

ცეცხლი და მისი ატრიბუტები განიხილებოდა, როგორც წარმატების მომტანი და იღბლიანობის უზრუნველმყოფელი სიმბოლო სამონადირეო წეს-ჩვეულებებშიც. მაგალითად, სანა-დიროდ ან სათევზაოდ მიმავალს ოჯახის დასახლისი დილით ხმისამოუღებლად მიაყრიდა ნაკვერცხალს ან ნაცარს. ან კიდევ სანადიროდ მიმავალი კერის ჯაჭვს მოკიდებდა ხელს ან მუგუზალს დაადგამდა ფეხს. ნაკვერცხალს მიაწერდნენ ავი თვალისაგან დაცვის ფუნქციასაც. ამიტომაც, ადრე გაზაფხულზე, პირველად რომ ჩვილხბოიან ძროხას გამოიყ-ვანდნენ, ახორის გადმოსასვლელ კარზე ჩინჩხალს (ნაკვერ-ცხალს) დაყრიდნენ ასტამზე და მასზე გადმოატარებდნენ, წი-წილებს თბილ ნაცარზე გადმოატარებდნენ ბუდიდან პირვე-ლად გადმოყვანის დროს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარაში, ისე როგორც სა-ქართველოს სხვა კუთხეებში, ნახშირი, ნაკვერცხალი ფარ-თოდ გამოიყენებოდა შელოცვის რიტუალებში და სხვადასხვა ავადმყოფობის მკურნალობისას. მაგალითად, თვალცემულის შელოცვისას ლოცვის რიტუალი სხვა ატრიბუტებთან (დანა, მაკრატელი, წყალი) ერთად, სრულდებოდა ნახშირზე. ნათვა-ლევზე იცოდნენ თმის, ფქვილის დაწვა ნაკვერცხალზე და კვამლს უხრჩოლებდნენ ავადმყოფს. სჩანს, ამ მოქმედებით სურდათ მზის სიმბოლოების – ნაკვერცხლის, ნახშირის მეშ-ვეობით მნათობის ცხოველმყოფელი ძალა ავადმყოფზე გადა-სულიყო. ამავე მიზნით იცოდნენ აჭარაში „თვალწყალის" (წყალში ჩაყრილი გავარვარებული ნაკვერცხლის ან კერიდან აღებულ ცხელი მიწის გალესვით მიღებული სითხე) დამ-ზადებაც, რომელიც აკვნის ბავშვის მუცლის ტკივილისას გამოიყენებოდა სამკურნალოდ. აჭარაში ხანდაზმულთა მეტ-ყველებაში დღესაც შეინიშნება გამოთქმები „მზის თვალის მადლმა", „მზის თვალის გამჩენმა", „მზის თვალზე ვფიცავ" და სხვ., რაც უტყუარი დაფიცებისას ამბობენ.

სოლარული რწმენის ორბიტაში ექცევა კერაც, ისევე როგორც ყოველგვარი წრიული საკულტო სიმბოლიკა. კერას-

თან აჭარაში მრავალგვარი რწმენაა დაკავშირებული. მაგალითად, კერის ცეცხლზე ბლის შეშას არ დაწვავდნენ, რადგან, სანამ კერაზე მისი ნაცარი იქნება, ოჯახში ავადმყოფობა არ გამოილევაო. კერაზე არც სუროს დაწვავდნენ: საქონლის ზარალი მოგვივაო. კერაზე ფეხის გადაბიჯებაც არ შეიძლებოდა: კერა გაცივდებაო. კერაზე ჩამოჯდომაც აკრძალულია, იტყვიან, ეს დაფუხრებას (გაღარიბებას) ნიშნავს და კარზე მევალე დაგიჯდებაო და სხვ. (ნოღაიდელი ჯ. 1971, 65). კერასთან დაკავშირებული მსგავსი რწმენა-წარმოდგენები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება (ჩართოლანი მ. 1961, 135-140). კერის კულტისა და აგრარული რწმენა-წარმოდგენების კავშირი კარგად ჩანს კერის წინ სამიწათმოქმედო და ნაყოფიერების გამომწვევი რიტუალების შესრულების ჩვეულებაში. აჭარაში კერის კულტის გარკვეული ანარეკლია ბუხარი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ბუხარი აჭარაში იყო ის ადგილი, სადაც თავს იყრიდა მთელი ოჯახი და წყდებოდა ოჯახისათვის საჭირბოროტო ყველა საკითხი. კერის კულტის ნიშნები განსაკუთრებით გამოკვეთილია საქორწინო რიტუალში. აჭარაში პატარძალი მოყვანისთანავე საჯალაბო ოთახის ბუხართან მიჰყავდათ. იგი ბუხარს ხელით სამჯერ უნდა შეხებოდა, ასევე ხელს მოაკიდებინებდნენ ბუხარში ჩამოკიდებულ ჯაჭვზე და კეციდან გამომცხვარ მჭადს ააღებინებდნენ. ზოგან იცოდნენ პურის ცომში ხელის ჩაკვრა და ცომიანი ხელის ბუხარზე ჩამოსმა, თაფლში ხელის ჩაყოფა ან ღომის მარცვლების მოპნევა კერის წინ, კერის ძირში რძის მისხმა და სხვა ქმედებანი. ბუხართანვე ჩაუსვამდნენ პატარძალს კალთაში პატარა ბიჭს და ჩააცმევდნენ „საშინაო ჩუსტებს" (ბექაია მ. 1974, 66). ამ წეს-ჩვეულებებში ვლინდება ოჯახში ახალი წევრის – პატარძლის შემომატებაში კერის მაგიურ-სიმბოლური მნიშვნელობა. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კერის კულტი თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა – მარადიული სიცოცხლის სიმბოლო და ის დიდ როლს თამაშობდა საქორწინო ცერემონიებში, როდესაც გვარში ან ოჯახში გარეშე პირის ინკორპორაცია ხდებოდა (ჩიტაია გ. 1941, 310).

ქართველი ტომების მზის ღვთაების ემბლემა წრისა და დისკოს მოყვანილობის უნდა ყოფილიყო. რწმენა რგოლისებ-

რი საგნების „სიწმინდის” შესახებ ჩვენში უძველესი ხანიდან მომდინარეობს. წრის მაგიური მიშვნელობის ამსახველი მრავალი ფაქტია ცნობილი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. ოდითგან წრეხაზი ავი თვალისა და ბოროტი ძალებისაგან მფარველ საშუალებადაა მიჩნეული (ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ. 1939, 22-23). აჭარაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სცოდნიათ ნარ-ეკლის წრიულად შემომრგვალებული სათვალოების გადმოკიდება საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კარებზე, ბოსტნებისა და ყანების შესასვლელში. მზის სიმბოლური ნიშნის – წრის აპოთროპიული ფუნქცია აჭარაში კიდევ ერთხელ ადასტურებს მზის კულტისა და მისადმი მიძღვნილი რიტუალების არსებობას.

მზის კულტს უკავშირდებოდა, აგრეთვე, კვირისტავი, რომელიც ხშირად ბარბალეს, როგორც მზის ღვთაების ემბლემას წარმოადგენდა. საინტერესოა აჭარაში დამოწმებული, კვირისტავზე მომავლის წინასწარმეტყველების ჩვეულებაც. კვირისტავს წყლიანი ჭურჭლის თავზე დაიჭერდნენ და შიგ ანთებული სანთლის ნაღვენთს ატარებდნენ. ამ გზით მიღებული ფიგურების მეშვეობით წინასწარმეტყველებდნენ მომავალს.

ამგვარად, აჭარაში აგრარული წეს-ჩვეულებები წარმოდგენილია რთული კომპლექსის სახით, რომელშიც აისახება ქართველთა წარმართული რელიგიის ძირითადი საწყისების – მიწის, წყლის, მზის, ცეცხლის, კერისა და სხვ. კულტმსახურების ნიშნები.

აჭარაში აგრარულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში რამდენიმე რელიგიური პლასტია შემონახული. რელიგიათა ურთიერთზეგავლენა სინკრეტული ფორმით აყალიბებდა წეს-ჩვეულებებს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს აჭარაში, სადაც აგრარულ წეს-ჩვეულებებში სამი რელიგიის – ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული და მუსლიმანური დანაშრევები გამოიყოფა. აქ თავდაპირველად ქრისტიანობა დევნიდა აგრარული ხასიათის დღესასწაულებს, რომლებიც შეუთავსებელი იყო ქრისტიანულ მორალთან, შემდგომ კი ისლამი ცდილობდა დაემორჩილებინა ისინი საკუთარი კანონებისათვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისლამმა ყოფით ჩვეულებებსა (საქორწინო, დაკრძალვის წესები, ნათლობა და სხვ.)

და, საერთოდ, საოჯახო ყოფაში უფრო ადვილად შეიტანა კორექტივები, ვიდრე აგრარულ წეს-ჩვეულებებში. ამიტომაც აგრარულ წეს-ჩვეულებებზე მისი გავლენა მინიმალურია. აჭარაში ქრისტიანული წესები თითქმის მთლიანად გამოდევნილია მუსლიმანობის მიერ, სამაგიეროდ უფრო მეტადაა შემორჩენილი არქაული ფორმები, რაც არა მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ ისლამი სდევნიდა ყველაფერ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურს, სხვა რელიგიებსა და ადათ-წესებში კი ნაკლებად ერეოდა, არამედ იმითაც, რომ თავად თურქეთის ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში ისლამური ელემენტების გვერდით ფიქსირებულია უძველესი კულტმსახურებისა და რელიგიურ-მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენათა კვალი. ეს კულტები და მითოსური არსებები სემანტიკურ მსგავსებას ავლენენ ქართულ მითოლოგიურ სამყაროსთან, რასაც მეცნიერები იმით ხსნიან, რომ თურქულ მითოლოგიასა და წეს-ჩვეულებებზე დიდი იყო ბერძნული და იმ ხალხებისა თუ ტომების არქაულ რწმენა-წარმოდგენათა ზეგავლენა, რომლებიც დახვდნენ თურქ-სელჩუკებს მცირე აზიაში ან რომლებთანაც ოსმალებს ურთიერთობა ჰქონდათ ისტორიულად (Гордлевский В.А. 1960, 321-361; Курылёв В.П. 1976, 131; Еремеев Д.Е. 1971, 243). ამ ხალხებთან ეთნიკური შერევისა და მათთან კულტურული კონტაქტების შედეგად თურქულმა ტომებმა შეითვისეს ამ ხალხების უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის თითქმის ყველა ელემენტი. ამან წარმოშვა ბევრი მსგავსი მომენტი რწმენა-წარმოდგენებსა თუ წეს-ჩვეულებებში. შესაძლებელია, სწორედ ასეთი მონათესავე რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების არსებობის გამო ისლამი ნაკლებად ებრძოდა ძველს, არქაულს და კმაყოფილდებოდა მათთვის მხოლოდ მუსლიმანური შეფერილობის მიცემით. იქნებ ამიტომაც, აჭარაში არაა შენარჩუნებული ისლამთან შეუთავსებელი ქრისტიანული დღესასწაულები, სამაგიეროდ, მრავლადაა შემორჩენილი ტრადიციული დღესასწაულის არქაული ფორმები, ამასთან, ხშირად აქ დაკონსერვებულია რიტუალის უძველესი ვარიანტები. მაგალითად, საქართველოს სხვა კუთხეებში რიტუალურ კერძებად უმეტესწილად პურეული, კვერები გამოიყენება, აჭარაში კი რიტუალური დანიშნულება უფრო მეტად ფაფას აქვს დაკისრებული. საწესო ფაფის

მოხარშვის ტრადიცია კი, როგორც ცნობილია, უფრო ადრინ-დელია, ვიდრე რიტუალური პურების დამზადების ჩვეულება. ხორბლეული კულტურების საფუძველზე მიღებული ფა-ფისებური კერძების სახეობები (წანდილი, კოლიო, კორკოტი და სხვ.) საზოგადოებრივი განვითარების იმდროინდელი საფეხურის წარმონაქმნია, როცა ჩვენი წინაპრებისათვის ხორბლის კერძები ძირითად საკვებს წარმოადგენდა. ისინი პურმა და მისმა სახესხვაობებმა შეცვალა მოგვიანებით, პუ-რის საცხობი საშუალებების სრულყოფის შემდეგ (ბერიაშვი-ლი ლ. გოცირიძე გ. 1988, 74).

თავისი ბუნებით აგრარული წეს-ჩვეულებები კონსერვა-ტულია და გადმონაშთური სახით თანამედროვე ყოფამდეც აღწევენ. განსაკუთრებით კარგად შემოინახა დღესასწაულების რიტუალური მხარე და არქაული ელემენტები აჭარის მთის მოსახლეობამ ანუ ზემო აჭარამ. აქაურებს უკეთაც ახსოვთ ისინი და ყოფაშიც აქ უფროა შენარჩუნებული აგრარული წეს-ჩვეულებები. ამასთან, აქ ზოგჯერ ცალკეული ხეობების მიხედვითაც იჩენს თავს ლოკალური თავისებურებანი და ერთ ხეობაში გავრცელებულ ჩვეულებას ანალოგი სხვაგან არც მოეძებნება. ასეთია, მაგალითად, მერისის ხეობაში დადასტურებული წვიმის გამოწვევის წესი (ღომას მთაზე შავი ტბის წყლის მოსხურება), რაც მხოლოდ ამ ხეობისთვისაა დამახასიათებელი (ჩხეიძე ჯ. 1961, 90). ასევე, სხვა ხეობაში ანალოგი არ მოეპოვება ხულოს რ-ის სოფელ ხიხაძირში დაფიქსირებულ წვიმის გამოწვევის წესს. აქ გვალვის დროს საქონელი მიჰყავდათ მაღალ მთაზე. ხბოებსა და ძროხებს გააცალკევებდნენ ერთმანეთისაგან და მთელი დღე ერთ-მანეთს არ გააკარებდნენ. ცალკე ხბოები ბღაოდნენ და ცალკე ძროხები. ასე ამყოფებდნენ საღამომდე. სჯეროდათ, რომ საქონლის ბღავილი ციურ ძალებს გააბრაზებდა და საღამოსთვის აუცილებლად გაწვიმდებოდა. თვლიდნენ, რომ ეს ლაზარობაზე უფრო უტყუარი საშუალება იყო წვიმის გამოწვევისა. წვიმის გამოწვევის მსგავსი წესი მხოლოდ მეს-ხეთში გვხვდება (ბერიაშვილი ლ. 1973, 143).

სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო აჭარაში სარწმუნოებრივი სიჭრელის პირობებში წეს-ჩვეულებათა უმეტეს ნაწილს თავდაპირველი სახე თითქმის

მთლიანად დაკარგული აქვს და უფრო მეტად ძლიერ სახეშეცვლილი, გადმონაშთის ან წეს-ჩვეულების უმნიშვნელო ანარეკლის სახით გვხვდება. ზოგჯერ ერთი წეს-ჩვეულების ცალკეული კომპონენტები და ელემენტები გაბნეულია სხვადასხვა წეს-ჩვეულებასა და რიტუალში. მაგრამ ყველა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ელემენტი ან მცირე კვალიც კი მნიშვნელოვანი და ხელჩასაჭიდი ეთნოგრაფიული მასალაა წეს-ჩვეულებათა გენეზისის შესასწავლად და სწორედ მათი, როგორც გვერდითი, დამხმარე ფაქტორების, დამატებითი ეთნოგრაფიული მასალის კვლევა, იძლევა საშუალებას დავადასტუროთ აჭარაში ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსებობა ან მისი ფუნქციონალური დანიშნულება. მაგალითად, ბერიკაობა-ყეენობის დღესაწაული აჭარაში არაა შემორჩენილი, მაგრამ მისი ნიშნები და გადმონაშთები აშკარად იკვეთება გართობა-თამაშობებში „ფადიკოსა" და „დათვობიაში" და შუამთობის რიტუალში. ამ ნიშნების ჩაღრმავებული კვლევა, შედარება სხვა კუთხეების ანალოგიურ და პარალელურ მასალასთან, ლოგიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ აჭარაში ბუნების აღორძინების ამ უძველესი დღესასწაულის არსებობაზე, მის თავდაპირველ არსსა და მნიშვნელობაზე. საერთოდ, აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი უძველესი რწმენა-წარმოდგენის კვალი სწორედ საბავშვო თამაშებშია შემონახული და მათი შესწავლა ზოგჯერ საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ აჭარაში ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსებობა ან დანიშნულება. როგორც ცნობილია, ზოგიერთმა აგრარულმა წეს-ჩვეულებამ ტრანსფორმაციის შედეგად დაკარგა საკულტო შინაარსი და გარკვეული ისტორიული გზის გავლის შემდგომ საბავშვო თამაშობად და გასართობად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ მაგიურ ქმედებათა თავდაპირველი შინაარსი დაკარგულია, თამაშებში რიტუალების ბევრი არქაული ფორმაა შემორჩენილი. ამდენად, თამაშები წარმოადგენს დამატებით ეთნოგრაფიულ მასალას წეს-ჩვეულებათა უძველესი ფორმების აღსადგენად. მაგალითად, ბოსლობის დღესასწაულის არსებობა აჭარაში საბავშვო თამაშების მოკუჭალიებისა და ბუღობია//ეწრობიას ანალიზის მეშვეობით დასტურდება, რადგან სწორედ ამ თამაშებმა შემოინახა დღეობა ბოსლობის ელემენტებიცა და ღვთაება

ბოსლას ფონეტიკური სახეცვლილებაც - „ბოლა” (შამილაძე ვ. 1973, 49). რიგი თამაშები რომ სერიოზული საკულტო ქმედების გადმონაშთს წარმოადგენენ და უძველს მსოფმხედველობას ასახავენ, კარგად ჩანს აჭარაში გავრცელებულ თამაშში წყვედობილა//გაგლეჯილა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული თამაშის „ნიშხა-ნიშხა ბარბალუკას” იდენტურია და მის მსგავსად ასახავს კოსმიურ-მითოლოგიურ სცენას მნათობი მზისა და შავ-ბნელი ძალის – გველეშაპის დაუცხრომელი ბრძოლისა. ეს კოსმიურ-მითოლოგიური სიუჟეტი ხალხს შეეძლო შეექმნა დღე-ღამის და ბუნებრივი სეზონების ცვლის გამომხატველი ნათელი და შავ-ბნელი, კეთილი და ავი ძალების ჭიდილის შესახებ არსებული უძველესი წარმოდგენების საფუძველზე (ბარდაველიძე ვ. 1941, 37). ეს თამაში სოლარული კულტმსახურების არეალში ექცევა ისევე, როგორც ცეცხლობიას ანუ ათეშოინის, ართოშანის („ათეშ” თურქ. - ცეცხლი) თამაში. თამაშის ამოსავალი წერტილია ცეცხლის დაცვა. ცეცხლობიაში ჩანს ცეცხლის გაღმერთებისა და მასზე განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის კვალი. ცეცხლობია მიჩნეულია ამირანის მიერ ღმერთებისათვის ცეცხლის მოტაცების მითოლოგიური სიუჟეტის განსახიერებად. იგი გატაცებული ცეცხლისათვის თავგამეტებული ბრძოლის ერთგვარ სახალხო ინსცენირებას უნდა წარმოადგენდეს (ნოღაიდელი ჯ. 1971, 126). ასე, რომ აჭარაში საბავშვო თამაშებში მრავალი უძველესი რწმენა-წარმოდგენისა და წეს-ჩვეულების კვალია შემორჩენილი. მათი შესწავლაც ხშირად იძლევა დამატებით ენოგრაფიულ მასალას ამა თუ იმ წეს-ჩვეულების თავდაპირველი სახით აღდგენისათვის.

წეს-ჩვეულებათა ტრანსფორმაციისა და შემდგომი ეპოქების ზეგავლენის შედეგად უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ წეს-ჩვეულებათა ფუნქციონალური დანიშნულებისა და შინაარსის შეცვლა, არამედ მათი შესრულების ფორმების სახეცვლილებაც. საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიური მასალა მიუთითებს, რომ აგრარულ წეს-ჩვეულებათა დიდი ნაწილი საერთო-სასოფლო ან საერთო-სათემო იყო, აჭარაში კი ისინი უმთავრესად საოჯახო დღესაწაულის სახითაა წარმოდგენილი. თუმცა ჩაღრმავებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ადრე

აჭარაშიც უნდა არსებულიყო საერთო-სახალხო დღესასწაულები. მაგალითად, ქაშატობა, „ცხემლის ჭრა", საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, საერთო-სათემო დღეობები უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღეს აჭარაში საოჯახო რიტუალის დონეზეა წარმოდგენილი. შესაძლოა საერთო-სახალხო დღესაწაულების საოჯახო დღესასწაულებად გადაქცევა გამოიწვია ჯერ ქრისტიანობისა და შემდგომ ისლამის მიერ მასიური ხასიათის არქაული დღესასწაულების აკრძალვამ და ისინი აჭარაში შემორჩნენ მხოლოდ საოჯახო დონეზე, სადაც მათი შესრულება გაბატონებული იდეოლოგიისაგან მოფარებულად შეიძლებოდა.

სოციალური განვითარების ყველა ახალ საფეხურზე წეს-ჩვეულებები განიცდიდა სახეცვლილებას, კარგავდა ძველ ფუნქციებს და იძენდა ახალ შინაარსს. აჭარაში დღემდე მოღწეული და ყოფაში შემონახული რიტუალების უმრავლესობის თავდაპირველი დანიშნულება მივიწყებულია და დღემდე მხოლოდ თაობიდან თაობაზე ტრადიციის გადაცემის გზითაა მოღწეული. ხალხური რწმენით ესა თუ ის ჩვეულება „დაცდაა" ან "ძველებიდან მოდის და მას არ უნდა მოშორდე". ასეთ ძველ ტრადიციაზე ამბობენ „ნაქართლიაო" ან „ქართველები რომ იყვენ აქა, იმდროინდელიაო". ნაქართლს გამუსლიმანებამდელ წეს-ჩვეულებებს ან ქრისტიანულ კულტმსახურებასთან დაკავშირებული ძეგლების ნაშთებს ეძახიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარაში თუ რაიმე გადაავიწყდათ, მეხსიერებიდან ამოუვარდათ, იტყვიან „გადამქართულდაო" ე.ი. გადამავიწყდაო. აჭარაში შემორჩენილია ტერმინი „ნაურიალიც". ასე ეძახიან უძველეს, არქაულ, ქრისტიანობამდელ ჩვეულებას ან მატერიალური კულტურის ძეგლს (მაგალითად, ანტიკური ხანის ნამოსახლარს, ან სასაფლაოს) (ხახუტაიშვილი დ. 1963, 116).

სარწმუნოებრივი თუ ყოფითი ფაქტორების ზეგავლენის შედეგად ინფორმატორებს აღარ ახსოვთ ამა თუ იმ რიტუალის არსი და მნიშვნელობა. მით უმეტეს, მივიწყებულია ის რწმენა-წარმოდგენები, რასაც ეს რიტუალები ეფუძნება. ხაზს უსვამენ მხოლოდ იმას, რომ იგი „ძველებიდან მოდის" და ამიტომ „ბრძნილობენ". ბრძნობა, ბრძნა იგივე ტაბუა. საბრძნელი, საბძნელი აკრძალული, ტაბუირებული რამაა, რისი დარ-

ღვევის შემთხვევაშიც ოჯახსა და მეურნეობას დიდი საფრთხე ელის და ამიტომაც მისი დარღვევა აკრძალულია. ამიტომაა, რომ ბრძნილობები და აკრძალვები ერთმანეთის გვერდით გვხვდება. მაგალითად, გველის ეზოში მოკვლას იბრძნიან და ამიტომ იგი ეზოს გარეთ უნდა მოიკლას. თუ მამალმა გათენებამდე იყივლა – იბრძნიან, ოჯახს ცუდი რამე შეემთ-ხვევაო. ორშაბათს და ოთხშაბათს საცხოვრებლის შეცვლას, ცოლის შერთვას, თმის შეკრეჭას და სხვ. იბრძნიან და კრძალავენ. ტაბუირებულია მიცვალებულის ოჯახში რაიმეს გაკეთება, ამიტომ საჭმელიც კი მეზობლებს მოაქვთ. დაქორ-წინება ძველ, ანუ "დალეულ" მთვარეზე არ შეიძლება, ამიტომ ახალ, აღმავალ მთვარეზე ქმნიან ოჯახს და სხვ. (ნოღაიდელი ჯ. 1971, 233). ჩვეულებრივ, ყოველგვარ ტაბუირებას საფუძ-ვლად უნდა ედოს ან ადამიანების ემპირიული გამოცდილება, ან გარკვეული რწმენა-წარმოდგენა, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა და შემორჩა მხოლოდ აკრძალვის, ტაბუს დაურღვევლობის აუცილებლობის სახით. მაგალითად, ცნობილია, რომ ხალხური რწმენით ავსულთა და ბოროტი ძალების გააქტიურების პერიოდად მზის წლიური კალენდრის აქტიური დღეებია (მზებუდობა, დადეგი, ბუნიობა, ნაბუნიობა) მიჩნეული. მეცნიერულადაც დამტკიცებულია, რომ ეს არის არა მხოლოდ სამეურნეო სეზონთაშორისო გარდამავალი დღეები, არამედ კოსმიური გარდატეხის დღეები ბუნებაში და ისინი ზემოქმედებენ ადამიანებზე, ცხოველურ და მცენარეულ სამყაროზე. შესაძლოა შორეულ წარსულში სამყაროზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ადამიანებმა შეამჩნიეს ეს ზეგავლენა და ამ დაკვირვების შედეგად დაგროვილი ემპირიული ცოდნის საფუძველზე აღმოცენდა სწორედ მათი რწმენა წლის გარკვეულ დღეებში ეშმაკისეული, ქტონური ძალების დედამიწაზე თარეშისა და მათგან თავდასაცავად დამცავი მაგიის სხვადასხვა ხერხის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. თავის მხრივ კი ამან განაპირობა წლის დღეების დაყოფა ნახს //კვიმატ//უკმო და კარგ//წარმო//მაგარ დღეებად, რომლებსაც უკავშირებდნენ საქმიანობის იღბლიანობა-უიღბლობას. ხალხური რწმენით უკმო დღეს არ ვარგოდა მუშაობის დაწყება. იწყებდნენ აუცილებლად წარმო დღეს. წლის განსაზღვრული დღეების

საშიშ, კვიმატ დღეებად მიჩნევა მიღებულია მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში. ასეთი დღეებია 1 მაისი – ვალპურგიის ღამე, 24 ივლისი – წმ.იოანეს დღე და სხვ. საქართველოში ასეთ დღეებად მიჩნეულია 1 სექტემბერი – დადეგი, ვნების კვირის ხუთშაბათი, ელიობის წინაღამე და სხვ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კვიმატი ნიშნავს ავს, ბოროტს, უკუღმართს, ბედითსა და ფათერაკიანს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1955). სვანეთში ახალი წლის ციკლში 6 დღე ყოფილა კვიმატი. აქ ახალი წლის მეორე დღეს კუმატ//კუიმტობ//კუიმტარ//კუიმტარეშ ეძახიან (ბარდაველიძე ვ. 1941, 180-182). ამ დღეს ოჯახის უფროსი სალოცავ ფანჯარაზე მოხრილ ეკლის ტოტს ამაგრებდა, რომ სახლში ავი სული, ეშმაკი არ შემოსულიყო (კვიციანი ს. 1991, 77). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც 2 იანვარი კუმეტი//კუმეტობაა (მაკალათია ს. 1985, 163; ოჩიაური ალ. 1988, 84; ბარდაველიძე ვ. 1939, 174-183). ეს დღე კვიმატ დღედაა მიჩნეული არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხების ყოფაშიც. მაგალითად, ბულგარელებთან მას მრსნი ეწოდება. ამ დღეს, ისევე როგორც აჭარაში, აქაც აკრძალულია რთვა, ქსოვა, რეცხვა (რუხაძე ჯ. 1991, 145-158). სწორედ ამგვარ რწმენას უნდა ემყარებოდეს თავდაცვის მიზნით ამა თუ იმ დღეს რიგი სამუშაოს აკრძალვა და სამუშაოთა დაწყებისათვის სხვადასხვა დღეების შერჩევა. მაგალითად, სამუშაოს იწყებდნენ აუცილებლად წარმო დღეს – სამშაბათს, ხუთშაბათს ან კვირას. გადმოცემით: „პირველი ჯილღის გატანა კვირაობით ხდებოდა, შეიძლებოდა სამშაბათსაც, მაგრამ არა ჯუმას" (მენთეშაშვილი სტ. 1937, 147). ხალხური რწმენით: ხვნა-თესვის დაწყება ორშაბათს არ ვარგა – ნათესის მტერი ორფეხი იქნებაო; ოთხშაბათს დათესილს ოთხფეხი შეჭამსო, პარასკევი უქმე დღეა, ბერები ლოცულობენ და სიმინდი დაწოლილი გამოვაო, შაბათის ნათესს ღვარი დააქცევსო (ლომთათიძე თ. 2002, 129). სამუშაოს აუცილებლად წარმო-წარმართ დღეს იწყებდნენ. უკმო-ნახს დღეებზე რაიმეს გაკეთებას ერიდებოდნენ. წარმო დღეებად კვირის დღეთაგან ითვლებოდა სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა. ორშაბათ-ოთხშაბათი ნახს დღედ ითვლებოდა ორფეხისა და ოთხფეხისათვის, ამიტომაც,

ამ დღეებში არც გზას დაადგებოდნენ, არც ფრინველსა და საქონელს გაჰყიდნენ, არც რძის პროდუქტსა და კვერცხს გასცემდნენ. განსაკუთრებით „ხვავრიელ" დღეებად ითვლებოდა სამშაბათი და ხუთშაბათი. „სამი და ხუთი შაბათია ერთად მოყრილი და მოსავალიც ხვავრიელი იქნებაო" -ამბობდნენ. თუმცა ყველგან როდი იცავდნენ დღეების შერჩევის ამ პრინციპს. ზოგან სამუშაოს იწყებდნენ იმ დღეს, რომელიც ამა თუ იმ ოჯახს ან პირადად მეურნეს ჰქონდა კარგად დაცდილი ან წინაპრებისაგან – „ძველებისაგან" იცოდნენ, რომ ეს „დაცდაა... და არნა მოშორდე". ე.ი ემპირიული ცოდნის საფუძველზე „ურჩევდნენ დღეს", თუნდაც ზოგადად ეს დღე უკუმო, კვიმატ დღედ ყოფილიყო მიჩნეული. მაგალითად, თუ უმეტესად შაბათი კარგ დღედ იყო მიჩნეული, ზოგან მას კვირის მილეულ დღეს უწოდებდნენ (დავითაძე ალ. 1974, 39). სხვაგან კვირა უნაკლო დღედ ითვლებოდა, ხოლო შაბათს „მაგარ დღეს" უწოდებდნენ (ვარშალომიძე ჯ. 1979, 14). ასე, რომ უმეტესად სამუშაოს იწყებდნენ ემპირიული გამოცდილებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე. ამავე დროს, სამუშაოთა დაწყებისას დღეების შერჩევის ტრადიციას საფუძვლად უდევს ხალხური რწმენა-წარმოდგენები. მაგალითად, კვირის ყველაზე კარგ დღედ მიჩნეული იყო კვირა დღე. გადმოცემით, „ეს ქვეყანა პირველში იყო ქაფი. მერე ოქრო გახდა, მერე ვერცხლი, მერე სპილენძი, მერე გახდა შავი მიწა. კვირა დღეს დაარსდა მიწა, ქვეყანა, ამიტომ კვირა დღეს გევყვანდით ხარს პირველად" (ლომთათიძე თ. 2002, 130). საფიქრებელია, რომ წლის დანარჩენ დღეებზეც არსებობდა მსგავსი რწმენა-წარმოდგენები, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შეხედულებები ხელსაყრელი და არახელსაყრელი დღეების შესახებ. ეფრემ ვერდი ყველა თვეში გამოყოფს კვიმატ დღეებს. ამ დღეებში არ შეიძლება ახალი საქმის დაწყება, ყიდვა-გაყიდვა, გამგზავრება და სხვ. კვიმატ დღეებში დაწყებული საქმე ცუდად დაბოლოვდება. ქრისტიანული სარწმუნოება კრძალავს დღეთა გარჩევას და მათ დაყოფას ბედნიერ და უბედურ დღეებად დიდ ცოდვად მიიჩნევს: „ყოველი დღე ერთნაირია წინაშე ღმრთისა. მას არ გაუჩენია ბედნიერნი და უბედურნი დღენი. ესრეთი ფიქრი ჰნიშნავს გმობის თქმას დამბადებელთა. არა ესა თუ ის დღე,

არამედ ჩვენ ვართ ბრალეული უბედურებაში, უკეთუ ვიწყებთ საქმეს თვინიერ ღვთის კურთხევისა, ანუ ცოდვილს საქმესა. წმ. იოანე ოქროპირი იმასაც კი ამბობს, რომ ეშმაკმან შთაა-გონა კაცთ ეს ცრუმორწმუნეობაო. უკეთუ, ვისაც სწამს, რომ დღე არს ბედნიერი ან უბედური, იგი უბედურს დღეში არ იმე-ცადინებს კეთილთა საქმეთათავის; ფიქრობს, რომ არა კეთილშემწყნარებელ დღისა გამო ტყუილად ვიშრომებ და არა რაიმეში წარმატება არ მექნებაო" (თხზულებათაგან წმ. იოანნე ოქროპირისა, კითხვანი აღსარებასა ზედა სახელმძღვა-ნელოსამებრ, 1899, 6). ამგვარად, ქრისტიანული რელიგიისათ-ვის მიუღებელია დღეების ბედნიერ და უბედურ დღეებად დაყოფა. ეკლესიაც კრძალავდა ავი სულების გასადევნად კვიმატ დღეებში კოცონების დანთებას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დღეებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდ-გენები უძველესი დროიდან მომდინარეობს და იგი ბუნებრივ მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბ-და.

სამუშაოთა დაწყებისას დიდ ყურადღებას აქცევდნენ მთვარის ფაზების შერჩევასაც. ხალხის რწმენით მიწის სამუ-შაოების დაწყება კარგია ძველ მთვარეზე. ასევე ძველ მთვა-რეზე იცოდნენ დათესვა და დარგვაც, რადგან სწამდათ, რომ ახალ მთვარეზე დათესილი ნაყოფი მწარე, წალტე იქნებოდა და მალე „დაჩიჩავდა" (დაჭიანდებოდა). ხალხის დაკვირვებით მიწის სამუშაოების დაწყებამდე მთვარეს ერთი ხუთშაბათი უნდა ჰქონოდა გავლილი. „თვარის წყვეტაზე" (მთვარის მილევა და ახალზე გადასვლა) ლობიოს არ დარგავდნენ – „ხაშარზე არ ავაო" (ლომთათიძე თ. 2002, 131). განსაკუთრე-ბულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მთვარის მდგომარეობას მო-სავლის აღების დაწყებისას. სიმინდის აღება ძველ მთვარეზე იცოდნენ. ახალ მთვარეზე არც თესლს შეინახავდნენ, რადგან სწამდათ, რომ ახალ მთვარეზე აღებულ თესლს, სიმინდს და ბოსტნეულს „დაჩიჩავდა", „დარკილავდა". საერთოდ, მოსავ-ლის აღებისათვის ხელსაყრელად ითვლებოდა არა ახალი, „ჩვილი მთვარე", არამედ „დავახშმებული", ე.ი. მთვარეს ერთი ხუთშაბათი მაინც უნდა ჰქონოდა გავლილი, რომ მოსავლის აღება დაეწყოთ. გადმოცემით, სიმინდს, ბოსტნეულს, ხაპს

„შესანახად” იღებდნენ „მთვარე რომ გეივსება”, რათა ყველაფერი სავსე გულიანი ყოფილიყო (მგელაძე ვლ. 1966, 148-149).

სამუშაოთა დაწყების დაკავშირება მთვარის ფაზებთან საქართველოს სხვა კუთხეებისა და მსოფლიოს სხვა ხალხების ყოფაშიცაა დადასტურებული. მთვარის ფაზებისა და დღეების შერჩევის წესი ხის მოჭრის დროს დღესაც შენარჩუნებულია დასავლეთ საქართველოში (გეგეშიძე გ. 1956, 141). ყველა ქვეყნის მიწათმოქმედნი ამა თუ იმ სამუშაოს იწყებდნენ სავსე მთვარეზე ან მაშინ, როცა მთვარე შედის ავსების ფაზაში. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც იმიტაციური მაგიის გამოვლინება – სავსე მთვარეზე დათესილი მარცვალი იქნება ისეთივე სავსე, როგორიც სავსე მთვარეა. მაგრამ მთვარესთან დაკავშირებული სხვა წარმოდგენები, მაგალითად ის, რომ ახალ მთვარეზე მოჭრილი ხე ან დათესილი მარცვალი იქნება ჭიანი, გვაფიქრებინებს, რომ გარდა იმიტაციური მაგიისა ეს რწმენა-წარმოდგენები უნდა ემყარებოდეს ადამიანების მიერ ბუნებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებულ ემპირიულ ცოდნას ადამიანზე, ცხოველურ და მცენარეულ სამყაროზე მთვარის ფაზების გარკვეული ზემოქმედების შესახებ (ბრეგაძე ნ. 1969, 14).

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ მთვარის ფაზების ცვლილება ზემოქმედებს ამინდის ცვალებადობაზე, მთვარის გარკვეულ ფაზებში ხდება მცენარეთა სწრაფი ზრდა ან, პირიქით, მისი შეჩერება, მცენარეთა დაჭიანება. ამასთან, მიუხედავად იმისა, მთვარის შუქი პირდაპირ ზემოქმედებს თუ არა ცოცხალ ორგანიზმზე, მაინც მისი განვითარებისა და ცვლილებების ციკლი ხასიათდება გარკვეული რიტმულობით, რომელიც მთვარის ფაზების ცვლილებების სინქრონულია (Брегадзе Н. 1967б 141). შესაძლოა, სწორედ ეს კანონზომიერება დაადგინეს უძველესმა მიწათმოქმედებმა და ამ ცოდნის საფუძველზე შეარჩიეს სამუშაოების დაწყების ვადები. ამგვარად, ემპირიულ ცოდნაზე დამყარებული წესი ჩვევად იქცა და ირაციონალური წეს-ჩვეულების სახით ჩამოყალიბდა. ამ ჩვეულების დაცვას უნდა უზრუნველეყო მეურნის საქმიანობის დაცვა კვიმატი დღეებისა და მთვარის ფაზების უარყოფითი ზემოქმედებისაგან. გარდა ამისა, მთვარის ფაზებთან სამუშაოების დაკავშირება ქართველთა უძველესი ასტრალური

და კოსმოგონიური რწმენა-წარმოდგენებიდანაც უნდა მომდინარეობდეს, რადგან მთვარე მიჩნეულია ქართველთა ასტრალური პანთეონის ადრეული საფეხურის – ქართველთა უმაღლესი ტრიადისა და ქართული წარმართული პანთეონის შვიდეულის მთავარ ღვთაებად, რომლის ადგილიც კლასობრივ საზოგადოებაში დაიკავა არმაზის კერპმა, ხოლო ქრისტიანობაში – წმ. გიორგიმ (ჯავახიშვილი ივ. 1960, 50; Бардавелидзе В. 1957, 13-14).

რწმენა-წარმოდგენათა და წეს-ჩვეულებათა არქაული ფორმები განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩევიან და მათ მთლიანად ხალხის მეხსიერებიდან ვერ შლის ვერც შემდგომი რელიგიები და ვერც საცხოვრებელი გარემოს შეცვლა. ამიტომაცაა, რომ აჭარაში გავრცელებული წეს-ჩვეულებები შენარჩუნებული აქვთ ასზე მეტი წლის წინ აჭარიდან გურიის სოფლებში ზოტსა და ჩხაკურაში გადასახლებულ ადგილობრივ მოსახლეობას. მაგალითად, ქაშატობა, რომელიც აჭარის გარდა სხვა რეგიონში და მათ შორის გურიაშიც არაა გავრცელებული, აქაურებს კარგად ახსოვთ და გასული საუკუნის 70-იან წლებში იცავდნენ კიდეც ქაშატობის უქმეს (ლომთათიძე თ. 2002, 133).

ასევე კარგად ახსოვთ და მრავალი უძველესი წეს-ჩვეულება აქვთ შენარჩუნებული თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მუჰაჯირი ქართველების შთამომავლებს. აქ ყველა ძირითადი ჩვეულებაც (ქაშატობა, ლაზარობა, კვირკობა, კანუღის გაღება, შუამთობა და სხვ.) აქვთ შენარჩუნებული და ბევრი ისეთი რიტუალიც აქვთ შენახული, რომლებიც დღევანდელი აჭარის მოსახლეობას მივიწყებული აქვს, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეების წეს-ჩვეულებების იდენტურია. მაგალითად ბერიკაობა-ყეენობის ისეთი საინტერესო ელემენტი, როგორიცაა საქანელაზე ქანაობა, რაც ყველიერის კვირაში სრულდებოდა, მივიწყებულია აჭარაში, მაგრამ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს კარგად ახსოვთ. საქანელაზე ქანაობის ჩვეულებას თურქეთში მცხოვრები ქართველები ექვს მაისს – ხიზირელიასის//ხიდირილეზის დღესასწაულზე მიმართავენ. სამეცნიერო ლიტერატურაში საქანელაზე ქანაობა ნაყოფიერების დასაბევებელ და ბუნების ძალებზე ზემოქმედების ერთ-ერთ უპირველეს საშუალებადაა მიჩნეული. ამავე

დროს, არსებობს მოსაზრება, რომ საქანელაზე ქანაობა ერთიანდება იმ რიტუალურ ქმედებათა რიგში, რომელთა მიზანია უწყვეტი წრიული მოქმედების გადმოცემა. თავის მხრივ წრიული მოქმედება შეიცავს ბუნების მარადიული კვდომა-აღორძინების იდეას, ნაყოფიერების ღვთაებათა წასვლა-დაბრუნებას, რაც კვდომისა და აღორძინების იდეის მითოსურ ახსნას წარმოადგენს. (ბარდაველიძე ვ. 1939,159; რუხაძე ჯ. 1999, 178-180; სურგულაძე ი. 1987,149). ხიზირელიასის //ხიდირილეზის დღესასწაული წმინდა ილია წინასწარმეტყველს ეძღვნება, რომელსაც თურქეთში ხიზირ ელიას – მხსნელ ელიას ეძახიან. ეს დღესასწაული იქაურთა რწმენით „პურების წინ წამოწევითვინ მობრძანდება" –ე.ი. მოსავლიანობისთვისაა განკუთვნილი. ნაყოფიერების გაზრდის მიზნით სცოდნიათ ამ დღეს სალინჯას//საკორწიალას (საქანელა) ჩამობმა და ქალების ქანაობა. მსგავსი რიტუალები თავად თურქებისთვის უცნობია. აქაურმა ქართველებმა ისიც კარგად იციან, რომ "ეს ადეთი გურჯულია, თურქებმა მემრე გეიგონეს" (ფუტკარაძე შ. 1993,114). ისინი ამ დღეს ოცდაათამდე დასახელების კერძს ამზადებენ და თურქ მეზობლებს ეპატიჟებიან (ფუტკარაძე შ. 1993, 345, 673). აჭარაში, განსაკუთრებით ქვემო აჭარაში, ხიდირელეზი მხოლოდ ტერმინის სახითაა შემორჩენილი. მისი რიტუალური მხარე არ ახსოვთ. ასევე ფართოდ იყენებენ ყოფაში "სალინჯაღს" -საქანელას, მაგრამ არა რიტუალური დანიშნულებით. როგორც ჩანს ეს ბერიკაობა-ყეენობის ის ელემენტია, რომელიც თავად აჭარაში არ შემონახულა, მაგრამ აქედან თურქეთში გადასახლებულების მეხსიერებასა და ყოფას კარგად შემოუნახავს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს რწმენა-წარმოდგენათა არქაული პლასტების მდგრადობას.

ამგვარად, აჭარაში დაცული აგრარული წეს-ჩვეულებები, რომლებიც მიწათმოქმედების გაჩენასთან ერთად წარმოიშვნენ და ტრანსფორმირებული სახით ჩვენამდე მოაღწიეს, ასახავენ ქართველი მიწათმოქმედის მსოფლმხედველობას და არქაულ სიმბოლიკას, ინახავენ ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების კვალს, ყველა შემდგომი რელიგიებისა და ეპოქების დანაშრევებს, ასახავენ ქართველი ხალხის ეთნიკურ ტრადიციებს და მოიცავენ ქართველთა სუ-

ლიერი კულტურის თითქმის ყველა ელემენტს. ისინი სცილდებიან ლოკალურ ფარგლებს, ავსებენ ქართული აგრარული კალენდრის ერთიან სურათს და, ამდენად, იძენენ ზოგადქართულ მნიშვნელობას. ამავე დროს, სხვა ქვეყნებისა და ხალხების ანალოგიურ ჩვევებთან მათი შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო სხვადასხვა ხალხების (წინა აზიის, ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ცივილიზაციები) ტრადიციულ კულტურებთან, რაც ადასტურებს თეორიას კულტურათა ტიპოლოგიური სიახლოვის შესახებ (Конрад Н.Н. 1972) და თვალნათლივ გვიჩვენებს ქართველი ხალხის წვლილს, მის ადგილსა და როლს აგრარული ცივილიზაციის ზოგადსაკაცობრიო საგანძურში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე ვ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი ტფ., 1939.
2. ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ. ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბ., 1939.
3. ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941.
4. ბერიაშვილი ლ., გოცირიძე გ. ქართლის 1985-86 წწ. ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 1988.
5. ბერიაშვილი ლ. მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973.
6. ბექაია მ. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974.
7. ბრეგაძე ნ. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, მემინდვრეობა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თბ., 1969.
8. ბრეგაძე ნ. სამეურნეო ყოფის შესწავლის ძირითადი შედეგები ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში, მაცნე (ისტორიის სერია), №3, თბ., 1986.
9. გეგეშიძე გ. მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, მოამბე, XIX-B, თბ., 1956.

10. დავითაძე ალ. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974.
11. ვარშალომიძე ჯ. ორნამენტი ხეზე, ბათუმი, 1979.
12. ვირსალაძე ე. ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964.
13. თანდილავა ზ. ლეგენდები სოფელ ვერნებზე, მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), თბ., 1978.
14. თანდილავა ზ. შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბ., 1980.
15. თანდილავა ზ. ღვთაება მესეფის მითოლოგიური სახის გაგებისათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, თბ., 1986.
16. თანდილავა ზ. წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბათუმი, 1996.
17. კვიციანი ს. ახალი წლის ზოგიერთი თავისებურებები სვანეთში, აია, თბ., 1991.
18. კითხვანი აღსარებასა ზედა სახელმძღვანელოსამებრ, ტფ., 1899.
19. ლომთათიძე თ. მემინდვრეობასთან დაკავშირებული წესჩვეულებები აჭარაში, (საკანდიდატო დისერტაცია), ბათუმი, 2002.
20. მაკალათია ს. ფშავი, თბ., 1985.
21. მგელაძე ვლ. ღორჯომის ხეობის სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966.
22. მენთეშაშვილი სტ. აჭარის ეთნორგაფიული მასალები, თბ., 1937.
23. მიქელაძე ჯ. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი, 1982.
24. ნადარაია მ. წვიმის პატარა ღვთაებები – მესეფენი და ჭინკები, სამეგრელო, თბ., 1979.
25. ნოღაიდელი ჯ. ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971.
26. ნოღაიდელი ნ. სამშენებლო ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბ., 1986.
27. ოჩიაური ალ. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი, თბილისი, 1988.
28. რუხაძე ჯ. ქართულ-ბულგარული ეთნოგრაფიული პარალელები, მაცნე (ისტორიის სერია), თბ., 1991.

29. რუხაძე ჯ. ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღეესასწაული საქართველოში (ბერიკაობა-ყვენობა), თბ., 1999.
30. სახოკია თ. მოგზაურობანი, თბილისი, 1950.
31. სურგულაძე ი. სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიურ და მოთოსურ წარმოდგენებში, მსე, XXIII, თბ., 1987.
32. ფუტკარაძე შ. ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
33. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955.
34. შამილაძე ვ. კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ., 1973.
35. შიოშვილი თ. აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშები, ჭოროხი, №2, ბათუმი, 1976.
36. ჩართოლანი მ. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.
37. ჩიტაია გ. აჭარული დათვა-ბოყვა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX-B, ტფ., 1940.
38. ჩიტაია გ. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, XXX, თბ., 1941.
39. ჩიტაია გ. შრომები, I, თბ., 1997.
40. ჩხეიძე ჯ. შრომის პოეზიის ძირითადი საკითხები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, ბათუმი, 1961.
41. ცანავა აპ. ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები თბ., 1970.
42. ხახუტაიშვილი დ. ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, მოამბე თბ., 1963.
43. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960.
44. Бардавелидзе В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое исскуство грузинских племён, Тб, 1957.
45. Брегадзе Н. Рациональные основы некоторых обычаев грузинских земледельцев, СЭ, №2, М., 1967
46. Гордлевский В.А. Избранное сочинения, т.1, М., 1960.
47. Еремеев Д.Е. Этногенез турок, М., 1971.
48. Конрад Н.Н. Запад и Восток, М., 1972 .

49. Курылёв В.П. Хозяйство и матеряльная культура турецкого крестянства, М., 1976.
50. Токарев С.П. Народные обычай календарного цикла в странах Западной Европы (опыт структурно-исторического анализа), СЭ, 1973, №6.

Тамила Ломтатидзе

Народный аграрный календарь и некоторые вопросы духовной культуры населения Аджарии

Резюме

В работе анализируются локальные особенности аграрных обычаев и обрядов и сохранившиеся в них следы архаических культов и божеств, различные магические способы, символы, идеи, элементы, которые сохранили в себе многие традиционные аспекты грузинского народного религиозного мышления. Изучается проблема религиозной синкретизации в Аджарии обусловленный напластованием в ритуалах пережитков разных эпох и религии, процесс трансформации, в результате которого обычаи и обряды дошли до наших дней в виде пережитков и отдельных фрагментов. Имеющийся материал хорошо отражает представления местного населения об окружающем мире, его мировоззрение. Изучение аграрной обрядности Аджарии даёт возможность сделать вывод об их идентичности с аналогичными обрядами и обычаями других регионов Грузии. Они подчеркивают этнокультурные традиции Грузинского народа и показывают его вклад в общечеловеческую сокровищницу аграрной цивилизации.

Tamila Lomtatidze

Tamila Lomtatidze - Agricultural calendar Adjara and Some Questions of Spiritual Culture of Population Adjara

Adjarian ethnographic life has preserved agricultural habits containing a lot of elements that have certain sacral significance and are aimed at luck, prolificacy and abundance in agriculture. These customs have been coming since ancient times representing beliefs and views on outward things and supernatural powers among Adjarians, their mental outlook, knowledge of natural regularity and relation to outer world. The research of these questions gives an opportunity to raise and solve many important problems of Georgian natural weaith.

The research shows how the traditional habits, preserved in Adjara, transform the outlook of a Georgian farmer and archaic symbolism, they also contain almost all the elements of Georgian cultural wealth and preserve the marks of the oldest beliefs and worships, ethnocultural traditions of Georgian people. They exist in the syncretic forms; and the traces of different religions and epochs are collected in them. They move away from the local areas, fill the joint picture of Georgian agricultural calendar and gain the general significance for Georgia.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების 2007 წლის სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანგარიში

1. სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ძირითადი შედეგები

2007 წელს დასრულდა 2006 წელს დაწყებული მუშაობა პრობლემაზე „აჭარის რეგიონული (რაიონული) ისტორიულ–ეთნოლოგიური შესწავლა“, რომელიც მიზნად ისახავდა ხულოს რაიონის მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხების კვლევას. 2006 წელს ძირითადად შესწავლილი იყო სამეურნეო ყოფის საკითხები.

2007 წელს დამუშავდა მატერიალური და სულიერი კულტურის შემდეგი საკითხები (სულ შესრულდა 8 წლიური თემა):

1. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (ვ. შამილაძე – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტ. მეცნ. დოქტორი; ჯ. მიქელაძე – უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი, ისტ. მეცნ. კანდიდატი).
2. ხალხური დღესასწაულები (ნ.კახიძე – ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, განყოფილების უფროსი) .
3. დემოგრაფიულ–მიგრაციული პროცესები (თ. ფუტკარაძე – მეცნიერ–თანამშრომელი, ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი).
4. საკულტო ნაგებობანი (ნ. ჩელებაძე – უფროსი მეცნიერი–თანამშრომელი, ისტ. მეცნ. კანდიდატი).
5. დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნება (ჯ. ვარშალომიძე – უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი, ისტ.მეცნ. კანდიდატი).
6. ხალხური მუსიკალური კულტურა (თ. ლომთათიძე – უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი, ისტ. მეცნ. კანდიდატი).
7. ტანსაცმელი და ჩაცმულობა (პ. რურუა – მეცნიერ–თანამშრომელი, ისტ.მეცნ. კანდიდატი).
8. რელიგიური სიტუაცია თანამედროვე ეტაპზე (მ. ლორია – მეცნიერ–თანამშრომელი, ისტ. მეცნ. კანდიდატი).

ვ. შამილაძისა და ჯ. მიქელაძის ერთობლივ თემაში დახასიათებულია ხულოს რაიონის სოფლებსა და ალპურ ზონაში გავრცელებული საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო ნაგებობათა ტიპები, მათი თავდაპირველი და განვითარებული ფორმები, ხალხური დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხები, მშენებლობასთან დაკავშირებული წეს–ჩვეულებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ალპურ ზონაში გავრცელებულ ჯარგვალურ ნაგებობებზე, რომლებიც ტრადიციულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ბარის ზონისთვისაც, ანუ სოფლური დასახლებისათვის. ნაჩვენებია ცვლილებანი, რაც მთურმა საცხოვრებელმა ნაგებობამ განიცადა დაგეგმარების, მშენებლობის ხერხებისა და საშუალებების, გადახურვის, სახლის ინტერიერის განაწილებისა და შემკულობის თვალსაზრისით.

წლიურ თემას ერთვის ილუსტრაციები ფოტოებისა და გრაფიკული მასალების სახით.

ნ. კახიძის თემაში გაშუქებულია შუამთობის, ტბელობის და სხვა ხალხური დღესასწაულების წარმოშობისა და გავრცელების ფაქტორები, მათი როლი მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შუამთობის დღესასწაულზე, რომელიც უხსოვარი დროიდან მომდინარეობს (ტბელობა კი ახალი ხალხური დღესასწაულია, რომელიც 1979 წლიდან ტარდება ხიხაძირის ხეობაში და დაკავშირებულია XIII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის აბუსერისძე ტბელის სახელთან. იგი ამ ხეობის მკვიდრი იყო).

დახასიათებულია შუამთობის გენეზისისა და ტრანსფორმაციის საკითხები, ის რიტუალები და წეს–ჩვეულებები, ხალხური გართობა–თამაშობანი, რომლებიც დღესასწაულის პერიოდში ტარდებოდა. დადგენილია, რომ შუამთობა, წარმოადგენს აქაური მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობის ყოველწლიურ ხალხურ დღესასწაულს. დღესასწაულის რიტუალებიდან და წეს–ჩვეულებებიდან ყურადღებას იქცევს სარძლოს გამორჩევა და დანიშვნა, მისი გადაპატიუების ცერემონია სასიძოსა და მისი ნათესავების იაილებში, აგრეთვე, ბოლო წლებში დამკვიდრებული წესი მთაში ქორწილის გადახდისა, რაც ადრე არ დასტურდება.

ხალხური გართობა–სანახაობებიდან განხილულია ცეკვები და სიმღერები, სპორტული შეჯიბრებები. დღეისათვის შუამთობა გასცდა შეზღუდულ ფარგლებს (იგი ადრე მხოლოდ ზემო აჭარელ მემთევრთა მონაწილეობით ტარდებოდა) და მთელი აჭარის მოსახლეობისა და ალპური საძოვრების ზონაში (ბეშუმი, გოდერძის უღელტეხილი და სხვ.) დამსვენებელთა საერთო დღესასწაული გახდა.

თ. ფუტკარაძის თემაში შესწავლილია მიგრაციული პროცესები და ეტაპები. ახსნილია მისი გამომწვევი მიზეზები და ფორმები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მიგრაციულ პროცესებზე ოსმალთა ბატონობის პერიოდში და თანამედროვე ეტაპზე. მოტანილია სტატისტიკური მონაცემები რაიონიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებულთა (ეკომიგრანტთა) შესახებ, აგრეთვე შიდა მიგრაციებზე (მოსახლეობის ადგილმონაცვლეობაზე), რაც გამოწვეული იყო მიწის სიმცირითა და სხვა მიზეზებით.

ნ. ჩელებაძის თემაში განხილულია წინაქრისტიანული (ქვაკაცები, სამსხვერპლოები) და ქრისტიანული (სხალთა, ვერნები და სხვ.), მუსლიმანური (მეჩეთები) საკულტო ძეგლები, ამ რელიგიებთან დაკავშირებული სხვადასხვა რიტუალები და წეს–ჩვეულებები.

ჯ. ვარშალომიძის თემაში დახასიათებულია დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნებისა და კვეთილობის ძირძველი ტრადიციები, რომლებიც გამოვლენილია საცხოვრებელ და საკულტო ნაგებობათა შემკულობაში, ხის ავეჯსა და ჯამ–ჭურჭელზე. რთვა–ქსოვისა და ქალთა ხელსაქმის ნიმუშებზე (ტანსაცმელი, თავსაბურავი, წინდები, თორ–სარტყლები, ფეშტემალი და სხვ.). ხეზე კვეთილობაში წარმოდგენილია ქართული ორნამენტის თითქმის ყველა ძირითადი მოტივი. ნიშანდობლივია ისიც, რომ საცხოვრებელ და მუსლიმანურ საკულტო ძეგლებზე (მეჩეთები) ზოგჯერ უჩინრად, ზოგჯერ ღიად ამოიკითხება ჯვარი და ჯვართან დაკავშირებული ორნამენტები, რაც აჭარაში ძველი ქართული ორნამენტის გამძლეობაზე მიუთითებს.

თ. ლომთათიძის თემა ეძღვნება ხალხური მუსიკალური კულტურის საკითხების (სიმღერები, ქორეოგრაფია და სხვ.) შესწავლას. გარკვეულია, რომ ხულოს რაიონში, ისე რო-

გორც საერთოდ აჭარაში შემონახულ ხალხურ სიმღერებში ასახულია მეურნეობის დარგებთან (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მონადირეობ, ხელოსნობა) საოჯახო ყოფასთან, ხალხურ დღესასწაულებთან, რწმენა–წარმოდგენებთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი ნიმუშები. გამოტანილია დასკვნა, რომ აჭარაში ოსმალთა სამსაუკუნოვანი და ისლამის რელიგიის ბატონობის მიუხედავად აჭარის ხალხურმა მუსიკალურმა კულტურამ ძირითადად შეინარჩუნა თავისი ტრადიციული იერსახე და ნაკლებად განიცადა უცხოური გავლენა.

პ. რურუას თემაში განხილულია ხულოს რაიონში გავრცელებული ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლისა და ჩაცმულობის ნიმუშები, ტანსაცმლისთვის საჭირო ქსოვილების დამზადების წესები, იარაღ–ხელსაწყოები. გამოტანილია დასკვნა, რომ ოსმალთა ბატონობამ არსებითი გავლენა ვერ მოახდინა აჭარელთა ჩამულობაზე, ნაწილობრივ შეიცვალა ტანსაცმელთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ხულოს რაიონში და საერთოდ აჭარაში გავრცელებული მამაკაცის ჩოხა–შალმა, აჭარელი ქალის კაბამ და ჩაცმულობის სხვა ელემენტებმა ძირითადად შეინარჩუნა ქართული თავისებურებანი.

მ. ლორიას თემაში საველე ეთნოგრაფიული და ვიზუალური ანთროპოლოგიის მეთოდების, მოსახლეობის დემოგრაფიული და სტატისტიკური აღწერის მასალების საფუძველზე დახასიათებულია რელიგიათაშორისი (მუსლიმანური, ქრისტიანული) ურთიერთობის საკითხები, მუსლიმანური და ქრისტიანული სალოცავები, ქრისტიანული რელიგიისადმი მოსახლეობის შემობრუნების პროცესები, რაც გამოხატულია ქრისტიანულ ნათლობაში, ქრისტიანულ წირვა–ლოცვის აღსრულებაში.

2. საექსპედიციო მუშაობა

საანგარიშო წელს ჩატარდა 10 დღიანი (2–12 აგვისტო) ექსპედიცია 8 კაცის შემადგენლობით (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები: ნ. ჩელებაძე – ექსპედიციის ხელმძღვანელი, ჯ. ვარშალომიძე – ხელმძღვანელის მოადგილე, ჯ. მიქელაძე, თ. ლომთათიძე, მ. ლორია, ნ. ქამადაძე – მძღოლი) გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის ალპური საძოვრების ზონაში, სადაც ძირითადად განლაგებულია ხულოს რაიონის მოსახ-

ლეობის სეზონური სადგომები იაილების სახელწოდებით. ბეშუმში ეთნოგრაფიული ექსპედიცია წინა წლებშიც ტარდებოდა, მაგრამ წლევანდელი ექსპედიცია განსხვავებულ მიზანს ისახავდა.

ექსპედიციის ძირითადი ამოცანა იყო მასალების შეკრება ზონაში იაილებისა და საძოვრების სოფლობრივ დანაწილებასა და განლაგებაზე, დასახლების ისტორიაზე, ზონაში გავრცელებულ საცხოვრებელ ნაგებობებზე, მემთევრთა შრომა–საქმიანობაზე, აქ გავრცელებულ ხალხურ დღესასწაულზე (შუამთობა). 2007 წლის ექსპედიციაში პირველად განხორციელდა სპეციალური ვიდეო–გადაღება, რომელიც შეასრულა ხელშეკრულებით მოწვეულმა ოპერატორმა თ. ვადაჭკორიამ (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესსამსახურის ოპერატორი). ვიდეო გადაღების საფუძველზე მომზადდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ეთნოგრაფიული ფილმი „ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი - ბეშუმი)“ (ფილმის სცენარის ავტორი და რედაქტორი ნ. კახიძე, რეჟისორი მ. ლორია).

მოპოვებული სიტყვიერი და ვიდეო მასალების სააფუძველზე მომზადდება აგრეთვე გზამკვლევი თემაზე: „ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი–ბეშუმი)“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ერთი თაბახის მოცულობით. ასეთი გზამკვლევი პირველად მზადდება. იგი სასარგებლო სამსახურს გაუწევს ყველას, პირველ რიგში კი ექსკურსანტებსა და ტურისტ–დამსვენებლებს, ვინც დაინტერესებულია აჭარის ალპური ზონის ცხოვრებით, ალპური ზონის სანახაობებით.

საექსპედიციო მასალები ფოტოების სახით გამოყენებული იქნება ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების მოძრავი გამოფენის სტენდებში, რომლებიც ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს ეძღვნება.

3. საგამომცემლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდი მეტად ნაყოფიერი იყო საგამომცემლო მუშაობის დარგში. მომზადდა და გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტს“ დასაბეჭდად გადაეცა განყოფილების მორიგი კრებული „სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნო-

ლოგიის პრობლემები - I“ (1990 წლამდე განყოფილების ეთნოგრაფიული კრებულები სხვა სახელწოდებებით გამოდიოდა).

განყოფილების წევრებმა სხვადასხვა გამოცემებში დაბეჭდეს ორმოცამდე სამეცნიერო სტატია (რუსული და ინგლისური რეზიუმეებით). ეს ნაშრომები შემდეგია:

ნოდარ კახიძე

1. სპილენძის სამთამადნო მეტალურგიული წარმოება ჭოროხოს ხეობაში. – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი.

2. ხელოსნობის დარგების გენეზისის საკითხისათვის (სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით). – სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. I. ბათუმი.

3. ეთნოლოგიური მონაცემები. – სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა). I. თბილისი, 2007 (შესულია ნარკვევების იმ პარაგრაფში, რომელიც აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის წყაროებს შეეხება).

4. მაჭახლის ხეობა (უძველესი დროიდან 1921 წლამდე). – ჟურნალი „მაჭახელი“. I. ბათუმი.

5. მაჭახლის ხეობის გვარსახელები და ადგილთა სახელები შუა საუკუნეებში. – ჟურნალი „მაჭახელი“. I. ბათუმი (თანაავტორი დ. კახიძე).

6. მაჭახლის ხეობა და დავით წერეთელი. – ჟურნალი „მაჭახელი“. I. ბათუმი, (თანაავტორი ლ. კახიძე).

7. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების 50წლისთავი. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები”, I. ბათუმი.

8. Центры изготовления боевого оружия в Юго-Западниой Грузии (по материалам Аджарии XIX века). – „Археология, Этнография и фольклористика Кавказа“. Махачкала.

ვახტანგ შამილაძე

1. Робакидзе и грузинское Кавказоведение (100 лет со дня рождения). – „Археология, Этнография и фольклористика Кавказа“. Махачкала (თანაავტორი ნ.მგელაძე).

2. Отражение этнографического аспекта в Грузинском документальном кино (30-ые годы XX века). - „Археология, Этнография и фольклористика Кавказа“. (თანაავტორი მ. ლორია).

3. Батумский научно-исследовательский институт на пороге нового тысячелетия: Основные итоги научно-исследовательной и организационной деятельностью в 1958-2006 годов. - „Археология, Этнография и фольклористика Кавказа“. Тбилиси.

4. სოციო–კულტურული ანთროპოლოგიის საგნობრივი პრობლემები. – „ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება“. თბილისი (თანაავტორი ნ. მგელაძე).

5. Полевые исследования и принципы визуально-антропологического мониторинга.– Международная научная конференция – «инновационые аспекты исследевания культуры, археологии, этнологии и лингвистики стран Черноморского бассейна», Батуми, 2007 (თანაავტორი მ. ლორია).

6. ფეოდალური ხანის საქართველოს ეთნოლოგიის ზოგიერთი პრობლემა ბიზანტიელი მწერლების ცნობების მიხედვით. – „ბიზანტინისტიკა საქართველო–2“. ბათუმი (თანაავტორი მ. ლორია).

7. კულტურული პლურალიზმი თანამედროვე ამერიკის ეროვნულ პოლიტიკაში. – ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის საქართველოს ასოციაციის ამერიკათმცოდნეობის IX ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია: „ამერიკულ–ქართული ურთიერთობები: ისტორია და თანამედროვეობა“. თბილისი (თანაავტორი ნ .მგელაძე).

8. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მახაჩყალაში. – სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. I. ბათუმი.

თამაზ ფუტკარაძე

1. საცხოვრებელი ნაგებობანი იმერხევში. – თბილისის დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის XIV სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი.

2. ეთნოდემოგრაფიული პრობლემები თანამედროვე საქართველოში. – ჟურნალი „ინტელექტი“. I. თბილისი.

3. მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული პრობლემები. – ჟურნალი „ჭოროხი“. №2. ბათუმი.

4. მაგიური დატვირთვის ფორმულები აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. თბილისი.

5. ქართული დიასპორა თურქეთში. – „სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“. I. ბათუმი.

ნაილა ჩელებაძე

1. მეაბრეშუმეობა აჭარაში. – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი.

2. მევენახეობა და მეხილეობა ხულოს რაიონში. – სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. I. ბათუმი.

3. Разведенная женщина. – „Археология, Этнография и фольклористика Кавказа“. Махачкала.

ჯემალ ვარშალომიძე

1. ურთხელის კულტის გადმონაშთები აჭარაში. – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი.

2. დეკორატიულ–გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე (მეჩეთები). – „სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“. I. ბათუმი.

თამილა ლომთათიძე

1. „ცეცხლის დღეობების“ კვალი დადეგის დღესასწაულში. – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი.

2. Архаическая символика в обрядах и обычаях земледельцев Аджарии (культ земли). – „Археология, этнография и фольклористика Кавказа“. თბილისი, 2007.

3. Сакральное значение зерна в ритуальных блюдах в Аджарии. – „Археология, этнография и фольклористика Кавказа“. Махачкала.

4. ხალხური აგრარული კალენდარი და აჭარის მოსახლეობის სულიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი. – სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. I. ბათუმი.

როინ მალაყმაძე

1. ლიგანი ხეობის ტოპონიმიკა. – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი.

მატერიალური კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში.– ჟურნალი „მაჭახელი“. I. ბათუმი,

2. მევენახეობა–მეხილეობა ლიგანის ხეობაში. – სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. I. ბათუმი.

ჯემალ მიქელაძე

1. ქალაქ ბათუმის არქიტექტურული ძეგლები. – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი.

2. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარის ალპური დასახლების ზონაში. – სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. I. ბათუმი.

მანუჩარ ლორია

1. ზაქარია ჭიჭინაძე – საქართველოს ებრაელთა მკვლევარი. – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი.

2. საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ებრაელთა ეთნორელიგიური მოზაიკა. – „სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“. I. ბათუმი.

3. ფეოდალური ხანის საქართველოს ეთნოლოგიის ზოგიერთი პრობლემა ბიზანტიელი მწერლების ცნობების მიხედ-

ვით.– „ბიზანტინისტიკა საქართველო–2“. ბათუმი (თანაავტორი ვ. შამილაძე).

4. Полевые исследования и принципы визуально-антропологического мониторинга.– Международная научная конференция – «инновационые аспекты исследевания культуры, археологии, этнологии и лингвистики стран Черноморского бассейна», Батуми, 2007 (თანაავტორი ვ. შამილაძე).

5. Материалы загса о браках и фамилиях как этнологический источник .– „Археология, Этнография и фольклористика Кавказа“. Тбилиси.

6. Отражение этнографического аспекта в Грузинском документальном кино (30-ые годы XX века. – „Археология, Этнография и фольклористика Кавказа“. Махачкала (თანაავტორი ვ. შამილაძე).

7. Юридическая антропология в постсоветской образовательной системе. – Археология, Этнография и фольклористика Кавказа“. Махачкала (თანაავტორი მ. გორგოშაძე, ლ. ჯაყელი).

პირიმზე რურუა

1. სახლეულის სოციალური ორგანიზაცია სამეგრელოსა და ლაზეთში (ეთნოლოგიური პარალელები). – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. V. ბათუმი.

4. სამეცნიერო კონფერენციები

ა) რესპუბლიკური კონფერენციები

განყოფილების წევრთა საქმიანობა ამ მხრივაც წარმატებული იყო. მათ მოხსენებები წაიკითხეს 8 სხვადასხვა სახის (მათ შორის 4 საერთაშორისო) კონფერენციაზე.

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა კონფერენცია (2007 წლის 11–12 მაისი) (ნ. კახიძე, თ. ფუტკარაძე, თ. ლომთათიძე, მ. ლორია).

2. ანდრია პირველწოდებულის აჭარაში შემოსვლასთან მიძღვნილი კონფერენცია (2007 წლის 28 აპრილი) (თ. ფუტკარაძე).

3. საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა XIV კონფერენცია (თ. ფუტკარაძე).

4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტისა და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების სამეცნიერო კონფერენცია „ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება“ (თბილისი, 2007 წლის 28–30 ივნისი (ვ. შამილაძე, თ. ლომთათიძე, პ. რურუა, მ. ლორია).

ბ) საერთაშორისო კონფერენციები

1. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის ამერიკათმცოდნეობის IX ყოველწლიური სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია: „ამერიკულ–ქართული ურთიერთობები. ისტორია და თანამედროვეობა“. თბილისი, 2007 (ვ. შამილაძე, მ. ლორია).

2. „ბიზანტინისტიკა: საქართველო –2“. ბათუმი, 2007 (ვ. შამილაძე, მ. ლორია).

3. Международная конференция: «Археология, Этнография и Фольклористика Кавказа». Махачкала, 2007 (В. Шамиладзе, Н. Кахидзе, Н. Челебадзе, Т. Ломтатидзе, М. Лория).

4. Международная научная конференция: «Иновационные аспекты исследования культуры, археологии, этнологии и лингвистики Черноморского бассеина». Батуми, 2007 (В. Шамиладзе, Т. Путкарадзе, М. Лория).

5. საერთაშორისო კავშირები

განყოფილების მეცნიერ–თანამშრომლები (ვ.შამილაძე, ნ. კახიძე, თ.ფუტკარაძე, ნ. ჩელებაძე, თ.ლომთათიძე, მ.ლორია) მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა ბათუმში, თბილისში, მახაჩყალაში.

ისტ.მეცნ. დოქტორს ვ.შამილაძეს საქმიანი კავშირები ჰქონდა სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან. იგი არჩეულია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარედ. თანამშრომლობს კავკასიისა და რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო ცენტრებისა და უნივერსიტეტების ერთობლივ სამეცნიერო–კვლევით სამუშაოებში, სამეცნიერო სე-

სიებისა და კონფერენციების ჩატარებისა და პუბლიკაციების მომზადებასა და გამოცემაში. მ. ლორიასთან კურატორობა და ორგანიზაცია გაუწია შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე: „კულტურის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ლინგვისტიკის ინოვაციური ასპექტები“, რომელიც ჩატარდა 2007 წელს, ქალაქ ბათუმში.

ნოდარ კახიძე
განყოფილების უფროსი, ისტ. მეცნ დოქტორი, პროფესორი

ეთნოგრაფიული ექსპედიცია ბეშუმში*

2007 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში მოეწყო ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ექსპედიცია ბეშუმსა და გოდერძის უღელტეხილის ზონაში, სადაც განლაგებულია ზემო აჭარის ალპური ზონის დასახლებანი – იაილები. ექსპედიციის მიზანი იყო კურორტ ბეშუმისა და შუამთობის ხალხური დღესასწაულისადმი მიძღვნილი ბუკლეტისათვის ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება. ამასთან დაკავშირებით, განყოფილების სხდომაზე (უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. კახიძე) მოეწყო ექსპედიციის თითოეული წევრის სამუშაო გეგმის განხილვა, რასაც მოჰყვა სასარგებლო რჩევების ურთიერთგაზიარება და საველე მუშაობისათვის კითხვარების დაზუსტება.

სოფ. ბოძაური

ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: მეცნიერებათა დოქტორები: ნაილა ჩელებაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ჯემალ ვარშალომიძე (ხელმძღვანელის მოადგილე), თამილა ლომთათიძე, მანუჩარ ლორია, აგრეთვე თენგიზ ვადაჭკორია (ოპერატორი, მოწვევით) და ნოდარ ქამადაძე (მძღოლი).

ბეშუმი

ექსპედიციის დამთავრების შემდეგ მისმა თითოეულმა წევრმა წარადგინა საველე მუშაობის ანგარიში საყურადღებო რეკომენდაცი-

* ფოტოები გადაღებულია ექცპედიციის პერიოდში მ. ლორიას მიერ

ებით. ანგარიშებში გადმოცემულია ველზე მუშაობის ძირითადი შედეგები, რაც შეკრებილი მასალების ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს. 2007 წლის ეთნოგრაფიული მასალებით კიდევ უფრო გამდიდრდა ბეშუმის ისტორიის შესწავლა.

საველე მუშაობის პერიოდში ექსპედიციის წევრებმა შეძლეს ბეშუმის თითქმის ყველა სეზონური დასახლების შემოვლა და მათზე სათანადო მასალების შეგროვება, რამაც შესაძლებელი გახადა აუდიო-ვიზუალური ბაზის შექმნა. მასალები შეკრებილია ცალკეული ასაკობრივი და გენდერული ჯგუფის წარმომადგენლებისაგან. მოპოვებულია დიდძალი ფოტომასალა. გადაღებულ იქნა 4 საათიანი ვიდეომასალა. შედგენილ იქნა ბეშუმის განაშენიანების რუკა (ავტორი ჯ. მიქელაძე). მოპოვებული საველე მასალა მთლიანობაში შედარებით სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს ბეშუმის პეიზაჟებზე, ბეშუმისა და გოდერძის უღელტეხილის ალპური დასახლების ისტორიაზე, იალაღ-საძოვრებისა და იაილების (სეზონური საცხოვრებელი სახლების) სოფლების მიხედვით განლაგებაზე, მოიალაღეთა შრომით საქმიანობაზე, დამსვენებელთა ვინაობაზე, მუსიკალურ ფოლკლორზე, გართობა-სანახაობაზე და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შუამთობის ხალხური დღესასწაულის ტრადიციულ ფორმებზე, იმ პროცესებზე, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა დღესასწაულის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ჩატარებისათვის. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოსახლეობა უპირატესობას მაინც დღესასწაულის ტრადიციულ ფორმას ანიჭებს, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.



დიდი იაილა

მოპოვებული მასალების საფუძველზე დაკონკრეტდა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ბეშუმის დასახლების ისტორიასთან დაკავშირებით. იგი უდაოდ წარმოადგენს ერთ-

ერთ საუკეთესო მაღალმთიან კურორტს საქართველოში. ბეშუმი მდებარეობს ზღვის დონიდან თითქმის 2000 მეტრ სიმაღლეზე, გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე და საკმაოდ ფართო არეალს მოიცავს. არსიანის ქედის გაყოლებით ნაწილობრივ თურქეთის ქართულ პროვინციებსაც ესაზღვრება. ბეშუმი მდიდარია წიწვოვანი ტყეებით, ტბებით, წყაროებითა და სამკურნალო აბანოებით, რომელთა ღირსება ბოლომდე შეუსწავლელია. კურორტს ემსახურება მრავალრიცხოვანი დასასვენებელი კოტეჯი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომელთაც ზედამხედველობს საკურორტო ადმინისტრაცია. აქვეა აჭარის სხვადასხვა რაიონების მოსახლეობის კერძო დასასვენებელი სახლები, რომელთა რაოდენობა 500-მდეა. ბეშუმი პირობითად იყოფა საკურორტო ანუ „ღობის შიგნითა“ და „ღობის გარეთა“ ტერიტორიებად, თუმცა, დასავენებელი ზოლი საკურორტო ზონის გარეთაც მდებარეობს. „ღობის გარეთ“ ზონაშია განლაგებული მემთევრეთა სახლები ანუ იაილები.

რძის გამოხდა. ბეშუმი

ყველის ამოყვანა. ბეშუმი

ბეშუმის ისტორია შორეულ წარსულშია საძიებელი, რაზეც ნათლად მიუთითებს სათანადო არქეოლოგიური (პალეოლითური, ნეოლითური და ადრეფეოდალური ხანის ნასახლარები), ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული და ტოპონიმიკური მასალები. თვით კურორტის ისტორია თითქმის საუკუნეს ითვლის. მისი თავდაპირველი დამსვენებლები ზემო

აჭარის მოსახლენი ყოფილან. მათ ძირითად საქმიანობას ტრადიციული სამეურნეო დარგი – მესაქონლეობა წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში აქ შესამჩნევად ვითარდება სამიწათმოქმედო საქმიანობა (კარტოფილისა და სხვა ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანა). ბარის მეურნეობის მსგავსად, ალპური მეურნეობა თანდათან იძენს მრავალპროფილიან ხასიათს. ბეშუმის მემთევრთა დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, შინახელოსნური ნაწარმის დამზადება.

შევნიშნავთ, რომ ბეშუმის ფართო მასივში ყველა ადგილი მოსახლეობისათვის კარგადაა ცნობილი და სახელდებულია შესაბამისი ტოპონიმებით, რომლებიც დღემდე მეცნიერულად შესწავლილი არ არის. მასში ასახულია აქაური ფლორის თავისებურებანი, საძოვრების სოფლობრივ-გვარობრივი კუთვნილება და სხვა მხარეები. ბეშუმის ტერიტორია დასერილია უამრავი ბილიკით, რომლებითაც იგი უკავშირდება მოსაზღვრე სამცხის რაიონის სოფლებსა და იალაღებს, აგრეთვე თურქეთის ქართულ სოფლებს და მათ მთა-საძოვრებს.

მწვანე ტბა

ექსპედიციის პერიოდში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით შეიქმნა საფუძველი კურორტ ბეშუმსა და შუამთობის ხალხურ დღესასწაულზე ბუკლეტების გამოსაცემად. ბუკლეტი „ბეშუმი“ გამოიცემა ქართულ და უცხოურ ენებზე. ასევე მოეწყობა ფოტო-სტენდი „ბეშუმი-2007“. ვიდეო გადაღების საფუძველზე მომზადდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ეთნოგრაფიული ფილმი „ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი - ბეშუმი)“ (ფილმის სცენარის ავტორი და რედაქტორი ნ. კახიძე, რეჟისორი მ. ლორია).

ნაილა ჩელებაძე - ექსპედიციის ხელმძღვანელი
ჯემალ ვარშალომიძე - ხელმძღვანელის მოადგილე

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მახაჩყალაში

2-4 ოქტომბერს ქ. მახაჩყალაში ჩატარდა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „უახლესი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული გამოკვლევები კავკასიაში“. აღნიშნული კონფერენცია დაგეგმილი იყო პროექტით „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ფოლკლორისტიკა“, რომლის ჩარჩოებში მომზადებულ და ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებს მალე თბილისში მეათე საიუბილეო ფორუმი შეემატება. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული კავკასიის ქვეყნებში არსებული ეთნოკომფლიქტების მოწესრიგებისა და ქვეყნებსა და ხალხებს შორის მშვიდობიანი, სტაბილური ურთიერთობის დამყარების პრობლემებთან, რომელიც დიდი ხანია გასცდა რეგიონის ფარგლებს და მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო მსჯელობისა და ზრუნვის საგნად იქცა.

РОССИЙСКАЯ АКАДЕМИЯ НАУК
ОТДЕЛЕНИЕ ИСТОРИКО-ФИЛОЛОГИЧЕСКИХ НАУК
ДАГЕСТАНСКИЙ НАУЧНЫЙ ЦЕНТР
Институт истории, археологии и этнографии

АРХЕОЛОГИЯ, ЭТНОГРАФИЯ И ФОЛЬКЛОРИСТИКА КАВКАЗА

НОВЕЙШИЕ АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ И ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ НА КАВКАЗЕ

«NEW ARCHEOLOGIC AND ETHNOGRAPHIC RESEARCHES IN CAUCASUS»

Материалы Международной научной конференции

Materials of the International scientific conference

Махачкала 2007

კავკასიაში მშვიდობის დამყარების ინიციატივებმა, რომლებიც წინა პლანზე ჯერ კიდევ 90-იანი წლების მეორე ნახევარში იქნა წამოწეული, სრულყოფილი გამოხატულება ჰპოვა დეკლარაციაში – „კავკასიაში ერთაშორის თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისათვის“. იგი მიღებული იქნა 1996 წლის 3 ივნისს ქ. კისლოვოდსკში აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების ლიდერთა ერთობლივი ძალისხმევით. ამ ღონისძიებათა რეალიზაციის კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ 1997 წლის 31 მაისის კისლოვოდსკის შეხვედრაზე მიღებული დეკლარაცია – „ჩრდილო კავკასიაში მშვიდობისა და თანხმობისათვის“, რომელშიც ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანე-

ლებმა, რუსეთის ფედერაციისა და ამიერკავკასიის სახელ-მწიფოთა წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს ერთსულოვანი მისწრაფება მშვიდობის დამყარებისა და მჭიდრო თანამშრომლობისაკენ და რეგიონის მტკივნეული პრობლემების გადაწყვეტის დასაჩქარებლად წამოაყენეს ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეზონანსის მატა-რებელი –„მშვიდობიანი კავკასიის“ მოძრაობის იდეა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, თავისი წვლილი შეეტანა ამ მეტად მნიშვნელო-ვან სახელმწიფოებრივ საქმეში. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1996 წლის 26 სექტემბერს აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების მონა-წილეობით ჩამოყალიბდა კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია (თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვახტანგ შამილაძე), რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ჰარმონიული, მშვიდობიანი ურთიერ-თობების აღდგენის, განვითარებისა და თანამედროვე მსოფ-ლიოში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის ყოველ-მხრივ ხელშეწყობას. კომისიის უპირველესი ამოცანა გახლ-დათ კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო, სასწავლო, სამუზეუმო-საარქივო და ძეგლთა დაცვის ცენტრებთან ურთიერთობათა აღდგენა და კავკასიოლოგიურ სამეცნიერო კვლევათა შემდგომი განვითარება, აქტუალური იდეების, ინიციატივების, პროექტებისა და პროგრამებისათვის დასაბამის მიცემა, მათი წარმოჩენა-პრეზენტაცია. დღევანდელი მსოფლიოს რეა-ლიებისა და ცივილიზაციის თანამედროვე მიღწევებთან მი-მართებაში საქართველოსა და მთელი კავკასიის გეოპოლიტი-კური, გეოეკონომიკური, ეთნოკულტურული და ეთნოსოცია-ლური საკითხების შესწავლასთან დაკავშირებული სამეცნი-ერო კვლევათა დაგეგმვა და ჩატარება. პრიორიტეტულ მიმარ-თულებად ითვლებოდა კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო და-წესებულებებთან და ცენტრებთან ერთობლივი საველე-საექსპედიციო და კამერალური სამუშაოების, აგრეთვე საერ-თაშორისო კავკასიოლოგიური კონფერენციების, სიმპოზიუმე-ბისა და სემინარების მოწყობა-ჩატარება, ფუნდამენტურ მიმართულებათა კვლევა-ძიების შედეგებზე პუბლიკაციების

მომზადება და გამოცემა, საერთაშორისო ინფორმაციულ ბანკში ჩართული რეგიონალური გამოკვლევებისათვის საჭირო ინფორმაციულ-ანალიტიკური ბაზის შექმნა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტთა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების დაინტერესება რეგიონის პრობლემებით.

კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის სამუშაო პროგრამა კოორდინირებული იყო მშვიდობიანი კავკასიის იდეის რეალიზაციის მიზნით სამთავრობო სტრუქტურებთან და საპარლამენტო კომისიებსა და საკოორდინაციო ჯგუფების საქმიანობასთან.

მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ იმთავითვე დაიწყო და განახორციელა მნიშვნელოვანი სამუშაოები.

1997 წლის მარტ-აპრილში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ანდრია აფაქიძე, კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარე აკადემიის წევრ-კორ. ვახტანგ შამილაძე და პროფ. გ. ღამბაშიძე შეხვდნენ ქუთაისში ვიზიტად მყოფ კავკასიათმცოდნეებს მოსკოვიდან, ვლადიკავკაზიდან, ბაქოდან და ერევნიდან. შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით კავკასიის ქვეყნების არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა საორგანიზაციო თათბირი დაინიშნა თბილისში. აღნიშნულ თათბირზე განსახილველი საკითხების შესათანხმებლად, აგრეთვე ინგუშეთში და ჩრდილო კავკასიის სხვა რესპუბლიკებში ქრისტიანული კულტურის ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოების დასაგეგმავად ვ. შამილაძე და გ. ღამბაშიძე 12-21 მაისს მივლინებული იყვნენ ჩრდილო ოსეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკებში.

ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში, კერძოდ ჩრდილოეთ ოსეთში, ინგუშეთში, ჩეჩნეთში და დაღესტანში არაერთგზის შეხვედრების დროს სამთავრობო და საპარლამენტო სტრუქტურებმა სააკადემიო და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებმა და უნივერსიტეტების სამეცნიერო უჯრედებმა სრული მზადყოფნა გამოთქვეს პოსტსაბჭოურ პერიოდში გაჩაღებული კომფლიქტების გამო ქართველ და კავკასიელ ხალხებს შორის, პირველ რიგში კი სამეცნიერო-კულტურულ ინტელიგენციას შორის შეწყვეტილი ტრადიციული კეთილმეზობლური, შემოქ-

მედებითი კავშირების აღდგენის საქმეში და თანადგომა გამოუცხადეს ქართველ კოლეგებს. ანალოგიური ხასიათის საკოორდინაციო მივლინებები განხორციელდა ქალაქებში ბაქოსა და ერევანში, სადაც ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე თანხმობა განაცხადეს სომეხმა და აზერბაიჯანელმა მეცნიერებმაც.

ჩრდილო და ამიერკავკასიის ქვეყნებში აღნიშნული ვიზიტებისა და კავკასიელ კოლეგებთან შეხვედრებისა და თათბირების საფუძველზე 1997 წლის 10-11 ივნისს თბილისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ინიციატივით მოეწყო კავკასიის ქვეყნების არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა საორგანიზაციო ხასიათის პირველი შეხვედრა. შეხვედრაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ა. აფაქიძე, რომელმაც ისაუბრა იმ ამოცანებსა და პერსპექტივებზე, რომელთა რეალიზაცია უნდა განხორციელებულიყო კავკასიის ქვეყნებთან ტრადიციული სამეცნიერო კონტაქტებისა და თანამშრომლობის აღდგენა-გაფართოების საფუძველზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვ. შამილაძემ, ო. ლორთქიფანიძემ, გ. ღამბაშიძემ, ა. ქალანთარიანმა, დ. ვარდუმიანმა, ა. ოსმანოვმა, მ. გაჯიევმა, მ. აგლაროვმა, მ. აზიევმა და სხვებმა. საბოლოოდ შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ კავკასიის ქვეყნების არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა საველე-საექსპედიციო მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები გაიმართოს ყოველწლიურად. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ არქეოლოგთა საველე-საექსპედიციო მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი პირველი კონფერენცია მოწვეულიყო თბილისში 1998 წლის მაისში, ხოლო ეთნოგრაფთა კონფერენცია – ერევანში 1998 წლის ოქტომბერში. კონფერენციებისა და შეხვედრების სამუშაო ენად მიჩნეულ იქნა რუსული და იმ რესპუბლიკების სახელმწიფო ენა, სადაც ჩატარდება აღნიშნული ღონისძიებანი. ამასთან, კონფერენციის ორგანიზატორ მხარეს უნდა უზრუნველეყო ეროვნულ ენაზე გამოსული მომხსენებლის სინქრონული თარგმანი რუსულ ენაზე. მიღწეული იქნა შეთანხმება მოხსენებების მოკლე შინაარსების გამოცემის შესახებ, რასაც უზრუნველყოფდა აგრეთვე კონფერენციის ორგანიზატორი მხარე.

საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზაციის პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე კონფერენციის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით მომდევნო კონფერენციებზე არქეოლოგთა და ეთნოლოგთა ფორუმი გაერთიანდა, ხოლო შემდგომ ეტაპზე დაემატა აგრეთვე ფოლკლორისტთა მოხსენებები, რამაც კონფერენციის პრობლემატიკა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა.

კავკასიათმცოდნეთა უდიდესი ინტერესი აღნიშნული კონფერენციების მიმართ თვალნათლივ გამოჩნდა დღემდე თბილისში, ბაქოში, ერევანში, მახაჩყალასა და ბათუმში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების მუშაობიდან, რომლებშიც კავკასიელ კოლეგებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ კავკასიათმცოდნე არქეოლოგები, ეთნოლოგები და ფოლკლორისტები გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ირანიდან, თურქეთიდან, კანადიდან, ისრაელიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან. კონფერენციებზე წარმოდგენილი 1300-ზე მეტი მოხსენების ტექსტები, ანოტაციები და თეზისები დაიბეჭდა მაღალ მეცნიერულ და პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული აკადემიური კრებულების სახით და ფართო გამოხმაურება ჰპოვა კავკასიათმცოდნეობით დაინტერესებულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ წრეებში.

ასეთია მოკლე წინაისტორია იმ სამეცნიერო ფორუმისა, რომელიც მიმდინარე წელს მახაჩყალაში დაღესტნის რესპუბლიკის პრეზიდენტის მ.ალიევის პირადი ხელშეწყობითა და ინიციატივით გაიმართა. კონფერენციისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ისიც, რომ მახაჩყალაში უნდა გადაწყვეტილიყო საიუბილეო რიგით მეათე შეხვედრის ადგილი და დრო, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიები. ამ ფორუმისადმი ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ მასში სავარაუდო იყო ჩვენი კოლეგების ფართო მონაწილეობა ინგუშეთიდან, ჩეჩნეთიდან, ყაბარდო ბალყარეთიდან, ჩერქეზეთიდან ოსეთიდან და აფხაზეთიდან.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში, რომლის წევრიც საქართველოდან გახლდათ პროფ. ვ.შამილაძე, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და რუსეთის წამყვან სამეცნიერო

ცენტრებიდან და რეგიონებიდან შემოსული იყო 170-ზე მეტი მომხსენებლის განაცხადი. კერძოდ, კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ბელორუსიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ინგლისის, აგრეთვე მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, როსტოვის, გროზნოს, ნაზრანის, ნალჩიკის, ვლადიკავკაზის, მაიკოპის, სოხუმის, ნოვოსიბირსკისა და სხვ. სამეცნიერო ცენტრებისა და უნივერსიტეტების მეცნიერები. მსოფლიოში აღიარებულ კავკასიათმცოდნეებთან ერთად ფორუმზე ფართოდ იყო წარმოდგენილი არქეოლოგთა და ფოლკლორისტთა ახალგაზრდა თაობა. საერთო ჯამში კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების 5 აკადემიკოსი, 9 აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 37 მეცნიერებათა დოქტორი და 50 მეცნიერებათა კანდიდატი. კონფერენციის მუშაობა ფართოდ იყო გაშუქებული დაღესტნის რესპუბლიკის ცენტრალური ტელევიზიისა და პრესის მიერ.

კონფერენციის თემატიკა გახლდათ მრავალფეროვანი და მოიცავდა კავკასიის ხალხების ისტორიის, არქეოლოგიისა და ფოლკლორისტიკის აქტუალურ პრობლემებს. რუსეთის ფედერაციაში გასამგზავრებელ სავიზო რეჟიმთან დაკავშირებული სიძნელეების გამო კონფერენციაზე ჩვენთან ერთად მხოლოდ 2 მომხსენებელი – გ.ჩანტლაძე-ბაქრაძე და გ. ღამბაშიძე მონაწილეობდა. თბილისი – ბაქო – დერბენტის გავლით, მსუბუქი ავტომანქანით 1000 კმ. მეტი შეუსვენებელი მგზავრობის შემდეგ, მახაჩყალის რასულ გამზატოვის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში აღმოვჩნდით. ჩვენი გამოჩენა მასპინძელთათვის არ იყო მოულოდნელი, რამდენადაც მათ მგზავრობისას მუდმივი კავშირი ჰქონდათ ჩვენთან, მაგრამ სხდომის მსვლელობა 15 წუთიანი შესვენებით მაინც შეაჩერეს, რათა საშუალება გვქონოდა, როგორც კონფერენციის ერთერთ ორგანიზატორ მხარეს მივსალმებოდით, ჩვენს კოლეგებს. სხდომის განახლებისთანავე საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მისალმება წაიკითხა გ. ღამბაშიძემ. საქართველოს დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ვ. შამილაძე.

პლენარული სხდომის პირველივე მოხსენებები მიძღვნილი იყო დაღესტნის უძველესი ისტორიის საკითხებისადმი. ცნობილმა არქეოლოგმა, აკადემიკოსმა ა. დერევიანკომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორ ვ.ზენინთან ერთად მოხსენება გააკეთა თემაზე „სამხრეთ დაღესტნის ადრეული პალეოლითი: შედეგები და პერსპექტივები“. ამავე პრობლემას მიეძღვნა დაღესტნელი მეცნიერის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ხ. ამირხანოვის მოხსენება „დაღესტნის ადრეული პალეოლითი“. ორივე მოხსენებაში, რომლებშიც ახალ არქეოლოგიურ გათხრებზე დაყრდნობით წარმოდგენილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის უძველესი პერიოდი, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო არა მარტო დაღესტნის, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონის არქეოლოგიის მიღწევებსა და მათ ახლებურ ინტერპრეტაციას.

ძალზე საინტერესო გახლდათ პლენარული სხდომის მომდევნო მოხსენება „ურუქის კულტურა (მესოპოტამია) და კავკასია“, რომელიც წაიკითხა აგრეთვე ცნობილმა დაღესტნელმა მეცნიერმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა რ. მუნჩაევმა. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო სირიაში–მსოფლიო ცივილიზაციის ერთერთ ადრინდელ ცენტრში მის მიერ მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. მოხსენებაში ხაზგასმული იყო ამ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ექსპედიციაში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობისა და მათი წვლილის შესახებაც. ზედმეტად მიგვაჩნია ამ აღმოჩენების მნიშვნელობის განმარტებები საქართველოს უძველესი ისტორიის პრობლემების გაშუქების თვალსაზრისით.

კონფერენციის მასპინძელთაგან პლენარულ სხდომაზე ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორების მ. აგლაროვისა („სათემო სამართალი-ადათი დაღესტანში რუსეთთან შეერთებამდე”) და ო. დაუდოვის („არქეოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები დაღესტანში”) მოხსენებებმა, რომლებიც მიძღვნილი იყო დაღესტნის

ეთნოლოგიის, არქეოლოგიისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი.

მახაჩყალის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოდან წარდგენილი 34 მოხსენება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ფოლკლორისტიკის მრავალფეროვან თემატიკას მოიცავდა. აქედან ორი–კერძოდ, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკად. გ.თევზაძის („გლობალიზაცია და ეროვნული იდენტურობა"), და აკად. წევრ-კორ. ვ. შამილაძისა და პროფ. ნ. მგელაძის („ალექსი რობაქიძე და ქართული კავკასიათმცოდნეობა") მოხსენებები მოსმენილი იქნა პლენარულ სხდომაზე.

ქართულ არქეოლოგთა მოხსენებები ეხებოდა როგორც ადრე, ასევე ბოლო წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების ახლებურ ინტერპრეტაციას. ამ მხრივ გამოირჩეოდა პალეოლითისა და ადრენეოლითური ძეგლების (მ. ნიორაძე, ლ. ნებიერიძე), მტკვარ-არაქსის კულტურის (ა. ორჯონიკიძე, გ. გოგოჭური), ე.წ. ადრეული ყორღანული კულტურის (ზ. მახარაძე, ა. ორჯონიკიძე), ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის (ლ. ჯიბლაძე, ვ. სადრაძე), ადრე და შუა ფეოდალური ხანისა (დ. მინდორაშვილი, ზ. ბრეგვაძე, ნ. კაპანაძე) და ამავე ეპოქის ქრისტიანული ძეგლებისადმი მიძღვნილი მოხსენებები.

კონფერენციის მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გ.ღამბაშიძის მიერ ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებისა და მასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ პლენარულ სხდომაზე გამოტანილმა მოხსენებამ. აღნიშნულ პრობლემაზე 70-იან წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ჩატარებულ საქართველო-დაღესტნის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი გ. ღამბაშიძე) მიერ მიკვლეულ და შესწავლილ ადრე და შუაფეოდალური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს ინგუშეთსა (ტყობა-ერდი) და დაღესტანში (დათუნას ეკლესია, აქაროს მთის სამეფო სასახლისა და ამავე კომპლექსის ქრისტიანული ტაძრის ნანგრევები და სხვ.) ამჯერად შეემატა ბოლო პერიოდში ხუნძახეთში მოპოვებული მარმარილის ჯვრები ქართული წარწერებით, რომელიც აშკა-

რად მიუთითებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილსა და როლს, მის პროგატივას ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების მისიონერულ საქმიანობაში. ეს მასალა ამჟამად კამერალური შესწავლის პროცესშია და იგი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების მეტად რთული პრობლემის შემდგომი კვლევის პროცესში.

კონფერენციაზე მნიშვნელოვანი მოხსენებები წარმოადგინეს ქართველმა ეთნოლოგებმაც. როგორც ცნობილია XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიისა და ენათმეცნიერების გამოჩენილ წარმომადგენელთა განსაკუთრებული დამსახურება კავკასიათმცოდნეობის წარმატებებში საყოველთაოდაა აღიარებული. ყოფილი საბჭოთა პერიოდის ახლო და შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებზე ივ.ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის, ა. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, რ. ხარაძის, ა.რობაქიძისა და სხვ. უდიდესი ღვაწლი კავკასიის ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების წარმატებებში არაერთგზის აღნიშნულა. კულტურისა და ყოფის გლობალიზაციის სადღეისო პრობლემებთან დაკავშირებით ქართველი და კავკასიელი ხალხების კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილ მოხსენებებში, ერთეულ გამოსვლებსა და საუბრებში მათი მეცნიერული შემოქმედება არაერთხელ იქნა მოხსენიებული მახაჩყალის კონფერენციაზეც. ამით აიხსნებოდა ის დიდი ინტერესი, რომელიც ვ.შამილაძისა და ნ.მგელაძის ზემოხსენებულმა მოხსენებამ გამოიწვია. მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ა.რობაქიძის იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მან რ.ხარაძესთან ერთად მრავალი ათეული წლების დაუღალავი შრომითა და ენერგიით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების შექმნითა და ჩამოყალიბებით დააგვირგვინა. ა.რობაქიძისა და რ. ხარაძის ხელმძღვანელობით ამ განყოფილებაში აღზრდილმა ნიჭიერმა ახალგაზრდა მეცნიერებმა, მეცნიერებათა დოქტორებმა და კანდიდატებმა თვალსაჩინო, შეიძლება ითქვას საეტაპო წვლილი

შეიტანეს ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღეს, ოსეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, დაღესტნისა და სხვა კავკასიელი ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საველე და კამერალური კვლევა-ძიების ურთულეს საქმეში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ა. რობაქიძისა და რ.ხარაძის დამსახურება ქართულ-ვეინახური ეთნოგენეტიკური და ეთნო-კულტურული კვლევების სფეროში, რომელმაც სათანადო აღიარება ჰპოვა კავკასიათმცოდნეობაში. შეუძლებელია აქვე გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის დიდი გაუგებრობა რაც, ე.წ. რეფორმების ეგიდით ათეული წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომითა და ენერგიული ძალისხმევით შექმნილ ამ სამეცნიერო უჯრედის გაუქმებასა და იქ მომუშავე მაღალკვალიფიციური კადრების უგზოუკვლო მიმოფანტვას მოყვა.

მახაჩყალის კონფერენციაზე ტრადიციული და თანამედროვე ეთნოგრაფიული კვლევების საყურადღებო პრობლემებს ეძღვნებოდა ქართულ ეთნოლოგთა 30-ზე მეტი მოხსენება. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ კონფერენციაზე გამგზავრებასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა მინიმუმამდე შეზღუდა ჩვენ მომხსენებელთა გამოსვლა მახაჩყალაში. ეს დანაკარგი რამდენადმე შეამსუბუქა კონფერენციის ორგანიზატორთა მიერ გამოცემულმა, შესანიშნავ მეცნიერულ და პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულმა კრებულმა, რომელშიც სრულად დაიბეჭდა კონფერენციაზე წარდგენილი ყველა მოხსენება.

ქართველ ეთნოლოგთა მოხსენებები საინტერესო იყო თემატიკის მხრივაც, კერძოდ წინა პლანზე წამოწეული იყო ეთნოლოგიის ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა: ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მასთან დაკავშირებული სულიერი კულტურის თავისებურები (კ. სიხარულიძე, ნ. ბრეგაძე, თ. ლომთათიძე), შინამრეწველობისა და ხელოსნობის ცენტრები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ნ. კახიძე), რელიგიური რწმენა წარმოდგენებიდან – ცხოველთა კულტის ქართულ-თურქული პარალელები (გ.ჩაგანავა), სოციალური ურთიერთობის ფორმებიდან–ქორწინების ინსტიტუტთან, კერძოდ განქორწინებასთან დაკავშირებული ინოვაციები (ნ. ჩელებაძე), ქართული სუფრის ტრადიციის გენეზისის ანთროპოლოგია (გ. ყიფიანი), ქართულ-დაღესტნური

და ქართულ-აფხაზური ეთნო-კულტურული კონტაქტები (ნ.ჯავახიშვილი, მ.შალიკაძე), გლობალიზაციის პროცესები და და ეთნოლოგიის ამოცანები (ი. კეცხოველი, მ. გოცირიძე, ლ. ბერიაშვილი) და სხვ. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ქართულ-ბასკური ლინგვისტურ-ეთნოგრაფიული რეალიების ტიპოლოგიური ანალიზი (გ. ჩანტლაძე-ბაქრაძე), იურიდიული ანთროპოლოგიის ადგილი და როლი საქართველოს პოსტსაბჭოური განათლების სისტემაში (მ. გორგოშაძე, ლ. ჯაყელი, მ. ლორია) და ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის უახლესი პერიოდის ისეთი რეალიები, როგორიცაა ეთნოგრაფიული ასპექტების ასახვა ქართულ დოკუმენტალურ კინოში (ვ.შამილაძე, მ.ლორია).

მახაჩყალის კონფერენციაზე ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო აზერბაიჯანელ მეცნიერთა დელეგაცია. 42 მომხსენებელს სათავეში ედგა აზერბაიჯანის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ მ. რაგიმოვას მოხსენება – „აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პირველი ერთობლივი საერთაშორისო ექსპედიციების ანგარიში". კონფერენციაზე მრავალრიცხოვან მომხსენებელთა რიგებს ამშვენებდნენ ცნობილი აზერბაიჯანელი არქეოლოგები და ეთნოლოგები: აზერბაიჯანის მეცნ. აკად. წევრ კორესპონდენტი ი. ბაბაევი, პროფესორი ე. კარიმოვი, პროფ. გ. გოშგარლი და სხვ.

კონფერენციაზე მნიშვნელოვანი მოხსენებები გამოიტანეს სომეხმა მეცნიერებმაც. მათ შორის პროფ. ლ. ვარდანიანის მოხსენება „საველე-შემკრებლობითი საქმიანობის ორგანიზაცია სომხეთში 1930-იან წლებში" მოსმენილი იქნა პლენარულ სხდომაზე.

შეუძლებელია ცალკე ჩამოვთვალოთ მომხსენებლები ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკიდან, რომელთა შორისაც ეთნოლოგიის ტრადიციული და ახალი თემატიკით გამოირჩეოდნენ ჩეჩენი (ს. ახმედოვი, მ. ბაგაევი, თ. შალაევა, თ. მაზაევა, მ. ტეკუევა და სხვ.), ყაბარდო-ბალყარელი (ა. ხაშიროკოვი, ს. აკიევა და სხვ.), ინგუში (ბ. პარახოვა, მ. დოლგიევა) და ადიღეველი (ს. კუდიევა) მეცნიერები. სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილ მეცნიე-

რთა მოხსენებებში წარმოდგენილი იყო უნიკალური ეთნოგრა-ფიული მასალები და თეორიული განზოგადების საკმაოდ მაღალი დონე, რაც აღნიშნულ რესპუბლიკებში დღეს არსებუ-ლი რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად მეც-ნიერების ხელშესახებ პროგრესზე უნდა მიუთითებდეს.

კავკასიათმცოდნეთა ფორუმზე პირველად გამოჩდენ აფ-ხაზი მეცნიერებიც. კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება დაიმსახურეს ო. ბღაუბას, ვ.ბუანიას, ზ. საქანიას, დ. ბუანიას, ა. გაბელიას, ვ. კვარანძიასა და ზ. ხონძიას მოხსენებებმა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მათი მოხსენებები გამოირჩეოდა კორექტულობით და კონკრეტული მეცნიერული მიზანდასახულობით. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზმა მეცნიერებმა იმთავითვე დაამყარეს ჩვენთან ძალზე კეთილგანწყობილი და კონსტრუქციული ურთიერთობა, რასაც მოყვა მომავალში ქართველ და აფხაზ მეცნიერთა შორის მეცნიერული კონტაქტების აღდგენის დიდი სურვილები. ანალოგიური სურვილი გამოთქვა მახაჩყალაში ვლადიკავკაზიდან ჩამოსულმა ჩვენმა კოლეგამ ლუდვიგ ჩიბიროვმაც, რომლის მოხსენება ოსეთის ეთნოგრაფიის ისტო-რიოგრაფიის საკითხებზე ასევე მოსმენილი იქნა კონფერენ-ციის პლენარულ სხდომაზე.

და მაინც, კონფერენციის მონაწილეთა შორის ყველაზე აქტიური თავად მასპინძელთა მრავალრიცხოვანი გუნდი გახლდათ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების მიერ კონფერენციის ორგანიზებაში შეტა-ნილმა წვლილმა საშუალება მისცა მასპინძლებს მეცნიერთა შეხვედრა მახაჩყალაში მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ფორუმად ექციათ. მართლაც, ბრწყინვალედ წარმოჩენილ მეცნიერულ ფონს ამშვენებდა პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათის ღონისძიებები – მრავალფეროვანი ექსკურსიები არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნე-ლოვან ძეგლებზე მახაჩყალის შემოგარენში, ველიკენტში, დერბენტში, გუნიბის კულტურულ კომპლექსში, ხუძახეთში და სხვ.

პლენარულ სხდომაზე ზემოაღნიშნულ მომხსენებელთა გვერდით კონფერენციის სექციურ სხდომებზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს პროფესორებმა: ს. აგაშირინოვამ,

ვ. გაჯიევმა, მ. მაგომედხანოვმა, რ. სეფერბეკოვმა და სხვ. მოხსენებებში წარმოდგენილი იყო დაღესტნის ხალხების ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, არქეოლოგიისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებების უმნიშვნელოვანესი ასპექტები მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის, რელიგიის სფეროებიდან, რომლებშიც ამ მეცნიერებათა კონკრეტულ სიუჟეტებთან ერთად გამოტანილი იყო არაერთი თეორიული და მეთოდოლოგიური ხასიათის დასკვნები.

კონფერენციის მუშაობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ახლო და შორეული საზღვარგარეთის მეცნიერებმაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისე როგორც მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, როსტოვის, ნოვოსიბირსკისა და ყოფილი პოსტსაბჭოური სივრცის სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებმა, ასევე ამერიკის, საფრანგეთის, ისრაელის, კანადისა და სხვ. ქვეყნების კავკასიათმცოდნეებმა, კონფერენციაზე გამოიტანეს ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რესპუბლიკებში ადგილობრივი სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობით შესრულებული მოხსენებები. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი ფრანგი მკვლევარის, კარლ მარქსის შვილთაშვილის ფრედერიკა ლონგე-მარქსის მრავალწლიანი მოღვაწეობა დაღესტნელ მეცნიერებთან, რომლის შედეგებიც მოისმინეს კონფერენციის მონაწილეებმა. სხვათა შორის, ფრედერიკა მარქსი 1977 წელს სტუმრად გახლდათ საქართველოში და იგი დღემდე გულისყურით ადევნებს თვალს ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს.

სხვა უცხოელთა მკვლევართაგან სანიმუშო გახლდათ ლ. ორლოვსკაიას, ი. პოპოვას, ე. კაპუსტინას, ვ. კოვალევსკაიას, ს. კორენიევსკის, ფ. კოლის, ლ. სოლოვიოვასა და სხვ. მოხსენებები, რომლებიც მიძღვნილი იყო ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ფოლკლორისტიკის დარგში კავკასიელ მეცნიერებთან ხანგრძლივი სამეცნიერო თანამშრომლობის შედეგებისადმი.

კონფერენციის მსვლელობისას გ.ღამბაშიძე და ვ. შამილაძე თავმჯდომერეობდნენ ეთნოლოგთა და არქეოლოგთა

სექციურ მუშაობას, მათვე მოუხდათ სექციური მუშაობის შეჯამება ბოლო პლენარულ სხდომაზე.

კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები ჰუმანიტარული მეცნიერების აღნიშნულ სფეროებში კავკასიათმცოდნეთა სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების შესახებ, იმ ჩარჩოებში, რაც განსაზღვრული იყო თბილისში კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის აღდგენისა და განვითარების ზემოთ აღნიშნული პროგრამით. კერძოდ, დაისახა ღონისძიებანი საველე და კამერალური კვლევა-ძიების სფეროში ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოების დაგეგმვის, სამეცნიერო კონფერენციების, სესიებისა და სიმპოზიუმების რეგულარული ჩატარების, დარგობრივი ან ერთიანი საკოორდინაციო-საინფორმაციო ორგანოს დაარსების, მეცნიერ-თანამშრომელთა, დოქტორანტთა და ლექტორ-მასწავლებელთა გაცვლისა და სხვა აუცილებელი საქმიანობის ჩასატარებლად.

გადაწყდა აგრეთვე მომავალი 2008 წლის რიგით მეათე საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ადგილიც–საქართველო, სავარაუდოდ თბილისი, რომელსაც ჩვენს კომისიასთან ერთად მასპინძლობას გაუწევს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და სხვა სამეცნიერო და საუნივერსიტეტო დაწესებულებები.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ორგანიზატორთა ხელშეწყობითა და თანადგომით მოვახერხეთ 2 დღიანი სამარშრუტო ექსპედიცია ხუნძახეთში, რომელშიც ჩვენთან (ვ. შამილაძე, გ. ღამბაშიძე) ერთად მონაწილეობდნენ დაღესტნელი მეცნიერები პროფ. მ. აგლაროვი და გ.ატაევი). ხუნძახეთში მასპინძლობას გვიწევდა დაბა ხუნძახის საშუალო სკოლის დირექტორი, ადრე დათუნას ეკლესიისა და აქაროს მთის არქეოლოგიური გათხრების წევრი, ბატონი ალიბეკ კაზანბიევი. მეტად შთამბეჭდავი გახლდათ IX-X სს. ცნობილი ქრისტიანული ძეგლის დათუნას ეკლესიისა და აქაროს მთის სამეფო სასახლისა და ქრისტიანული სამონასტრო კომპლექსის მონახულება, რომელიც ზღვის დონიდან 2600 მ. სიმაღლეზეა განლაგებული და ამაყად გადაჰყურებს ცენტრალური კავკასიის ცად აზიდულ გოროზ მწვერვალებს.

სამარშრუტო ექსპედიციის ძირითადი მიზანი გახლდათ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება ქართულ-დაღესტნური კომპლექსური ექსპედიციის განახლების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს დათუნას ეკლესიისა და მისი შემოგარენის, აგრეთვე აქაროს მთის სამონასტრო კომპლექსისა და სამეფო სასახლის არქეოლოგიური გათხრების განახლებასა და გაგრძელებას, დათუნას ეკლესიის აღდგენა-რეკონსტრუქციას, ახალი არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენასა და შესწავლას.

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის ეგიდით 9 ოქტომბერს ბაქოში შევხვდით აზერბაიჯანის ეროვნული აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, სადაც გვიმასპინძლეს ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. მ. რაგიმოვამ, მეცნ.აკად. წევრ-კორ. ი. ბაბაევმა პროფესორებმა ე. კარიმოვმა, ნ.მუსეიბლიმ და გ. გოშგარლიმ. შეხვედრის მიზანი გახლდათ ქართველ და აზერბაიჯანელ მეცნიერთა კონტაქტებისა და ერთობლივი მეცნიერული ღონისძიებების შემდგომი გაღრმავება და განმტკიცება აკადემიური მეცნიერების სფეროებში.

მახაჩყალის საერთაშორისო კონფერენციამ დიდი წვლილი შეიტანა და ახალი პერსპექტივები დასახა ჰუმანიტარული დარგების თანამედროვე პრობლემების კვლევა-ძიების გაფართოებისა და კავკასიათმცოდნეთა სამეცნიერო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საქმეში.

ვახტანგ შამილაძე

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარე, მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

სარჩევი
Содержание
Contents

რედაქტორისაგან 5

ნოდარ კახიძე - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილება (დაარსების 50 წლისთავის გამო) 7

Нодар Кахидзе – Отдел этнологии и культурной антропологии Института Н. Бердзенишвили (К 50 летию со дня основания) 7

ნოდარ კახიძე - ხელოსნობის დარგების გენეზისის საკითხისათვის (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით) 16

Нодар Кахидзе - К вопросу о генезисе отраслей ремесла (По материалам Юго-Западной Грузии) 34

Nodar Kakhidze - Some Questions of Handicraft Branches Genesis (According to the materials of South-West Georgia) 35

ნაილა ჩელებაძე - მევენახეობა-მეღვინეობა ხულოს რაიონში 37

Наила Челебадзе - Виноградарство-виноделие в Хулойском районе 52

Naila Chelebadze - Viticulture and wine-making in Khulo Region 53

ჯემალ მიქელაძე - საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარის ალპურ ზონაში (გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მასალების მიხედვით) 54

Джемал Микеладзе - Жилищные и хозяйственные строения поселков альпийской зоны Хулойского района 61

Djemal Mikeladze - Living and household constructions of Seasonable dwelling in Khulo region 62

როინ მალაყმაძე - მევენახეობა და მეხილეობა ლიგანის ხეობაში 63

Роин Малакмадзе - Виноградарство и фруктоводство в Лиганском ущелье 70

Roin Malakmadze - Viticulture and Fruit gardening in Ligani Gorge 71

თამაზ ფუტკარაძე - ქართული დიასპორა თურქეთში 74

Тамаз Футкарадзе - Грузинская диаспора в Турции 81

Tamaz Phutkaradze - Georgian diaspora in Turkey 81

ჯემალ ვარშალომიძე - ქართული ხალხური ხუროთმოძღვრულ-დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე (ჯამეები) 82

Джемал Варшаломидзе - Образцы грузинского народного декоративно-зодческого и изобразительного искусства в мусульманских культовых сооружениях (мечети) Аджарии 108

Djemal Varshalomidze - Models of Georgian National Architectural-Decorative and Graphic art in Moslem praer Houses (Mosques) of Adjara 109

მანუჩარ ლორია – საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ებრაელთა ეთნორელიგიური მოზაიკა 110

Манучар Лория - Этнорелигиозная мозаика Евреев живущих в Причерномории Грузии 126

Manuchar Loria - The ethnoreligious mosaics of the Jews living on the (georgian) Black Sea Coast. 127

თამილა ლომთათიძე - ხალახური აგრარული კალენდარი და აჭარის მოსახლეობის სულიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი 128

Тамила Ломтатидзе - Народный аграрный календарь и некоторые вопросы духовной культуры населения Аджарии 154

Tamila Lomtatidze - Agricultural calendar Adjara and Some Questions of Spiritual Culture of Population Adjara 155

ნოდარ კახიძე - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების 2007 წლის სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანგარიში 156

Нодар Кахидзе – Отчот научно-иследовательской работы Отдела Этнологии и культурной антрапологии Института Нико Бердзенишвили за 2007 год 156

ნაილა ჩელებაძე, ჯემალ ვარშალომიძე – ეთნოგრაფიული ექსპედიცია ბეშუმში 168

Наила Челебадзе, Варшаломидзе Джемал - Эетнографическая экспедиция в Бешуми 168

ვახტანგ შამილაძე – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მახაჩყალაში 172

Вахтанг Шамиладзе – международная научная конференция в Махачкале 172